

504
1950/2

6.28

中国科学院图书馆
1950年10月

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КAVKAZA

504/2

იესა ბაკათაშვილის
ცხოვრება-ენდერძი

5

ტექსტი გამოცდა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით

ავთანდილ იოსელიანმა

1950

ნაკვეთი 28 ВЫПУСК



საქართველოს სსრ მეცნი. აკადემია—აქად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
 АН ГРУЗИНСКОЙ ССР—ИНСТИТУТ ИСТОРИИ им. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
 МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КAVKAZA

იესე ბაკათაშვილის
 ცხოვრება-ენდერძი

5120

ტექსტი გამოცდა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და სპეციალური
 ავთანდილ იოსელიანმა

1950

ნაკბითი 28 ВЫПУСК

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
 ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილი. ი.—1950—ТБИЛИСИ

რედაქტორი მ. კახაძე

შინაარსი

1. იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძის“ ტექსტის დადგენისა და წინამდებარე გამოცემისათვის	V
2. პირობითი ნიშნები	XXX
3. ტექსტი	1
4. ლექსიკონი	109
5. პირთა საძიებელი	113
6. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	119

შ ე ს ა ვ ა ლ ი

იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ ტექსტის დადგენისა და წინამდებარე გამოცემისათვის

იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ დღემდე ორჯერ გამოცემილია: პირველად 1871—1872 წ. წ. ჟურნ. „ცისკარში“ ნაწილ-ნაწილად (ექვს ნაკვეთად), ხოლო მეორედ—1913 წელს ს. კაკაბაძის მიერ. ამჟამად ორივე გამოცემა, მეტადრე პირველი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამ გამოცემებს თავის დროზე უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი მოძველდნენ; იმის გამო, რომ ორთავე გამოცემა „ცხოვრება-ანდერძისა“, დიდად დაზიანებულ (ნაკლულ) ხელნაწერებზე იყო დაყარებული, ამიტომ ჟურნალ „ცისკარის“ და 1913 წლის გამოცემანი დღეს, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებებს. ხოლო რაც შეეხება იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძის“ მნიშვნელობას, ეს თხზულება თავისი შინაარსით იმდენად ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართულ მემკურთხეულ საისტორიო მწერლობაში, და საერთოდ ქართულ მწერლობაში, რომ მას გვერდს ვერ აუვლის საქართველოს ისტორიის და ქართული მწერლობის ვერც ერთი მკვლევარი.

იესეს „ცხოვრება-ანდერძის“ წინამდებარე გამოცემა შეუძლებელი გახდებოდა, რომ ჩვენს მუზეუმს და არქივს არ შემოენახათ იესეს „ცხოვრება-ანდერძის“ დღემდე უცნობი ორი ხელნაწერი (პარობითად მუზეუმის ხელნაწერს ჩვენ აღვნიშნავთ B ლიტერით, ხოლო არქივისას C-თი). უკანასკნელნი ამ 14 წლის წინათ მივაკვლიეთ და მაქსიმალურად გამოვიყენეთ წინამდებარე გამოცემისათვის. ვიდრე შევხებოდით „ცხოვრება-ანდერძის“ B და C ხელნაწერების რაობას, მანამდე შევჩერდებით „ანდერძის“¹ ცისკარისეულ და ს. კაკაბაძისეულ გამოცემების ავკარგზე.

განვიხილოთ „ცხოვრება-ანდერძის“ გამოცემები და ხელნაწერები.

ჟურნალ „ცისკარის“ გამოცემა

ყოველთვიურმა ქართულმა ჟურნალმა „ცისკარმა“, იესე ოსეს ძის „ანდერძი“ გამოაქვეყნა შემდეგი სათაურით: „ანდერძი“ (ქართულის ისტორიისათვის მასალები). ბეჭდვა დაიწყო 1871 წ. ნოემბერ-დეკემბრის ნომერში და დაასრულა 1872 წ. უკანასკნელ ნომერში. დაიბეჭდა სულ 6 ნაწყვეტად (1871 წლის № 11—12, გვ. 735—762; 1872 წ. № 1, გვ. 3—30; № 2, გვ. 108—125; № 4, გვ. 207—222; № 10, გვ. 512—525; № 11—12, გვ. 576—591) სულ 114 გვერდზე (დაუმთავრებელი).

¹ სიმოკლისათვის ამიერიდან ამ თხზულებას „ცხოვრება-ანდერძის“ მაგიერ „ანდერძის“ ვუწოდებთ.



იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ანდერძის“ ტექსტის ხელნაწერი (თუ ხელნაწერები), რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემას, ჯერ-ჯერობით მიკვლეული არაა. დღევანდლამდე მოღწეულია „ანდერძის“ სამი ხელნაწერი: 1. ს. კაკაბაძის საკუთრება, რომელსაც ემყარება 1913 წ. გამოცემა; 2. B—საქ. მუზეუმისა და 3. C—საქ. ცენტრარქივში დაცული ხელნაწერი. „ანდერძის“ ხელნაწერი ტექსტებისა და არსებულ გამოცემათა კრიტიკულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ არც ერთი აქ დასახელებული ხელნაწერი გამოსაყენებლად ცნობილი არ უნდა ყოფილიყო „ცისკრის“ რედაქციისათვის. თუ დავეუშვებთ (სხვაგვარად კი შეუძლებელიცაა), რომ „ანდერძის“ ცისკრისული გამოცემა, ძირითადად მაინც იმ ხელნაწერის პირია, რომელიც თავის დროზე რედაქციის განკარგულებაში იმყოფებოდა, მაშინ დავრწმუნდებოდით, რომ „ანდერძის“ ტექსტის მეცნიერულად აღდგენისათვის, არსებითად: „ცისკრის“ რედაქციის განკარგულებაში მყოფ ხელნაწერს (თუ ხელნაწერებს) ჩვენს წინამდებარე გამოცემისათვის ძალიან მცირე მნიშვნელობა ენიჭება იმიტომ, რომ ჟურნალ „ცისკრის“ მიერ გამოცემული ტექსტი არა თუ ახალ რასმეს არ ჰმატებს „ანდერძის“ ხელნაწერებს, არამედ ამ უკანასკნელებთან შედარებით იგი შეუდარებლად დეფექტური და გაუმართავია; ასე, მაგ., „ანდერძის“ 1913 წ. გამომცემელი ს. კაკაბაძე ემყარებოდა რა „ანდერძის“ დაზიანებულ ერთ ხელნაწერს, იძულებული იყო ტექსტის ნაკლული აღგილები შეეცნო და გაემართა „ცისკრის“ გამოცემის მიხედვით, თუმცა, როგორც იგი შენიშნავს, აღუდგენელი აღგილები მაინც ბევრი დარჩა.

ჟურნ. „ცისკრის“ გამოცემის ძირითად ნაკლთაგან აღსანიშნავია:

1. ტექსტი გამოცემულია შემოკლებით, ხოლო ის, რაც გამოიცა, დაუდგენელია და გაუმართავი. სახელდობრ: ა) „ანდერძის“ ტექსტი ჟურნ. „ცისკარში“, რამდენადმე თანმიმდევრობით გრძელდება 1872 წ. № 4 (ჩათვლით), აქ ტექსტი წყდება სიტყვებით:... „რომლისა ფიქრი კვალად შემაშფოთებს“ (იხ. დასახ. № ჟურნ. „ცისკრისა“, გვ. 222; 1913 წ. გამოც. გვ. 74 და შეადარეთ ჩვენს გამოცემას 54, 37). ტექსტის ბეჭდვას ჟურნალი აგრძელებს იმავე წლის (ოქტომბერში) № 10-ში (გვ. 512—525), მაგრამ ვასაოცარი ინტერვალით გამოტოვებს რა ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილს „ანდერძისა“, რედაქცია ჟურნალის № 10-ში განაგრძობს ბეჭდვას შემდეგი ადგილიდან: „სატირალი და საგლოველი ამბავი ახალ“... (გვ. 512; 1913 წლის გამოც. გვ. 117; ჩვენი გამოცემის 90,23). მაშასადამე, 1913 წლის გამოცემის მიხედვით, „ცისკრის“ გამოცემაში გამოტოვებულია 42 გვ.; მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თვით 1913 წლის გამოცემა ამ ნაწილში (დასახ. გვერდების ფარგლებში, განსაკუთრებით 109 გვ.-დან, იხ. ჩვ. გამოც. 80—85 გვ.) ნაკლულია, დავრწმუნდებით, რომ სინამდვილეში აქ გამოტოვებულია ტექსტის 42 გვერდზე მეტი.

2. „ცისკრის“ გამოცემით „ანდერძის“ ტექსტის ნამდვილი დაბოლოება უცნობი რჩება ჩვენთვის. ტექსტი წყდება სიტყვებზე: „ჯარმა შიხზე გაიმარჯვაო“ (იხ. ჟურნ. „ცისკარის“ 1872 წ. № 11—12, გვ. 591; 1913 წ. გამოც. გვ.

136; ჩე. გამოცემის გვ. 105). მაშასადამე, დასასრული (1913 წლის გამოცემაში 136 გვ.ზე, ჩე. გამოც. 105—108) „ცისკრის“ გამოცემას აკლია.

ჟურ. „ცისკარში“ დაბეჭდილ „ანდერძის“ ტექსტს არ გააჩნია არც წინასიტყვაობა და არც არავითარი შენიშვნა-კომენტარები.

3. ზემოთ დავრწმუნდით, რომ დიდი ნაწილი (1913 წლის გამოცემით 46 გვ.) „ანდერძის“ ტექსტისა „ცისკრის“ რედაქციას გამოტოვებული აქვს (ნებისთ თუ უნებლიეთ), მაგრამ დაბეჭდილი ნაწილიც იმგვარადაა გამოცემული, რომ თითქმის ყოველ წინადადებაში გვხვდებით არასიზუსტესა და გაუმართავ ადგილებს, უმთავრესად მორფოლოგიური, სინტაქსური და ფონეტიკური ხასიათისას; ეს კი ხშირად იმდენად ართულებს ტექსტის გაგებას, რომ არაერთი ადგილი ტექსტულურად გაუგებარია და ზოგჯერ უაზროც, უხვადაა კორექტურული შეცდომებიც. იმათი ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანდა, სანიმუშოდ კი ცალკე გვერდებზეც შეიძლება მითითება, მაგ. ასეთებია ჟურნალის 1872 წ. № 2-ში: 111, 113, განსაკუთრებით 114—115, 119—120, 122 გვ. და სხვ.

4. დაბეჭდილ ტექსტში მეტად ხშირადაა გამოტოვებული ცალკე სიტყვები; უკანასკნელი აგრეთვე იმდენად ხშირია, რომ სანიმუშოდ აქაც მთელი რიგი გვერდების დასახელება შეიძლებოდა. მაგ., 1871 წ. № 11—12 იხ. გვ. 746—747, 749; 1872 წ. № 11—12 გვ. 586 და სხვ.

5. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რედაქცია თავისებურად ასწორებს, თუ სცვლის სიტყვებს „ანდერძის“ ტექსტისას. მაგ., 1872 წ. № 11—12, გვ. 581 სწერია: „შავები“, ნაცლად „ჯიგარისა“ (იხ. 1913 წლის გამოც. გვ. 130); ან კიდევ 1872 წ. № 10, გვ. 519 სწერია „ძლიერებისა“, „სახიერების“ მაგიერ და სხვა.

6. უხვადაა ორთოგრაფიული, სტილისტიკური და კორექტურული შეცდომები, მაგ. 1872 წ. № 10 გვ. 519, 520—521; 523—524 და სხვა.

7. ჟურნალის რედაქცია, როგორც ითქვა, თავის პერიოდულ გამოცემაში წლის მანძილზე ბეჭდავდა იესე ოსეს ძის „ანდერძის“ ტექსტს, მაგრამ ავტორს თხზულებისას არც ერთხელ ააჩვენებდნენ. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თხზულება თითქმის უავტორო იყოს.

რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ამგვარი შეცდომები „ცისკრის“ გამოცემაში? იგი მხოლოდ ორი მიზეზით შეიძლება ავხსნათ: 1. შესაძლებელია რედაქცია ემყარებოდა „ანდერძის“ იმდენად დაზიანებულ ხელნაწერს, როგორც ეს „ცისკრის“ გამოცემას ახასიათებს (რაც ძნელად დასაჯერებელია); 2. რედაქცია იმდენად უყურადღებოდ მოეკიდა ტექსტის გამოცემის საქმეს, რომ იქნებ ტექსტულურად უნაკლო, უხადო ხელნაწერი (თუ ხელნაწერები) უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო ესოდენ ცუდად გამოსცა.

დასასრულ, შეიძლება დავასკვნათ: მართალია, „ანდერძის“ ტექსტი, დაბეჭდილი ჟურნ. „ცისკრის“ მიერ, უხეიროდაა გამოცემული და დღეს მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას, მაგრამ თავის დროზე ეს პუბლიკაცია იმ სახითაც კი, როგორადაც იგი ჩვენ გვევლინება, მოასწავებდა მნიშვნელოვან მოვლენას ქართულ ისტორიოგრაფიაში¹.

¹ დამახინჯებულად გამოცემულმა ტექსტმა შეცდომაში შეიყვანა ცნობილი ქართველი მკვლევარი, პროფ. ალ. ხაბაშვილი, იესე ოსეს ძის „ანდერძის“ ისტორიულ-ლიტერატურული

1913 წლის გამოცემა

იესე ოსეს დის „ანდერძი“ 1913 წ. ს. კაკაბაძემ გამოსცა სათაურით „თავ-დაღასავალი იესე ოსეს შეილისა“¹.

ამ გამოცემასთან დაკავშირებით ჩვენ გვინტერესებს ორი ძირითადი საკითხი: 1. რამდენად შესძლო გამომცემელმა თავიდან აეცილებინა ყველა ის რედაქციული ხასიათის დეფექტი, რომლებიც ახლდა „ცისკარისეულ“ გამოცემას და 2. რა მოგვცა ახალი 1913 წ. გამოცემა, ძველ-გამოცემასთან შედარებით? მართალია, ს. კაკაბაძის გამოცემა მალა დგას „ცისკარის“ გამოცემაზე, მაგრამ არსებითად 1913 წ. გამოცემა ისევე არა კრიტიკულია და დეფექტური, როგორც „ცისკარის“ გამოცემა.

1. იესე ოსეს ძის „ანდერძის“ ტექსტი ს. კაკაბაძემ გამოსცა ისე, რომ კრიტიკულად არ შეეხო ამავე ტექსტის „ცისკარისეულ“ გამოცემას. უკანასკნელი კი ჩვენი აზრით საჭირო იყო, რადგან გამომცემელი ს. კაკაბაძე ხშირად იძულებულია მიმართოს „ცისკარის“ გამოცემას და მის განკარგულებაში მყოფ ნაკლები ხელნაწერის მრავალი ადგილის აღსადგენად გამოიყენოს კიდეც ეს გამოცემა. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობ, ევალებოდა გამომცემელს, რომ მოკლედ მაინც შეეხებოდა „ცისკარის“ გამოცემას და ტექსტის გამოცემისას, რაკი ერთი ხელნაწერით სარგებლობდა, მოეცა ვარიანტული კითხვასხვაობანი.

2. 1913 წელს გამოცემული „ანდერძის“ ტექსტი დაყრდნობილია ერთ დაზიანებულ ხელნაწერზე. ს. კაკაბაძეს დაზიანებულ ხელნაწერის ზოგიერთი ადგილის აღსადგენად, როგორც აღვნიშნავდით, გამოუყენებელი აქვს „ცისკარის“ მიერ გამოცემული „ანდერძის“ ტექსტიც (იხ. მაგ., 54, 61 გვ-ზე 1913 წლის

თვალსაზრისი ო განხილვისა და შეფასებისას (იხ. მისი „Очерки по истории грузинской словесности“ вып. 3, 1901, стр. 312 და სხვა). მაგალითად, იესე ბარათაშვილის ძმა იოანე ოსეს ძე, ხახანაშვილს „ცისკარის“ გამოცემულ ტექსტზე დაყრდნობით, იესე ბარათაშვილს სწავლად ჰყვებს წარმოდგენილი. იოანე გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე იყო 1780-იან წლებში, იგი თბილისის სემინარიის რექტორად იქნა დაიწყო მღვდელთმცოდნეობის საგანგებო ბრძანებით (დაცულია საქ. ცენტრარქივის ძველი საბუთების განყოფილებაში).

ჩვენს გამომცემელს მოეწონებოდა არა მარტო კრიტიკა „ანდერძის“ ცისკარისეულ გამოცემისა, არამედ რამდენადაც კი მისი გამოყენება შეიძლებოდა და ჰქონდა მას მნახველობა ტექსტის დადგენისათვის, ჩვენ სათანადოდ გამოვიყენეთ იგი. სიმოკლისათვის. „ცისკარის“ ტექსტს D ლიტერით აღვნიშნავთ.

¹ ცნობილია, რომ იესე ოსეს ძე ბარათაშვილს თავისი თხზულება არ დაუსათაურებია მაგრამ პირველ გვერდებზევე რამდენიმე სხვადასხვა, არსებითად კი თითქო იდენტურ მიიშენელობის სახელს აოქმევს. მაგ. „აღწერა ცხოვრებისა ჩემისა“, ან კიდეც „ანდერძს“ (დატოვებული შეიღებინადმი) არა ერთხელ უწოდებს მას. ტექსტუალურმა ანალიზმა ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ავტორი როდი ცდებოდა, როცა თავის თხზულებას „ცხოვრება“ და „ანდერძი“ უწოდა, პირიქით, ეს სახელწოდება ასახავს ძველის შინაარსს. (თუ როგორი ხ. სიათის ძეგლს ეწოდება „ანდერძი“, ამის შესახებ იხ. ავადმიტკოს ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 380—382. სპეციალურ ნაშრომში ჩვენ დასაბუთებული გვაქვს, რომ სახელწოდება „ცხოვრება-ანდერძი“ შინაარსობრივად და ფორმალურად საესებთ შესატყვისია და გამართლებულია იესეს ამ თხზულებისათვის. პროფ. ალ. ცაგარელი ოსეს ძის „ანდერძს“ „დღიურს“ უწოდებდა (Сведения, ტ. I, შესამე გამოცემა, 1894 წ. გვ. 2XIII). პროფ. ალ. ხახანაშვილი მ ი მ ა იესე ოსეს ძის „ანდერძი“ „ცისკარის“ გამოცემაზე დაყრდნობით მართებულად თარგმნა „завещания“-დ. Очерки по истории грузинской словесности, стр. 132, вып. 3, М., 1901 г.).

ვინაიდან თავთ ავტორის, იესე ოსეს ძე ბარათაშვილის, განსაზღვრით წინამდებარე ძეგლი წარმოადგენდა საკუთარი ცხოვრების აღწერას და შეიღებინათვის დატოვებულ ანდერძს, წერილობით ძეგლს, ჩვენც მას „ცხოვრება-ანდერძის“ სახელწოდებით ვასათაურებთ.



გამოცემით, ხოლო ჩვენი გამოც. გვ. 39,44), მაგრამ არც ამით გამზდარამოსახერხებელი ტექსტის მთლიანი აღდგენა და გამოცემეული იძულებულია განაცხადოს: „ხელნაწერს კიდევ აკლია 4 ადგილს (იხ. გვ. 104, 108, 109, 124 ს. კაკაბაძის გამოცემა) და ამ ნაწილის აღდგენა შეუძლებელიაო, რადგან ზოგი ნაწილი ამ ტექსტისა „ცისკარ“-ში სრულიად გამოტოვებულია და რაც ტექსტს ჩემი გამოცემის 124 გვერდზე აკლია, ის არც მაშინ ყოფილა“ო, — შენიშნავს წინასიტყვაობაში გამომცემელი¹. 134 გვერდზე ს. კაკაბაძე შენიშნავს: „აქ დედანს აკლიაო“-ო, მაგრამ სათვალავში რატომღაც არ შეაქვს იგი (იხ. ჩვენი გამოც. გვ. 104). ამრიგად, ს. კაკაბაძისავე გაანგარიშებით 1913 წლის გამოცემას აკლია 6 ადგილას, რომელთაგან მან აღადგინა მხოლოდ ერთი ადგილი.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია თუ როგორაა დატყული „ანდერძის“ ის ხელნაწერი, რომელზედაც ს. კაკაბაძის გამოცემაა დამყარებული. დედანია იგი თუ პირი, და რა მნიშვნელობა შეიძლება ენიჭებოდეს მას ჩვენი გამოცემისათვის. გამომცემელი, ს. კაკაბაძე, გვაუწყებს: „ტექსტი მე გამოვეცი სრულიად შეუცვლელად. ხელნაწერის მიხედვით“-ო (კურსივი ჩვენია—ი. ი.). ამ განცხადების შემდეგ „ანდერძის“ ტექსტის ხელახლა გამოცემისათვის თითქო ინტერესს ჰკარგავს ის ხელნაწერი, რომელზედაც 1913 წლის გამოცემა ემყარებოდა. აღნიშნული ხელნაწერი, როგორც ზემოთ ითქვა, ს. კაკაბაძის საკუთრებას წარმოადგენს და ჩვენ ამ ნუსხით სარგებლობის საშუალებას მოკლებული ვიყავით. თუ რაოდენ დაზიანებულია ეს ნუსხა, ამას ყველგან მიუთითებს თვით ს. კაკაბაძე (ზოგან უმართებულოდაც) თავის გამოცემაში.

1913 წლის გამომცემელი დარწმუნებულია, რომ ეს ხელნაწერი დედანია, დაწერილი თვით იესე ოსესძის მიერ. უკანასკნელი, ვფიქრობ, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, ვინაიდან აღრევიანი, შეუსაბამობანი და უამრავი შეცდომა ტექსტუალური ხასიათისა, რომლებიც დაშვებულია ამ ხელნაწერზე დეკრძობით ს. კაკაბაძისეულ 1913 წლის გამოცემაში, ძნელი წარმოსადგენია ყველა ვივარაუდოთ ბექტურ შეცდომებად; არ შეიძლება ეს შეცდომები მივაწეროთ იესე ბარათაშვილსაც, რომელიც მე-18 საუკუნის ცნობილი მდივან-მწიგნობარი და კალიგრაფი იყო. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემა არ უნდა ეყარებოდეს ავტოგრაფს, არამედ იესეს „ანდერძის“ რომელიღაც დაუდევარი გადამწერის მიერ აშკარად შერყენილ ხელნაწერს.

წინამდებარე გამოცემის ტექსტის დადგენისას ჩვენ იძულებული ვიყავით აღნიშნული ხელნაწერის ექვივალენტად გამოგვეყენებია ს. კაკაბაძის თქმით „სრულიად შეუცვლელად, ხელნაწერის მიხედვით“ 1913 წელს გამოცემული იესეს „ანდერძის“ ტექსტი, რომელიც ყველგან A ლიტერით

¹ ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ ვერნ. „ცისკრის“ რედაქცია იესე ოსესძის „ანდერძის“ გამოცემისას სარგებლობდა იმავე ხელნაწერით, რომელიც საფუძვლად დაედო მისსავე (ს. კაკაბაძისავე) გამოცემას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, ვინაიდან ამ ორ გამოცემას შორის არსებული განსხვავება სრულებით საწინააღმდეგოს მოწმობენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია იფიქროს ადამიანმა 1871—1872 წლიდან „ანდერძის“ ერთსა და იმავე დაზიანებულ ტექსტს 1913 წლამდე მომატებოდეს რაღი გვერდებისა, რომლებიც 40 წლის წინაა დავლა.



გვაქვს აღნიშნული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი გამოცემა, „არსებულ“ („ცისკრისა“ და 1913 წ.) გამოცემებს არ ემყარება, მათ მხოლოდ საკონტროლო მნიშვნელობას ვანიჭებთ ტექსტის მეცნიერულად დადგენისას, „ანდერძის“ დღემდე უცნობ ხელნაწერებთან მათი შეჯერებით.

ესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ანდერძის“ ტექსტის წინამდებარე გამოცემა დამყარებულია წინა გამოცემისათვის უცნობ ორ ხელნაწერზე. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც ტექსტის დაზიანებული ადგილების აღდგენისათვის, ასევე ტექსტუალურად საეჭვო, გაუმართავ თუ დამახინჯებულ ცალკეულ ადგილების მეცნიერულად დადგენის თვალსაზრისითაც; საბოლოოდ კი ჩვენ გამოცემას საფუძვლად უდევს C ნუსხა.

განვიხილოთ ახლადმიკვლეული „ანდერძის“ ორი ხელნაწერი და გამოვარკვიოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა წინამდებარე გამოცემისათვის.

ხელნაწერი B

დაკულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, A ფონდი № 1770, ზომით 22,5×17 cm, სისქე 2,8 cm.

ხელნაწერი აკინძული და ჩასმულია მუყაოს კრელ (მოწითალო და მოლურჯო) ყდაში. ყდის აშიები მოკაზმულია წითელი ტყავით, საპაგინაციო რიცხვი ქართული ანბანითაა შესრულებული. მათი რაოდენობა უდრის „სკვ“-ს, ე. ი. 226 გვერდს (ერთი ფურცლის ანუ 2 გვ. გამოკლებით). შემდეგში განმეორებით გაუკეთებიათ პაგინაცია და აღურიცხავთ ფურცლები ხელნაწერისა recto-ზე ფანქრით (არაბული ციფრით). სულ 112 ფურცელია. ბოლოს დატოვებულია 4 დაუწერელი ფურცელი. ტექსტი დაწერილია თეთრ, საკმაოდ სქელ ქაღალდზე შავი მელნით, არც თუ ლამაზი ხელით. ხელნაწერი დაზიანებულია ერთ ადგილას, ამოხეულია ერთი ფურცელი (გვ-ბი „რო“ და „როა“ 171—172. ჩვენი გამოც. გვ. 81—82). შემდეგში, როცა ხელნაწერი ფანქრით აღურიცხავთ (ფურცლების მიხედვით და არა გვერდებისა), აღმრიცხველს არ მიუქცევია ყურადღება ამოხეული ფურცლისათვის და 84 ფურცლის შემდეგ გრძელდება 85 ფურცელი, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე.

1913 წელს გამოცემული ტექსტი განსაკუთრებით დიდადაა დაზიანებული 109 გვ. (იხ. ჩვენი გამოც. 80 გვ.). B ხელნაწერი აღადგენს მხოლოდ დიდ ნაწილს ამ დაზიანებულ ადგილისას, მაგრამ არა სავსებით. B ხელნაწერის ტექსტი დაზიანებულია აქ და იგი წყდება სიტყვაზე: „რომელნი ეურჩებიან, ისმენდი“ (იხ. ჩვ. გამოცემა გვ. 81,5) და გამოტოვებულია ვიდრე: „წელიწადს სამი თვე უკლია“ (იხ. ჩვ. გამოც. გვ. 82,7). B ხელნაწერში ამ დაზიანებულ ადგილს სამაგიეროდ C ხელნაწერი აღადგენს (იხ. C ხელნაწერის 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175 გვერდები).

ხელნაწერი ტექსტის მთელი რიგი გვერდები ვიდაცას მეტად უხეშად დაუზიანავენ ფანქრით, ისე რომ უმრავლესობა გვერდებისა სულ გადახაზულია. მაგალითად, გვერდები კა, კბ, ლ, ლზ, ნც, ლთ, მბ, მგ, მდ, მთ, ნთ, ობ, ოგ, ოდ, ოე, ოვ, ოზ, და ასე გრძელდება, ვიდრე უკანასკნელ გვერდებამდე, იშვიათი გამონაკლისით.

გადამწერის ვინაობის შესახებ მოგვეპოვება გარკვეული ცნობა. იგი ვადაუწერია თბილისის მოღონის ეკლესიის მღვდელს ტერ დავით ტერ დავითოვს, ხელნაწერს (დასასრულს) შემოუნახავს ასეთი მინაწერი: „წიგნისა ამისა გარდმომწერი უბადრუკი სომეხთა მღვდელი ტერ დავით ტერ დავითოვი მოღონის ეკლესიისა მოიხსენეთ ლოცვასა შინა თქვენსა და თქვენც იყენეთ ხსენებულნი მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან. ამინ. დასასრული“. სამწუხაროდ, გადაწერის თარიღი არ დაუწერია გადამწერს, ვერც სხვა წყაროებით გაირკვა ზუსტად თუ როდის უნდა გადაეწერა იგი ტერ დავითს¹.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმში დაცული იესე ოსეს ძის „ანდერძის“ ხელნაწერი (ჩვენ B-ს ვუსწოდებთ მას) მიუხედავად იმ დიდმნიშვნელოვან ტექსტუალურ არსებით შესწორებებისა, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, მაინც შეიცავს მნიშვნელოვან დეფექტებს. მისი გადამწერი დავით ტერ დავითოვი, ჩანს, ქართული ენის საფუძვლიანი მცოდნე არ ყოფილა. მას გადაწერის დროს მოსდის შეცდომები, რომლებიც სხვადასხვა ხასიათისანი არიან:

1. შეცდომით აცალკევებს სიტყვებს, მაგ. „ზაფხულ საკადრისის“ (22,14) წერს „ზაფხულსა კადრისის“... მე დამან დედოფლისამან“... (33,15) წერს: „მე და ამან“... „დაფუძნებად“ (20,36) წერს: „დაბუძნებად“ და სხვ. ხშირია

¹ ვინ იყო ტერ-დავითი, იხსენიება თუ არა იგი ლიტერატურულ წყაროებში? იოანე ბატონიშვილი თავის „მცირე უწყება“-ში ვგნატე იოსელიანის დახასიათებისას სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ვგნატე იოსელიანს გიორგი ბატონიშვილმა „ასწავლებინა ენა სომხური ტერ-დავითს, კაცსა მეციერსა, რომელმაც უტხოვ მიიღო ჰსწავლა და ენა სომეხთა ხედმოწვენიო“. (საქ. მუხ. ხელნაწ. № 2134, შეად. „მცირე უწყება“-ს გვ. 42). მაშასადამე, ტერ დავითი იწოდება „მეციერ კაცად“.

საქ. ცენტრარქივის ძველი საბუთების ფონდში ჩვენ ვიპოვეთ სამი დათარიღებული საბუთი, რომელთა საშუალებით რამდენადმე შეუქი ვფინება ტერ-დავითის პიროვნებას და მისი მოვლავლობის პერიოდს.

ტერ-დავითი არა იშვიათად წერდა ნასყიდობისა თუ ბატონყმობის წიგნებს და ჰქონდა მიწერ-მოწერაც თავისი დროის გამოჩენილ მდივან მწიგნობართან,—მანუჰარ მდივანთან. საფიქრებელია, რომ იგი პირადად იცნობდა იესე ბარათაშვილსაც.

ტერ-დავითის ნაწერი ერთი საბუთი (ფ. 226, № 4637) დათარიღებულია 1779 წ. მაისის 1-ლით, სადაც წერია: „მე მოღონის კრებულის მცირე ტერ-დავითას დამიწერია“ (დღედანი) საბუთი, რომელშიაც ტერ-დავითი იხსენებოდაც, არ გვხვდება. ამაზე უფრო ადრინდელი მეორე საბუთი ტერ-დავითის დაწერილი, დათარიღებულია 1783 წლით (მაისის დამლევს); აქ იგი თავის თავს ასე იხსენიებს: „მე მოღონის კრებულს მცირეს ტერ დავითს მოსიას ყაბულობით დამიწერია და მოწამევა ვარ“ (საქ. ცენტრარქივის, ფ. 226, საბ. № 141). საბუთის ერთი ადგილიდან ჩანს, რომ ტერ-დავითმა ქართული ენა კარგად არ იცოდა: მაგ.—„მოვალემა მაწუხებდენენ“,—ნათქვამია საბუთში.

მესამე საბუთში, რომელიც 1795 წ. 3 ივნისით თარიღდება, ტერ-დავითი „მოღონის კრებულის მცირედ“ კი არ იწოდება, არამედ „მდაბალ მღვდელ ტერ დავით“-ად (საქ. ცენტრარქივი, ფ. 226, საბ. № 3358). „ანდერძის“ მინაწერშიაც, ტერ-დავითი თავის თავს იხსენიებს: „უბადრუკ სომეხთა მღვდელ“-ად. მაშასადამე უდავოა, რომ ხელნაწერი გადაწერილია ტერ-დავითის მიერ მას შემდეგ, რაც იგი მღვდელი გახდა, ე. ი. 1795-იან წლების შემდეგ. მოღონის ეკლესია თბილისში მდებარეობს (ახლანდელ კიროვის რაიონში). იყო ორი-მოღონის სომეხთა ეკლესია. პირველი აშენდა 1751 წ. და მეორე 1754 წ. (იხ. „АКТЫ“, ტომი V, გვ. 1056), ამათგან რომლის მღვდლად ითვლებოდა ტერ-დავითი, გაურკვეველია. მოღონის ეკლესიის შესახებ ცნობა მოგვაქვს პ. იოსელიანს (იხ. Описание древностей города Тифлиса, №2. 233).



შემთხვევა, რომ სიტყვაში ორი „ა“-ს მაგიერ ერთს ხმარობს, მაგ., „ვზაზვს“ (ვასიამონე) (27,19) ნაცვლად წერია „ვაამე“ და სხვ. არის შემთხვევები, როცა ძველი ქართული ტერმინები, გადაწერის დროს უკვე ხმარებიდან გამოსული, გაუგებარია ვადამწერლისათვის. მაგ. „ძმაცკით“ (49,10) „გაუსწორება“ შეცდომით „ძმის დაცკით“-ს B-ს; (C-ში იკითხება „ძმაც თვით“).

2. ყველა შენიშენა, რომელიც კი 1913 წლის გამოცემას ძირითად ტექსტისაგან გამოუყვია და სქოლიოში მოუთავსებია (იხ. 7, 8, 9, 13, 16, 17, 20, 24, 25, 28, 31, 35, 46, 49, 63, 65, 66, 71, 78, 82, 101, 102, 103-4-5, 108, 109, 117 როგორც B-ს, ასევე C ხელნაწერებს (გარდა ერთისა, —90 გვ-სა) ტექსტში შეუტანია, უმეტესად გამართულად, ზოგან შეცდომით (ამათზე ყველგან მიუთითებთ და ვასწორებთ).

3. ხშირია შემთხვევები, როცა ცალკე სიტყვები, ან მთელი წინადადება-ნიც კი გამორჩება ტექსტის გადაწერს. განსაკუთრებით ასეთ შემთხვევებს მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსაზღვრე წინადადება ან სიტყვა კიდურ მსგავსი სიტყვით იწყებიან, ან ბოლოვდებიან (ex homoioteleuto). მაგ., გამოტოვებულია: „შანშეზე ჯარი იყო სურსათი ითხოვს“ (5,15). „ყოელი მადლობით“ (6,30) ნაცვლად „ყოველი სულ მადლობით“-სა, დღეს (8,16) „და ოთხზის“ (13,24,) „თვითან რომ ერთი შვილი დაიგულა, მე დედოფალს“ (14,33) და სხვ.

4. ხელნაწერში წინადადებანი, ბევრჯერ ყოველგვარ აბზაცის გარეშეც კი, ხშირად „ქ“-თ იწყება, მაგ. „ნერმე“ (8,10), „მენება“ (7,14), „ესეოდენი“ (27,10), „დადაცათუ“ (28,1) და სხვ. მრავალი. ხოლო აბზაცებად დაყოფა ნებისმიერია, როგორც A და B, ასევე C ხელნაწერებში.

B ხელნაწერი საინტერესოა ორთოგრაფიული თვალსაზრისით. იგი დაწერილია რამდენადმე ახალი ორთოგრაფიით (შედარებით მე-18 საუკ. ორთოგრაფიასთან). მაგალითად, ვადამწერი „ჲ“-ს მაგიერ ხშირად ხმარობს „ხ“-ს (თანმიმდევრობას ბოლომდე ვერ იცავს). მაგ. „ნოხდომისა“ ნაცვლად მოგდომისა“ (5,35), „მხედრული“ ნაცვლად „მხედრული“-სა (4,33), ვახელმწიფება. ნაცვლად „გაჯელმწიფები“-სა (11,4) და სხვ. ასევე იქცევა „ჲ“-სა და „ვი“-ს მიმართ. „თვითცა“ ნაცვლად „თვთცა“-სი (27,29). მეტად ხშირად „ნ“ და „წ“ იმდენად გვანან გრაფიკულად ერთმანეთს, რომ ძნელად გაარჩევთ; მაგ. „აღუნერე“ „აღწერეს“-ს ნაცვლად: „შემომხვენოდა“ ნაცვლად „შემომხვეწოდა“-სა და სხვ. სხვა დეტალებზე აქ ვერ შევზერდებით. ისინი ყველგან ზუსტადაა მითითებული წინამდებარე გამოცემის სქოლიოებში.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი C

დაკულია საქართველოს ცენტრ. სახელმწიფო საისტორიო არქივში, ხელნაწერი № 526 (ფ. 233). ზომა 21,7×16 cm, სისქე 3 cm.

ხელნაწერი აკინძულია და ჩასმულია ხის ორ ფირფიტაზე მტკიცედ გადაკრულ სქელ, მუქ-მოშავო ტყავის ლამაზ ყდაში. ეტყობა ამკინძავი დახელოვნებული პირი ყოფილა და თანაც დიდი გულმოდგინებით შეუკაზმავს წიგნი. ტექსტი იწყება პირველ გვერდიდან. დაწერილია მოლურჯო ფერის ქაღალდზე შავი მელნით, ოდნავ გაკრული ლამაზი მხედრული ხელით.

ხელნაწერს გაკეთებული აქვს ორგვარი პაგინაცია: რვეულების მიხედვით („იღ“ რვეული და ერთი ფურცელი) და არაბული ციფრებით (221 გვერდი).

ფაქტიური რაოდენობა გვერდებისა ნაკლებია, ვინაიდან ხელნაწერი დაზიანებულია. მას აკლია 6 გვერდი (8—13 გვ.). წყდება სიტყვაზე „სილარობისაგან ცალ“ (იხ. ჩვ. გამოც. 4, 15, შეად. 1913 წლის გამოც. გვ. 7) და გამოტოვებულია ვიდრე სიტყვა „რას იშოვიდა“-მდე (იხ. ჩვ. გამოც. 6, 11; შეად. 1913 წლის გამოც. გვ. 10). ამას გარდა ხელნაწერს აკლია აგრეთვე ბოლო (221) გვერდები დაახლოებით ერთი ფურცელი, წყდება სიტყვაზე „განაჩენზე მსაჯულობისასა და“ (იხ. ჩვ. გამოცემის 107, 23; შეად. 1913 წლის გამოც. გვ. 139). საპაგინაციო რიცხვები რამდენიმე ადგილას შეცდომითაა დასმული. მაგალითად, 42 გვ-დან უცებ 45 გვერდზე გადავდივართ ისე, რომ ტექსტის შინაარსობრივი თანამიმდევრობა არ ირღვევა, ასევე 78 გვ-დან 77 გვ. (ნაცვლად 79-სა) შემდეგ 78 და ისევ 79 გვერდი მეორდება.

ხელნაწერს სხვა დეფექტები არა აქვს. იგი დაცულია კარგად. მთელი ტექსტი გარკვევით იკითხება. ხელნაწერს არ გააჩნია არავითარი მინაწერი; არც ვადამწერი ასახელებს აქ თავის თავს; უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსად B ხელნაწერისა, მასაც, ალბათ, ტექსტის დასასრულს ექნებოდა მიწერილი ცნობა ვადამწერის ვინაობის შესახებ, მაგრამ ვინაიდან ხელნაწერს ბოლო აკლია, უკანასკნელიც დაკარგულა.

სხვათა შორის C ხელნაწერში მოგვიანებით ჩაუღვიათ ერთი ფურცელი ქალაღი წარწერით: „ოსე გაბაონის ვადაწერილია ფ. 7 (232) ს. 831“. ჩვენ შევამოწმეთ საქ. ცენტრარქივის დასახელებული ფონდი და საქმე, რომელიც კატალოგში ასეა გატარებული: „წყალობის წიგნი მიცემული დოსითეოზ ქუთათელის მიერ არქ[იმიანდრიტ] გერასიმესადში, ვადამწერი ოსე გაბაონი, ვადაწერის თარიღი 1813 წელი. დაწერილია მხედრულად მურის ბეჭდით დაბეჭდილ დაწერილია ქალაღზე ზომა 33×19“. დასახელებულ ნომრით ჩვენ გამოვითხოვეთ ეს საბუთი, მაგრამ ხანგრძლივი ძებნის მიუხედავად, იგი ადგილზე არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ C ხელნაწერი ვადამწერილია ოსე გაბაონის მიერ¹.

ოვით ხელნაწერი C ცენტრარქივისათვის შეუწირავს სოფ. იღლეთის მცხოვრებს ივანე ქსოვრელაშვილს. საინვენტარო წიგნში C ხელნაწერი ვატარებულია ასე: „ხელნაწერი წიგნი ფონდი 233 (8) № 526“.

ვინ იყო ოსე გაბაონი?

ოსე გაბაონი შვილი იყო ცნობილი მოღვაწის ზაქარია გაბაშვილისა და ღვიძლი ძმა სახელოვანი მგოსნის ბესიკისა. ის დიდი ლიტერატურული ტრადიციები, რომლითაც განთქმული იყო ზაქარია გაბაშვილის ოჯახი ქართლში, ირკვევა, მათი იმერეთში გახიზვნის შემდეგაც არ შეწყვეტილა. კერძოდ, ოსე გაბაონი იმერეთში დაკავშირებულია სამეფო სასახლესთან და ასევე კაც-

¹ ამ უკანასკნელში დავარწმუნა ოსე გაბაონის მიერ ვადამწერილი სხვა ძეგლების ხელის შედარებითმა შესწავლამ (იხ. საქ. მუხუჟმის ხელნაწერების განყოფილების ფ. H, № 1217, 1789 ხელნაწერი წიგნები და სხვა).



ხის მონასტერთან (ზემო იმერეთში) და განაგრძობს თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას. ოსე გაბაონი შესანიშნავი კალიგრაფი და კარგი მდივან-მწიგნობარიც ყოფილა. ოსე გაბაონს იმერეთში, კაცხის მონასტერში, მრავალი საყურადღებო წიგნი და საბუთი გადაუწერია და შეუდგენია; მათი ნაწილი დაცულია საქართველოს მუზეუმში (ფონდი H, № 1781, 1217, 1705 და სხვ.). სხვათა შორის არსებობს 1777 წ. 1-ლ აპრილს, მეფე სოლომონ I-ის მიერ მიცემული წყალობის წიგნი მღვიმევის მონასტრისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ალიწერა მტკიცე ხელითა სახლთხუცის იოსებ გაბაონისათა“¹. ცალკე საკითხია და სპეციალურ კვლევას მოითხოვს ზაქარია გაბაშვილისა და მისი სახელოვანი შვილების (განსაკუთრებით ბესიკის), იმერეთის სამეფოში მოღვაწეობის შესწავლა. ჩვენ ამას აქ, რასაკვირველია, არ ვეხებით:

იესეს „ცხოვრება-ანდერძიდან“ ჩანს, რომ იესე ბარათაშვილი უაღრესად ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფილა ზაქარია გაბაშვილის ოჯახთან. იესე არა ერთხელ იხსენიებს მისდამი ზაქარიას ზრუნვას და თბილ მეგობრულ დამოკიდებულებას. ეს ფაქტი იქნებ იმით იყო გამოწვეული, რომ ზაქარია გაბაშვილი, იესეს ნათლიასთან, ვახტანგ ორბელიანთან, უახლოეს სამსახურებრივ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა (თუ როგორი იყო ეს სამსახურებრივი ურთიერთობა, ამაზე სხვა ადგილას გვაქვს საუბარი).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იესე ბარათაშვილის „ანდერძი“ ოსე გაბაონმა გადაწერა არა როგორც მის ხელში შემთხვევით ჩავარდნილი ძეგლი და ისიც მხოლოდ პირად ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, — არამედ როგორც იმ ახლო მეგობრულ ოჯახური ურთიერთობის გამო, რომელიც არსებობდა გაბაშვილისა და იესე ბარათაშვილის ოჯახებს შორის. იესე ბარათაშვილი და მისი ოჯახის წევრები, რასაკვირველია, გარეშე პირთ არც გაანდობდნენ პირად საოჯახო ინტიმური ამბების ამსახველ მამის „ანდერძს“, მხოლოდ შვილებისათვის დატოვებულს. საფიქრებელია, რომ ზაქარია და მისი ოჯახი იესეს სიცოცხლეშივე განდობილი უნდა ჰყოლოდა, რომ იგი საკუთარ „ცხოვრება-ანდერძს“ წერდა, რომელშიაც ზაქარია გაბაშვილი, როგორც არა ერთგზისაა მოხსენებული და ყოველთვის კარგად. იესე ბარათაშვილისა და ზაქარიას ოჯახების მეგობრული ურთიერთობა ბოლომდე, დიდხანს, გაბაშვილების იმერეთში გადასახლების შემდეგაც, უნდა გაგრძელებულიყო. ამასთანავე ვფიქრობთ, რომ იმერეთის სამეფოს უაღრესად საყურადღებო ამბების „ანდერძში“ შეტანისას, შესაძლოა იესე ინფორმირებული იყო გაბაშვილების ოჯახის მიერ, რომელთანაც მას უაღრესად ახლო დამოკიდებულება ჰქონდა ნათლის, ვახტანგ ორბელიანის, საშუალებით².

C ხელნაწერის გადამწერი ქართული ენის ბევრად უკეთესი მცოდნეა, ვიდრე B-სი. სისრულისათვის ჩვენ ამომწურავად ვუჩვენეთ ჩვენს განკარგულე-

¹ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება ფ. H, ხელნაწერი № 1705, ფურცელი 11 (იმერეთის სამეფოს საბუთების კრებული).

² ზაქარია ორბელიანი ერთ დროს ვახტანგ ორბელიანის დმანისის სასახლის კარის მღვდელი იყო (იხ. გ. ლეონიძე „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1949 წ. 83-197.)



ბაში მყოფი ხელნაწერების და არსებულ გამოცემათა კითხვა-სხვაობანი; სოფი იმათგანი, მართალია, ფუნქციური ხასიათისანი არიან, მაგრამ ისინი უმთავრესად ენობრივი თვალსაზრისითაა საინტერესო.

როგორც B, ასევე C ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს არა უადრეს მე-18 საუკუნის მიწურულისა და არა უგვიანეს მე-19 საუკ. 1-ლი მეოთხედისა; კერძოდ B ხელნაწერი უფრო მოგვიანებითაა გადაწერილი, ვიდრე C. ამას სხვათა შორის ისიც ადასტურებს, რომ B ხელნაწერში მოიპოვება რუსიციზმები¹. სხვა მრავალ ორთოგრაფიულ მოძველებულ ნიშნებთან ერთად ანტონ კათალიკოზის მიერ დამკვიდრებულ უ-ს ვერ ეხვედებით იესეს „ანდერძის“ არსებულ ხელნაწერებში; რაც შეეხება იესე ოსეს ძეს, იგი როგორც მწერალი, არამც თუ თავისი დროის ქართულ ორთოგრაფიას ფლობდა, არამედ, როგორც მდივან-მწიგნობარი, — მდივან-მწიგნობრული სამწერლობო სტილითა და ორთოგრაფიით უპირისპირდებოდა ანტონ I-ლის სქოლასტიკურ სკოლას; იესე ერთი საუკეთესო მკოდნე იყო თავისი დროის საერო ქართულ სამწერლობო ენისა და ორთოგრაფიისა. იგი ანგარიშს უწევს და თითქმის თანმიმდევრობით იცავს თავის „ანდერძში“ საერო, ხალხურ (მდივან-მწიგნობრულ) სამეტყველო ენას და ორთოგრაფიას. იესე ოსეს ძე ბარათაშვილი გვევლინება ახალი სალიტერატურო ქართული ენის ერთ-ერთ შორეულ თვალსაჩინო წარმომადგენლად დ. გურამიშვილთან, ბესიკთან და სხვა სახელოვან წინამორბედ და თანამედროვე ქეშმარიტ რეფორმატორებთან ერთად. იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ ენა ხალხური ცოცხალი სამეტყველო ენისგან მომდინარეობს. მასში ანდაზებთან და აფორიზმებთან ერთად უხვადაა უკუყენილი ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი მკვეთრი და ლაკონიკური ფრაზეოლოგია.

„ცხოვრება-ანდერძის“ დაზიანებულ ადგილთა აღდგენისათვის

ამის შემდეგ შეეჩერდეთ დაზიანებული ტექსტის აღდგენისა და დადგენის ძირითად საკითხებზე. ს. კაკაბაძის აზრით, ტექსტს ძირითადი ნაწილი აკლია მისივე გამოცემის 104, 108—109 გვ-ზე (იხ. ჩვენი გამოც. გვ. 77, 79, 80—85) და ამ ნაკლულ ადგილთა რაოდენობა 10—11 გვერდს შეიძლება გაუთანაბრდესო. გამომცემელი თავის ამ მოსაზრებას იესეს „ანდერძის“ შემდეგ ცნობაზე ამყარებს: „ოცდაცხრა ფურცელი ამას ზეით გადმოშალეთ და სოფლის სივერაგეს შეიტყოთ“ (იხ. 1913 წ. გამოცემა, გვ. 123; ჩვენი გამოცემა 95,4). ს. კაკაბაძე აქ შენიშნავს: „ხელნაწერში ამ ორს ადგილს შუა 18 ფურცელია, ნაცლად 29-სა. აკლია 11 ფურცელიო“.

თუ ეს მოსაზრება მართალია, რომ ტექსტის 104, 108 და 109 გვერდები 1913 წ. გამოცემით (იხ. ჩვენი გამოცემა გვ. გვ. 77, 78, 80—85) მხოლოდ 10—11

¹ მაგ. ა) ქარაგმა „კზმა“ (=კათალიკოზმა) გადაწერილს გაუხსნია ასე: „ქნიზმა“, ბ) გადაწერილი თავის გვარს აძლევს რუსულ დაბოლოებას („დავითოვი“).

გვერდი უნდა აკლდეს და მეტი არა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ B და C ხელნაწერები თითქმის მთლიანად აღადგენენ „ანდერძის“ დასახელებულ დაზიანებულ ადგილებს: ვინაიდან „ანდერძის“ „ციკლის“ და 1913 წლის გამოცემებისათვის ნაკლები ადგილების რაოდენობა, რომელსაც ს. კაკაბაძე თავისი გამოცემის 104, 108 და 109 გვერდზე ასახელებს, B და C ხელნაწერებშია შენონახული და დაახლოებით სწორედ 10—11 ხელნაწერ გვმდე აღწევს (მაგ. იხ. C ხელნაწერის 81 ფურც. a გვ. ვიდრე 86 ფურც. b გვერდამდე) და აღდგენილია მხოლოდ 109 გვ. 1913 წ. გამოცემით (იხ. ჩვენი გამოც. გვ. გვ. 80—85); ამიტომ 1913 წ. გამომცემლის შენიშვნა იმის შესახებ, რომ თითქოს, 108 გვ.ზე „დედანს უნდა აკლდეს რამდენიმე ფურცელი“, არაა სწორი. სინამდვილეში „რამოდენიმე ფურცელი“ ზემოთ მითითე ულ ადგილს (1913 წ. გამოც. 109 გვ.) რომ აკლია, დღეს უკვე სავსებით აღდგენილია B და C ხელნაწერებით. B ხელნაწერის ერთ-ერთი დეფექტია ისიც, რომ სწორედ იმ ხელნაწერ ფურცლებს შორის, რომლებსაც აკლებს A ხელნაწერი (1913 წ. გამოც. 109 გვ.) ამოხეულია ერთი ფურცელი. ამიტომ სრულიად აღდგენა ამ დიდად დაზიანებულ ადგილისა მხოლოდ B ხელნაწერზე დაყრდნობით არ ხერხდება. სამაგიეროდ C ხელნაწერი მთლიანად აღადგენს B ხელნაწერის ამ დაზიანებულ ადგილს, ესენია: 170 და 171 C ხელნაწერის გვერდები.

ასევე მთლიანად აღდგენილია B და C ხელნაწერების გამოყენების საშუალებით 1913 წელს გამოცემული ტექსტის მეორე, ფრიად დაზიანებული ადგილი, რომლის შესახებაც ს. კაკაბაძეს წინასიტყვაობაში არაფერი აქვს ნათქვამი. ეს გახლავთ 103—104 გვ. გვ. ჩვენი გამოცემით, ხოლო 1913 წ. გამოც. 134 გვ. ამრიგად დასახელებულ ორ ხელნაწერზე დაყრდნობით მოსახერხებელი ხდება „ანდერძის“ ამ დაზიანებული ადგილების მთლიანად აღდგენა.

მაშასადამე, 1913 წლის გამოცემაში დასახელებული 104, 108, 109 და 134 დაზიანებული გვერდები წინამდებარე გამოცემაში სავსებით აღდგენილად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება 124 გვ-ს 1913 წლის გამოც. (ჩვენი გამოც. 95 გვ.), რომელსაც ს. კაკაბაძე აგრეთვე დაზიანებულად მიიჩნევს, B და C ხელნაწერებით გამოირკვა, რომ ეს ადგილი ტექსტისა დაზიანებული სრულებით არ არის; „ანდერძის“ ტექსტი აქ გრძელდება, როგორც ქრონოლოგიური, ასევე შინაარსობრივი თანმიმდევრობით (შდრ. ჩვ. გამოც. გვ. 95).

1913 წელს გამოცემულ „ანდერძის“ ტექსტში ნამდვილად არის ფრიად დაზიანებული სხვა ადგილები, რომელთაც გამომცემელი წინასიტყვაობაში არ ასახელებს; ესაა 134 გვ., რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა გამომცემლისაგან. ამას ცხადყოფს ახლად მიკვლეული B და C ხელნაწერი. მათი საშუალებით, როგორც აღვნიშნეთ, სავსებით მოხერხდა სრულად აღდგენა ასევე ამ დიდად დაზიანებული ადგილისაც.

1. 1913 წელს გამოცემულ „ანდერძის“ ტექსტში არის ადგილები, საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ გამომცემლის მიერ ზემოთ დასახელებულ დაზიანებულ ადგილებს გარდა დანამდვილებით მოიპოვება მთელი რიგი ადგილები.



საიდანაც გარკვევით ჩანს, რომ „ანდერძის“ ტექსტს აკლია, ხოლო (ყემელი ს. კაკაბაძე კი იმათ დუმილით უვლის გვერდს.

მაგ. იესე ოსეს ძის „ანდერძის“ ტექსტი უდაოდ დაზიანებულია და შერყვნილი უნდა იყოს იმ ადგილას, სადაც აღწერილია 1764—1765-იან წლების ამბავი (1913 წლის გამოც. გვ. 60—61, ჩვ. გამოც. გვ. 44). ამ მოსახრების სისწორეში გვარწმუნებს „ანდერძის“ ტექსტის შემდეგი ადგილი: „პირველ გაუწყრა წყრომის ღირსთა პაატას, დიმიტრის და მაშინ კინლა სიკუდილად მიმცა. განაჩენი არ დაგიწერიაო. დაწერილი იყო ქეშმარიტად. ეს ხომ თვითეულად დამიწერია ზემორე მის ადგილსო“, — გაუწყებს იესე (ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 93, ჩვ. გამოც. გვ. 68). სინამდვილეში ეს ამბავი არ არის „დაწერილი ზემორე მის ადგილს“. 1913 წლის გამოცემელს თავის გამოცემაში არ მიუტკევიდა ყურადღება ამ უაღრესად საინტერესო ფაქტისათვის (ალსანიშნავია, რომ ამ განაჩენის ტექსტს, პაატასა და მისი დასის დასჯის შესახებ, ჩვენამდე საერთოდ არ მოუღწევია).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ანდერძის“ ტექსტს ამ შემთხვევაშიაც უნდა აკლდეს რამდენიმე გვერდი, ოღონდ მისი აღდგენა, სამწუხაროდ, ახლად მიკვლეული ორი ხელნაწერთაც არ ხერხდება.

სამწუხაროდ, ავტორი (რა თქმა უნდა არა შემთხვევით) მეტად მკრთალად აღწერს 1764 წლიდან 1767 წლამდე ქართლ-კახეთში მომხდარ ამბებს. სინამდვილეში კი ირკვევა, რომ მას შედარებით ვრცლად ჰქონია აღწერილი ეს პერიოდიც. ამაში გვარწმუნებს „ანდერძის“ ტექსტის მოტანილი ადგილი. მაშასადამე, დასტურდება, რომ იესეს აღუწერია და „ანდერძში“ შეუტანია 1765 წ. პაატა ბატონიშვილის დასის შეთქმულება, ე. წ. „მარკოზაშვილის დარბაზის“ წევრთა ბოროტი საქმიანობა, და მათი დასჯა, განაჩენითურთ; საყურადღებოა, რომ ეს განაჩენი თვით იესეს დაუწერია, და საჭიროდ დაუნახავს „ანდერძში“ შეეტანა „ზემორე მის ადგილს“; არსებულ ხელნაწერებში კი არსად არაა ეს ისტორიული მნიშვნელობის ამბები აღწერილი. ისმის მეორე საკითხი: ზუსტად მაინც რა ადგილს უნდა ყოფილიყო ხელნაწერ ტექსტში ავტორის მიერ იგი შეტანილი? ჩვენ ვიციით, რომ იესე თავის „ანდერძში“ ქრონოლოგიური თანამიმდევრობას თითქმის არასოდეს არ ღალატობს. ამასთან ერთად ისიც ვიციით, რომ პაატას დასჯა თავისი დასით 1765 წ. მოხდა¹. მაშასადამე, უნდა ყოფილიყო ეს ამბავი აღწერილი სწორედ იქ, სადაც აღწერილია 1764—65 წლ. ამბები (იხ. 1913 წლის გამოც. გვ. გვ. 60—61; ჩვენი გამოცემის 44 გვ.ზე).

რით უნდა აიხსნას, რომ ეს უაღრესად საინტერესო ადგილი არ შემოუნახავს არსებულ ხელნაწერებს? საფიქრებელია, რომ იგი პოლიტიკუ-

¹ პაატას განდგომის და მისი დასჯის განაჩენის შესახებ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ალ. ჯამბაყურ-ოზბელისა და დედის, თეგვე ბატონიშვილის, მოგონებებით (იხ. უფრო ალ. „ცისკრის“ 1859 წ. № 4 აპრილის თვის) ასევე მდივანბეგ ხერხეულიძის საინტერესო ცნობით ამ ფაქტის შესახებ (იხ. „ქართლის ცხოვრება“ ზ. კვიციანიძის გამოც. გვ. 284—285) და პლ. იოსელიანის მიხედვით („Описание древностей города Тифлиса, გვ. 200) და სხვ. მაგრამ თვით განაჩენის ტექსტს იმ სახით, როგორცადაც იგი იესე ბარათაშვილს უნდა ჰქონოდა შედგენილი, ჩვენამდე არ მოუღწევია.



რი ვითარებით და ან სხვა მოსაზრებებით აღრიდანვე იყო ამოგდებული „ანდერძის“ ტექსტიდან, იქნებ თვით იესეს მიერ, ან შემდეგში იესეს შვილების მიერ. იესე ამავე აბზაცში ეხება რა პაატას დასჯის განაჩენის დაწერის საკითხს, იქვე ამბობს: „ამერივა“... (იხ. 44,23 და შენიშვნა). მართლაც, რომ დიდადაა ეს ადგილი არეული. ჩანს „ცენზორის“ გაბედულ ხელს თავისუფლად უმოქმედია აქ, მაგრამ პაატას განდგომის ამბის კვალი „ანდერძში“ საესებით მაინც ვერ მოუსპია. 1913 წ. გამოცემა გვერდს უვლის „ანდერძას“ ტექსტის დადგენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ამ უაღრესად საყურადღებო მოვლენას.

2. პაატას დასის განდგომის და დასჯის ამბავი, ამრიგად, აღრიდანვე მოუსპიათ „ანდერძის“ სრულ ტექსტში. ამგვარი „ცენზურა“ შემდეგშიაც განუტლია ტექსტს (უკეთ რომ ვთქვათ, ზოგიერთ ხელნაწერს). ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ხელნაწერ A-ს (1913 წლის გამოცემა რომ ემყარება) განსხვავებით B-და C-საგან თანამიმდევრობით არ შემოუნახავს ცნობა იესეს შვილების ნამდვილი წოდებრივი თუ სოციალური ჩამომავლობისა; ე. ი. იმის შესახებ, რომ ისინი იყვნენ უგვარონი, ჩამომავლობით სიონელი ხუცი-შვილები, ყმები თბილელისა. ეს უკანასკნელი დამაფიქრებელი და უაღრესად საინტერესო მოვლენაა. B და C ხელნაწერებში ჩვენ ორ ადგილას ვხვდებით ცნობებს: „თბილელის ყმანი იყავით და ხუცისშვილები“ (ჩვენი გამოც. 50,26) და ან კიდევ „სიონელის ხუციშვილებსა“ (ჩვენი გამოც. 97,12) მიმართავს თვით იესე შვილებს. A ხელნაწერში ეს და მსგავსი ადგილები არც ერთხელ არ გვხვდება. რით შეიძლება ავხსნათ ეს მდგომარეობა? უდაოა, რომ იესე ოსეს ძე ბარათაშვილის შთამომავლობამ „რედაქცია“ გაუკეთა „ანდერძის“ ნუსხას იმ თვალსაზრისითაც, რომ მოპოვებული და ბრძოლით დამკვიდრებული თავადობა, — ბარათაშვილობა, — ისევ სადაოდ არ ქცეულიყო; ამიტომ საქირო იყო მოსპობა ზემოთ წარმოდგენილ „დამამკვირებელ“ მნიშვნელობის მქონე უწყებულებისა მამისაგან შვილებისადმი დატოვებულ საოჯახო ანდერძშიაც კი. ეს ასეც მოხდა, მაგრამ ჩანს იესეს „ანდერძი“ აღრიდანვე გავრცელდა, გამრავლდა იგი ხელნაწერების სახით და სხვა ხელნაწერებში მისი აღმოფხვრა შეუძლებელი შეიქნა და ჩვენამდე მოაღწია იმ სახით, როგორაც ჩვენ მას B და C ხელნაწერ ტექსტებში ვხვდებით. აქვე საკულისხნაო ისიც, რომ „ანდერძის“ თავისებურ რედაქციას ეწეოდნენ თვით გადამწერები B და C ხელნაწერებისა.

ამგვარა „ცენზურამ“ და რედაქციამ მაინც ვერ იხსნა იესეს მრავალრიცხოვანი შვილები იმ ხანგრძლივ და მეტად დამბულ სასამართლო დავისაგან, რომელიც 1820 წელს აღძრა ნამდვილმა 7-მა ბარათაშვილმა იესეს შთამომავლობის, როგორც ნატყუარ ბარათაშვილების, წინააღმდეგ. დავის და ძიების ძირითადი საგანი იყო: იესე ოსეს ძის შვილები ნამდვილად წინაპრებით იყვნენ გვარად ბარათაშვილები, თუ ნატყუარობით, ან მიმძლავრებით მისაკუთრეს თავადობა და ეს გვარი? 1820 წლიდან მოკიდებული 1839 წლამდე და შემდეგშიც, 1850-იან წლებამდე, საქმეს არჩევდა Грузино-Имеретинское дворянское депутатское собрание; საბოლოოდ, იესეს შვილები ზაზა და დავითი და შვილიშვილი ალექსანდრე დავითის ძე აღწევენ გამარჯვებას — სამარა-

დისოდ იმკვიდრებენ მამისა და პაპის (იესეს) ღვაწლით მონაპოვარ თავადობას, ბარათაშვილობას. საქ. ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მთელი საქმე წლების მანძილზე გაჭიანურებულ ამ დავისა¹.

3. „ანდერძის“ ტექსტს აგრეთვე რომ აკლია და დაზიანებულია, ამაში გვარწმუნებს სხვა ადგილიც, სადაც იესე წერს: „გულისკმა ყავთ შვილნო ჩემნო: ეს მამულები ასე შევკრიბე, რომელიც რიგით მოგახსენე, ნასყიდობა თავთავის ადგილს. ერთი სათავადო ბატონის წყალობა, მეორე სათავადო და ღურნუჯი“ (1913 წლის გამოც. გვ. 67; ჩვენი გამოც. გვ. 49). იესე იოსეს ძის „ანდერძის“ ჩვენთვის ცნობილ ზემოდასახელებულ ტექსტში, მართალია, „რიგითაა“ მოხსენებული ნასყიდობა თავთავის ადგილს „ერთი სათავადო“ მამულებისა, რომელიც იესეს შეუყვია, მაგრამ ვერსად ვერ ვხვდებით ცნობას — ბატონის (ერეკლე მეფის) წყალობას მეორე სათავადო და ღურნუჯის“ შესახებ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულს გარდა იესე „ანდერძის“ სხვა ადგილსაც არაერთგზის აგრძელებს საუბარს და იხსენიებს „ბატონის წყალობას და ღურნუჯს“. მაგ., მეფე ერეკლე მეორის 1776 წლის 13 ივნისის ბრძანებაში იესეს წახდენის შესახებ მეორე მუხლში ნათქვამია: „ჩვენი ბოძებული მამულები გამოკრთოსო“, (იხ. 1913 წლის გამოც. გვ. 98; ჩვ. გამოც. 72,25). „ანდერძიდან“ ჩვენ ვტყობილობთ, რომ ერეკლე მეორის მიერ იესესადმი ბოძებული მამული უდრიდა „ერთ სათავადოს და ღურნუჯს“. იქ, სადაც აღრიცხავს იესე მის მიერ ნაყიდ მამულებს (იხ. ჩვ. გამოც. გვ. 51), ასახელებს ისეთებსაც, რომელთა ნასყიდობის შესახებ ჩვენ „ანდერძის“ ტექსტიდან ვერაფერს შევიტყობთ, ესენია: ვარდის ქალა მთლად, ატამეთი მთლად, მენქალისი მთლად, აბანო მთლად. ხოლო ღურნუჯი, ვიცით, რომ ერეკლემ უწყალობა. ზემოდასახელებული სოფლები ერეკლეს მიერ იესესადმი წყალობით მიცემული მამულებია, რომელთა ფართობი „ერთ სათავადოს“ უდრიდა.

1778 წ. თებერვლის 10—15 რიცხვებში ერეკლე შეიწყნარებს მამულები-საგან გაძარცულ იესეს და უბრუნებს უკანვე ყოველივეს, რაც განაჩენით წაართვა. მხოლოდ „ღურნუჯი და საბეგაანო ერთს წიგნად იყო დაწერილი. ეს კი არ იქნებაო, ის კი დაეჭირა, არ ებოძა“—გვაუწყებს იესე. ამრიგად, აქ ირკვევა, რომ ერეკლეს მიერ იესესადმი ნაწყალობევ „ერთ სათავადოს“ მამულს სხვაგვარად „საბეგაანო“ ეწოდებოდა (1913 წლის გამოც. გვ. 109; ჩვ. გამოც. 85,4). იესე ბერს ცდილობდა „საბეგაანოს და ღურნუჯის“ უკან დაბრუნებისათვის, და, როგორც იქნა, 1778 წ. გიორგობის თვის 26-ს მიზანს მიაღწევს და მიიღებს უკანვე ერეკლე მეფისაგან წართმეულ „საბეგაანოს მთლად“ და თანაც დასძენს:—„ლიდად მიამაო“ (1913 გამოც. გვ. 116; ჩვ. გამოცემბა 89,33). მაგრამ იესემ ვერ მიიღო „ღურნუჯი“. იქნებ ამით აიხსნებოდეს, როცა იგი შვილებს აუწყებს: „უშამულომ მამული ვიშოეთ და დღეს ადგილი გაქვთ ერთის

¹ მტკიცდება, რომ ჯერ კიდევ 1770-იან წლებში იესე „თავად ბარათაშვილად“ იწოდებოდა. მაგ., ლეონ ბატონიშვილის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი ბარათი იესესადმი ასეა დასათაურებული: „Сательному князю млавяну Евсею Бараташу“. იგი დათარიღებულია 1773 წ. აგვისტოს 14-ით. თარგმნილია ქართულიდან (იხ. საქ. ცსსა ფ. 111, საქ. 115).



თავადისა“ (იხ. 1913 წლის გამოც. გვ. 126, ჩვ. გამოც გვ. 97,12). ჩვენ ^{სადაც} რომ ვიცით, რომ იესე „ორი სათავადო“ ფართობის მაწაწყალს ჰქვლობდა? ირკვევა, რომ იესეს სამფლობელო „ორ სათავადოს“ ღურნუკის გარეშე არ შეიადგენდა. თავისთავად გამოსარკვევია „სათავადო სივრცის“ მიწაწყალის პრობლემა.

1783 წ. მდივანბეგი იესე იესე ღურნუკის და სამკვიდრო სახელო მდივანობის დაბრუნების შესახებ ზრუნავს, რომელიც 1776 წ. განაჩენით წაერთვა მას (1913 წლის გამოც. გვ. 133; ჩვენი გამოც. 102,15). 1786 წ. თებერვლის 27-ს, იესემ დაიბრუნა სამკვიდრო სახელო „მდივანობა“, მაგრამ ღურნუკის უკანვე მიღება მაინც ვერ მოახერხა (1913 წლის გამოც. გვ. 137; ჩვ. გამოც. 106,25).

საინტერესოა ვიცოდეთ: როდის, რა პირობებში და რა საბუთით მიიღო იესემ მეფის წყალობა „საბეგაანო და ღურნუკი“? ხელნაწერები ამ საკითხის შესახებ სდუმან და არაფერს გვაუწყებენ. ტექსტის ამ დეფექტს ასწორებს საქ. ცენტრარქივის ძველი საბუთების ფონდში აღმოჩენილი ერთი საბუთი, საიდანაც ირკვევა, რომ მეფის წყალობა იესეს საბეგაანოსა და ღურნუკის ბოძების შესახებ 1768 წ. 1 ივლისის წყალობის წიგნი მოვლენია. იგი (ღურნუკი და საბეგაანო) მართლაც „ერთ წიგნადაა“ დაწერილი¹ (ამ საბუთის ტექსტი იხ. წინამდებარე გამოცემის 49 გვ-ზე სქოლიოში).

ისმის საკითხი: რატომ არ შემოუნახავს იესე ოსეს ძის „ანდერძის“ არსებულ ხელნაწერებს დოკუმენტი ამ ულორესად მნიშვნელოვანი მამულების წყალობისა, მაშინ, როცა მასში შესყიდულ მცირე ფართობის მამულების ნასყიდობაც კი, ვრცლადაა აწერილი, და თითქმის უცვლელადაა შეტანილი „ანდერძში“. უნდა ვიფიქროთ, რომ „ანდერძის“ ტექსტში, იესეს შთამომავლობამ, ეს, ადგილიც მოსპო. რა ამოქმედებდათ მათ? მისწრაფება და ზრახვა, განემტკიცებიათ იურიდიული უფლებები მამისაგან ნამემკვიდრევი მიწაწყალზე. იესეს შთამომავლობა 1917 წ. რევოლუციამდე ჰქვლობდა მთელ საბეგაანოს—მენქალის ატამეთს და სხვ.²

იესე ოსეს ძის შთამომავლობამ მისი „ანდერძის“ ტექსტი „გაწმინდა“ ყოველგვარი მსგავს „გაუგებრობათაგან“, როგორცაა, მაგ. „სიონელი ხუცის-შვილები“, „ტფილელის ყმები იყავით“-ო და სხვა შვილებს რომ მიმართავს და ასევე მეფისაგან მუქთად ნაჩუქებ—ნაწყალობევი მამულების „საბეგაანოს და ღურნუკის“ შემონარჩუნებულ ცნობებისაგანაც.

თავდაპირველად, ავტორის მიერ სად უნდა ყოფილიყო „ანდერძის“ ტექსტში ჩართული მეფე ერეკლეს წყალობის წიგნი საბეგაანოს და ღურ-

¹ საქართველოს ცენტრარქივის ძველი საბუთების წიგნი № 26.

² იესეს შორეული შთამომავალი, მოხუცი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც პირადად შეგვხვდა სოფ. ბორბალოში 1933 წ., წინაპრებისაგანვე შთაგონებული იმით ამაყობდა, რომ, მართალია, დიდი მემამულენი ვიყავით. მაგრამ სულ ფულით უყიდეა ჩემს მამაპაპას და მუქთად მეფე რომ უწყალობებდა თურმე, იმასაც კი არ აიღებდაო (იხ. ჩემი სამეცნიერო მივლინების ანგარიში, დაიბეჭდა ენიმკის მოამბეში, ტ. IV, გვ. 383—7, 1939 წ.).

ნუკის შესახებ? ვინაიდან იესე თავის თხზულებაში ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას კარგად იცავს, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ იქ, სადაც აღწერილია 1768 წ. ანბები (1913 წლის გამოც. 67—68 გვ; ჩვ. გამოც. გვ. 49). „საბეგანოდ“ იწოდებოდა ბეგა ბარათაშვილის სამფლობელო. ამოწყვეტილ, ბეგა ბარათაშვილის იურიდიულ მემკვიდრედ იესე შეიქნა ერეკლე მეორის წყალობის წიგნით, ხოლო სოლოლაშვილების სამფლობელოს შესყიდვით, მთელი

ქ. სახელობითა. მამისათა. ჭ ძისათა. ჭ სუკლასისა. მამისათა:

მე უბაძუვან ჭ ქაქუცა. ჭიყა ჭ ხუციანთა ჭ სესე ვერაშვილს
ვინუ თვის ჭიყის წილით მამა სახელობის წილის. ვინაჲს ვეწვი
ქაქუცა წყვის ჭ ახვაციას. ვერა წილის ჭიყა სოფელ
ბეგასა მს. მათჲთა მე ვერა წილის:

მე ვაჟ ბეგას ქაქუციის ქუთაისის მხარეში ვაქანის სხნუნ
ქას ჭ ბეგას არსებენ ქოქს ჭიქანი. სუნის. ჭ ქაქუციის
მე უნეს სხირან კოსანთ თვის სხნუნებისათა მას
უნესითუ ქაქუცის წილს:

და წილისათა ანდერძის წილის ვაჟ წილს ჭ ჭიყისათა
მე ვინაჲს სხირანთა ვაჟნი ანუ ვინუ. წილს სახელობის წილს:
ქაქუცა აქა. მრ. მ. ვ. ქაქუცა უნეს: აქა. მ. ვ.:


ქ. წილისათა მამისათა ვაქანთა მე მ. ვ. ქაქუცა თვისთა თვის
ვერა წილს ჭ ბეგას ვაქანთა ვაქანთა ვაქანთა ვაქანთა
სოფელ ჭიქანის წილის სოფელს სოფელს. ვაქანთა
უნესათა მამისათა ვაქანთა ჭ ვაქანთა სოფელს ჭ სოფელს
ვაქანთა მამისათა ვაქანთა: ჭ ვერა ვაქანთა ვაქანთა
თუან თვისათა მამისათა ვაქანთა ვაქანთა წილის სოფელს
ის ჭ ბეგას თვის წილით ვაქანთა ვაქანთა ჭ მ. თ. ვაქანთა
მე მამისათა ჭ ვაქანთა მამისათა სოფელს სოფელს
სოფელს:

1. „ანდერძის“ B ნუსხის 1-ლი გვერდი

სასოლოლაშვილოს უფლებამოსილი მემკვიდრეც. ამიტომ თავადობის გვარის ზედდასმისათვის მატერიალური ბაზაც მომზადებული იყო. აღნიშნულის შედეგად გრეკლე წიგნს აძლევს იესეს: „სოლოლაშვილისა და ბარათაშვილებისაგან მამულები გყვიდა, ჩვენც ნება დაგვიერთავს, წყალობა გვიქმნია, გვიბოძებია, დაგ-



ვიმპეიდრებია და სისხლიც მათი გდიოდეს“-ო (1913 წლის გამოცემა № 118) ზვ. გამოც. გვ. 42). საქ. ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია ამ საბუთთა სრული ტექსტის მხოლოდ რუსული თარგმანი¹.



2. იესე ბარათაშვილის ავტოგრაფი (დაცულია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში)

საბუთებიდან და ანდერძის ტექსტიდან ვიცით, რომ იესეს ბარათაშვილებისაგან მამული არ უყლიდა. მან მიიღო მხოლოდ „საბეგაანო“ (ბეგა ბარათაშვილის სამფლობელო) მეფის წყალობით 1768 წ. ხოლო როგორ მოხდა, რომ მან 1764 წ. (4 წლით ადრე) მიიღო „სისხლის დენა“ და დაიმკვიდრა ბარათაშვილის გვარი? აქ ან ანაქრონიზმია ან კიდევ იმის შედეგი, რომ იესე „ანდერძის“ წერას 1768 წელს შეუდგა, როცა მას 40 წელი შეუსრულდა (1913 წლის გამოც. გვ. 1; ზვ. გამოც. გვ. 1,10); ამ დროს კი „საბეგაანოს“ წყალობის აქტი უკვე მომხდარი იყო; საფიქრებელია ისიც, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვანმა აქტმა ქონების მოყვარულ იესეს, სხვა მომენტებთან ერთად, ალღობა სურვილი „ანდერძის“ წერისა. იქნებ ასეც მოხდა, მაგრამ ეს დიდი მნიშვნელოვან-

¹ ფონდი 117, საქ. 115, გვ. 4.

ფაქტი ობიექტურად არ აისახა ძეგლში შთამომავლობისათვის საკუთარების უფლებების ხელუხლებლობის მიზნით. იესე „ანდერძში“ ერთგან შეიღებს ოფიცებს: „მამული საღაო“ არავისი მამის... მაგრამ საბარათაშვილოს კაცთან მშვიდობა გირჩევიანთ, შერიგდით, ნახევარი თქვენ და ნახევარი იმას... სხვა საღაო არა გამიშვია რა“ (1913 წლის გამოც. გვ. 132; ჩე. გამოც. 101,24). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ბეგა ბარათაშვილის (ე. წ. „საბეგაანო“-ს) განაყოფი „გერმანოზიან“ ბარათაშვილი და მისი შთამომავალი გაუჩნდა მოცილედ იესეს 1780-იან წლებში, ე. ი. მას შემდეგ, რაც საბეგაანო დაიბრუნა? (დაიბრუნა კი 1778 წ.). ჩვენ ვიცით, რომ საბეგაანო, განაჩენის ძალით, რამდენიმე წლით იესეს წართმეული ჰქონდა. საფიქრებელია ისიც, რომ ამ პერიოდში ბეგა ბარათაშვილის განაყოფი, გერმანოზიან ბარათაშვილი და მისივე ჩამომავალი, შეეცადნენ შემკვიდრებოთი უფლების აღდგენას „საბეგაანოს“ მიწა-წყალზე; ჩანს, რამდენადმე იგი დაიმკვიდრდეს კიდევ. მაგრამ 1778 წლიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც ერეკლე მეორე იესეს უბრუნებს „საბეგაანოს წყალობის წიგნს“, ირკვევა იესემ სამეფო ხელისუფლების დახმარებითვე აღადგინა ამ „ერთ სათავადო“ მამულში თავისი მფლობელობის უფლებები, მაგრამ დავა საბოლოოდ მაინც ვერ მოისპო. იესე ანდერძად უტოვებს შეიღებს, რომ ნუ გაამწევებენ დავას, „საბარათაშვილოს კაცებთან მშვიდობა გირჩევიანთ, შერიგდითო“. რაც შეეხება ფაქტს, რომ ჯერ კიდევ იესეს სიცოცხლეშივე იესეს და ბარათაშვილების კაცებთან მამულების დასაკუთრებისათვის დავა ყოფილა გამძაფრებული, ამაში ხომ საფუძვლიანად გვარწმუნებს იესეს უწყებულება შეიღებისადმი: „მამული ები სხვა საღაო არა გამიშვია რა“-ო. ამიტომაც საფიქრებელი, რომ საბეგაანოს მუქთად ბოძების, შეუსყიდველად ხელში ჩაგდების ფაქტი, იესეს ანდერძიდან ამოშალა იესეს შთამომავლობამ ქონებრივ-წოდებრივ მდგომარეობისა და უფლება-მოსილების შენარჩუნების მიზნით; იგულისხმება, რომ იესეს შთამომავლობასა და ნამდვილ 7 ბარათაშვილთა შორის შემდეგში წარმოებული ხანგრძლივი დავის საფუძველი იესეს სიცოცხლეშივე ყოფილა მოცემული.



3. იესე ბარათაშვილის ბეჭედი წარწერით: „ქამი ისეცა წარვლის“

4. ამასთანავე განსაკუთრებით საყურადღებოა იესეს დაურიღებელი და მამხილებელი მიმართვა თავის „უიმედო“ შეიღებისადმი; [იესეს შთამომავლობას, როგორც ირკვევა, მოგვიანებით, ეს აღვილიც ამოუვლია „ანდერძიდან“. აი, ეს აღვილიც, რომელიც B და C ხელნაწერებს შემოუნახავს; „შვილო! გაწყენ თავს და მოგახსენებ: ჩემის ცოდვით ასეთი ხომ არავინ გამოხვედით, რომ შეცნირება მიგელოთ, მაგრამ ეს ხომ ბუნების წესია იცოდეთ, სიტყვიერნი დავიბადენით და სიტყვიერს გონებაც უნდა ჰქონდეს და გონებიანს ხომ ეს შეენის, თავისის სარჩო და სასიცოცხლო მოიგონოს და ეცადოს, თორემ შერ-

შიშველი სწორეთ თქვენ ხართ, და თუ ღმერთი გამოგაბრუნებსთ, სასწაული იქნება“ (იხ. „ანდერძის“ ჩვენი გამოც. გვ. 103). მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, აღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ იესეს „ანდერძმა“, როგორც საოჯახო დოკუმენტმა, რა მიზეზებისა გამო და რა თვალსაზრისით განიცადა რედაქცია თვით იესეს და მისი შთამომავლობისაგან.

* * *

1913 წელს გამოცემული „ანდერძის“ ტექსტი დეფექტურია სხვა მრავალ შემთხვევაშიც. ამათგან შევჩერდებით აქ მხოლოდ რამდენიმეზე. მაგ., 14 და 15 გვ. გვ. (ჩვენი გამოც. გვ. გვ. 9—10) გარდა იმისა, რომ ტექსტი დეფექტურია, არეულიცაა და გაუგებარიც, შეიცავს ისტორიული ხასიათის უხეშ შეცდომასაც.

1. მე-14 გვ.ზე წერია: „ქრისტეშობის 8, ქორონიკონს 435 (1747 წ.) ნადირ შაჰის წყრომა მოვიდა საქართველოზე“ (ჩე. გამოც. 9 გვ.), ხოლო იქვე მე-15 გვერდზე წერია: ნადირ შაჰს „მრავალის უბრალოს სისხლის ღვრისაგან ღმერთმან საფარველი აპხადა. მოკლეს 435 (1747) 9 მაისსო“. (ჩვენი გამოც. გვ. 10). გამოდის, რომ ჯერ მოუკლავთ ნადირ-შაჰი, მისი სიკვდილიდან 7 თვე გასულა, და ამის შემდეგ მოუვლენია მას რისხვა საქართველოზე. ასეთი უაზრობა ფაქტიურად ერთ აბზაცშია შეწყნარებული, და მის შესახებ გამომცემელს შენიშვნაც კი არ გაუკეთებია. სინამდვილეში ირკვევა: ა) 1747 წ. ქრისტეშობის 8-ს ნადირ შაჰის წყრომა კი არ მოსულა საქართველოზე, არამედ იესე ოსეს ძე „ქალაქს“, ანუ თბილისში ჩამოსულა; ბ). თებერვლის 6 (იმავე 1747 წელს) იესე ოსეს ძეს ჯვარი კი არ დაუწერია ჩაჩიკაშვილის ქალზე (როგორც ეს 1913 წლის გამოცემაშია), არამედ საქართველოს მოვლენია ნადირ-შაჰის წყრომა. მხოლოდ ასე წაკითხულ ტექსტში ყველა აქ აღნიშნული თარიღები ემთხვევებან სხვა ისტორიულ წყაროთა ცნობებს, ზოგჯერ აესებენ მათ და გასაგებს ხდიან.

საყურადღებოა ისიც, რომ აქვე (ტექსტის ამ ადგილს) გვხვდება მეტად საინტერესო ბოგრაფიული მნიშვნელობის ცნობები იესეს შესახებ, რომელიც აგრეთვე უცნობია არსებულ გამოცემებისათვის. ამიტომ საჭიროდ ვთვლით მთლიანად მოვიყვანოთ აქ ეს ადგილი: „მცირეს ხანს იქ ვიყავ, მერმე წამოველ, კათალიკოსის ანტონისაგან დიაკვნად ვეკურთხე და ზამთრის პირს ქალაქს ჩამოვედით ქრისტეს შობის 8. ქვს ულე (435, (1747 წ.) თებერვლის ვ(6) ნადირ შაჰს წყრომა მოვიდა საქართველოზედ“... და სხვა. ამრიგად, ჩვენ დავრწმუნდით ამ თითქოს „უშინიშნელო“ შესწორებას, თუ როგორი არსებითი შესწორება შეაქვს „ანდერძის“ ტექსტის სწორად დადგენისა და გაგებისათვის (იხ. 1913 წლის გამოც. 14 და 15 გვ. გვ. და შეად. ჩვენი გამოც. გვ. გვ. 9—10).

2. კიდევ უფრო უარესადაა ტექსტი არეული 1913 წლის გამოცემის მე-60 გვ.ზე (შეად. ჩე. გამოც. გვ. გვ. 43—44). ჩვენს განკარგულებაში მყოფ ორი ხელნაწერით კარგად ხერხდება ამ დამახინჯებული ადგილების სწორად აღდგენა. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ პარალელური ტექსტები წინამდებარე და 1913 წლის გამოცემებიდან:

წინამდებარე გამოცემით

«ცოტა მივეც თუ ბევრი ამ დროს ყველა ბევრია. მაგრამ ღმერთი მოწამეა, მე რომ ყიზილბაშობას შენობა და აშენებული მინახავს გასყიდული, მეტი მიმიცია და ნაკლები არა. თვითონ ახალშენი აშენებული და მზა მოსავლიანი როგორც მიყიდა, იმისი ნაკლებად თვითონ და თვითონ სოლოლაშვილის სოფლები არ მიყიდა, მეტიც მიმიცია. იაკობ მამამთავრისა წაიკითხეთ, ეს უფრო დიდი წინადადებაა. იაკობ მამად-მთავარმა პირმშობეა ერთის ჯამის ოსპით იყიდა, ველარავინ წაართო, ის უფრო დიდი სავაპრო იყო.

ქორანიკონს 452 (1764) იანვრის 5, დიად მიქეს ჩხიკუთა, კაი სასახლის ადგილი არისო, საგინაშვილმა როსტომ მომყიდა თავის კოშკსა და სასახლის წინ, ალგეთის პირზე სასახლის ადგილი და წყარო და მიწა იმის გარეშემო. სიგელი ზაალ საამისშვილს დამიწერინა და მომცა.

პირდაპირ ტბის მამის ჩემის ნასყიდი ვენახია, ჩემი და ჩემის ძმის იოანეს სანახევროა, იქედამ იმას კარგად იმუშავებს. სასახლის ადგილი კარგია, მდინარე წყალია, კარის მიწად და მოედნად ის მიწა ეყოფა კაცსა და სარჩოს სხვაგანიდან მოიტანს. მე ასე ვიფიქრე და როგორც გერჩიოსთ, ისე ქმენით. ტაგნაგეთის სასახლის პატრონს სხვაგან დგომა რად ენდომება, მაგრამ მდინარე წყალი არა აქვს და არ შესწუხდეთ (გვ. 43—44).

«ანდერძის» 1913 წლის გამომცემელი დუმილით უვლის გვერდს ესოდენ დამახინჯებულ ადგილს და ვერც კი ამჩნევს; ტექსტში აქ და ამის მსგავს სხვა ადგილებში, ჩვენის აზრით, ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს.

1913 წ. გამოცემით

* «ცოტა იმცნეთ, ეს უფრო დიდი წინადადებაა, იაკობ მამად მთავარმა პირმშობეა ერთის ჯამის ოსპით იყიდა, ველარავინ წაართო, ის უფრო დიდი სავაპრო იყო. ქორანიკონს 452 იენისს 5.

დიად მიქეს ჩხიკუთა, კაი სასახლის ადგილი არისო, საგინაშვილმა როსტომ მომყიდა თავის კოშკსა და სასახლის წინ, ალგეთის პირზე სასახლის ადგილი და წყარო და მიწა იმის გარეშემო. სიგელი ზაალ საამისშვილსა დამიწერინა და მომცა. პირდაპირ ტბის მამის ჩემის ნასყიდი ვენახია, ჩემი და ჩემის ძმის იოანეს სანახევროა, იქედამ იმას კარგად იმუშავებს. სასახლის ადგილი კარგია, მდინარე წყალია, კარის მიწად და მოედნით ის მიწა ეყოფა კაცსა და სარჩოს სხვაგანიდან მოიტანს.

მე ასე ვიფიქრე და როგორც გერჩიოსთ, ისე ქმენით. ტაგნაგეთის სასახლის პატრონს სხვაგან დგომა რად ენდომება, მაგრამ მდინარე წყალი არა აქვს და არ შესწუხდეთ. ესეც თუ ბევრი ამ დროს ყველა ბევრია. მაგრამ ღმერთი მოწამეა, მე რომ ყიზილბაშობას შენობა და აშენებული მინახავს გასყიდული, მეტი მიმიცია და ნაკლები არა. თვითონ ახალშენებული და მზა მოსავლიანი როგორც მიყიდა იმის ნაკლებად თვითონ და თვითონ სოლოლაშვილის სოფლები არ მიყიდა, მეტიც მიმიცია, იაკობ მამად-მთავრისა-წაიკითხეთ (გვ. 60—61).

აი, კიდევ ერთი მაგალითი 1913 წლის გამოცემაში, სადაც ტექსტის წინაარსობრივი აღრევა-შეუსაბამობაა.

წინამდებარე გამოცემათ

ქორანიკონს 436 (1748 წ.) აპრილს აბდულაბეგს დაუმარცხდა; ამირ-ასლან-ხანის ჯარი მოიყვანა, ზოგი ქართველი საბარათაშვილოს კაცნი. მეფემ ერეკლემ დიად ცოტას ჯარით დაუმარცხა, გააქცია და დიდი ალაფი იშოვეს. ტფილისის ციხის თათარი უკუ უდგნენ (გვ. 11).

1913 წლის გამოცემაში ხშირად აღრევას და დამახინჯებას. მაგალითად:

წინამდებარე გამოცემით

„თამაზხან მულამში გახელმწიფდა, ნადირ-შაჰ დაირქვა 424 (1736 წ.) მარტს წავიდა, ყანდაარი აიღო, ინდოეთს წავიდა; აქ სპასალარმა ადირბეიჯანი შეიყარა ჭარზედ, ქორანიკონს 425 (1737 წ.) ენკენისთვეს მოვიდა სპასალარი, ღვინობისთვის 27 მოკლეს (გვ. 4).

აქ, როგორც ამაში მკითხველი დარწმუნდება, საქმე გვაქვს უკვე ცნობილი ისტორიული ფაქტების და თარიღების აღრევასთან. მოტანილი მაგალითები, ვფიქრობ, საკმარისია და დანარჩენებზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ტექსტის დადგენისას მსგავს ადგილებს გზადაგზა ჩვენ სქოლიოებში ყველგან ვასწორებთ.

3. „ანდერძის“ ახლად მიკვლეული ხელნაწერების საშუალებით ხერხდება არსებულ გამოცემებში დამახინჯებულ მთელი რიგი სიტყვების და წინადადებების სისწორით აღდგენა. მაგალითისათვის რამდენიმეზე ჩვენ ზემოთ მიუთითებდით.

„ტფილელის ყმანი იყავით და ერთი ხუცის შვილები ამდენი“... (იხ. 68 გვ.; შეად. ჩვენი გამოც. გვ. 50). „რად გაიქცევი და არავინ გპატიჟობს“ ნაცვლად „რათ დაიფიცავ და ვინ გპატიჟობს“ (იხ. 113 გვ.; შდრ. ჩვენი გამოც. გვ. 87). გამოტოვებულია „იქ მყვანდა, აიყარა, ჩამოვიდა“ (იხ. 1913 წ. გამოც. გვ. 124; ჩვენი გამოც. გვ. 95), აგრეთვე გამოტოვებულია „სიონელის ხუცის შვილსა“ და სხვ. ასევე ხშირია გეოგრაფიული და საკუთარი სახელების დამახინჯება და კორექტურულ შეცდომებსაც არაიშვიათად აქვს ადგილი. შეეჩერდეთ რამდენიმეზე:

1913 წ. გამოცემით

ქორანიკონს 436 (1748 წ.) აბდულაბეგს დაუმარცხდა აპრილს ასლან-ხანის ჯარი მოიყვანა, ზოგი ქართველი საბარათაშვილოს კაცნი. მეფემ ერეკლემ დიად ცოტას ჯარით დაუმარცხა. გააქცია და დიდი ალაფი იშოვეს. ამირ ტფილისის ციხის თათარი უკუ უდგნენ (გვ. 16).

აქვს ადგილი ისტორიული ფაქტების

1913 წ. გამოცემით

ქორანიკონს 425 (1737 წ.) თამაზხან მულამში გახელმწიფდა, ნადირ-შაჰ დაირქვა, 424 (1736 წ.) მარტს წავიდა, ყანდაარი აიღო, ინდოეთს წავიდა. აქ სპასალარმა ადირბეიჯანი შეიყარა ჭარზე ენკენისთვეს მოვიდა სპასალარი ღვინობისთვის 27 მოკლეს (იხ. გვ. გვ. 7—8).

1913 წლის გამოცემით არის:	წინამდებარე გამოცემაში ასეთა გასწორებულად
35 გვერდზე შვილობაში	შვილობაში 24,29
60 " იმცნეთ	მივეც 43,33
70 " ატაგეთი	ატამეთი 51,29
115 " აზრისა	არზისა 89,17
134 " რუსილამ	რუსილამ 103,6
136 " დღე და ღამ	დღე და დღე 115,16

და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა (სქოლიოებში ყველა მათგანი აღნუსხული გვაქვს).

1913 წ. გამოცემაში ტობონიმიკურ და საკუთარ სახელთა დამახინჯების ერთ მაგალითს მოვიყვანთ სანიმუშოდ:

„ზეით ქრისტეს ჯვარს წინ მიწები ლოუბნურია, ელთაგან მოსყიდულია“ (1913 წ. გამოც. გვ. 107; ჩვენი გამოც. 79,4). ამრიგად, 1913 წ. გამოცემით გამოდის, რომ თითქოს თათრის ელები ფლობდნენ მიწას „ლოუბანში“, ქრისტეს ჯვარ წინ“ და ამ ელთაგან იყიდა იესემ ეს მიწები, მაშინ, როცა სინამდვილეში სწორედ წაკითხულ ტექსტში წერია: „ლოუბნელთაგან მოსყიდულია“. 1913 წ. გამოცემით გამოდის, რომ სოფ. ლოუბანს თათრის ელები ფლობდნენ მე-18 საუკუნის მიწურულს;—ამ მიგალითიდანაც კარგად დასტურდება ნამდვილი გაყალბება ისტორიული ფაქტისა, რასაც ადგილი აქვს დასახელებულ გამოცემაში. მსგავსი მიგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აქ ჩვენ ზემოთქმულით დაკმაყოფილდებით¹.

რა მოგვცა B და C ხელნაწერებმა?

B და C ხელნაწერების წყალობით მოსახერხებელი გახდა იესეს „ანდერძის“ ტექსტის ფრიად მნიშვნელოვანი ადგილების აღდგენა, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიის მთელი რიგი ბუნდოვანი საკითხების გაშუქებისათვის.

ასეთებია: 1. ქსნის ერისთავის გიორგის განდგომა და უკანასკნელის დამარცხება მეფე ერეკლეს მიერ; 2. მეფე ერეკლეს გამგზავრება თბილისიდან ქსანზე 1778 წ. იანვრის 17-ს, გზად მუხრანში დარბაისელთა შეყრა და მათთან თათბირის გამართვა ქსნის საერისთავოს გაუქმების საკითხებთან დაკავშირებით; 3. მეფე ერეკლეს ასვლა ახალგორს და „ქართველ ოსების“ მორჩილების გამოცხადება. აქვე ერეკლეს განკარგულება უფლისწულ გიორგის ქსანზე დატოვებისა, ზოლო იულონის ლიახზე განწესების შესახებ და აქედან მეფე ერეკლეს ისევ თბილისში ჩამოსვლა. იესე ბარათაშვილი განუყრელად ახლდა მეფე ერეკლეს თბილისიდან გასულს, ვიდრე უკან დაბრუნდებოდა და „ანდერძში“ გადმოცემულ ყველა ამ ისტორიული მოვლენის „თვითმხილველია“ და „თანა-

¹ პ. რ. ვ. დონდუა თავის ნაშრომში „კალმასობა როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში“, მართებულად ასწორებს 1913 წლის გამოცემაში არსებული ტექსტის ერთ მცდარ ადგილს, როცა „ფურის“ მაგიერ იგი „ფულუს“ კითხულობს.

დამხდური“. იესეს „ანდერძის“ ეს აღგილები და მრავალი სხვაიც, „ცისკრის“ და 1913 წლის გამოცემაში არ შესულა; 4. ასევე სავსებით უცნობია დასახელებულ ორთავე გამოცემისათვის ისტორიული მნიშვნელობის ძვირფასი ცნობები ომარ ხან ავარელის ქართლ-კახეთზე შემოსევის შესახებ და სხვ.

ამრიგად, B და C ხელნაწერის მიკვლევისა და მათი წინამდებარე გამოცემაში გამოყენების შედეგად, გაიმართა და მოხერხდა აღდგენა იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ წინა გამოცემებში არა მარტო გამოტოვებულ, დამახინჯებულ და დაზიანებულ მთელ რიგ ცალკე სიტყვებისა, წინადადებებისა და გვერდებისა, არამედ სწორედ ამის შედეგად სავსებით ახლებურად გაშუქდა საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მოვლენაც.

მაგალითად, მკითხველი ვერც „ცისკრის“ და ვერც 1913 წ. გამოცემაში ვერ იპოვის და პირველად ეცნობა იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ ღირსშესანიშნავ შემადგენელ ნაწილებს, მოტანილს წინამდებარე გამოცემის მთელ რიგ გვერდებზე (მაგ., როგორცაა გვ-ბი: 80—85, 103—104 და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენებზე).

მართალია, B და C ხელნაწერების გამოყენებით ძირითადად მოხერხდა „ანდერძის“ ტექსტის დადგენა, გასწორდა ბევრი შეუსაბამობა, რომელიც ახასიათებდა ამ ძეგლის წინა გამოცემებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, წინამდებარე გამოცემა ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია სავსებით უნაკლოდ და ყოველგვარ საქმიან შენიშვნას გულისხმეირი მკითხველებისაგან სიამოვნებით მივიღებთ.

პირობითი ნიშნები

A—იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ 1913 წ. გამოცემა.

B—იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ ხელნაწერი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი A №1770).

C—იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ ხელნაწერი (საქართველოს სახ. ცენტრალური საისტორიო არქივის ძველ ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი 233, № 526).

D—იესე ბარათაშვილის „ანდერძის“ 1877—1872 წ.წ. ცისკრისეული გამოცემა.

+ უმატებს

< აკლებს

[] ტექსტში ჩვენ მიერ აღდგენილი ადგილები.

() ქორონიკონიდან გადაყვანილი რიცხვები ქრისტეს აქეთ წელთაღრიცხვის ჩვენებით.

ex homoioteleuto—კიდურ მსგავსებით გამოწვეული შეცდომები.

„ანდერძი“—იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“; ჟურნ. „ცისკრის“ გამოცემით: „ანდერძი (ქართულის ისტორიისათვის მასალები 1871—1872 წ.წ.)“; 1913 წლის გამოცემით: „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“.

ტ ვ ქ ს ტ ი

[**ცხოვრება-ანდერძი იესე ბაკათაშვილისა**]

- სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა¹ მე, უბა- A 3 a
 დრუკმან და ქეშმარიტად დიდად ბრალეულმან ოსეს შვილმან იესემ B 1 a
 ვინებე, თვით კელითა ჩემითა, აღწერა ცხოვრებისა ჩემისა. ვინათგან C 1 a
 ვიქმენ დასაწყის ქცევისა და ცხოვრებისა შვილთა ჩემთასა, ჯერ იყო,
 5 რათამცა ძეგლიცა² ესე დამეტევა მე შვილთა ჩემთათვის.
 - მე ვიყავ³ ძალითა ქრისტესითა ქეშმარიტი აღმსაარებელი⁴ მართ-
 ლისა სარწმუნოებისა, რომელსა აღიარებენ დღეს ბერძენნი, რუსნი და
 ქართველნი. და უწყის სახელმან ლუთისამან, თვინიერ სარწმუნოებისა
 ამის არა რა უწევრთიეს გონებასა ჩემსა.
 10 და წერასა⁵ ამას ანდერძისა ჩემისასა ვიყავ წლისა ორმოციისა და
 ვინათგან სრულებად მოვიწიე, აწ-ლა ვიწყე წერად ცხოვრებისა ჩე-
 მისა ქრისტეს აქეთ⁶ 1768, ქორანიკონს 456* აბრილს 13.
 რანი ქირ-დებულებანი მქონან მე, არა გრიდებ მიგითხრა თქვენ,
 შვილნო ჩემნო, რომელნი მამეცენით მე ლუთისა მიერ წყალობად, სიყმე
 15 სიჭაბუქისა ჩემისა სიცოცხლე სიხარულად, მოხუცებულებისა ეამსა პა- C 1 b
 ტივისმცემელად და მორჩილ საყოფელად ზ სიკუდილისა ეამსა მდიდ-
 რად დამმარხველად ზ შვილთა და შვილის შვილთაგან თქვენთა მარა-
 დის განსჯულებისაებრ ჩემისა,—სყიდულისაგან ჩემისა, რომელი თვით
 შრომით ჩემით⁷ მიყიდიდა ყოელი და არა თუ მამისა და პაპისაგან რამ
 20 მქონებდა, ამათი სამართლით, სულისათვის ჩემისა მოსაკმარებლად.
 ვინათგან ვარ მე დღეს ორმოცსა შინა წელსა, ესე არს სრული B 1 b
 კაცთა ბუნებისა აწინდელი სისრულე, და მიგითხრა თქვენ, რამეთუ ვარ A 4
 სიმაღლითა ასაკისათა შეიღისა ჩარეჟისა წყრთეული, სიწლოთა ფრიად
 წვლილთა და მქლე, კელნი და ფერხნი მსუბუქ და წვლილ, თვალნი გრემან
 25 და თმანი და წარბნი ქარც და კორცნი თეთრ ფეროვან, გარნა ყოელი
 წარწყმიდოს შეგმან ჭიქამან საფლავისა მიწამან. ზნედ მაქენდა მიღება
 საზრდელისა არცა მრავალ, არცა მცირე; ღვინის სმა⁸ შეზომილ და ერთს

¹ სახელითა—წმინდისათა, —B წითური და დიდი ასოებით, C დიდი ასოებით, მსგავსად სათაურისა, A არ ასხვავებს ტიქსტისაგან. ² ძეგლიცა B. ³ ვიყავი C. ⁴ აღმსაარებლად B. ⁵ დაწერასა C. ⁶ ქკ-ს—(ქორანიკონს აქეთ B. (ნაცვლად ქრისტეს აქეთ-ისა). ⁷ ჩემით შრომით B.

⁸ ქორანიკონი 456 არ ეთანხმება ქრისტეს აქეთ 1767 (ჩღვხ) ABC 1766 (ჩღვფ)-ს. ქორანიკონი 456 სინამდვილეში უდრის 1768 (456+1312); მით უმეტეს ვი-
 ცით, რომ იესე ბაკათაშვილი დაიბადა 1728 წ. და საკუთარ ცხოვრება-ანდერძის აღ-
 წერას „კი დაბადებიდან 40 წლის შემდეგ შეუდგა (1728+40=1768).



- ჩარქეს ლეინოს არც დავიკლებდი და არც ამის მეტს ვიკუმევი ნებეთ ჩემით, და თუ ლხინსა მიწოდინან, დავლევდი, მარა ჩემს ქამში მთვრალი არ უხილავარ. არაყი, ძმარი სრულად უგემო¹ იყო ჩემგან, რომ სიტკბო და სიმწარე არ ვიცოდი, თაფლსა და პილპილსაც ვერი-
- 5 დებოდი და როგორც არაყი და ძმარი უგემო² იყო ჩემგან, ეგრეთვე თავდებად დადგომა, ფსონში ჯდომა, ყუმბრის თამაშობა და მომღერლებთან სმა, სრულად გამოუტყდელ იყო ჩემგან.
- ჩემი ქცევა ეს იყო: კარგი სახლები მქონდა, მცირეს თუ ბევრს ვიშოვიდი, რასაც ღმერთი მომცემდა, სტუმარს დიდად ვეწყობოდი, 10 ვიწვევდი და უფრო ძვირად ვეწვეოდი. რაც წლის მოსავალი მომივლის, ქეშმარიტად მცირე-მცირეს წილს დაუდებდი თვისთა ჩემთა.
- მეუღლე მიყვარდა სჯულიერად და ორსა და სამს ზომას კიდევ გულს ვაწვევდი იმის სიყვარულსა.
- 15 შეიღნი მიყვარდით და კაის³ ჩაცმა დაბურვით გზდი, თუ ღმერთი ინებებს, სწავლაში და უზრუნველობაში; ძმა და რძალი მიყვარს და დები და რაც ძალ მიცს, ვმსახურებ⁴.
- მსახურები მახლავან კარგნი, რომ ჩემს ხელს⁵ კაცს არავის ახლავს, ჩემნი დაზღილები არიან მიყვარან და მეიმედებიან. ასრევე თქვენ ქმენით, შეიღნო, და ღმერთი მოწყალე არის, არ დაგაგდებსთ.
- 20 ჩაცმა და დაბურვა მიყვარს და არც მაკლია ღუთის მოწყალებით საზომისაებრ ჩემისა. ცხენი და იარაღი მქონდა და მყავს კარგი ცხენები და ჩემს ქამში ამ ყოფით ვიყავ დღესამდე და დღეის წალმართ ღუთის ნება იყოს.
- ვიცოდი ხუცური, მკედრული და მგრგლოვანი წერა კარგად. მცირე 25 რამ მესწავა მამისაგან ვახტანგისა და ვართაპეტე ზაქარიასაგან კათალიროია პორფირი.
- ვიწყო დასაბამით ცხოვრებისა ჩემისათ; უკეთუ ღმერთი შემეწვევის მე, ყოველივე სიმართლით აღვსწერო. მამა ჩემი იყო სიონის დეკანოზის იესეს შვილი და ფრიად კეთილისა კაცისა შვილი და თვით მღუდელი წმინდისა სიონისა ეკლესიისა; დიდად მეცნიერი სალუთისმეტყველოთა 30 წიგნთა და ეგრეთვე საფილასოფოსოთაცა, გარნა დიდი მოღვაწე ქეშმარიტისა სარწმუნოებისა და დიდად მეცნიერი⁶ წმინდათა და ღმერთშემოსილთა მართლისა სარწმუნოებისა ეკლესიათაგან შეწყნარებულთა, მღუდელთ მთავართაგან ძველდებულთა⁷ წიგნთა და დღითი-დღე მოძღვარი ერისა, მასწავლებელი მღუდელთა და დიდი ქადაგი ეკლესიისა და პატივცემული ყოველთაგან მის ქამისა მთავართა, რომლისა ძლით მრცხენის ძედ წოდება მისა, რამეთუ საქმენი შორს⁸ მყოფენ შვილად წოდებასა მისსა;
- და დედა ჩემი იყო დაბისაგან მცირისა კერძო აზნაურთა 40 შვილთა ასული, გარნა კეთილისა გოგბედაშვილისა, და მე უზადრუკი მუნ დავიბადე საჯავახიანოსა მთასა შინა, ლეკთაგან დაზიზნებულთა ერთა შინა, თვესა ნონებერსა, რომელსა ჩვენ, ქართველნი, გიორგობის თვედ უწოდებთ, რიცხუსა მეათესა. და ამას მეათესა რიცხუსა ყოელნი საქართველოსა⁹ ერნი დღესასწაულსა ვყოფთ, ვინათგან სა-

¹. უხილა B. ². უძმო B. ³. კაცის B. ⁴. ვმსახურებ BC. ⁵. კელს B.

⁶. მეცნიერი B. ⁷. ძველდებულთა B. ⁸. შორს B. ⁹. ქართველოსა BC.



- სწაული განცხადებული ხილულ არს წმინდისა გიორგისა ამას დღესათვის
 თვისა გიორგობისა 10, ქრისტეს აქეთ 1728, ქართულსა ქორანიკონსა
 416. იგი წელიწადი ერთი მთილამ სხვა მთად, სოფლით სხვა სოფლად
 მავლინებდნენ ლეკისაგან განძრევილნი და დაბნეულნი. და მომნათლეს
 5 მე, ძალითა ქრისტესითა, ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა ეკლესიასა
 აღმოსავლეთისასა; და მიმქუმელ იყო ჩემი ყაფლანისშვილის ორბელ —
 მდივანბეგისშვილი¹ ვახტანგ, რომელი ჯერეთ არ მიქცეულ იყო ლა-
 თინთა კერძ.
- ორის წლისა რომ შევიქმენ, მომიყვანეს ბირთვისის ციხესა და
 10 ხუთ წელს მუნ ვიზდებოდი.
 მეექვსეს წელს რა² მივიწიე და ნადირ შაის³ ამბავი მოვიდა,
 ქალაქს ჩამომიყვანეს. მერმე რომ სრულად გაცხადდა მისი ამბავი, წვე-
 რის ციხეში გამგზავნეს და მუნ ვიზდებოდი გლეხებთან; და ერთი აზნა-
 ურშვილი იდგა რევისშვილი⁴, იმათთან მიმიყვანდნენ, მათამაშებდნენ⁵ და
 15 დიდი პატივისცემა მქონდა აზნაურთაგან, მღუღელთაგან და გლეხთა-
 გან; ვინათგან სამწყსო ტფილელისა იყო და მამა ჩემი იყო სახლთუხუ-
 ცესი სატფილელოსა და ამას სოფელსა შინა იყო შეკრებილი სრულად
 მისის კეობის დაბნების გლეხნი. და აქ მოკლეს ქრისტესთვის გიორგი
 ვინმე, რომელი მიქცეულ იყო მცირედ ჟამ ოსმალთა მიმართ, შემდგო-
 20 მად⁶ მოვიდა იქ დასახიზნავად, თან მოჰყვენ ოსმალნი და მუნ მოაკუ-
 ლინეს.
- ამ წელიწადებში, საწყალობელი მამა ჩემი, ბარძიმ ერისთავს ორის
 25 ქესის თავებად დასდგომოდა ამ გზით, რომ თავისის დედის მარგალი-
 ტი, ძვირფასი, გირაოდ მიეცა. მერმე მაჰმად ზეგის იასაულით ისიც გა-
 მოერთმევიანა. ეს ორი ქესა თერთი თავს დაედვა, ისარგებლა და მამა
 ჩემს ას სამოცდა შვიდი თუმანი, ამ ბარძიმის ბარობაზედ თავისი გაუ-
 ვიდა, რომ თავისი დაწერილი დავთარი თვითეულად აცხადებს. ყიზილ-
 ბაშობას შინდისი და თავისი სასახლე გირაოდ მოსცა ის ანანურს
 ამოსწყვიდეს. შინდისი ხარაბა იყო, მერმე მეფე ერეკლემ დაიქირა.
 30 სასახლე ქალანთარმა წავგართვა, 12 წელიწადი ქირას ის იღებდა და
 დავრჩით ჩვენ საცოდავად.
- ამ თეთრმა ასე საქმე გაუჭირა საწყალობელს, რომ მეტი აღარ
 იქნებოდა. თუ რამ ან მამული ჰქონდა, ან თვალი, ან მარგალიტი, ან
 ცხვარი, ან ძროხა, ან ცხენი, ან იარაღი, ყველა გაყიდა და მისცა.
 35 დავრჩით ღარიბები. სასახლეს⁷ მოვალეს დაუგირავა და გალაფნის სე-
 ნაკებში შევედით და იქ დავდევით. დიდს სიღარიბეში ვიყავით. სამო-
 ცი თუმანი კიდევ ემართა და ამის სარგებლობისათვის თვე და თვე
 აწუხებდნენ, საცოდავსა და ვწუხნით დიდი და მცირე. ან დედის
 ჩემის იარაღი იყო, ან ჩემი იყო, ბანგუას მონაცემი, ყველა გაყიდა
 40 და მისცა, და სამოცი თუმანი კიდევ ემართა სარგებლით, ქორანიკონს
 422 (1734 წ.).

1. ორბელ მდივანბეგისშვილი BC. 2. რა B. 3. ნადირშაის B. 4. რევის შვილის BC. 5. მათამაშებდნენ AC. 6. შემდგვ AC, შდ. 7. სასახლეთ B.

მეწვიდეს წელს რომ მოვიწიე, და ნადირ შაჰის ჯარი ქალაქში შე-
 მოვიდა, ხანჯან ხანად ებძანა, ყიზილბაშნი შემოვიდნენ და ოსმალნი
 წავიდნენ. ამ ჟამს ქალაქს მომიყვანეს.

ამე წელს ღვინობისთვის ნ შემოვიდა და 21 წავიდა. ნადირ შაჰ.
 5 ქალაქს რომ შემობძანდა, დაბლა¹ მოედნის ბოლოს ციხის კარი იყო,
 იქიდან არმის კარამდის ფეინდაში გაუშალეს. 130 ფარჩა, თავი 15,
 600 დარა² დიბა, მერმე ნ დარაიბავთი, ბოლო ყუთინი; გაიყვეს ნასახ-
 ჩიბაშმა, მილახორმა და ჯარჩიბაშმა; ჯერ ჯარი, მერე ჩაუშები, მერმე B 4 a
 10 ჯარჩირიქა³, მერმე ხუცები, 500 ჯაზირჩი⁴, მარქაფა, ეშიკალასი. თვი-
 თან ქარქაშ ხილიფთ⁵, ბიძაშვილი, საზანდრები, 12 დროშა, 500 ამაშა,
 ქეშეიკი, ჯარი.

ტფილელად ბიძა ჩემი ეფთვიმი ბრძანდებოდა რ ვიყავით დიდს
 იწროებაში სიღარიბისაგან და მოვალეებისაგან. ამ წელიწადებში ვიყავ
 დაზარული ტყვეობის შიშით ცალკე, რომ მუდამ აკლადებში ვისხე-
 15 დით, დაწერილი ვიყავ ტყვედ, და ცალკე სიღარიბისაგან და ცალ
 კე⁶ მამას ჩემს რომ მოვალეები აწუხებდნენ, იმისგან. C-აკლია

წიგნს მაკითხებდნენ, გალობასა და წერას მასწავლიდნენ. ვიყავ ეკ-
 ლესიის გალავანში, და რა რომ ტყვეებს კრეფას დაუწყებდნენ, აკლად-
 მებში ჩავსხამდნენ⁷ მე და ჩემს დას ახუას. ეს ქალი ჩემი უმცროსი
 20 იყო და მიქელს დოლენჯიშვილს ჰყვანდა.

თამაზხან მულამში გაკელმწიფდა, ნადირშაჰ დაირქვა, 424 (1736 წ.)
 მარტს წავიდა, ყანდარი აიღო, ინდოეთს წავიდა; აქ სპასალარმა
 აღირბეჟანი შეიყარა კარზედ. ქორანიკონს 425 (1737 წ.)⁸ ენკენის-
 თვეს მოვიდა სპასალარი, ღვინობისთვის || 27 მოკლეს. იბრემ ხან სპარ- A S
 25 სალარი⁹ რომ კარში შევიდა, იმ წელიწადს ასეთი კირება ასტყდა,
 რომ ნახევარ[ი] ქალაქი ამოსწყდა. ის საწყალი ჩემი დაც იმ ჟამს
 მოკვდა, ჩემს მეტი ვაჟიშვილი არა ჰყვანდათ. ცხენს შემსვეს და ლოლო-
 ვნას გამგზავნეს ბერუას სახლში. იქ ვიყავ, დედისა და მამის მო-
 შორეებისათვის დიდად შეწუხებული და გლვებთან ვერ გაძლებული, B 4 b
 30 სანამდის სენი გადაეარდებოდა. მერმე ჩამომიყვანეს და ვიყავ მაშინ
 წლისა ცხრისა.

და ამ წელიწადებში წერისა, გალობისა და წიგნის სწავლის მეტი რა
 შეძლება მექნებოდა: მეკდრული და ხუცური წერა ვისწავლე. გალობა ზო-
 გიოთამ შატბერაშვილისაგან და ზოგი იოსებ მროველისაგან და ვიყავ.

¹-ტექსტი „დაბლა-ჯარი“-მდე სქოლიოშია გადატანილი A-ში, მხოლოდ BC-ს ტექსტში შეაქვს. ² ანბანთა რიცხვითი მნიშვნელობა „იგ (15) და „ქ“ (600) არქვია და გადაუბამს მომდევნო სიტყვა „დარა“-ზე. ამიტომ სწერს — „იქიდარა“-ს BC. ³ მერმე ჯარჩირიქა < B. ⁴ ჯაზირჩი A. ⁵ ხალიფთ BC. ⁶ სიტყვა „ცალკე“-ზე წყდება, აქედან C-ს აკლა, ხელნაწერიდან ამხვეულია 4 (3-13) გვერდი, ვიდრე სიტყვებამდე „რას იშოვიდა“ (იხ. გვ. 61_ა). ⁷ ჩავისხებუდენ B. ⁸ ქორანიკონს 425-ს A-ში გაკეთებული აქვს შენიშვნა და ჩატანილია სქოლიოში „თამაზხან-ქარხედ“-მდე. ⁹ სპალსალარი B.

ქორანიკონს 428¹ (1740 წ.) მეათორმეტე წელიწადში¹ რომ მივიწიე, მამა ჩემმა მამისდაბა სოფელი იყიდა მთელი თავისის² გლეხებით; ასე რომ³ სოლადაშვილებს დიმიტრი ყაფლანის-შვილისათვის მიეყიდათ. დიმიტრი რომ მიიცვალა, მალუჯაათი ეწერა ამ სოფელს. ყოელს წელიწადს მალუჯაათს ყაფლანსა და ზაალს ართმევდენ და ერთი შაური შემოსავალი არა ჰქონდათ. მათია დამალული იყო და სხვები კახეთს იყვინენ. მამა ჩემი შეევაჰრა და მოჰყიდეს.

რალა მოგაქსენოთ, რაც ამ სოფლის მალიათისათვის ჩვენ სასჯელი მოგვეცა. ჯერ წვრილმანი ხარჯი ითხოეს და მისცა, მერმე აბაზად კოდი პური ითხოეს და ორ მინალთუნად გვასყიდინეს და ისე წავგართვეს. ეს თეთრი, ციხელის² შეფინას³ შვილისაგან³, თუმანი ათ შაურად ავიღევით; ექვსი მინალთუნი მალუჯაათი იყო და ამისი პური ასე წავგართვეს. დიად ბევრი თეთრი შეიქნა ეს სარგებელი. სამი წელიწადი გვემართა; მერმე კამბეშები გვთხოვეს, მერმე კარები ითხოვეს, მერმე შანშეზედ ჯარი იყო, სურსათი ითხოეს⁴. მერმე მუშაიაში მოვიდა, მალიათს ერთს ორად, ზოგან ერთს სამად აწერდა⁵. ადგა საწყალობელი, თან გაჰყვა.

ზამთარი იყო, მამისდაბას რომ მოადგენენ დასაწერად, შაქარლამა და ზოგი რამ იარაღები მიართვა და დავთრიდამ ამოაღებინა. ამებეში ყველაში თეთრი გამოგვართვეს. ქეშმარიტად ირწმუნეთ, ეს ამდენი გაგვივიდა და სასჯელი ნამეტნავად⁶ მეტი. და რვა მინალთუნი მათიას მიუტია⁷, სამი მინალთუნი მახარებელს.

ამ ჟამს ვექილად ისხდენ სარდარი ქაიხოსრო⁸ და გივი ამილახორი. ამილახორმა ველარ გასძლო, გაექცა და ციხეები⁹ გაამაგრა. ოსმალს დაუწყო ლაპარაკი, იქიდან ბაზინა მოატანინა და ზემო ქართლი მთლად იმას ახლდა.

ამ ხანში, ორ წელიწადს უწინ, შანშეს მიზეზზე მოჰკლა იოანე ბერის დიაკონი იმანყულიხან¹⁰.

მეათოთხმეტეს წელს რომ მივიწიე, ქორანიკონს 430 (1742 წ.) მამა ჩემი იმერეთს წაივიდა სათხოვნელად, ამისთვის რომ, ვალმა¹¹ დიად შეაწუხა და საქმე გაუჭირა. გამიშვა აქ ყმაწვილი სამოცის თუმნის მოვალების კელში, და იმდენის სულის ხიზნის შემნახველად მე ვეიმედებოდი. არაფერი ჩვენი საჩირო არა ყოფილა რა სამწყსოს¹² მეტი და ეს იყო ჩვენი შემოსავალი.

როგორ დაიწერება ჩემი სასჯელი ან სიღარიბისა, ან სიშიშვლისა და უბურობისა, ან მოვალეებისაგან მუდამ მოკდომისა, დატუქსებისა, რომ ეგების ოსე იქ მოკვდეს¹³, რას პასუხს გაგვეცემთო, ან ტფილელის ათანასისაგან სხვისა და-სხვის წყრომისა და რისხვის ქაღებისაგან, რომ მამა ჩემი და ის დიად იმდუროდენ. წასვლაზე შენდობა კი მისცა,

1. ქორანიკონს 428' (1740 წ.) მიწერილია სქოლიოში A. 2. თეთრიც იხელის B. 3. შეფინას შვილისაგან B. 4. შანშეზედ ჯარი იყო სურსათი ითხოვეს < B. 5. აწერდა B. 6. ნამეტრავად B. 7. მოუტია B. 8. ქაიხოსროვ B. 9. ციხეები. B. 10. „ამ ხანში მოკლა იოანე ბერის დიაკონი იმანყულიხან ორ წელიწადს უწინ შანშეს მიზეზზე“. A. 11. ქორანიკონი 430 აწიანზე A. 12. სამყაროს B. 13. მოკვდეს B.

B 5 a
A 9

B 5 b

- მარა აქ ბევრი გვავნო იმისმა გულძვირად ბძანებამ და ამასთან რაღაც
 ეშმაკი მამისდაბა აგვიტყდა, იმის სარგებელს ყოველს თვეს გვართმევ-
 და და ან თამასუქზედ თავნად გვაწერდა თუმანს² ათ შაურად.
- ოცი თვე იყო იმერეთს და ჩვენ ამ ყოფაში ვიყავით და ტფილე-
 5 ლისაგან დღითი დღე იასაული არ გამოგვიწყდებოდა. ხან სამწყსო
 წამართვა და ბატონისშვილი ანუკა შუა შემოვიყვანე, ჩამობრძანდა A 10
 და მოაცემინა; ხან სტინხარი წამართო, ხან საყდრის მოვალეს მომისევ-
 და; ღმერთმან ყოელივე იზრუნა ჩემთვის და ამდენი სასჯელი ღმერთმან
 სინარულად ვარდამიქცია, თორემ უფროსი სასჯელი აღარ ითქმის, რაც
 10 მე ამ ოცს თვეში მქონდა. მივიდა³ საწყალობელი იმერეთს. თხოვნით C 5 a
 მაგდენს⁴ რას იშოვიდა იმერეთს; საბერძნეთში დააპირა წასვლა. ოდიშს
 რომ ჩავიდა, იქ ჩემი მომნათლავი ვახტანგ დახვდა; ასე მყოფი რომ ნახა,
 დიდად შეწუხდა. უყვარდათ ერთმანეთი, ერთი თვე თავის სახლში და-
 აყოფინა, მერმე ბესარიონ კათალიკოსს მოჰგვარა, მრავალი შესაბრალებ-
 15 ბელი სიტყვები მოაკუნა და ოსეს მეცნიერება, შესამატ კაცობა, ქვეყა-
 ნაში დიდის სახელის შოება და მრავლის კეთილის⁵ შეძინება, ესენი
 ვრცელად მიუთხრა. ერთს თვეს იქ ახლდა; განიხილა რომ რაც უამბო, B 6 a
 ყველა მართალი იყო.
- დასხდიან, დაწვიან თუ იარიან⁶, სამნივ ერთად შეექცეოდენ და
 20 დიდად მოიწონა ოსეს ქცევა, ცოდნა, ზდილობა, მდივნობა და წერა
 ორისავე კელისა. აღგა და უთხრა: არც შენ დაგკარგავ და არც შენს
 ცოლსა და შვილსაო; მისცა ორასი ფლური⁷, ცხენი და ერთ ხელად ასე
 გამოისტუმრა და წიგნი მოსწერა ქართველთა; მეორედ კიდევ რაც
 დარჩა, ისიც მოსცა და გარდასწყვიტა.
- 25 მოვიდა მამა ჩემი, და ასე მეგონა, მკუდართ აღდგომა დღეს არის
 მეთქი. ცოლი, შვილები⁸, მხლებელი, ყველა მშვიდობით დავახვედრე C 5 b
 და მივაბარე. ჭეშმარიტად ორი შაური ვალი ჩემი აღებული არ დამი-
 ხვედრებია და ვინ მომცემდა ვალსა. ამდენი ვალი მემართა, რას ვაძლევ-
 დი და ან გირაო რა⁹ მქონდა რომ ვალი ამელო¹⁰, ან რით მივიცემდი.
- 30 დიდება შენდა, ღმერთო, იმდენი სასჯელი ყოელი სულ¹¹ მადლობით
 თუ მივითვალე, ჭეშმარიტად ცოდვილმან და დიდად ბრალულმან,
 დრტყინვით და წუხილით მყოფმან გარდავლე; თვარემ, თუ მადლობით
 მომეთინა, კეთილ იყო სულისათვის ჩემისა.
- ჩემი შემოსავალი სამწყსო იყო. ვიჯექი პატიოსნად სენაქში, სამლუ-
 35 დელსა წიგნებს ვწერდი, ვყიდდი და იმით მოვირეწდი¹². შეგირ-
 დები მისხდენ ოცდაათი, ზოგი სამლუდლო, ზოგი საერო. ისინი A 11
 მმსახურებდენ კარგად, და ღმერთი გვზრდიდა ჭეშმარიტად. პატიოსნად
 გვიცვა ყველასა, არა თუ¹³ ყუმაში, მაგრამ კაცსა თუ ქალსა მაუღის
 ტოლომა და ლაინის კაბა, ახალუხი, არა გვკლებია; აგრევე საქმელი B 6 b

1. რად B. 2. თუმანი B. 3. მივიღე B. 4. C. ხელნაწერს
 ლია. 5. კეთილის <B. 6. არიან B. 7. ფური ABC. 8. მაგდენ⁴-ს სიტყვამდე აკ-
 10. მელი BC. 11. სულ <BC. 12. მოვირებდი B. 13. აუღ B.

უნაკლულოდ გვექნა, დაღათუ იწროებით ვიშოვებდით. მივიდი ¹ქართლის
ტონიშვილი ანუკა ვნახი, მისი საფარველი მედვა, პატივს მცემდა, ღმერთ-
მან სასუფეველში განუსვენოს, და ჩემთვის ილუწიდა.

ქორანიკონს 432 (1744 წ.) მაისს ², მეფეს თეიმურაზს ქართლის
5 მეფობა უბოძა ყენმა, მეფეს ერეკლეს კახეთისა. მაშინ ვიყავ წლისა
თხუთმეტისა სრული და ექვსის თვისა.

რა მივითხრა, რა სიხარული იყო ჩვენგან. ტყვეობის შიშით სამი
თვე რომ სიონის აკლდამაში ვისხედით, ამოვედით. ქართველობა შეიქ-
10 ტოფი ³ რომ ქართველ ბატონს მსახურებდენ და თავს დაუკრევედენ,
გაგვიოცდის და გაგვიკვირდის ⁴. შიგნით არმის სასახლე რომ ვნახეთ
და მეფეთ მეჯლისი ⁵ და დილაზედ სალამი, უცხო რამ სიხარული იყო
ყმაწვილის კაცისათვის. ამასობაში ვალიც აღარ გვემართა. კარგად მეც-
15 კაცის ასაკი მაშინ. დიდად მიხაროდა, დიდად მომწონდა თავი და დი-
დად მომიტაცა სოფელმან.

ავგისტოს სანატრელი თამარ დედოფალი შემობძანდა ქალაქში,
და ამან უფრო სიხარულით აღგვაგესო ყოელი ქართლში მყოფნი. ყოელთა
20 შვილურებრ გვიკითხევდა და ეგრე გეწყალობდა. ღმერთმან განუსვენოს,
დიდი მოღვაწე იყო ქართველთათვის და მე უფროსიერთა იქ ვახლდი.
ზამთრისაგან განყინული, უმლთოს თათართაგან დაჩაგრული, იმ ღუთის
წყალობას ვხედვედი, სასუფეველი მეგონის.

ამ ზამთარს მეფე თეიმურაზ გივს ამილახორს შემოადგა დიდის
ჯარი. ცხრა ათასი ყიზილბაში და ავღანი ახლდა და საქართველოს
25 ჯარი, ყაზახ ბორჩალი სხვა იყო ⁶. ყაზახ ბორჩა||ლი ისაყ ფაშას აქეთ
ქართლზე აგეს ⁷ საყოლბეგეთ, რომ ყიზილბაშის ხანებსაც, ვინც ქართლ-
ში ისხდიან, ყაზახ ბორჩალი საყოლბეგეთ ეჭირათ და ქართველ ბატონს,
რა საკურველია, მუდამ გვერდს ახლდენ. ყაზახში სფანგერდი ხან ⁸ იჯდა
და მონა იყო ქართველის ბატონისა და ბორჩალუს სათლე მაჰმად ხან
30 იყო, დიდის კაცის შვილი, მაგრამ ნადირ შაჰს ტუსადსავით გაეკადა,
რომ ბორჩალოს ხანობა ებოძებინა და დიდად მსახურებდა მეფეს თეი-
მურაზს ესეცა.

ექვსს თვეს შემოადგა და ნალმით ძალი უყვეს. სურამის ციხეში
თვითან იჯდა, ცოლიც იქ ჰყვანდა. ახალდაბის ⁹ ციხეში დიმიტრი იდგა,
55 კეხეს ¹⁰ სარიდან ¹¹, წირქვალის ციხეს რევაზ იდგა ამილახორის || შვილი,
არაგვზე ბეჟან ერისთავი, შემოფიცებული და სიძე იყო და ის იდგა. ბე-
ჟან ერისთავი ¹² უწინვე მოკლეს და არაგვი კახ ბატონობაში მეფემ თეი-
მურაზ დაიჭირა, ახალდაბის ციხე დიმიტრიმ მოსცა. კეხვის ციხე სარი-

¹ მოვიდა B. ² მაისის B. ³ მუსტაფი A. ⁴ გაგვიკვირდის B. ⁵ მეჯლისის BC.
⁶ სხვა იყო < B. ⁷ აძეს BC. ⁸ საფანგერდი ხან B. ⁹ ახალ დაბის A. ¹⁰ კეხეს BC. ¹¹ სა-
რიდან B. ¹² ერისთავი < A.

- დან, არაგვის ერისთვის შვილმა, წირქვალის ციხე¹ ამილახორის შვილმა რევაზ მოსცა. შემოადგნენ სურამს, მომშველბელი აღარ ჰყვანდა; ნაღმა-მა ძალი უქმნა და სანატრელი თაპარ დედოფალი დაიბარა. მიბძანდა და შემოირიგა, წამოიყვანა გივი ამილახორი და ბანგუა². ჩემი სიხარული რაღა მოიხსენება, ბანგუა ვნახე. დღე აღარ მომიშორა და ღამე. დიად შეკვეთილი ვიყავ და შეჩვეული იმისი. ზოგი რამ ოქროს ღილეზი და ყაწიმი მომიტანა, მიბოძა და კელს მიმართევდა და ვიყავ განცხრო-მაში, შვებასა და სიხარულში.
- ქორანიკონს 433 (1745 წ.) ოკლონბერს 1, მეფე თეიმურაზ მეფობის საცხებელი იცხო სვეტცხოველში. მობძანდნენ³ და სუფევდენ. სანატრელი და ყოელთა საქართველოთა დედა, კურთხეული თამარ დედოფალი, დასნეულდა. მამა ჩემს დიდად სწყალობდა. ბატონის შვილის ანნას შვილი მამუჯა, რომელიც თვით მის პალატაში შობილიყო და შვილს უწოდებდა⁴, მამა ჩემს მონათვლინა⁵ და შინაურად ჰყვანდა მამა ჩემი და სწყალობდა. მაგრამ მეფეს თეიმურაზს უფრო უყვარდა, ამისთვის, რომ ერთს დღეს⁶ იყვნენ, დაბადებულნი, ოსე წინასწარმეტყველის დღეს და თავის მუსაიბს⁷ უწოდდა, ამ სახელით.
- მის დიდებულისა კაცისა ამბავი არ დავადლო,—ამილახორის გივისა, ვინათგან ჩემნი კეთილის მომატყეველნი იყვნენ. ქაიხოსრო სარდარი აახლეს ნადირ შაჰს და გივის ამილახორის ჩამოყვანა მოახსენეს და პატივებას შეეხვეწნენ. იმ ხანად წყალობა ებძანა, და ბატონმა სახლთუცობა უბოძა. ოცს დღეს უკან ჩაფარი მოვიდა, ან აქ გამოგზავნეთო და თუ მანდ შეინახავთ, თვალეზი დასთხარეთო. თვალეზის დათხარას იხვეწა გივი, მარა არა ქნეს და გაისტუმრეს. მივიდა და თვეში ათი თუმანი გაუჩინა. იყო ხორასანს, თვალით⁸ კი არ ინახენა. მამათს გაგზავნა. დიდი საქმე არის მსმენელნო⁹, იმტოლს კელმწიფეს, ამტოლმა კაცმა კმალი ჰკრას, ხუთს ექვსს წელიწადს ათჯერ და თორმეტჯერ ჯარი დაუმარცხოს, კელში ჩაიგდოს და არ მოკლას. არბაბზე დაიბარა, გამოსევას აპირებდა. ერთს მანძილზე რომ მოახლოვდა, ნადირ შაჰ მოკლეს. ადილ შას იახლა, შაჰყულიხან დაარქო*, მერმე ადილშას დროს გამო-

¹ წირქვალი ციხე BC. ² ბანგუა BC. ³ მობძანდნენ A. ⁴ ბატონის შვილი ანნას შვილი, რომელიც თვით მის პალატაში შობილიყო მამუჯა და შვილს უწოდებდა. BC. ⁵ მონათვლინა BC. ⁶ დღეს <BC. ⁷ მოუსაიბს B. ⁸ სიტყვები „თვალით—დაარქო“-მდე სქოლიოშია შეტანილი A (BC-ს ტექსტში შეაქვს). ⁹ მსმენელობა A.

* 1913 წ. გამოცემული ტექსტში, სიტყვა „ხორასანს“ შემდეგ მიყოლებული ტექსტი—„თვალით—დაარქო“-მდე, სქოლიოშია ჩატანილი იმ მოტივით, რომ A ხელნაწერში იგი აწიხავე მიწერილი. ამგვარ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი დასახლებულ ხელნაწერში. ჩვენ კი, როცა ამის საშუალებას BC ხელნაწერებიც იძლევიან, ასეთი ადგილები გადავავსებ ტექსტში, როგორც უკანასკნელის ლოგიკურ ორგანულად შემადგენელი ნაწილები.



იყვანეს, ქალათის¹ აღებაზე გაისარჯა. ყულარალასობა უბოძა, მერმე იბრევი² შაჰს დროსაც ყულარალასობა ჰქონდა. ის რომ გაფუქდა, აქ მობძანდა. B 8a

ქორანიკონს 434*, ქრისტეს აქეთ 1745, აპრილს 12 სანატრელი და კუთხევით სახსენებელი დედოფალი თამარი მიიცივალა. ღმერთმან აბრაჰმის წილში განუსვენოს. უცხო გლოვა შეიქნა საქართველოში. ქართველნი დიდი კაცნი, ყველანი ძმურად და ბატონ ყმურად თან შეზდილნი ახლდნენ აქვე ქართლში ბატონისშვილობაში. კახნი უფროსი-ერთი³ მისი დაზდილნი იყვნენ და დიდი მწუხარება შეიქნა, რომ უფროსი აღარ ინახოდა. რასაც კაცს ნახევდი, ყოელი გული კუდებოდა და წუხდა. მიიღეს, დამარხეს, და ყენის შიშით თათარი ცოლად⁴ არ გამომიგზავნოსო⁵, მეფემ თეიმურაზმა, კათალიკოსის⁶ ანტონის განზრახვით და ზაქარია მოძღურის⁷ მრავლის შრომით და ღუწით, ანახანუმ იოთამის-შვილის ბეჟანის ქალი, დედოფლად მოიწოდა. ყენს რომ მოხსენებოდა, საქორწილო ებოძა და ტყვეები⁸ ეახოვა. შეიქნა ქართში (sic) ტყვის ძებნა და ამ ჟამს ვიყავი მე თექვსმეტის წლისა და მეთაშვილმეტესა ვმეწლეობდი**. ჩაჩიკაშვილის ქალი⁹ დამიწინდეს. წარმავლინეს, მირტაშენს იდგნენ და ჯვარი დამწერეს¹⁰. მცირეს ხანს იქ ვიყავ, მერმე წამოველ კათალიკოსის ანტონისაგან დიაკვნად ვეკურთხე¹¹ და ზამთრის პირს ქალაქს ჩამოვედით, ქრისტეს შობის 8***. A 14 C 8b

ქორანიკონს 435 (1747 წ.) თებერვლის 6 ნადირ შაჰს წყრომა¹¹ მოვიდა საქართველოზედ და ურიცხვი და უანგარიშო თეთრი ეთხოვა მეფეებისათვის ცალკე¹², თავადებისათვის ცალკე, ქვეყნისთვის ცალკე. ავიყარენით და გავცვივდით და წავედით. 14 სულნი ჩვენა ვართ. არა გვყავს ცხენი, არა გვყავს კარი. ორი ურემი ვიქირავეთ, ერთი ცხენი და წავედით. მივედით¹³ დუშეთს, დავდევით. ბატონები ანანურს მიმძანდენ. ქაიხოსრო სარდარი ახალდაბის ციხეში მიმძანდა¹⁴. სხვანი თავთავის ციხეებში, ჩვენ ვიყავით დუშეთს ამისთვის, რომ უფრო კაი სახლები იყო და თვალთათვისაც კარგი იყო; მაგრამ თუ ნადირ შას ჯა- B 8b

1. ქალით BC. 2. უფროსი ერთი ABC; ვასწორებთ: უფროსიერთა 3. ცოლი BC. 4. გამამიგზავნოხო BC. 5. კათალიკოსის BC. 6. მოძღურის BC. 7. ტყვეები BC. 8. ჩაჩიკაშვილის ქალი B. 9. თებერვლის 6+A. 10. კათალიკოსის ანტონისაგან დიაკვნად ვეკურთხე <A. 11. თებერვლის 6+BC. 12. და ყენისათვის ცალკე +BC. 13. მივედით <B. 14. მომძანდა A.

* ქორანიკონს 134 ქრისტეს აქეთ 1746** ვკითხულობთ 1913 წ. გამოცემაში (იხ. გვ. 13. აბზაცი II). აქ აშკარად ჩანს, რომ „ქორანიკონი“ არ შეესაბამება „ქრისტეს აქეთს“ თარიღს, ქორანიკონს აქვია 200 წელი, ე. ი. უნდა იყოს ქორანიკონს 434.

** იესე სინამდვილეში მე-19 წელშია გადამდგარი ამ დროს.

*** 1913 წ. გამოცემული ტექსტით 1747 წ. თებერვლის 6 მიჩნეულია იესეს ჯვარის დაწერის თარიღად, სინამდვილეში კი აღნიშნული თარიღი არის საქართველოზე შაჰ-ნადირის წყრომისა და ურიცხვი გადასახადების, ე. წ. არბაბის გაწერის თარიღი, 1913 წ. გამოცემული ტექსტით, ასევე მცდააად, 1747 წ. 8 ქრისტესშობისთვე მიჩნეულია არა იესე ბარათაშვილის ქალაქში ჩამოსვლის თარიღად, არამედ შაჰ-ნადირის მიერ საქართველოზედ არბაბის გაწერის თარიღად მაშინ, როცა იესეს ანდერძიდანაც კი ვიცით, რომ შაჰ-ნადირი 1747 წ. 9 მაისს უკვე ცოცხალი აღარაა (იხ. 15 გვ. 1913 წ. გამოც. და ჩვ. გამოც. გვ. 10.).



- რი მოსულიყო, წავედებოდი; ჩვენ ეს უმეტრებად მოგვივიდა, ზურგზე
მეითარი, ქისიყის¹ მოურავის შვილი, ყუენთან წარვლენილი იყო, რო-
მელსამე საქმეზედ და იმისის პირით მოვიდა ეს არბაბის ამბავი, და
ესეც ასე თქვა: თავრიზის ბეგლარბეგს, სააბ იხტერ ამირ ასლანხანს²
5 ბძანება აქვს³, 15.000 ათასი კაცი ამის მოასილად უნდა გამოგ
ზავნოსო და ამან უფრო აგვაჩქარა დიდი და მცირე. თუ ის ჯარი მო-
სულიყო, ეგების შემძლენი გამოსცლოდენ ქალაქსა, თორემ შეუძლებულ-
ნი სულ⁴ დატყვევდებოდენ.
- ბატონებისა და ქვეყნის უკუდგომა⁵ რომ გაიგონა, ამირ ასლანხან
10 ჯარი ველარ გამოგზავნა. ნადირ შაჰსაც მართალი ჭკუა აღარ⁶ ჰქონდა,
მრავლის უბრალოს სისხლის ღურისაგან ღმერთიან საფარველი აჰკადა.
მოკლეს [ქორონიკონს] 435, (1747 წ.) 9 მაისს* და უფრო ამისგან, რომ
ინდოეთს რომ წაბძანდა, უფროსი შვილი რზა ყული მირზა ნაიბად
15 დააბეზღეს, თოფის მსროლელი შემოგვიჩინაო. ერთმა კაცმა თოფი ეს-
როლა, ეს შენმა შვილმა ქმნაო, დაიჭირა და ერანხარაბს თვალეში
დასთხარა. ამან უფრო გააგვიყა. ბძანებდა თურმე: ერანის ხალხი ჩემი
მუხანათი არის, თორემ ერთმა კაცმა როგორ არ დამიშაღეთო. დიად
20 მოწყალე კაცი იყო რზა ყული მირზა. ამას დარჩა შვილი შარუხ, რო-
მელიც იბრემ შაჰს უკან ყუენად დასვეს ხორასანს და მერმე მუთაველ-
მა საღრიმ თვალეში დასთხარა.
- ბძანდებოდა მეფე თეიმურაზ ანანურს სამს თვეს, მერმე არჩივეს და
ყუენთან წაბძანება მოინდომა შესახვეწლად, თვარა კლმის კვრა ველარ
25 ამჯობინეს. აიყარა და წამობძანდა ქალაქს, დიად დიდი ხიზანი წამოჰყვა.
მოქალაქე და ქართველნი, რანიც ქალაქიდან ხლებოდენ, ისეც ქალაქს იახლ-
ნენ. დეკანოზი ბიძა ჩემი თავისის შვილებით და სახლეულოთ ჩვენთან იდგა.
ისიც წამოვიდა. მამა ჩემმა შორს დაიჭირა. ბატონი რომ მიბძანდება,
რომ არ აბატოს, კიდეც ინებებს წამოსვლას და სიმაგრეში შემოსვლა-
30 არ გავიგონებ ნადირშაჰისას⁷ და ან პატივებას, მე არსად წავალო.
დავდგეთ იქივ⁸ დუშეთს; ვიყავით, რაც სოფლურს გაძღვინებას შე-
ეფერება. აზნაურშვილები და იქიურნი მსახლობელნი გლეხნი გვაძღე-
ბინებდენ. მამა ჩემმა დაიწყო სიარული და იმერეთს წავიდა; დავრჩი
ამდენის სულით ამ უცხოს ქვეყანაში მარტო. ჩემი შემწე არავინ⁹ ყო-
35 ფილა, ერთი ჩემი ჯავახი ბიჭი მახლდა. ყოვლად ძლიერმან ღმერთმან
თავის მოწყალეობით დამიფარა, მსაგრობდა და მატფობდა და მზრდი-

1. ქისიყი A. 2. სააბიხტერს ამირასლან ხანს A. 3. რამდენიმე + A და სქოლიო-
შია ჩატანილი 15000. 4. სულ <B. 5. უკუ დგომა A 6. არ BC. 7. ნადირ შაისას A.
8. იქვე BC. 9. არავის B.

* 1913 წ. გამოცემულ ტექსტში, მე-14 გვერდზე, შეტდომით სწერია: „ქრისტე-
შობის 8. კორონიკონს 435 (1747 წ.) ნადირ შაჰის წყრომა მოვიდა საქართველოზე“, ხოლო მე-15 გვერდზე აღნიშნულია, რომ ნადირ შაჰი „მოკლეს 435 (1747 წ.) 9 მაისს, — აშკარა შეუსაბამობა.

და; ვწერდი და ვყიდი წვრილმანა¹ წიგნებსა და იქიურნიც დიად² მიწყოზდენ, ღმერთმან მიაგოსთ³ ყოველთავე.

ამავ წელს, აგვისტოს, ჯანდიერ მოსულიყო ქალაქს, ნადირ შაჰს⁴ სიკუდილის დასტურობა მოეტანა; ადილ შაჰს გაეღმწიფება, ქართველ ბატონის ქალი ჰყვანდა ცოლად; ბატონისა და ქართველთ დიდი პატივი და წყალობა და სააკაძე⁵ ზურაბისა ვეჭილობა და სპარსალობა⁶ სრულად ერანსა⁷, ხორასანსა და ადირბეიჯანზე, გივის ამილახორისა ყულარაღასობა და დიდი პატივი.

ყოელმა სულმა გავიხარეთ. მამა ჩემიც გარდმოვიდა იმერეთიღამ და წამოვედით ქალაქს. მე ჩაჩიკაანთ დამპატივეს, ერთს წელიწადს იქ იყო ჩემი კერძობა. მე ხან იქ ვიყავ, ხან აქ ვიყავ. ბატონს დედოფალთან ვიყავ უფროსი ერთი და იქ ვემსახურებოდი⁸ წერით, კითხვით.

ქორანიკონს 436 (1748 წ.) აპრილს, აბდულა ბეგს დაუმარცხდა⁹. ამირ ასლან ხანის ჯარი მოიყვანა, ზოგი ქართველი საბარათაშვილოს კაცნი. მეფემ ერეკლემ დიად ცოტას ჯარით დაუმარცხა, გააქცია და დიდი ალაფი იშოეს. ტფილისის ციხის თათარნი უკუ უდგნენ; * ციხე დაკლიტეს თიბათვეს. ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან და დიდის ცდით ტფილისის ციხე აიღო მეფე ერეკლემ 436 (1748 წ.) ივლისს 22.

ადილ შაჰს დაუმარცხა თავისმა ძმამ, იბრეიმ შაჰმა¹⁰. იქ ქართველი ბატონი და ქართველნი გაიძარცვნენ, თორემ საქონელი ყველას ბევრი¹¹ ჰქონდა. ადილ შაჰ გაიქცა, თერანს¹² მივიდა, დაიჭირეს, მოსცეს და თვალები დასთხარა. იბრემ შაჰ დაჯდა ყენად¹³. ადილ შაჰს თვალეზი დასთხარა. თვითან მობძანდა თავრეზს. იქიღამ ხოჯა წარმოგზავნა, ტყვეები მოკრიფეს. მერმე ჯარი ითხოვა¹⁴, ასი ნოქარი წააყვანინა და მეფე თეიმურაზ გამოუშვა.

მობძანდა, მარა რა სიხარული გავწყობოდა მაშინ დელს ჩვენს სიხარულს; დიდი და პატარა გახარებულნი ვიყავით. იბრემ შაჰ¹⁵ ხორასანისაკენ წავიდა, შარუხ იქ ყენად იჯდა. თოფჩიბაშმა უღალატა. თოფჩიბასაკენ რომ მოვიდა იბრემ შაჰ, ზარბაზნები დაუშინეს, ჯარმა ერთმანეთი ცარცვა. უმტროდ დამარცხდა. მოვიდა ყაზმინს, დაიჭირეს, მოსცეს შარუხს; იმან თვალეზი დასთხარა. ადილ შაჰ ჩააყვანინა თვალდათხრილი. ჯერ ელაბარაკა, ბიძა რატომ მოჰკალო, იმდენი წვრილი ყმაწვილები რად დაჰკოცეო, გაზით კორცი ეგლიჯათ. მერმე ნადირშაის რძალი იყო ნარსულა მიზას ცოლი, ადილშაის დაქ; იმის

1. წვრილმანი BC. 2. ვააგოსთ BC. 3. სააკაძე B. 4. სპარსალობა A, სპალსალარობა BC. 5. ირანსა BC. 6. ვიზანსურბოდი BC. 7. აბდულა ბეგს დაუმარცხდა აპრილს A. 8. შაჰმ A. 9. თურანს BC. 10. ყენად BC. 11. თხოვა B. 12. „იბრემ შაჰ-გულიო“-მდე. A-ს სქოლიოში შეაქვს და ისიც არა თავის ადგილს.

* 1913 წ. გამოცემაში „ამირ ტფილისის თათარი უკუნ უდგნენ“ (16 გვ) უახრობაა. გამოცემაში უადგილო ადგილსაა ჩამატებული ხელნაწერის არშიაზე შეძინებული ადგილები. აღრევა იქამდე მიდის, რომ საკუთარი სახელი ამირ ასლან ხან მექანიკურადაა დანაწევრებული: „ამირ“ ტექსტშია შეტანილი, ხოლო ასლან ხან—იშოეს, სქოლიოშია ჩატანილი. ტექსტის ეს უაღრესად საყურადღებო ადგილი, უკიდურესობამდე დამახინჯებულია და იმ სახით, როგორც ეს 1913 წ. გამოცემაშია წარმოდებული, არაფრის გაგება არ ხერხდება.

- შვილების¹ დაკოცა მოპკონებოდა ადილშისაგან. ის თავისი ძმა ეისე-
 ვა და იტყვიან, ქვაბში მოხარშაო; თვითოს კვილეზე შვილებს მოიგო-
 ნებდა. მეც აგრე დამეწვა გულიო². იბრემ შაჰ დაუმარცხდა. გაფუქ-
 და, მოკულა ისიცა³. C 11 a
- 5 გივი ამილახორი წამობადნებულიყო დიდის დიდებით, დიდის სა-
 ქონლით და ასან მირზა ასის ქართველის ნოქრით თანწამოეტანა. მოვი-
 დნენ მირტაშენს; მე იქ დაგხუდი, ჩემი მომნათლავი ვახტანგ წინ მიე- B 10 b
 გება, მეც იქ მაახლა, დიად ტკბილად მნახა. ჩამოვედით ქალაქს და ლუ-
 თის მოწყალეობამ არ დამავდო, დიად კელის მომართვას და წყალობას
 10 მიქმნიდა⁴ დღითი დღე გივი ამილახორი, რომელსაც შაჰყულიხანს უწო-
 დდენ; ყულარაღასობის სიდიდეში⁵ ეს სახელი დაერთო⁶.
 ბატონებმა დიდის პატივით მიიღეს. მრავალი მთართვა ბატონსაცა
 და სხვათაცა. ცოტას ხანს შემდეგ ქალაქის მოურაობა მისცეს. იყო თა-
 ვისებურის⁷ დიდებით და კეთილის ქცევით. მერმე ქაშოეთი⁸ მოიგონა,
 15 ააშენა⁹. დიდებულის მთავარ-მოწამის გიორგის სახელზე. იქივე შეუძლოდ
 გაკდა და მუნვე მიიცივალა და თავისი განსაგებელი ყოელივე სიცოცხ-
 ლითვე განაგო და აღესრულა. ღმერთმან შეიწყალოს და განუსყენოს.
 დიად დიდებული და პატიოსანი კაცი ბძანდებოდა და ჩემი დიდად
 მობრალული და მწყალობელი, ბანგუას გამო. C 11 b
- 20 მეწება, შვილნო ჩემნო, არა რა სხვისა შემერევა ამა ცხოვრებისა
 ჩემისა წერისათვის, მარა ამბავმა მოიღო ესე ამა პატიოქსნისა კაცისა, A 18
 ვინათგან დასაბამნი ივინი¹⁰ იყვნენ ამ სოფლისა ჩემის გაძღების მი-
 ზეზნი და ქცევისა და წესისა¹¹ მასწავლებლნი¹² და თვით ქმნის (sic) ამ
 საქმის ფერკ შედგმის მიზეზნი; იმისი ამბავი მოკლედ მიგითხარა¹³,
 25 თორემ კარგა ხანს ბძანდებოდენ და მრავალი კეთილი მოიღეს ჩემზედა¹⁴.
 ესე ანდერძი ჩემი და ცხოვრებისა ჩემისა ცნობა თქვენ, შვილთა
 ჩემთათვის მინდა, ამისთვის რომ ძალითა ქრისტესითა რაც შრომა B 11 a
 დამიცს და რაც ქირი მინახავს ჩემის მამულების შეკრებაზე და სიმარ-
 თლით. შეკრებაზე, არა თუ ან ძალით, ან შილთახით, ან ქრთამით, ან
 30 დაჯაბნით ვისამე ვიმძღავრე, არამედ თვითეულად¹⁵, ნიშნეულად წარ-
 გიწერ ქეშმარიტსა და მოკმარებისა თქვენ იცით.
 სხვისა ცხოვრებისა არა რა მინდა წარმოიგევა, არცა დიდისა და
 არცა მცირისა; ამად რომე, მე ერთი ცოდვილი კაცი და ლიტონი ერის
 კაცი ვარ. რად ვინმე განვიკითხო და რად ვინმე ქების მეტყველ მიწო-
 35 დოს? არა მნებავს. ესე მინებს, რომელ ჩემის დიდის გარჯით და C 12 a
 მრავლის ქირით ნასყიდი მამულები ჩემს შვილებს დაგარჩესთ და თქვენ
 კეთილად მოიხმარებდეთ ეგრეთ, როგორც მნებავს ქვემოთ დაწერად,

1. შვილებს BC. 2. გული B. 3. ისიც B. 4. მიქმნი და BC. 5. სიდიდეში B. 6. დარ-
 თთ BC. 7. თვისობის BC. 8. ქაშეთ BC. 9. ააშენი BC. 10. ვინა B. 11. წე-
 რისა C. 12. მასწავლებელი BC. 13. მიგიოხრა BC. 14. ჩემზედ BC. 15. თვითთულად BC.

და ესეცა, რომელ ერთს წილს ჩემთვის გარდაუტყვევებდეთ¹; და შეილნი და შეილისშვილნი ამას ნუ დაივიწყებთ, რომე ერთი წილი ჩემის სულისათვის არ მოიკმარებოდეს, სხვა ყოელი ღმერთმან თქვენ კეთილად მოგაკმაროსთ თუ ჩემის სიტყვის დამჯერებელნი იყენეთ, და რაც ქვე-

5 მორე აღვწერო, იმისი აღმასრულებელნი.

ესენი², რომელ თითოულად აღმიწერია, არა მნებდა ქეშმარიტად, ამისთვის რომე მე ერთი ზეშთა მჩენი გული მქონდა და ზვაფი კაცი ვიყავ. უგუხურებით და თავვედობით, თვარა რა მქონდა საზავებელი, თუ არ ბრალი მრავალი ჩემისა დამბადებელისა და ღუთისა წინაშე და

10 ასე განქიქება³ რომე დავსწერე ჩემის| თავისა და იწროებაში ყოფა და B 11 b მრავალ სიღარიბეში გაზდა და ამისაგან* მარადის დაჩაგვრა გულისა და სპარსთ⁴ შიშით აკლდამებში ორსა და სამს თვეს დამალვა, ისინი ყველა

სარგებელად თქვენდა აღვსწერე, პირველად ამის|თვის რომე, (sic) ისინი A 19

რო-მე მადლობით მივითვალე, ღმერთმან ჩემთვის აწ განაღდევა და C 12 b
 15 ბრწყინვალე დრო მომცა. თუ თქვენც თქვენზედ მოსრულს ჰქირს მადლობით მიითვალავთ, ან ჰქირსა და ან ავად ყოფას და სნეულებას, ღმერთი ისე⁵ განგანათლებსთ, როგორც მე შევიქენ დასაბამი ჩემის სახლის აღ-შენებისა, მამულის შოვნისა და ადგილისა ღ საკელოსა და გვარისა, თქვენც უმეტეს მოგცემსთ.

20 მეორედ ამისთვის აღვწერე, რომე, თქვენ რომ ღუთის მოწყალეებით ამისთანას იწროებაში არ შობილხართ და არც ამისთანას სიღარიბე-ში⁶ დამიზღიხართ, და ამას იქით ღმერთმან იბრუნოს წყალობით თქვენთვის, თქვენ მადლობა უნდა მისცეთ ღმერთსა თაყვანის ცემით, დღეში სამ და ოთხ გზის⁷, რომე პაპა ჩვენი ვინ იყო, მამა ჩვენი
 25 რის სიგლახაკით აღზრდილა, მერმე ამდენს გარჯილა, რომ ჩვენ ასე დაუზღივართ, ეს მამული უშოვნია, ეს საკელო, ეს ადგილი და ეს გვარი; ამაზედ დიდი მადლობა გიღირსთ ღუთისადმი.

და მესამედ ამისთვის რომე, თუ ვინმე[მ] უგუხურებით ინებოს თქმა რასამე ჩემის ნასყიდის მამულებისა, თითოეულად აღმიწერია, რომელი
 30 რომლის დროს, რას ჟამში და როგორ სიმართლით, ქეშმარიტად დი- B 12 a დის ვედრებით მომსყიდველისაგან, თორემ ასეთი კაცი არ ვიყავ, ან C 13 a წამერთმევეინა ვისმესთვისმე, ან ქრთამად გამომერთმევეინა და ან იმისი დამრჩომოდა რამე, ან ბატონისა მიმეცა რამე, ან მამისა, ან დედისა, ან საყდრის შემოსავალი ჩემს ჟამში რამ მრგებოდეს, ღმერთმან ნუ ქმნას,
 35 თორემ ეს ასეთი დრო იყო, ერთი აბაზის საჩივარზედ ქართველ ბატონს სამს არზას მიართმევენ ხოლმე.

მერმე ოთხი მდივანბეგ⁸ ზის მუდამ სამართალში და დღითი დღე მიუწოდენ⁹ მანდატურნი მოჩივართა და ერთხელ მეც მიჩივლებდა ვინმე. და აწ შემდგომმან ცხად ყოს ყოელი დასაწყისით და დაბადებით ჩემით ვიდრე

1. გარდაუტყვევებთ B. 2. ესე B. 3. განქიქებ C. 4. სპარსით BC. 5. ასე BC. 6. სიღარიბეში BC. 7. და ოთხგზას <BC. 8. მიუწოდეს B.

* ABC ხელნაწერებში „ამისაგან“ წერია. ჩვენ ამ სიტყვას ვასწორებთ „ამისაგან“.



აქამდი, რომე ორმოცსა წელიწადსა ვმეწლებობ, ჩემთვის კაცს არ უჩივ-
ლია და ამას იქით ღუთის ნება იყავნ.

5 ||ქორანიკონს 438 (1750 წ.) იოანე ჩემი ძმა დაიბადა. მაშინ ვიყავ A 20
მე წლისა ოცდაორისა და მესამესა ვმეწლებობდი და ვინათვან მსახურე-
ბასა შინა მეფისა და დედოფლისასა ვიყავ¹ მარადის და არლარა იქ-
ნებოდა ჩემი იქილამ წამოსვლა. ჯერეთ ესე იყო, პირველ ჩემი ნასყი-
დობა, რომ ნიკოლაოზ ქავთარისშვილმა კარა სოფელი დამიგირავა, მერმე
მოვალეს დიად შეეწუხებინა. ზალდასტანას შვილისა მართებოდა და დიად
10 უპატიურად ეპყრობოდა², რომ დაქერა და სახლიდამ გამოუშვებლობის
ამბავიც მომივიდა.

ყიზლარაშვილი პაპა გამოეგზავნა, შემომხვეწოდა, ზოგი ემართა, C 13 b
ზოგი კიდევ გამომარ||თვა, მეც სარგებლით ||ოსებ მლუდელისაგან B 12 b
ვისესხე ზოგი და უფროსი ერთი, ღმერთმან განუსვენოს, ბანგუას
ბოძებული ფლურები მქონდა, ის მივეც და ვიყიდე ახალშენი სამი სა-
15 კომლო:^{*} აღესიაშვილი თავისის მამულით, თამაზაშვილი თავისის
მამულით, ისპუას მამული და ქოჩორაშვილი თამაზა, რომელიც ყი-
ზილბაშვი მიყოფობს. ესენი ვიყიდე ამ წელიწადს, ქორანიკონს 439,
ქრისტეს აქეთ 1751, ვიყავ წლისა 24, თვე იყო ნოენბერი 27, სიგელი
მიქელ თეოდოტეს შვილს დამიწერინა; სარლარსა მისკარბაშს და სხვათ
20 მრავალთ დამიბეჭდინა, კაცნი მომბაბარა.

იმ წელიწადს ლალა მე ავიღე, მამული დამრჩა და არის ჩემი, ძა-
ლითა ღუთისათა. მაგრამ ქეშმარიტად დედოფლის ანახანუმისაგან დას-
ტური ვითხოვე:—შენს სახასოს მამულს ვსყიდულობ, რომელიც ამოწყვე-
ტილის³ მანუჩარის შვილის ზაზას მამული ქავთარიანთათვის რომ გიბო-
25 ძებია, ნიკოლაოზს⁴ ახალშენი რგებია და ის ჰყიდის მეთქი. და დედო-
ფალს ებძანა:—გრწამდესო, თუ შაჰყულიხან არ შემოსლოდათ შუა და
უწინ შენ გეთხოვა, შენ მოცემდი, ახლა რადგან სყიდულობ, დასტური
მომიცია, იყიდეო, და მაშინ ვიყიდე. ბანგუას მოცემული თეთრი მიმი-
ცია. სხვა არა⁵ რეულარა და იმისგან მოცემული ფლურები სხვაცა
30 მქონდა, || რომელიც წლითი წლად მესაკმარებოდა დიდად და შემეწოდა C 14 a
და || მიზენი იგა შეიქმნა ჩემისა კეთილად ქცევისა. A 21

ამ წელიწადს მახლო მამა ჩემმა ბატონს დედოფალს. თვითან რომ
ერთი შვილი დაიგულა, მე დედოფალს⁶ მახალა და ნება უფროსლა || ჩემი B 13 a
იყო. ათნასი ტფილელს სწყენოდა და არა ებძანა რა; შემდგომად
35 მიველ, მდაბლად შენდობა მოვითხოვე და შენდობით განმიტევა და კურთ-
ხევა მოიღო ჩემზედ.

ვიყავ ბატონს დედოფალთან და მდივნობის რიგზე ვემსახურებო-
დი⁷. ყოელი წიგნი ჩემგან იწერებოდა, მოკითხვისა, თუ მაგვარი დიდი

1. ვიყავი B. 2. ემყრობოდა B. 3. ამწყვეტილის B. 4. ნიკოლაოზს B. 5. არ B.
6. თვითან რომ ერთი შვილი დაიგულა, მე დედოფალს <BC. (ex homoioteleuto).
7. ვისამხურებოდი BC.
^{*} ამ სიტყვის გასწვრივ A-ში აწიხზე მიწერილია: სახალშენი მიქელ დეკანოსი-
საგან აღიწერა.

სიგელი, თუ რაც ან მეფეს ენებებოდა და ან დედოფალს, მე ვიყავ მწერალი, და ესე იქმნა ჩემდა ცხოვრებად.

439 (1751 წ.) ფებერვალს 11 აგრისზე დაგვიმარცხდა. ამ წელიწადს დაუმარცხდათ ბატონებს ჰაჯი ჩალაბისაგან აგრისს. დიდ მარხვის აღების ღამეები იყო, მცხეთას მიბძანდებოდა¹ დედოფალი. დიღომს რომ მივედით, იქ მოგვივიდა ამბავი.

ქორანიკონს 439, ქრისტეს აქეთ 1751 წ. ფებერვალს, ჩაჩკაშვილის ქალი მომიკულა, მაშინ ვიყავ წლისა 24 და რაღა განვაგრძო ჩემი მქისი ამბავი. ჯერეთ ყმაწვილი ვიყავ და დიდად სოფლის შემსკვალული. ცხენისა, იარაღისა, თოფისა, კმლისა, ტანისამოსის მოყვარული და კელშე-
 10 წვენილი² ამავებისა ყოვლის³ ფერთ. მერმე ეს განჩინება გამოკლა: ან ბერად უხდა ვყოფილიყავ, ან სიკუდილმდე დიაკონად და ან ერის კაცად და მე ამის მეტი არც ერთი შემეძლო. იმ ჟამში, ეშმაკის ბირებით, ჩემმა გონებამ ეს მირჩივა და, ასე⁴ მომიკლა, რომერის კაც⁵ ვიქმენ. ვინ
 15 უწყის, ეგების ბერობაშიაც ჩემი უღებება და გემოთ⁶-მოყვარება არ მომეკლო და ანგელოზთ⁷ სახე შემეგინებინა⁷ და უძვირესი სასჯელი მომე-
 18 გო თავისა ჩემისათვის. მცირეს ხანს ანტონი კათალიკოსი მიწერებოდა, მერმე მანც შენდობა მოიღო, და ვიყავ მეფეთ მსახურებაში მდივნობის რიგზე წერთ, კითხვით, თვინიერ სამართლისა და სამდივნოს სარგოსა,
 20 შიგნით რაც საწერო და საკითხავი იყო, მე აღვასრულებდი.

გარჩნა საშინელი და ზარის საკდელი ამბავი ჯერეთაც ცოდვისა
 ჩემისა განუშორებლობამან, ხედავ, ვითარ მსუბუქად აღმაწერინა⁸; დიდება შენდა, ღმერთო, რომელ ესეოდენ სულ გრძელ იქმენ ჩემზედა, რამეთუ მსახური წმინდისა ეკლესიისა, ვიქმენ მსახურ ცხენისა, იარაღ-
 25 სა, თოფისა, კმლისა და სხვისა და სხვისა საწუთოსა საქმისა განფრდილებისა; ამისთვის რომე სულ გრძელ იქმენ, რა მიგაგო⁹ შენ, ღმერთო
 ჩემო, გარჩნა მადლობა და თაყვანის ცემა, ძვირ უკსენებელობათა შენთა.

მომართმიდა გონება მონაზონებასა, გარჩნა რა წარვედგ საქმედ, დამიძძიმდა და ესე უწყოდეთ: სიტყვით და აზრით ყოელი ითქმის, მაგრამ, რა საქმე მიაღებდა, იქ არის კაცობა. ესე კმა გეყოსთ.

ქრისტეს აქეთ 1753, ქორანიკონს 441, ამ წელს ვიყავ წლისა ოცდახუთისა. ვემსახურებოდი პალატსა მეფისასა. უწყის სახიერებამან, ღუთისამან, შვილნო ჩემნო, ეგოდენ¹⁰ ჟამს ვემსახურე¹¹, არცა სადა¹² თვალ ბოროტება მიქმნიეს ჩემის კელმწიფისა სახლსა შინა, შიმუწვართა
 35 თანა თუ უმცირესთა¹³ მათთა, არც ლაღვა მიყოფიეს და შექოთი, პა-
 ტრონისა ჩემისა¹⁴ სახლსა შინა. არცა ბატონისათვის ენა ვისიმე მიმიტანია, არცა ბატონისა საიდუმლო სხვისათვის მითხრობია, კეშმარიტად გრწმენეს, არცა რა ბატონის დასაკლები რამ მიწერთია გულსა ჩემსა, არცა დავმთვრალვარ¹⁵ ბატონის ჩემის სახლში, ან მეჯლისში,

1. მიბძანებოდა B. 2. ხელშეწვენილი BC. 3. ყოვლის B. 4. ისე BC. 5. კაცად BC. 6. გამოთ B. 7. შემეგინებინა B. 8. აღმაწერია BC. 9. რა მიგაგოთ A. 10. ამოდუნს BC. 11. ვემსახურე B. 12. არც ასადა B. 13. იმცირესთა BC. 14. ჩემისა < B. 15. დავთრალვარ B.

არცა სხვაგან და ჩემს სახლშიც არ მახსომს, რომ დავმთვრალიყო, ან ბატონებს ჩემს და ჩემს ამხანაგს მთვრალი ვენახო; არცაეის თავდებად დავდგომივარ და არც ჩემს ჟამში ყუმბარი მითამაშია თეთრზედ.

- ვიყავ მყუდროდ, უშფოთველად და იტყოდა კაცი, ამპარტაყანი C 15 b
- 5 არისო, და ვიყავცა ქეშმარიტად. მარა მე გული ასე მეტყოდა, დაღათუ¹ ეშმაკის ბირება არს, შენთვის იყავ, ცრუს სიტყვას ნუ მიჰყუები, უბრალოს კაცს კმას რად გასცემ, ჩხუბი არ მოგივიდეს. ცუდს კაცსესე სჭირს, თუ საჩხუბრად კაცი იშოვა, დიდი დიდება ჰგონია² თავისა თვისი სათვის. A 23
- 10 და ეგრეც არ ვიყავ, რომ მცირედი წერილიც არ მსხოვნებოდა, და თითქმის ეს უფრო, რომ სამეფო სჯული, დაიდ ვრცელად ისმინებოდა მაშინ ქართველთაგან: ბატონის სამსახური, ბატონის სასახლეში ყოფა როგორც ეკლესიაში, ბატონის საიდუმლო, ვითაც აღსარება და ამას დღითი დღე განგვიახლებდენ ყოელნი მოხუცებულნი
- 15 უმეცარნი წერილისანი, რომელთაც ძველთა მეფეთა მსახურებასა შინა ესწავათ ესე ვითარნი სჯულნი, და არა არს ბოროტ უკეთუ სხვაცა შესძინა, რაჲცა საკმარ არს წერილთა, მეცნიერთა კაცთაგან წერილთა B 14 b
გამოძიებითა.
- ესე ვითარნი რა ქცევანი მოვიგენ, ძალითა ქრისტესითა და
- 20 ხედვედენ მეფე, ღუთის მოყვარე და დედოფალი, უფროსლა გამომეძიებელი საქმეთა ჩემთა და განმხილველი, იცოდენ რომე, წელიწადი ასე წარივლიდა, ერთის თუმნისა ჩემს სახელზედ არა ბოძებულ იყო რა და G 16 a
არა მომეცემოდა რა. ცხენისა, კაცისა და თვით ჩემი ხარჯი, ყოელივე³ ჩემი იყო. მიბძანებდენ პატივით შეწყნარებასა და სარჩოს ბოძებისა
- 25 გამორჩევასა.
- მე სადედოფლოს მდივნობის თხოვა აღვირჩიე, ამისათვის რომე მყუდროებით ყოფა აღმერჩია დღეთა ჩემთა მრავალსა შფოთსა შინა ყოფასა. ეცადნენ, მარა ყარან მდივანმა დიად თავს გამოიდვა, მოხუცებული კაცი იყო, პატივს სდებდენ. ძალით კი ვერ წაართვეს და
- 30 მოიკიჟული მიუგზავნა დედოფალმა, პაპის ჩემის წილს⁴ მდივნობას ამას მიეცემ, შენ რა გრჯისო; დიად შემოხვეწოდა და შემოვედროდა, რომ მდივნობა შანაოზ მეფის შვილებმა გამიყვეს⁵ თქვენ ნულარ გამიყოფთო; მოლარეთ ხუცობა თქვენს ბიძას გივს ჰქონდა, ის უბოძეთო. ეს რომ მეფეს სმენოდა, დიად ამებოდა, რომ იესეს თუ სახელს დეარქმევ და
- 35 იმ სახელით ამ ქვეყანაში დავაყენებ, სარჩოსი მე ვიციო. ზაქარია⁶ მოძღვარი ებოძებინათ და ანასტისია და მოლარეთ ხუცობა ებოძათ.
- მე მაშინ გივის ამილახორის უკითხავი არა შემეძლო რა. რა მეფეთ სამ- C 16 b
სახურს მოვრჩებოდი, ცოლი არა მყევანდა, შვილი და იქ იმათთან ვიყავ B 15 a
დღე და ღამე. გივმა ამილახორმა და ბანგუამ უფრო შორს დაიჭირეს. A 24

¹. დაღათუმც B. ². ჰქონი B. ³. ყოველივე BC. ⁴. წილის B. ⁵. გამიყვესო BC. ⁶. ზაქარი BC.

დედოფლის მოლარეთ ხუცობა მაგდენი არა არისრა და მუახლეებში
 ყოფა და იმათი სალაროში შემოსვლა და მოლარობა, დიად არ ინება.
 ასე მიბძანა:—ჩემს სალაროში შედი, ჩემი თეთრი გამოიტანე, და-
 ხარჯე რამდენიც გინდა და მართებული სახელო იშოვეო. ამათის ბძა-
 5 ნებით მოძღვრის პირით უარი მოვახსენე. მერმე საკუთრად მეფეს ებ-
 ძანა:—სახელი ეს დაირქვი და მე ვიცი როგორც გაგაძღვინებო.
 მოძღვარმა და ანასტასიამ ამილახორთან აღარ მიმიშვეს, წამიყვანეს და
 მეუკლს მაკონცინეს¹. არ მინდოდა ქეშმარიტად და ის დღე დაიწყევოს,
 რა ბოროტის მომატყუებელი წყალობა იყო. ხალათი მიბოძეს. მიველ,
 10 ამილახორი სადილად ბძანდებოდა. რომ შეველ და მოვახსენე:—“არ მო-
 მეშენეს, დავმორჩილდი, თაყვანის ვეც ამილბარად“, ქეშმარიტად ასე
 იყო, ბძანა:—შენისთანას ყმაწვილს აგრე მოატყუებნო.
 მომცეს კლიტე ზანდუკისა და მომაბარეს თუ რამ მოლარეთ ხუც-
 15 ის მოსაბარებელი იყო; სადედოფლო, საქალო იარაღი, ყველა უნდა დე-
 დაკაცს მოლარეს ებაროს და სხვა რაც ან დაუჭრელი ფარჩა ან მძიმე
 იარაღი ცხენისა, ან თეთრი, ან ფლური, ან სხვა რამ შემოსავალი, C 17 a
 ყველა მოლარეთ ხუცესს ებარება. და შიგნით სალაროს კარის კლიტე,
 რომელიც მუახლე მოლარე არის, იმას ებარა. მაშინ იყო მოლარედ
 თვალსამოთხისა გამდელი. ყოელსა ეამსა მართებულად ვემსახურებოდი²
 20 და შემოსავალი არა მქონდა-რა. აღარცარა გვიმა ამილახორმა მიბოძა B 15 b
 ამ დღეს უკან და ვიყავ მმადლობელი ლუთისა.
 ქორანიკონს 443 (1755 წ.) ვიყავ წლისა ოცდა შვიდისა. წინ ვე-
 ნაკი ვიყიდე ისე, რომ პირველ სულხან მდივანს ეყიდა რომელიმე ზა-
 25 ზუნაშვილისაგან მისი წილი, რომელიმე თაყაშვილისაგან მისი წილი, A 25
 რომელიმე გურიელისაგან, რომელიც ზაზუნაშვილის მამულზედ⁴ იდგა,
 და რომელიმე გლეხთაგან. სულხან მდივნის ჯალაბს საქმე ვასჭირებო-
 და, ჩამოვიდა, სიგლები ჩამომიტანა ქეშმარიტად ორჯერ და მომასყიდა.
 მე უთხარ:—ლოლოვენელს ბერუას ვკითხავ და ვიყიდი მეთქი⁵. ბერუას
 30 ვკითხე, დიად მიქო და მომიწონა, წავიდა და თვითან იყიდა, მერმე მე
 მომყიდა, ის სიგლებიც კელთ მომცა. სტეფანე კოტეტისშვილს სიგელი
 თვითან და იმისმა ძმებმა დამიწერიენეს და ჩემი არის ძალითა⁶ ქრის-
 ტესითა⁷. ერთი ვენაკი და ცოტა რამ მიწები ლოლოვენელის ბერუასი
 არის, ლარაძე დავითისაგან მისყიდული, სხვა ჩემი არის, ნახევარი სა- C 17 b
 კომლო იქნება ჯავახიშვილისა. ეს გლეხი ს[ა]მიშვილისა⁸ იყო. მოვესწარ⁹.
 35 ქორანიკონს 443, ქრისტეს აქეთ 1755 წ. ქრისტეს შობის თვეს 10
 ინებეს მეფემან და¹⁰ დედოფალმან, და მიბძანეს მეუღლის მოძიება, და

5120

1. ამ სიტყვის გასწვრივ A ხელნაწერში აშიაზე არსებული მინაწერი: ქორანიკონს 441 (1753 წ.) გიორგობის 2 [ვიყავ] წლისა 25, B -ს არ შემოუნახავს. 2. ვემსახურებოდი BC. 3. ასე BC. 4. მამულზედა BC. 5. მეთქი < BC. 6. ძალითა bis C. 7. ამისი სიგელი კოტეტის შვილის სტეფანესაგან აღიწერა A-ში სქოლიოშია ჩატანილი. 8. რამიშვილისა A. 9. ქორწილი + BC. 10. და < BC.



ლუთის ნება იქმნა, აფხაზის-შვილის დავითის ქალი მითხოვს¹, რომელიც² ქისიყის მოურავის ქალთან მისცემოდა. მაშინ ვიყავ წლისა ოცდაშვიდისა. გავგზავნეთ საქორწილო და ამ ჟამს ეკლესიამან შეგვაუღლნა³ B 16 a
შენდობითა საქართველოს პატრიარქისა და ეპისკოპოსთა⁴ და მოძღ-
ვართა⁵ ჩვენთათა⁶ და ამავე თვეს იქმნა კათალიკოზის ანტონისზე შეკ-
რება მლუდელთმთავართა⁷.

ქორანიკონს 445 (1757 წ.) ვიყავ⁸ რა წლისა ოც და ცხრისა, ვიყიდე ხუდავერდა, ასე რომ აიდარასი ყოფილიყო, აიდარამ⁹ უჩივლა და სამართალში ორი თუმანი დაადევს. ეს ორი თუმანი მე მივეც და ნასყიდობის წიგნი მომცა. მერმე მეფესთან მიჩივლეს ციხელებმა, ბატონმაც მიბოძა და ოქმი მიბოძა და ჩემი ყმა არის, ერთი იაბო მომცა, მართალია, და იმავე დღეს ოლეგებმა მოიტაცეს. ეს სამართალი არ არის, მარა პირველ მე ვიყიდე, მერმე ის სამსახურში მომართვა, მეც ეს მიქნია, რომ, იმ დღიდან აქამდე ერთი შაური არსად გავსვლია, არც ბატონის ხარჯი, არც ჩემი, ერთი¹⁰ ძღვენი აღდგომას მომართვეს, ერთი შობას.

ესენი რა ესრეთ იქმნა ყოელი, აწ გაუწყო, თქვენ, შვილნო ჩემნო, თუ რა ქმნა ეშმაკმან ჩემ შორის. მამა ჩემი იყო და ბიძა ჩემები მლუდელნი წმინდისა ეკლესიისა¹¹, მარადის მღვიძარენი მსახურებასა წმინდისა ეკლესიისა და მლუდელობისასა განკრძალულნი სასუფეველისა მიმსგავსებულსა ეკლესიისა შინა¹². და შევბულნი დღითი დღედ ანგელოზთ მსგავსითი¹³ ცხოვრებითა ცხოვრებულნი, წვრთილნი¹⁴ მეცნიერებითა საფილასოფოსათა¹⁵ და საეკლესიოთა წერილობათა და მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებლობითა¹⁶; ამას თანა ადრე მსერებელნი¹⁷ სერისა, ვითარ წირვის შემდგომად ტერფი არლარა წარადგიან, და ადრე მიძინებელნი და ადრე აღდგომადნი და ეგრეთვე ბინდსა ოდენ ღამისასა სანთლის აღნთების ჟამს მიიღიან და ლოცვასა მათსა ჟამზედან აღასრულებდენ და ესრეთ სამლოდ მოქალაქობდენ მუნ განწყევ- B 16 b
ბადნი, სადაცა აბრაჰამ¹⁸. აწ იუწყეთ, ვითარ განრემზომ იქმნა ცხოვრება ჩემი ამათ ღუთივ და ცულთა კრებულთა.

ხოლო მე უბადრუკი, მძრწოლარე პალატასა მეფისასა, ვიდრე მეფე შემოვიდის სადილობად, მუნ განწყესებულთა ჩემთა მსახურებათა მოქმედი, და ესე იქმნის კერძო დღე და ზოგჯერ მწუხრის ჟამს. და მრავალ ჯერ იქმნებოდა სადილიც არ მიმელო და ეგრეთვე კერძო ღამე წარვლიდის¹⁹, ოდესცა მეფე ვახშამსა ბძანებდის, და თუ წარმოვიდი, მაშინ წარმოვიდი. მარა უფროსჯერ ან ღამის მკუმილაფი ვიყვი მეფისა პალატისასა, გარნა²⁰ მეფისა და ანუ კერძო ღამე მაშინც არ განმეთივა, არ იქნებოდა და რომ მოვიდი სადგომს, ძილით აღდგიან და შე-

1. მითხოვს BC. 2. რომელიცა BC. 3. შეგვაუღლნა B. 4. ეპისკოპოსთან B. 5. მოძღვართა B. 6. ჩემთათა B. 7. მლუდელთა მთავართა BC. 8. ვიყავ-ს წინ „ქ“ უძღვის BC. 9. აიდარამ B. 10. შაური + B. 11. ეკლესიისანი AC. 12. შა BC (უქარაგმოდ). 13. მსგავსისათა BC. 14. წვრთილნი B. 15. საფილი ოფოსათა B. 16. შემკრებლობითა B. 17. მსრებელნი B. 18. აბრაჰამ B. 19. წარივიდის A. 20. პალატისა არა განა B(.



წუხლიან და ვახშმისათვის ჩემისა იზრუნიან და ამასთან ცხენთა მოურყუნელი
 ნე, ძალღთა და საეროთა ქცევათა და მსახურთა ცხენისა და კაცისათა
 მექონე¹ და ყოელი² აჭირვებდათ.

ვედარ ვამჯობინეთ და მამის ჩემის ნებით წარველ და სომხის
 5 სახლში დავდეგ. გარნა არცა რა სანოვაგე, არცა რა ამითი შემოსავლისა
 რაჲმე ნაწილი; არცა ქვეშაგები, არცა ზედ სახურავი. არცა მონა, არცა
 მკვეალი, არცა რა ერთის შაურის დანათესები ჩემისა³ მამისა და დედისა
 არა წარმილია რა. წარველ⁴, სადაცა მსგავსნი ჩემნი მეფისა მოკელენი^{B 17 a}
 მკვიდრობდენ⁵, იქ დავემკვიდრე და ღმერთმან არა სადა დამიტევა⁶
 10 მე და არცა მომაგო მე ცოდვათა ჩემთაებრ.

მიკმდა, შვილნო ჩემნო, დალტობა ცრემლითა წილთა ჩემთა ესეც^{19 a}
 ვითარისა ცხოვრებისა ჩემისა სასმენელად თქვენდა წერისათვის, გარნა
 არცა გაკლნ⁷, ცხოვრებამან თქვენმან⁸, მოვილო რა გონებად საქმენი
 ჩემნი: პირველად ვიყავი მსახური⁹ ეკლესიისა და შემდგომად დაუტევე
 15 იგი. დადაცათუ მიზნნი მაქნდეს, გარნა რა სასიტყველ არს. მერმე
 დაუტევენ მშობელნი, დიდებისათვის ჩემისა და წარველ სადაცა მეფეთა
 განწესებანი იყვნენ. ვიქმენ მოღარეთ უხუცეს და მათსა განწე-
 სებასა ვყოფდი, გარნა თავსა ვეტყოდი:—დედოფლის მოღარეთ ხუცო-
 ბით შვილთა ჩემთა სამკვიდრებელსა ვერ დაუშვკვიდრებ, სამკვიდრო სა-
 20 კელო არ არის. მდივნობა არის ქართლში სამკვიდროდ განწესებული
 სახელო, თუ ის არ მოუშოვე შვილთა ჩემთა, ვერ განვისვენებ; და შიგნით
 ჰარამში ცხოვრებაც მეჯავრებოდა, უწყის სახიერმან ღმერთმან. ვხე-
 დევედი ჩემს თავს, მამული არა მქონდა რა და მოვიგონებდი, შვილნი
 ჩემნი წყევით ამავსებენ, სიონილამ მოგვშალა და არცა რა სასიცოცხ-
 25 ლო აქ განგვიწყნაო.

ესოდენი¹⁰ ტანჯვა უქმენ თავსა ჩემსა ღლეთა ჩემთა, რომელ ამა^{11 B 17 b}
 საზომსა მოვიწიე, რომლის ბრალეულება ქედისაგან ჩემისა აღმილიეს^{C 19 b}
 და შვილთა ჩემთათვის დამიტევებიეს, უკეთუ ვიდრე უკანასკნელად აღ-
 მოფშინვამდე და სოფლის დასასრულამდე კურთხეით კსენებასა ჩემსა
 30 არა ჰყოფენ და ჰირნახულისაგან ჩემისა განსჯულებისაებრ ჩემისა, სული-
 სა ჩემისათვის, რომელ სამე ნაწილისა არა წარაგებენ გლახაკთა ზედა ზღ
 მსხვერპლისა შეწირვასა ზედა. A 28

დადაცათუ¹² ბრალეულ მყოფენ შვილნი ჩემნი, ესოდენისა თავისა
 ჩემისა¹³ ქენჯნისათვის ზ ეკლესიისა მსახურებისაგან განყენებისათვის,
 35 მაგრა პასუხი მომივიეს, უკეთუ უშვერ რამე ჰყოთ ჩ მდამო სიტყვა.
 თუ¹⁴ ესოდენი სასჯელი არა მიმიელო ზ მასეე წესსა ზედან დავ-
 დგინებულთავე, ცხოვრებამან თქვენმან, შვილნო ჩემნო, მცირედ ნაწი-
 ლი დავტოვობოდათ¹⁵ საქართველოში. ოსეს წილის¹⁶ ნახევარი დიად
 მცირე იქნებოდა, რომელიც თვით დიდის იწროებით იმყოფებოდა, სამწყ-
 40 სო ჰქონდა ზ ტფილელის საღთხუცობა¹⁷ ხან ჰქონდა ზ ხან არა.

1. მექნე B. 2. ყოელი B. 3. ჩემისა BC. 4. წარველი A. 5. მკვიდრობენ B. 6. მი-
 ტევა B. 7. გაკლონ A. 8. თქვენგან B. 9. მსახურედ B. 10. „ესოდენს“ წინ „ქ“ უხის B.
 11. ამა საზა + B. 12. „დადაცათუ“-ს „ქ“ უხის წინ B. 13. ჩემისა < B. 14. „თუ“-ს „ქ“
 უხის წინ B. 15. დაგეტეობდათ B. 16. წლის B. 17. საღთხუცობა B.



ვაი ჩემდა, რა ბრალეულობა მოვატყუე¹ თავსა ჩემსა, მისი მკისად² კსენება, მარა, შეიღწრა ჩემნო, საწვრთელად თქვენდა სულსაცა² ჩემსა არა ვრიდებ. შეიგენით, დიდი შრომა დამის³ ჩემს შეიღებ³ ზე ზე ჩემს⁴ მამულზე. B 18 a C 20 a

5 ჰაი ჰაი, ღმერთმან ინებოს, რაც შრომა თქვენზედ დამის, ნაათალი მომიზლოთ.

ვინ იცის ჩემს⁴ მეტმა, რის ყოფით ვიცხოვრებ⁵, რამდენი დღე მშიერმა დავალამე, რამდენი ღამე მღვიძარემ განვათენე⁶ თოვლსა ზე სიცივეში ბატონის სამსახურში უნაბდომა, უსამოსელომა⁷, რომ თქმად მრცხვენის ზე გარეგან ჩემი შეჭირვება არვის უგრძნის. ღმერთო, დიდება შენდა, კურთხეულ ხარ ცხოველს მყოფელო სამებავე, რომელი არა დაუტეობ შენდამი მოღატოლეილა.

10 ქეშმარიტად⁸, თელავს მდევარს დაიძახეს, მე სხვა ცხენი არა მყვანდა, ჯორებში იაბო ეგდო, იმაზე შემსვეს, ბატონი წაბძანებულყო. გაქენება მოვიინდომე, წამოიქცა და ორი კბილი ჩამაგდებინა, მოჰყვა ზე სულ დამცვიედა. ეს აქ არ იყო საწერი, ქორანიკონს 44B (1760 წ.) იყო, მაგრამ ამბავმა მოიტანა, მეფის ერეკლეს ხლებაში მომივიდა ეს განსაცდელი.

15 ქორანიკონს 44B, (1755 წ.) ამასვე წელიწადში⁹ მეფემ თეიმურაზმა⁹ რაზმა თვით გამორჩევით ბძანა, ღმერთმან სასუფეველში განუსვენოს, შემოსავალი არა აქვს რა და ეგების ცხენებიც არის დაარჩინოსო, დილ- B 15 b მის ხსადარობა ზე მელალობა მიბოძა. კარგად გავიწყვე დიღმელნი ზე ჯეროვანს მსახურებას ისინიც ცდილობდენ.

20 გორს სადგომად წაბძანდენ ბატონები, მეც ერთობით იქ ვახლდი. ამ წელიწადს მოკლეს არაგველთ ჯიმშედ ერისთავი, რომაქის შვილი. 25 თვესა¹⁰ 444 (1756 წ.). ამავ წელიწადს მოკლეს მუხრანის ბატონი, კოსტანტინე ლეკთ ღართის კარში, თვესა ოკლონბერს 15. იმ ზამთარ წამოვედით ზე მოვედით ქალაქს ზე მისცეს სალთხუცობის¹¹ ნაიბობა იესე¹² ამილახორის შვილსა.

30 ამავ წელიწადებში, ერთს წელიწადს სუფრაჯობაში მსახურება ინებეს ჩემი და ვემსახურე¹³ სუფრაჯად ზე ერთს წელს შემდგომად ისევე ზურაბ სუფრაჯობდა. არა თუ მოლარეთ ხუცობა ჩამომართვეს¹⁴, არა, მარა კარგად მსახურებისათვის ისიც ვიყავ მცირეს ხანს, სანამდის ზურაბ მოიცილიდა და არაფერი სახელო იყო.

35 წელთა მრიცხველობად არა მცალს მე, არცა ჟამთა ამბავნი შეძიებინ მე, არცა რა სხვა მინდა¹⁵ აქა შემოღებად თვინიერ ამისა, რომელს, ვინათგან დასაბამ ვიქმენ შვილთა ჩამთა სამკვიდრებელისა დაფუძნებად¹⁶, ჯერ¹⁷ არს ძეგლიცა¹⁸ ესე მტკიცე დაუტეო მე, თუ ვითარ მიწყეის B 19 a

1. მოვატყუე A. 2. სულსაცა B. 2. დამის B. 4. ჩემის A. 5. ვცხოვრებ B. 6. განვათენე B. 7. უსამოსელომა BC. 8. სიტყვები: „ქეშმარიტად—განსაცდელი“—მღე სქოლიო-შია ჩატანილი A-ში, ჩვენ BC-ზე დაყრდნობით ტექსტში შეგვაქვს. 9. წელიწადში BC. 10. აქ დატოვებულია ადგილი ერთი სიტყვის ჩასამატებლად AC-ში. 11. სალთხუცების B. 12. ისე B. 13. ვემსახურე BC. 14. ჩამართვეს A. 15. მინდა A. 16. დაბუნებად B. 17. ჯერ BC. 18. ძეგლიცა BC.

მამულებთა ამათ შემოკრება, ვითარ დიდითარე ლუწითა¹, დიდად შრო-
 მითა ღ წარსაგებელი თუ დიდნი არ ყოფილან, მცირისა შოვება ესრეთ C 21 a
 გამჟირვებიან, რომე სიცოცხლის ნახევარი ჟამი, მერწმუნენით, დაუსნე-
 ულებია ღ წარულია. მე არა რა მაქენდა² მაისისა და დედისა ღ რა-
 5 საც თვითო ოროლს თუმანს ვიშოვებდი³, არც თავს მოვაკმარებდი. A 30
 არც სახლსა ღ კერძობას, მაშინვე მამულს ვიყიდდი. ვხედვედი, ვინღა
 იშოიდა ასე მამულსა ღ რაღა დრო მოვა ასეთი, რომ საქართველოში
 ეს მამულეები სასყიდლად ჩაიგდოს კაცმა. თუ ოკრად არა⁴ უყურებდენ,
 ან სასოლალაშვილოს ვინ გაჰყიდის ღ ან კიდევ სხვათა, რომელნიც ნე-
 10 ბითა ლუთისათა მიყიდეს თვით მათის სათნოყოფით ღ მათგან ვედრე-
 ბით, უწყის ღმერთმან ღ დამიმკვიდრებდეს შვილთა ჩემთათვის ღ
 მშვიდობაში მისცესთ ღმერთმან, უკეთუ მეცა მომიზღონ კეთილი-
 სათვის კეთილი და წლითი წლად⁵ შრომილისაგან ჩემისა, ერთს წილს
 ჩემთვისაც წარაგებდენ გლახაკთა ზედა და შეწირვასა უსისხლოსა
 15 მსხვერპლისასა სულისათვის ჩემისა.

და რაოდენ არა მინდეს განვრცომა, მოვა ჟამი, რომე კალმისა აფრა
 თვით მიიძულეხს წერად ამისად. ეჰა გონიერნო, იხილენით, ჩანს, გული
 მაწვევს და მრავლნი ჰირდებულებანი მაქვან ღ მინებს, რათა შვილნი B 19 b
 ჩემნი ხედვიდენ ღ ნაცვალ მაგებდენ მკუღარსა, რომელსა კელნი, მსა. C 21 b
 20 ხურნი შვილთა ჩემთანი⁶, დაკრფილნი მიჰყრიან და გონება, რჩომისა-
 თვის შვილთასა დაუძინებელნი, აწ⁷ მკუღარ ქმნილად მეგულევიან⁸, და
 თვლითა ცრემლიანითა ესე ვითარსა ანდერძსა ვსწერ. ნუ უკვე იხი-
 ლონ შვილთა ჩემთა და შეგეწყალო ღ ნაცვალ მაგონ კეთილთათვის ჩემ-
 თა. დიდება ყოვლად ძლიერსა ღმერთსა, რომელსა აქეს ცხოვრებისა ღ
 25 სიკუდილისა ფლობა. სიკუდილი არად მჩანს, თუ შვილნი ჩემნი კეთილ-
 ნი იქმნებიან ანუ ღმერთთან ღ ან კაცთან, ან ბატონთან ღ ან თავის
 სახლზედ. ღ თუ ცუდი კაცი იქმნებიან და ამდენს შრომილს ასე წამი-
 კდენენ, რომ არც არას მე გამომაყენებენ და არც არას თვითან გამო-
 იყენებენ, ვაი რა ძნელი საფიქრებელია! ასეთი მამული შემომიყრია,
 30 რომ ჩემისთანას კაცს ვაუჰირდებოდა. თუ ღმერთმან წარუმართათ ღ
 ქვეყანა დაუშვიდათ. მაგრამ რატომ უწინ ეს არა ვთქვი, თუ კარგი
 კაცი გამოვიდენ, თავეთი ამხანაგი⁹ ვერავინ აჯოლებსთ. თუ ერთიც
 არის კარგი კაცი გამოვიდა ჩემს შვილებში, თავის¹⁰ ძმებს ის მოუვლის,
 კაცობას არა ჰკადრებს, რომ ან გაეყაროს თავის ძმებსა ღ ან ცუდი A 31
 35 კაცი რომ გამოვიდნენ ძმები, ისინი გასაყრელად ალაპარაკოს. უფრო-
 სი იქნება კარგი კაცი, თუ საშუალი, თუ უმცროსი, ჩემს ანდერძს ალა- C 22 a
 სრულებს, ჩემს წილს ჩემს სულს მოახმარებს¹¹, თავის ძმებს მოუვლის,
 შეინახავს, მართებულად ჩააცმევს, დახურავს მათ ღ მათს¹² კერძობას B 20 a
 კარგად ვააძლებინებს. რომელიც კარის კაცად ვარგა, კარზედ დააყე-
 ნებს, რომელიც შინ სახლის ბატონად ვარგა, შინ დადგება ღ ჩემი ამ-

1. ლუთითა BC. 2. მქონდა B. 3. ვიშოვებდი B. 4. არ C. 5. წილიდ წლად C.
 6. ჩემთან BC. 7. ან BC. 8. მეუღლევიან B. 9. თავეთი ამხანაგი bis ABC-ში. 10. თავისს
 A. 11. ჩემს წილს ჩემს სულს მოახმარებს < BC. 12. მათის C.



დენი ვედრება იმ კარგის კაცისაგან აღსრულდება და ჩემი ვედრება რომლისგანაც აღსრულდება, ჩემი მამაშვილური კურთხევაც მაზედ მივა.

შვილთა გეტყვი, შვილისშვილთა ღ შვილის-შვილის-შვილთა და შვილთა მათთა და ყოელთა ჩამომავალთა ჩემთა. რა ესენი ასე ჰყოთ, ამდენის ჩემის სასჯელისა ღ ქირანახულის მოკმარებას¹ ღუთისაგან დაგიმტკიცებთქვენ, ცოცხალიცა ღ მიცვალებულიცა. მეტყვიან მე შვილნი ღ შვილის შვილნიცა რომელნიმე, ვითარმედ:—მამა იყო ღ წესი იყო ღ რად გვაყვედრებსო², უნდა მამული დაეტევებინა, რა არის³ ესოდენი ყვედრება ჩემი⁴. ვეტყვი მათ:—ძენი ხართ ჩემნი ღ ნაშობნი ჩემნი ღ ქმენით რაოდენიცა რა გრქვა თქვენ, ამისთვის, რომე სანახებთაგან აღვიღე თქვენ ღ ველსა ვრცელსა დაგამკვიდრე თქვენ. მე შევწუხენ ღ თქვენ უზრუნველგავენ, მე განვშიშვლდი ღ თქვენ შეგმოსე⁵, მე მოვიგმიე დღეთა⁶ ჩემთა და თქვენ მოგეც პური ჩემი. თქვენც ისმინეთ ჩემი.

ქორანიკონს 346, ქრისტეს აქეთ 1758 წ. მამა ჩემი დასნეულდა ღ აგვისტოს⁷ 14 მიიცვალა წლისა სამეოცისა. მეფე თეიმურაზ ღ დედოფალი ანახანუმ სამაჩაბლოს ბძანდებოდენ*. მე მამის ჩემის სნეულებისათვის აქ დაერჩი, მერმე რომ შედონდა, ზაქარია ვართაპეტი ბატონებს ახლდა, სხვას ექიმს ვედარავის ენდო, ექიმებმა გაათავეს ღ ნამეტნავად⁸ ერთმა უბრალომ, უცოდინარმა დედაკაცმა დიად ძნელი წამალი დაალევინა ღ იმან უფრო შეაწუხა. გამგზავნა ზაქარია ვართაპეტთან წამლებისათვის. თურმე ლეკის ჯარი უკან მომდევ მე⁹ და მუხრანს მუხებს ქვეშ ჩამოგვედ მარტო, ცხენები ბიჰის კელით გავგზავნე. ლეკი ქსანზე იღვავ; მე რომ მიველ¹⁰, მეორეს დღეს სამი ათასი ლეკი მოუკდა ზემო ქართლს, ქცხილვანს. ბატონებს ჯარი არ ახლდათ, ვერ შეებნენ. ვახტანგის შვილი კიკილა¹¹ მოკლეს, სამი ოთხი სხვა იტანა. ბელადმა თქვა:—გავეცალნეთ, დიდნი კაცნი უჯაროდ არიან, ნამუსი არ არისო. აღის ციხე აიღეს, მრავალი ტყვე წაიყვანეს, არცხლი შეუკიდეს ღ ისე დაწვეს რაც მორჩა ღ მრავალი¹² თავადთა ღ აზნაურთა სალხნი დაკოცეს და წარიტაცეს. გზები აირია, ველარ წამოველ ღ სანამდის მე ჩამოვიდოდი, მიცვლილიყო. ღმერთმან განუსყვენოს სადაცა აბრაჰამის წიაღი აქვს დიდებასა ღ სუფევაში.

|| ამას მამასა ღ უფალსა ჩემსა დაეტევა ანდერძი:—იესე¹⁰ ჩემი შვილი დიდი ხანია ჩემგან გასული არის, მას ჩემთან სამკვიდრებელი არა აქვს ღ თუ მოვა ღ თავის საქონელს შემორთავს ჩემს საქონელთან ღ მასუკან, რაც ერთს ქალს მიეცეს, მასცა მის ოდენი წილი მიეცესო; ოთხი ქალგ მყავს, ერთი ვაჟი ღ ერთი იესე იყოსო; ექვსთავ სწორედ გაიყონ ღ ბაღი ჩემის მიფულისათვის და ჩემთვის დაგვიჭერიაო სამარ-

1. კმარებას C. 2. გვაყვედრებს AB. 3. არს BC. 4. ჩემნიო B. 5. შემოხე B. 6. მეტანავად B. 7. და +BC. 8. და +AB. 9. კიკილა BC. 10. ისე B.
* ამ სიტყვის შემდეგ BC ზელნაწერში იკითხება: «ვიყავ წლისა ოცდაათისა». A-ში ეს სიტყვები არშიაზე ყოფილა მიწერილი და როგორც არა არსებითი, ჩვენც სკოლიოზი ჩავიტანეთ.



ხადო და ვალი მმართველს¹, ქვემო მოედნის დუქნები გაყიდონ ღ მემკვიდრე მისცენო.

მას აქენდა საქონლად სასახლე ღ გაწყობილი საფენით, ჭურჭლით და ყოვლის ფერით გამართული, სამწყსო, ბალი, სალთხუცობა, მდივნობა ტფილელისა. მამულად ჰქონდა მამისდაბა ნასყიდი, ტბის ვენაკი, ღ ზრბითს გამოჩინებულში ორი ვენაკი. მოედანზე, ქვეშ აბანო ღ ზედ ორი დუქანი. აგრევე გარეთუბანს დუქანი და ჩორსოსთან დუქანი.

მე რომ მოველ, ტირილს უკან ანდერძის წიგნი მომიტანეს. მეწყინა, მარა რას ვიქმოდო.

10 მრავალს კაცს ეწყინა, მაგრამ ყოველივე ჩემის უკეთურებისაგან იყო და მას ქალნი უყვარდენ და კეთილადაცა ყო ჭეშმარიტად; რაცა ყო². ღმერთმან მიჰმადლოს კეთილი და სასუფეველში განუსვენოს. ყოელი³ კეთილი მისგან მომენიქა ჭეშმარიტად. საწყალობელმა დედა ჩემმა ზეპირ თქვა, რომ:— იესეს მეთულის მუცელქმულება⁴ ესმაო და

15 თქვაო, თუ ვაჟი იყოს, ჩემთვის შევილად გაზარდეთო და თუ ქალი იყოს, მეც ბევრი მყავსო. ჭეშმარიტად არაფერის სიხარბე არა მქონია, არც მისის მამულისა, არც საქონლისა; მაგრამ რომ მომაგონდებოდენ, შეილნი რომ მომეცნენ⁵, ეგების ერის კაცობა ვერ შეიძლონ და თუ შეიძლეს ეგების ბატონთან ვერ მოაწიონ და სამილუდელს სახელოს და სარჩოს რატომ დაუკარგავ და ან ეგების ინებოს ღმერთმან პირველი იქნება, თუ მეორე, თუ რომელიც სამილუდელოდ უნდა წარდგეს ჩემ წილ და მას რა ექმნებისო.

ამ ფიქრებში ვიყავ და შემჰამდა მე გონება. ვიტყოდი, ვინათგან განუგდიე, განვარდები. მოვიქცი და ვიტყოდი:— არა ჯერ არს წინაღღგომა მშობელთა და ვიყავ იწროებაში. დაუწყნარებლად, გარნა უშფოთველად და მყუდროდ, უწყის ღმერთმან. ავდეგ და დიდის ჭკუის მოძიებით მოუარე ჩემს თავსა და შევილებს. არა მყვანდა შემეწე, არა მყვანდა მრჩეველი, არა რა⁶ თვინიერ მოწყალება ღუთისა, რომელი მარადის შემეწყოდა მე.

30 მე საქონელი არა რა მაქენდა. ახალშენი მქონდა ნასყიდი და წინვენაკი და ამის საფარდო ვალიც მქონდა. ჩემი არც ვალი ინებეს და არც მამული. ავდეგით და ეს საქმე ასე განვაგეთ. ჯერეთ დიდის ვედრებით მოვახსენე დედასა და დებს:— მოვალ თქვენთან, რომელიც შემძლება გმსახურებ, მოგივლი და დამშვიდდით ჩემზედა⁷; მარა არ ინებეს, დიდად შორს ყვეს. მერმე გაყვეს ექვსად ყოელი თავეთი ცხოვრება.

35 მე ეს მინებს, შევილნი ჩემნი უნაწილოდ არ დაშთენ თავეთის პაპის მამულისაგან, თვარა სხვა რა მინდა. მაშინ ვიყავ დიდს იწროებაში, რომ უმეტესი აღარ იქმნება. თეთრი არ მაქენდა; სარჩო მაგდენი არა მაქვს რა, მამული არა მაქვს და შემოსავალი. მოღარეთ ხუცობა მქონდა,

1. მართველს B. 2. ჭეშმარიტად რაცა ყო <BC (ex homoioteleuto). 3. ყოველი BC. 4. მუცელქმულბო B. 5. მიმეცნენ BC. 6. „არა რა“ მეორედბა A. 7. ჩემზე დაო A.

წელიწადში ცხენის ნალს არ ეყოფოდა, დიღმიდამ სულადს ძლიერად შოვიდი ცხენისა და კაცისასა, ეს იყო ჩემი შემოსავალი.

მამა ჩემი სახლიდამ დამარხულიყო და ბალი დედაჩემს ეჭირა. ღუქ-
 ნები ვალისათვის აიღეს მეიღნისა. სახლი ექვსად გაყვეს და მეექვსედი,
 5 ეზოში პაწაწა საწოლი რომ არის, ის მერგო; მაგრამ მითხრეს: — თუ ორის
 ქალის წილს შეიყიდი, შენი საწოლი აიღე და გზას მოგცემთო, თუ არა
 და აქ დადგე, ეზოში რომ საწოლიაო. სამწყსო და სახელოები და ტბისის¹
 ვენახი და გამოჩინებულისა და წიგნები და შესამოსლები იოანესა² და
 მე მოგვცეს საკუთრად. მამისდაბა დააფასეს³ და მე მომყიდეს, ოთხ
 10 თუნად ჩაავდეს. რაც წილი მერგებოდა, ის გაუშვეს და სხვას თეთრს
 თხოვნა დამიწყეს და ესეც⁴ მითხრეს: თუ გინდა სახლის წილი რაც⁵ B 22 b
 გერგო, ეგ საწოლი გაუშვი, კელი აიღეო და თეთრი აღარ გვინდაო. C 24 b

ღმერთმან განუსვენოს კურთხეულს დედაჩემს, ვერც სრულად გან-
 საგდებლად უნდოდი და არც თავის სიახლოეს სამყოფლად ვეხალისე-
 15 ბოდი. მე თეთრი არა მქონდა მიმეცა და ამისმა ფიქრმა გამათავა: ეს
 სახლი რომ მივეცე, ჩემს შვილს სიონიდა⁴ წილი და კერძი სრულად
 დაეკარგება და რა ვქმნა? ვიყავ ამ რჩევაში და ვწუხდი დღე და ღამე.

კვალად სახიერი ღმერთი, რომელი სიყრბით ჩემითგან არა დამი-
 ტევებდა მე, არცა აწ განმეშორა და თეთრის თამასუქი მივეც და სახ-
 20 ლი ვერ მივეც. იყო ის მცირე ოთახი⁵ ჩემს სახელზედ და დიდი იმედი
 მომეცა. ჩემს შვილს რომ გაუჭირდება, მოვა, აქ დადგება და თუ იქ⁶
 იდგება, ან ტფილელი, ან ნათესავნი თავეთის კრებულობისაგან არ გა-
 მოაკეცებნო. ისმინეთ, რა საზარელი ფიქრია. მე სხვაგან სომხის სახლ-
 ში ვიდგე, სახლობა კახეთს თავეთს საშობლოსას იყენენ და თუ რამ
 25 ან მაფრავები იყო, ან საბნები, ან ორბოები, ან ქეჩა, ან სპილენძი, ან A 35
 ვერცხლი, ან ოქრო, ან ზანდუკის იარაღი, მოიტანეს გასაყოფლად.
 მე ჩემი⁷ წილი არ მინდომებია, ყოელივე⁸ ქალებს მიუტევე და წამო- C 25 a
 ველ; სამწყსოს წილი დაედვა ჩემს შვილებს, სასახლისა და სოფელი⁹ კი
 თეთრით ვიყიდე; მადლობა მივეც ღმერთსა, რომ მამის ჩემის შვილო-
 30 ბაში¹⁰ კიდევ ფერკი შევდვი და ვიყავ ჩემთვის.

გამოვიდა ორი თუ სამი თვე. ერთი საკვირველი განსაცდელი მო- B 23 a
 ილო ჩემზედან სოფელმან. ფრანგნი პატრები, რომელნიცა განიყარნენ
 ბძანებითა მეფეთათა და კრებითა, — პატრები¹¹ და წარვიდენ ახალციხეს;
 აქ დაშთომილნი სამწყსონი მათნი, თურმე ევედრნენ დედოფალს ანახა-
 35 ნუმს და მრავლის მირთმევით* დააჯერეს იგი და მისი და[ქ] ანასტასია**,

1. ტფილისის BC. 2. ივანესა A, ივანე BC. 3. დაფასეს B. 4. და + B. 5. ოთხი B.
 6. აქ A. 7. ჩიმი B. 8. ყოელივე AC. 9. საფოელი B. 10. შეიდობაში AB. 11. პატრებ B.

* ამ სიტყვების შემდეგ A ხელნაწერში ჩამატებული ყოფილა «1000 თუმანი»,
 რაც CB ნუსხებში, ტექსტში შეტანილი ტექსტისავე ხელით. 1913 წ. გამოცემა სქოლიო-
 ში შეაქვს (იხ. 35 გვ). ჩვენ ორთვეს სქოლიოში ვთავაზობთ.

** ამ ქამატეს A ხელნაწერი: «100 თუმანი» და ეს რიცხვი 1913 წ. გამოცემით ჩამა-
 ტებული ყოფილა ხელნაწერში. BC-ს მსგავსად პირველის განუსხვავებლად ტექსტში შეაქვს.



რომე საყდარი მოგვეცით, პატრები მოგვევართ და ამდენს მოგვართმევთ[ო].

იგინი მეფეს შეადგენს; მეფემ დიდად სამართლიანი სიტყვა ბძანა: —როგორც კრებით განგვიყრია¹, კრება იქმნეს და თუ იტყვიან, მეც ნებას დავრთაო და ჩემს შვილს მეფეს ერეკლეს მივწერ და შევატყობინებ, ნებას მცემს თუ არაო, მაგრამ არა მგონიაო². იმავე წაშს დაუჭინეს: —წიგნი მისწერე და კრებაც დაიბარეო. ამის დაწერა მიბძანეს. დიდად შევწუხდი, უწყის სახიერმან ღმერთმან, ამისთანაებში გარევა არც მომცროს, არც ახლა არ მიხდან, მერწმუნენით.

იმ ლაპარაკებში თურმე ფარდს უკან ათანასი თარხნის ბერი იქ დგას³, წავიდა, ეს ამბავი ბესარიონს მიუტანა, ბესარიონ გაბაშვილს მოძღვარს ზაქარიას, იმან კათალიკოსს იოსებს. შეიყარნენ⁴ და ბატონს მოაკსენეს:—ამ საქმეს თუ კელს მიჰყოფ, ჩვენ კი გავეცლებითო.

მე არა რა უწყი ჭეშმარიტად. აიღეს და ეს ბრალი მე დამადგეს და მეფის ორგულად აღმიარა დედოფალმან და დიდის წყრომით მიწყრებოდა წარწყმედისათვის ბევრეულთა ოქროთა და ვერცხლთა, ვინათვან არღარა მოსცეს ქრთამად.

ისმინეთ, რასა მომატყეებს უბრალოსა და უაზროსა ჭეშმარიტად; შემასმენს მე მეფესა და ფიცით დაარწმუნებს, თუ მე ძლიერისა ტანჯვითა არა ვიტანჯე, სხვანი მრავალსა ორგულეზსა იქმენ⁵ და მეფეთა არა უჯობნ⁶ ესე ვითარისა საქმისა გამოუძიებლობა. არამედ მეფე თემურაზ, ვინათვან მშვიდ იყო, არცა იგი ქმნა, რომე რისხვა მოელო და გულშიმიმედ ბძანდებოდა. რამდენჯერც⁷ შეეფიცე: შორს დაიქრა, მე შენს მეტისათვის არავისთვის მითქვამსო და რომ გითხარ, გეწყინაო და ამით სარწმუნოა, რომ შენ ჭქმენოცენი; დედოფალმან ბძანის და მეფე არას იტყოდა თვინიერ ამისა:—რომე არას მეშართლებიანო და, ჩემი ხვაშიადი რად გასცესო. მე მაშინ ეს არ ვიცოდი, თუ ათანასისაგან ქმნილ იყო და ვფიცევი და არ ჯეროდენ. გამოკდა ერთი მსგეფსი და დღითი დღე მოველოდი წყრომისა, და მუქარა მარადღე შესმოდა.

ერთს დღეს ებძანა დედოფალსა, სალაროში რახტი იყო, რა იქნაო. მე მოვახსენე:—მანდ არისო. ებძანა:—ჩემს რახტს არ ვიკითხავ⁸; ელსაბედის რახტი სად არისო? მოვახსენე:—მუხრანის ბატონის ცხენი რომ მოერთმიათ⁹ ბატონისათვის, პაწაწას რახტით შეკაზმილი თქვენ რომ მოახსენეთ, თქვენ როგორ იკმარებთ, პაწაწა არის, სირცხვილია ღ ელისაბედისათვის ყმაწვილობაში კარგიაო, აიღევით და იმავე¹⁰ იარაღით ღ უნაგრით იმის გამდელს მიაბარეთ, თავისს საწოლში ჭქონდათ, სალაროში როდის შემოგიტანიათო. ებძანა:—მართალიაო, მაგრამ გამდელი ასე ამბობსო:—გლახას ვათხოვე¹¹ ღ გლახა ამბობსო, მოვიტანე, სალაროს კარი ღია იყო და იქ შევავადეო. მოვახსენე:—მე ერთი ზანდუქი მე-

¹. განგყრია BC. ². მგონია B. ³. იქი დგას A, იქ იდგას BC. ⁴. შეიყარნენ B. ⁵. იქმენ B. ⁶. უმჯობს B. ⁷. რაოდენჯერაც B. ⁸. ვიკითხოვ BC. ⁹. მოერთმათ BC. ¹⁰. ამა B. ¹¹. ვათხოვე BC.

ბარა, თუ იმაში ან თვალი გაკლია, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვერცხლი, ან ფარჩა¹, ის მე მკითხე და სალაროს საქმე ვისაც მისი² კლიტე აბარია, იმას ჰკითხეო.

- ამაზე იასაულები გამოესია, — სთხოვეთ, თუ მოგცესთ ის არის, თუ არა, დაიჭირეთო. მოვიდნენ, მითხრეს: — ბატონის ტუცალი ხარო. რას ვიქმოდნი, ღმერთს მადლობა მივეცე. დაჭერილსავით³ ვიყავი ერთი საათი, წამიყვანეს, იასაულების სახლში დამსვენეს. თუ ვინმე მეგობარი მყვანდნენ, შეწუხდნენ და მეუბნებოდნენ: — რომ გთხოვა, ორს იმდენს მივართმევდი C 26 b და ამას არ მოვიწვედლო. მე კი ვიცი, რის მიზეზით არის ეს ამბავი
- 10 და თქმისაგან მეშინიან, მაგრამ ვიტყვი: სიკუდილი გვეგონა დედოფლისა, დიდად ავად იყო. მეფეს მოგახსენე: — ხვალ და ზევ რომ მკითხოთ B 24 b საქონელი, არა მამარია რა მაგდენი. გლახას სახლში შევიდა, ბძანა, რა დავემართათ, ასე ამბობს, არას ვაძლეო. — დედა ჩემმა, ცხრას თავის⁴ რძალს, ერთს დღეს თავს დახურა თვალით⁵ და მარგალიტით საყბურ სარალუჯიო. ესეც შეიტყო დედოფალმა ჩემგან მოხსენებულად და რა-
15 ლა მეშველებოდა. მერმე კათალიკოსი იოსებ და გაბასშვილი ზაქარია ჩასულიყვნენ; ეთქვათ: — განა არ ვიცით, რაც მიზეზი არისო. მოლარეთ ხუცობა წაერთმევეინა და ებძანა: — გაუშვითო. წამოველ, მარა რაღა⁶ მოგახსენო, ყმაწვილი კაცი თავ მომწონე, და მოთაკილე, ამ საქმეზე შეს-
20 მენილი. დიდად მოგკუდი, რომ უფროსი აღარ იქნებოდა, და იმ დღი-დამ მოკიდებული ორმოცი დღე გავიდა, კარში აღარ გამოვსულვარ, მამის ჩემის სახლში ჩამოველ და ვიჯექ. აიკლეს ჩემი თოფი, კმალი, ბიჭი წამართვეს კარგი მსახური, ელისაბედ ბატონის შვილს აახლეს, წამაკდინეს, გამათავეს. მეფეები⁷ პატარძელის ციხეს აკეთებდნენ,⁸ იქ ბძანდებოდნენ. მიუვიდათ ამბავი, იესე ქურდობაზე დაიჭირესო. მეფემ თეი-
25 მურაზ შორს დაიჭირა: — ჩემის თვალით რომ ვნახო, იმისის გულის ამბავი ვიცი, არ დავიჯერებო. სხვანი ვინცა ვინ ბძანდებოდნენ, ჩემნი მეგობარნი, მრავალთ ეტირათ, თვითან იმ დედოფლის შვილს გლახას, ბევრი ეტირა, აგრევე სხვათ. ამ⁹ ამბავში მეფეს ერეკლეს მოეწერა: —
30 ჩემი ოქროს ხანჯალი რომ დამეკარგა შარშანწინ, ისიც მაგას ექნებაო, უნდა მომცეს, უნდა მომცეს და უნდა მომცესო, — გამოართვითო. მოვიდნენ და თხოვნა დამიწყეს. დედოფალმა ანახანუმ რომ შეიტყო, დიდის ფიცით ბძანა: — მე შეფეცავ მეფეს ერეკლეს, რომ ამან იმისი არა იცოდეს რაო. ყოელს ასნაფს ჰკითხეს, ოქრო ვის მოგყიდათო იესემაო; დი-
35 დება შენდა, ღმერთო, როგორ არ გავსკდი. თხოვნისაგან დასცხრენ, მაგრამ ყაღაღა იყო, ქალაქის გარეთ არა და სიონს გარეთ ვერ გავიდოდი. ნახეთ, მკუღარს გულს რა დავმართება. ვიცი, რომ¹⁰ არცარა პირველ მქონებია დანაშაული, რომლისაც¹¹ მიზეზით რახტი მომიგონეს, არცარა რახტისა ვიცი, და ეს, რასაკვირველია, ჩემს ქაშში თვალით

1. ბარჩა B. 2. მისი <BC. 3. დაჭერილსავით A. 4. თვის C. 5. თვლით AB. 6. მარაღა B. 7. მეფეები B. 8. აკეთებდნენ B. 9. ამ <B. 10. რომ <B. 11. რომელსაც BC.

არ მინახავს. ამ განსაცდელეში ვარ და სიკუდილი ათასჯერ მინდა. გავეკ ავად, ცხელება და ცივება დამაწყებინა, მარა უსაზარლე რა იქნებოდა, ასე გავეკ. ერთს თვეს, რომ სიკუდილს არა მიკლდა¹ რა.

B 25 b

5 ცოლი და შვილი კარდანეკს მყვანან, იმათგან უფრო მრცხენიან, C 26 b
მსახური წამართვეს, იარაღი წამართვეს, ტუცალი ვარ, ავადა ვარ და დღე ყოელ ნასალსა და ავად მოპყრობას მოველი. ყმა თუ რამ მყვანდა, აღარ მომიდგა, ცხენები წაკდენ, გაფუქდენ, ვგდივარ ერთს სახლში, ვიკითხავ წიგნებსა და ვმადლობ ღმერთსა.

10 ამაში ძალი დამატანა ცივებ-ციხელებამ და ქვეშაგებში ჩამავდო, ველარ ავატანე; სამი ოთხი დღე რომ გამოვიდა, და სასიკუდილოდ გარდამდევს, აღსარება მათქმევინეს, მაზიარეს და გამოვესალმე ყველასა ერთი ანდერძის წიგნი დავწერე, მაგრამ რაღა კელს ვყრი¹. ბესარიონ შემოვიდა სანახავად². ისე მკუდარი რომ მნახა, უთხრეს:—პატრების წიგნზე გაუწყრნენო, ამას დააბრალებსო,³ რომ კათალიკოზისა და
15 შენტვის ამას ეთქვასო. ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა დაიკვილა:—თარხნის ბერი გამოგვზანეთ მოსაკითხავად და, ბატონი რომ იესეს ამის დაწერას ჩუმით უბძანებდა, ფარდას უკან იდგა⁴ და ესმოდაო; ირბინა, მე მითხრაო, მე მოძღვარსა და კათალიკოზსაო. აშოროს ღმერთმან, ეს თვალთ არ გვინახავსო⁵. ჩემის თავის გამართლება იყო და ვინ უწყის
20 არავინ ირწმუნოს, აწ კვალად დავიმტკიცებ, თუ ან ის რახტი, ან ის B 26 a ხანჯალი, ან მომეპაროს, ან მპარვის ამხანაგი ვიყო, ან ვიცოდე რამე, ღმერთმან იუდასთან დამსაჯოს და ჯოჯოხეთის მეტი ნურა მომცეს რა, C 27 a და თუ მართალი ვიყო და არა ვიცოდე რა, ღმერთმან თავისის მოწყალებით კურთხევად და წყალობად შემიცვალოს და ჩემს ამდენს მტანჯველს ამ სოფელს და მერმესა მას კეთილი უქმნას და შეუნდოს ყოელივე. ასე დამმარხეთ ასე, საფლავზე ასე დასწერეთო:

A 39

მე ქალაქისა მცირისა ტფილისისა
და ძე მღუდელისა ყოვლად ჩინებულისა,
ძალითად თვტა⁶, გარნა ძლით სიკუდილისა.

30 აწ მეფედ⁶ უნჯთ მცველთ უხუცე კელინად ვალ ოსეს იესე, განწვალულ სულ და კორცად**.

განვემზადე საკუდავად ღ არღარას იმედისა ვარ მსასოებელი. რახასწვილი⁷ მოვიდა და მახარობლად შემოვიდა, ლუთის მოწყალებით ვაყი მიმცემოდა, ჩემი ოსე, ქორანიკონს 447, ფებერვალს 28, ქრისტეს
35 აქეთ 1759 წ.

¹ „ერთი ანდერძის წიგნი დავწერე, მაგრამ რაღა კელს ვყრი“ <BC. ² სანახავად <B. ³ დაუბრალებსო BC. ⁴ იდგან B. ⁵ თვითთა BC. ⁶ „აწ მეფედ“ BC-ში იწყება „ქ“-თ. ⁷ რახისწვილი AB.

* BC აქ უმატებს: «ერთი ანდერძის წიგნი დავწერე, მაგრამ რაღა კელს ვყრი» ეს ის წინადადებაა, რაც ამ ხელნაწერებს ხემათ აკლიათ (იხ. აქვე შენ. 1).
** გალექსილი ადგილი: მე ქალაქისა—და კორცად“ BC პროზადაა თითქო გაგებული და დაწერილია მიყოლებით.

- მიამა მოწყალემა ღუთისა, მაგრამ რას დაანელებს აღტყინებულს საკმილს ერთი მცირე წვეთი. ჩანს, რომ მცირემ ღუთის მოწყალეობის შემობერვამ, ძლიერი ემპლასტრა მიქმნა. მეორეს დღეს ამდენი შევიძელ, იმ მახარობელს ლაპარაკი დაუწყევ, მესამეს დღეს მეფე ერეკლე ქალაქს
- 5 შემობძანდა, გაბაშვილი ზაქარია მისუღიყო, მოესხენებინა:—უბრალო სული იტანჯება, და მიჯერო. მასცა მოწყალეობის სიტყვები ებძანა:—კვი- C 27 b თხო, რა¹ იქნებოდაო; და რაც ეთქვა და ებძანა, უკეთესი ამბავი მომივიდა; აგრეც იქნება, შეწუხებულს ყოელსავე უყოფენ. ამდენი შემადლებინა ამ ამბებმა, რომ წამოვჯეგ², მარა ცივებამ და ცხელებამ არ
- 10 დამავდო, ორიოდ კვირა უკეთობა დამეტყო, მერმე ამჯობინეს საწყალობელმა დედა ჩემმა და ჩემმა სიმამრმა, ცოლისა და პაწაწას შვილის ნახვა იამებო, და წამიყვანეს კახეთს. გზამ³ შემაწუხა. მიველ. დიდად მიამა შვილისა და სახლის ნახვა. მომირეს. ჩემმა⁴ სიდედრმა დიდად თავს შეიდედა. ივნისს მიველ და აგვისტოს 15 მოერჩი ცივებ ცხელებას.
- 15 მას უკან ვნადირობდი, შევექცეოდი. ოკდონბერს მეფე ერეკლე ქისიყს ჩამობძანდა, დავებარებინე, მნახა. დიდად შეგებრალდი⁵ და წყალობის სიტყვებს მიბძანებდა. ღმერთმან განუსვენოს, ბოდბელი იოანე იყო მე- B 27 a ფესთან მომკსენებელი, წყალობა აღმოთქვა, თავისთან ხლება მიბძანა, A 40 ტყუილად წამებულს მეძახდა. სხვას ქვეყანაში არსად გამიშო, მე გავაძლებინებო. ამოველ თელავს, ვიყავ დიდს იწროებაში. იქ კიდევ [ანახანუმ დედოფლის] წიგნი მოსლოდა, იესე შეუწყნარებია და ჩემზე კელი აიღოსო. ისევ კელი აიღეს. ვიყავ ჩემის ხარჯით ორს კვირას, მერმე დასტური ვთხოვე და წაველ ისევ კარდანეკს. ვიყავ მწარედ შეწუხებული, ვიფიქრე- C 28 a ბდი, ამისგანც ასე გავკე და ჩემის სიცოცხლის ბოლო რა არის და ამ
- 25 ქვეყანას რით ვიცოცხლო. ვინადირებდი, ცხენს შევჯდდი, წინა მინდორში ხან კოკობს, ხან ირემს ვსდევდი, მაგრამ ამ ამბავზე ვიყავ შეწუხებული. ამ ქვეყანას დავდგე, რით ვიცოცხლო, ექვსი კომლი კაცი მყავს და ისინიც კახეთს არიან შეუპოვრად ჩემდა, თუ დავიკარგო და სად წავიდეო. მეფე⁶ ერეკლემ ქალაქისაკენ დამართა. ფხოველზე გამოიარა, მეც
- 30 დავიწყევ სიარული; წამოველ, მოველ ტფილისს. ჩემს დედასა და დებს იამათ⁷ ჩემი ნახვა, მაგრამ ორ კვირას.
- იანვარს¹ ჩემი სახლი და შვილი მოვიდნენ, ქალაქს მოვედით, B 27 b მარა არ ვიციოთ, სად მოვედით და რით ვიცოცხლოთ. გარნა ყოველთა⁸ მზდელმან ღმერთმან არ დამავდო. თუ რამ მქონდა, ვყიდდი და ვიზრდებოდი. სამს თვეს ასე გამოვიზარდენით, მათია მემსახურებოდა ყვედრებით ვარეთ და კრავი გაქცეული იყო ჩემის შიშით; მეტეხს იყო. მერმე მე წიგნი მივსწერე და ჩამოვიდა ჩემთან, იყო ათის თორმეტის წლისა. ეს კრავი პაწაწა დარჩა, დედა მამა რომ დაუტყვევდა ღოუბანს. წამოვიყვანე და მე გავხარდე, ოთხის წლისა იქნებოდა, დიდი კირნახუ-

1. რნ < B. 2. წამოვჯეგ BC. 3. გზამა B. 4. ჩემმა A'. 5. შეგებრა ღდი A. 6. მეფემ ერეკლე AB. 7. იამად B. 8. ყოელთა A.

ლიცა | მაქვს იმის გაზდაზე და თუ მე არ წამომეყვანა, ლეკი წაიყვანა და დაიღუპა
 რასა განვავარძო, უფალნო ჩემნო შვილნო, ვით ითქმის ჩემი მწუ-
 ხარება. ცოლისა და შვილის ქალაქში თავს დაწოლა, სარჩოს უქონლობა
 და ეს კიდევ უფრო ძნელი მოსალოდნელობაცა, ანახანუმ დედოფლისა-
 5 გან მარადის წყრომა, მეფისაგან ყურის მოუპყრობლობა, ტფილელისა-
 გან დიდის კრჩხიალით¹ შეუწყნარებლობა:—ჩვენგან წასული ხარო, შენ A 41
 ჩვენთან ნაწილი არა გიძსო. კიდევ შეეხვეწე:—მეჯინიბედ მიმსახურე და
 ერთი ლუკმა პური გამიჩინე, მამის ჩემის სახელოს არა ვლირს ვარ, B 28 a
 ოღონდ აქ ვეგდო და სხვაგან არსად დავიკარგო მეტიქი. დიად დიდად
 10 იწყინა:—ჩვენთან შენ საქმე არა გაქვს, ისევ ბატონებს შეეხვეწე, ისინი
 შეგიწყნარებენ. სამჯერ და ოთხჯერ ამ ყოფით გამომაგდო² და წამო-
 ველ გულმოკლული. შინ შემოვიდი, მხიარულად ვეჩვენი, გარედ გამო-
 ვიდი, კარგად ჩაცმულ დახურვილი ვიყავ, ქურქით, ჩაღილულს ქათი-
 ბით, შალით, მაუღებით და აგრევე ზაფხულ საკადრისის³ ტანისამოსით,
 15 მარა ბოლოსათვის ვზრუნევედი, თორემ უპატიურად არას ღროს არავის
 უნახავარ.

ჭკუაც⁴ ის არის, კაცმა თავისი თავი ხალხს უპატიურად არ
 დაანახოს⁵, თორემ მასუკან აღარა⁶ ეშველება რა. თუ ავად ნახეს, ყველ C 29 a
 რებას აღარ გამოუღევენ. ზოგს სამძიმრის წიგნი დაუწერე, იმით ვაამე⁷,
 20 ზოგს მივართვი რამე, იმით შემეწყნარეს, ზოგნი დღე ყოელ ვნახე და
 ვმსახურე⁸, იმით მოვიმადლე. ავტეხე ხალხი ჩემად შესაწყნარებლად,
 დიად მრავალმა სულმა ურჩივა მეფეს ერეკლეს:—იევი იახელო. მერმე
 ებძანა:—რუსეთს მიბძანდება ბატონი მამა ჩემიო, დუშეთამდის ამოვი-
 დეს, ერთს გზას მივიცემ რასმეო. ერთი კაი ცხენი მყვანდა, ტფილელის
 25 საჯინბოში თოფით მომიკლეს, მეორე სოლალაშვილმა⁹ მანუჩარმა მო-
 მიკლა. ცხენი აღარა მყვანდა, ვიქირავე ერთი ცხენი, ავიღე ერთი სა- B 28 b
 წერელი, ვახსენე ჩემი ღმერთი, პაწაწა კრავი წავიყვანე და წაველ.

მივედით დუშეთს¹⁰, რუსეთის კელმწიფეს არხას სწერენ და სრულად
 რუსეთის დიდროანს კაცებს წიგნსა. რუსთველის იოანეს იმედი აქვსთ,
 30 იმისი კელი ნახეს, ვერ იყო საკადრისი, დაღონებას მიეცნენ. ინება ყო-
 ვლად ძლიერმან ღმერთმან, რომელი არა დაუტეობს დაბადებულთა თვის-
 თა, მიმიწოდეს ჯერ მამო ჩვენო დამაწერინეს, რომლისა მადლმან
 მომცა შეწევნა, მოიწონეს. მერმე კელმწიფის წიგნი, მერმე დიდებულთა
 და დიდად მოიწონეს ბატონებმა და სრულად ქართველთა და კახთა. C 29 b

ბძანა მეფემ ერეკლემ:—კაცს არაფერი არა არგებს რა თავის გაქირებაში
 35 ცოდნის მეტიო, ეს კაცი ამ თავისმა კელიდამ გამომავლობამ არ დააყე-
 ნაო¹¹ ორ თვეს უკან ქალაქს ჩამოვედით. მდივნობის ბოძებისათვის შე-
 უყენე მრავალი სული:—აფხაზეთის კათალიკოსი, იმის დამცრო ან დიდი-
 ან მცირე, დიდი კაცი, ბატონის ნათესავი და სამღუდელო კაცი. ვინ A 42

1. კრჩხილით A. 2. გამაგდო BC. 3. ზაფხულსა კადრისის BC. 4. ჭკუაც B.
 5. დაანახოს B. 6. აღარ AC. 7. ვამე B. 8. იმით შემეწყნარეს, ზოგნი დღე ყოელ ვნახე
 და ვმსახურე <B (ex homoitelluto). 9. სოლოლასშვილმა A. 10. დუშე B. 11. დააყენო C.



აღთვალნეს ჩემნი ქირნი და სასჯელნი, შვიდი თვე ვებვეწე, უსახლოდ¹ და უსახლომა, უსახლომა, უმაჟლომან და უსახელომ. თუ რამ მქონდა, გავყიღ-
 დით, ბაზარზე ვიყიდდით და ესრეთ გამოვიზარდენით შვიდს თვეს და
 დღითი დღე ბატონთან მოციქულობა და ვედრება მქონდა ერთის ლუ-
 5 კმის პურის ქმევისა. ამ ხანებში მამის ჩემის სახლში ვიდგე, მარა გავგე-
 ყარეს და აღარ დაგვაყენეს, დაბლა საწოლი მოგვეცეს, თქვენი წილი-ვგ
 არის, თუნდ¹ იცოცხლეთ, თუნდ დაიკოცენითო. მკათათვის დღეებში
 მოადგის მზე და სიცხით ვიკოცე²ბოდით ბარგიც³ თავს გვეყარა, ხან- C 30 a
 დუკი, კიდობანი, და დიად მცირე ადგილი იყო, ერთი კუთხე ადგილი⁴,
 10 იმაზე მივიცქნაფებოდით, პურს ვჭამდით, რასაც გავყიდდით; დღისით
 წავიდი მე, შუამავლებს ვებვეწებოდი, და ღამით ბინდზე შემოვიპარე-
 ბოდი⁵. შევიდი, პური ვჭამი და დავიძინი. ოსეს ვზღიდით და ის იყო
 ჩვენი იმედი.

სიცხემ⁶ რომ ძალი გვიყო და⁶ არ გავგიკითხეს, მაღლა დასაყენებად
 15 დავიწყებეთ სიარული და ქაშოეთს⁷ გავედით და იქიც⁷ რომ დაბლა ვერ B 29 b
 ვიშოვეთ სადგომი, მაღლა, საყდარზე ვიდევით წმიდათ და შეუმწყალებ-
 ლად. გავყიდდით რასმე და ისე გამოვიზარდენით⁸, ვეცხლის მათრაკი,
 უნაგირის თასი, იქ დავაშლევინეთ.

ერთს დღეს ასეთი ქარი და მტვერი ადგა, რომ კინდამ ოსე და-
 20 მერჩო, მერმე შემოვედით ქალაქს; რომ აცოვდა და სხვაგან სადგომი⁹
 რომ ვერ ვიშოვეთ, ნათლის მცემლის საყდრის წინ რომ სენაკია, იქ
 დავდეგით. ვიყავით იწროებაში. იქ ოსე ავად გამიკდა, წლისა და ნა-
 ხევრისა იყო და მოუნათლავი მყვანდა. იმ ღამეს კრავს მოვანათლევინეთ;
 25 ღმერთმან ინება და ნათლისღების მადლმა¹⁰ მოარჩინა. იმ ღამეს ერთი
 ჩემის ყმის ცოლი იყო ჩემი შვილის მომვლელი და მეორეს დღეს, სამუქ- A 43
 ფოთ¹¹ კახეთს წასვლის¹² დასტური მთხოვა და წავიდა. ამ იწროებაში¹³
 რომ¹⁴ ვიყავით, ბატონს ებძანა -გაბაშვილის ზაქარია მოძღუორის პირით, C 30 a
 დიდად ირჯებოდა ჩემთვის, აგრევე დიმიტრი მღუღელ მონაზონი, —
 რომ მდივნობას მივცემო.

30 ოქტონბერს 9 მიმიწოდეს და მუკლს მაკოცინა მდივნობაზე. ქო- B 30 a
 რანიკონს 448 (1760 წ.), დღესა იაკობ აღფესისასა. გავიხარე, მიამა
 ლუთისა და ბატონის წყალობა ჩემზე; ტკბილმან და მოწყალემან მეფე-
 მან ესე ქმნა ჩემზედან, ღმერთმან სასუფეველში მიაგოს და კორცთა
 შინა ყოელივე კეთილი მიანიქოს.

35 ერთი კვირა რომ გამოვიდა და ვარ მდივნობის პატივსა, და მოე-
 ლენ მეგობარნი ჩემნი და მოყვასნი და მომილოცვენ, ვითარ¹⁴ წეს არს
 მეფეთა მოწყალეებასა ზედან; ნათლის მცემლის სახლებში ვდგევარ, აი-
 ვანში ვჯდომილვარ, მე ბატონისაკენ წავსულვარ, და ის სახლი მოფე-
 ნილი იყო და სტუმრებისათვის ყალიონი და ყავის ფიალები იდგა.

1. თუნდა BC. 2. მარგიც B. 3. ადგილი <A. 4. შემოვიპარებოდი B. 5. სიცხვე C.
 6. არა არ BC. 7. იქით BC. 8. გამოვიზარდენით. 9. რომ <BC. 10. მადლმან BC. 11. სა-
 მუქაფოდ BC. 12. კახწასვლისეთს A. 13. იწროებაშ BC. 14. ვითარც BC.

- ჩემის უბედურობით ანახანუმ დედოფალს საყდრებში ლოცვე და მოვლა დაუწყია. ნათლის მცემელშიაც შემოსულა. ეს სახლი უნახავს, უკითხავს, შეუტყვია. ღმერთმან შენს¹ მტერს მისცეს, გაჯავრებულა. მიბძანებულა სადგომს, გაუცხელებია, ქვეშაგებად მივარდნილა. უკითხავს რა არის. ანასტასია მისულა ბატონთან: — რაზედ მოჰკლავთ, მეფეს თეიმურაზს რაღას პასუხს გასცემთო, თუ ოსეს შვილს მდივნობას მისცემთ, ეს კი მოკუდებო. ამ სიტყვას ანასტასია დედოფლის მიგზავნით იტყოდა მასუკან და დედოფალი ფიცვედა: — მე არა მიტქვამს რა, ვითან მოიგონაო. ჩემთვის მაშინვე, მეექვსე დღე არის, ნიკოლაოზ მლუდელი ებოძებინა ბატონს: — რა ვქნა, შენი დარჩენა მინდოდა, მარა ეს ამბავი ასე არისო, ან ამასვე შეეხვეწეო და ან შენს სიმამრს შეეხიზნე² ცოტას ხანსაო, ჩემი მდივნობა გაუშვიო. რაღას ვიტყოდი. ვცან, მისნი ქანდაკებულნი იყვნეს; ვიტყვი ძველისა³ მეექვსეობასა და ორლანობასა, გამოვედ დუმილით და ვსცან ყოელი მისგან ქმნილი, რომელიცა მომაგო მე დამან⁴ დედოფლისამან.
- ვიყავ რუდუნებული. ზამთრის პირი შემოვიდა და ყველა საწუხარია ჩემთვის. ამოველ იქილამ ჩემს პატარას ოთახში, აღარა ცხელოდა, მარა სიმჭიდროით სულთ მკდებოდა. ის ზამთარი იქ ვიდევ იწროებაში და სიღარიბეში. ბატონს დედოფალს შეეხვეწე: — ამდენი წყალობა მოიღევ, მდივნობას აღარ ვითხოვ, ოღონდ ბატონს ვახლდე, ერთი მოლაშქრე კაცი მეც ვიყო, სხვა არა მინდა რაო. ებძანა: — მდივნობას კი და-
20
ეხსნას და დიდრონს სახელოსა და ერთი მოლაშქრე კაცი რომ ახლდეს, არას ვინაღლიო. ეს სიტყვა ჩემთვის დიად ძვირად საშოვნელი იყო.
- იუწყეთ, მსმენელნო, სცანით ჩემნი ჭირნი ჟამსა ამას, შეუწონეთ, თუ რა მმართველს ჰკუისა და ღუთის ვედრების მეტი. მივიდი ბატონთან, მაწერინებდის, მაკითხებდის. ქვეშარტი ითქმოდეს, ჩემისთანა მწერალი, მწიგნობარი არავინ ახლდა, მარა მეფე ერეკლე ერთს თვეს ერთს ადგილს არ დადგის, ის მტერი ჰყვანდა, ის ჟამი ჰქონდა, დავიდოდა და თავის საბძანებელს⁵ ისე არიგებდა. მომართვიან და მიბოძიან ერთი ან ფინთი იაბო, ან ჯორო. შევჯდი, საღამომდის მაჯაგჯავის, საღამოს მეჯორებმა წარიყვანიან. არა მევის მსახური, არა მევის⁶ მომვლელი⁷. ხან სიცივესა და ხან სიცხეში უმსახუროდ სიარულმა და ქვეშაგებელ⁸ დაძვირებულმა ვიარე ორი წელიწადი. მაგრამ ორი წელიწადი, შეილნო ჩემნო, ბევრი დღე არის და ბევრი ჭირი მოიწვეის კაცზედა. რა⁹ ვთქვა, ან გზის სიციხე და სიცივე, ან ქალაქში მყოფის სიღარიბე, ან შინ დედისა და დებისაგან¹⁰ უსამართ-
30
ლოდ ჩემზე მოქცევა. უზომოა, შეილნო ჩემნო, გამოუთქმელია, სასურველნო ჩემნო, და დაუჯერებელნია, საყვარელნო ჩემნო, რანიცა მე უბა-

1. შენ BC. 2. შეეხიზნეო BC. 3. გველისა. 4. მე და ანან B. 5. სიბძანებელს.

6. მეავს BC. 7. მომვლელი B. 8. ქვეშაგებელი B. ქვეშაგაგებელი C. 9. რადა B.

10. დადგებისაგან A.



დრუკსა ცოდვათა ჩემთა წილ მეხილენეს. ერთს დღეს ლომის ციხე¹ სადილი იამა შეჯდა² და მკათათვეში, ვეფხის ციხეს ჩაბძანდა, უზომო და გამოუთქმელი სიცხე იყო. რომ ჩამოვკედით, სიცხით იქიურონი კაცნი³ A 45
 5 გასცლოდნ და ერთს კვეში ჩავცვიდით. ასე გულს შემომიყარა, რომ⁴ 32 a
 თუ ერთი მღუღელი არ მომსწრებოდა⁵ და წყალი არ⁶ მოეტანა, უცი-
 ლოდ მოკვუდებოდი.

აგრევე სიცივეში უმომსახუროდ სიარულით გავთავდი. ორი წელი-
 წადი ამ ყოფით ვიარე, ვახლდი, ღმერთმან განადიდოს მისი სახელი,
 თვალ ყური ეჭირა, იმედს მიბძანებდა, ვწერდი, ვიკითხედი, მარა შე-
 10 მოსავალი არა მქონდა რა, ვიყავ იწროებაში და გავყიდი თუ რამ
 მქონდა და ეგრედ ვრჩებოდი. ველარ დავედე მამის ჩემის⁷ სახლში მუ-
 დამ შფოთისაგან და სასაცილოდ აგდებისაგან; ავდეგ, გალაენის სე- B 32 a
 ნაკებში დავედე, ხარაბასა და დაქუეულში. ხუთი, თუ ექვსი თვე ასე ვი-
 დეგ რომ, წვიმა რომ მოვიდის, აივისის ხოლმე. მცირე კიბე ვიშოვე, მივ-
 15 დგი და დავიარებოდი⁸. შფოთსა და სასაცილოს აგდებას რომ მოვრ-
 ჩი და ყური მოვარიდე, ღმერთს მადლობა მივეც. ამ სიღარიბეში შე-
 მომიკვეთეს⁹: მამის დაბის თეთრი უნდა მოვცეო. რას ვიტყოდი, ჩემის
 სახლის ტოლომა გამოვიტანე, გავყიდე და მივეც. სიგელზედ მომიწერეს
 და მომიყიდეს მეორედ მამის დაბა სოფელი თავისის გლეხებით და სა-
 20 კუთრად ჩემი არის. ამ გაჭირებაში ასე მიყიდა აგვისტოს 12, ქორა-
 ნიკონს 448 (1760 წ.). ძველი და ახალი სიგელები მომცეს კელთა, მო-
 წმეებით წიგნი დამიწერეს და გარდასწყვიტეს.

კახეთს წაბძანდა ბატონი. იქ ერთი ჩემი გლეხი მოეკლა კაცსა,
 აღვსიაშვილი, იმ მკულელმა ერთი კუბიანი ძროხა მომართვა, ნუ მიჩი- C 32 b
 25 ლებო—და ეს ძროხა დიდად შემეწევა, დიდის სასჯელით მოვიყვანე
 ტურის ციხილამ კონდოლს. მერმე კარდანეკამდის ჩემის კელით მეჭი- B 32 b
 რა. ბატონი ველისციხეს ჩაბძანდა; მე⁷, ძროხის მჭირავე, შავ ტყეში
 დავრჩი, ძლივ იმ ღამეს კალაურში გავველ, სიკუდილს ცოტა მიქლდა⁸;
 მერმე კარდანეკს ჩავიყვანე და იქილამ ქალაქს; მაგრამ ჩვენი ნუგეშის
 30 ცემა⁹ ორი წელიწადი, ამ ძროხისაგან იყო, ყმაწვილებს არჩენდა და მო- A 46
 სასახუროს და ვმადლობდით ღმერთსა.

ქეშპართად თუ მირწმენთ, რაც ამ ძროხის წამოყვანაზედ მე ჰირი
 ვნახე, დიდად შემიბრალეობთ. ნებიერად გაზდილი, მკლავი საბლის წვეით
 ასე გამიკდა, რომ მოძრაობა აღარ მქონდა. ჯარს სადლა მივეწეოდი,
 35 შუალამისას შავს ტყეში მარტო მოვიდიოდი; მეურჩოდა ძროხა, არ მომ-
 დევედა და ძალით მოვიზიდედი, კბო ხან დედას მოსდევედა და ხან
 ტყეში შემვივარდებოდა. ქათმის კმობა იყო, კალაურს გამოველ, მაგრამ
 შავ ტყეში დიდი ლეკიანობა იყო, რაც ხე გაიძროდა, ლეკი მეგონის
 და თოფი მზად მქონდა. თუ გაჩენილიყო რამე, ერთი თოფი რას შე-

¹. და <A. ². მომწრებოდა BC. ³. არ <B. ⁴. ჩემის <BC. ⁵. დავიარებოდიო
 BC ⁶. შემომიკვეთეს B. ⁷. და B. ⁸. მიწყ და ABC.

მეწეოდა, || მომკლევდენ. ეს გაჭირება მქონდა, ასე ღარიბი ვიყავ, მაგრამ არც¹ არც დავკარგულვარ, არც² მიქუტრდია, არცა ვისთვის რა³ მომიტაცია, გავირჯებოდი, ასე დავრჩებოდი.

- || ქორანიკონს 449 (1761 წ. *) ღვინობისთვის 8, ბაწაწა ზაზა დაი- C 33 a
- 5 ბადა; კახეთს ბძანდებოდა ბატონი, საგარეჯოს თვალზედ რომ მობძანდა, იქ მახარობელი მომივიდა, ზაქარია მოძღვარს მოეწერა: — ღმერთმან ვაჟი შეილი მოგცაო და სარჩოსათვის ნუ შესწუხდები, ორი ვაჟი გყავს, ვინც კბილნი მოგცა, სარჩოსაც ისივ გიბოძებსო.
- ჩამოვედით ქალაქს, დღე და დღე წავდევ წინ და მემატებოდა
- 10 ღუთის და ბატონის წყალობა⁴; გალანის სენაკებში კარგად გავეწყე, ავაშენე, გავაკეთე, კარგად კელი მოვიწყე. ვიყავით უმეზობლო, უჭირველნი, უტკივარნი, დაცულნი წმინდის ეკლესიისაგან და თვითო-ოროლს⁵ შაურს ვიშოვიდი, ან სიგელს დაუწერდი ვისმე, ან ოქმს, თვარა B 33 b
- 15 შუამავლები მრავლები და ყოვლით კერძო ავტებე ჩემად შესაბრალოდ და ისე ვმსახურებდი⁶, რომ მრავალჯერ ბძანა [მეფემ]: — მე უფროსად მინდა მა- A 47
- გისი გაძღვინება თქვენგან, თუ გზა მომცემდეს და იცოდეს, არ გაუშვებო რომ არ მივცეო.

- ამ გზით ერთი წელიწადი კიდევ ვმსახურე და დავაცალე, მერმე
- 20 დედოფალს შეეხვეწე დარეჯანს, ღმერთმან განამრავლენინ⁶ დღენი მისნი და შეილები უტოცხლენ, დიად მართლის გულისა და წმინდის C 33 b
- სვინდისისა⁷ ბძანდებოდა, გაისარჯა, — შეეხვეწა ბატონს. წყალობა მოი-
დეს ჩემზედა, მარა ჯერარს ქეშმარიტისა წამება, რაც ზაქარია მოძღ-
ვარმა ჩემზედ კეთილი ქმნა, სხვას არვის უყოფია, დიად გაისარჯა,
- 25 არა ათჯერ, ასჯერ⁸ უფრო შეეხვეწა. აგრევე ზოგი რამ მიმიერთვა, ეფ-
რემის წიგნი ჩემი დაწერილი, დიად კარგი საწერელი და ჩინის ლანგა-
რი, ბატონს დედოფალს ერთი შალი მივართვი, სამ თუმნად ვიყიდე, B 34 a
- აგრევე⁹ შიშუნვართა, აგრევე სხვათ გარეშეთა მოაკსენეს, შეეხვეწნენ,
ანახანუმ დედოფალსაც წყენის თავი აღარა ჰქონდა, სანატრელი ჩემი
- 30 კელმწიფე მეფე თეიმურაზ მიცვალებული იყო და მომცეს მდივნობა.

- ქრისტეს აქეთ 1762, ქორანიკონს 450, ქრისტეს შობის 9, მიბო-
ძა მდივნობა მეფისა, ვმადლობდი ღმერთსა და ნავროზამდის სამდივან-
ბეგოს წილი მომცეს, მესამედი მდივნობისა, აგრევე ბრინჯი მომცეს,
რაც მდივნებს გვერგებოდა იმ თვეებში¹⁰ მოვიდა და ოცდა ხუთი ლი-
35 ტრა ბრინჯი მოგუცეს, და ამ¹¹ სამის თვის იჯარების რუსუმი ჩემს
ამხანაგებზედ დარჩა, და აღარ მომცეს.

¹ არ B. ² არცავეისთვისა AC. ³ წყალობა B. ⁴ თვითოროლს BC. ⁵ ასე ვსახუ-
რებდი B. ⁶ გამრავლენინ B. ⁷ სვინდისისა B. ⁸ ასჯერ < B. ⁹ აგრეთვე B. ¹⁰ თვეებში B.
¹¹ ამ < B.

* «ვიყავ წლისა 33» BC ხელნაწერებში ტექსტშია, ხოლო A-ს სქოლიოში აქვს ჩატანილი.



- ღმერთმან განამრავლოს მეფის ერეკლეს დღე და მიაგოს მრავალი კეთილი აქაცა და საუკუნოსაცა; რაც მან ჩემზე მოწყალეობა ქმნა, სხვას ვის უქმნია, ხათრი ჰქონდა დედისა და იცოდა, წყინობდა ჩემს ბატონთან || ყოფასა, მარა უსულით (sic) და გზით ასე მეზურობოდა ამ სამს **B 34 b**
- 5 წელიწადს, რომ არც ის გააჯავრა და არც მე ამ ქვეყნიდამ დასაკარგავად ვემეტებოდი. დიდი მოწყალეობა იყო ჩემზედ, || თორემ თვითანც **C 34 a** იცოდა¹ და მეც ვიცოდი და ყოელმა სულმა, რომ ანახანუმ დედოფალი წყინობდა, მაგრამ არა თუ მის წყენას² არ გაუუთხილდა, იმას ასე უამბობდა:—საცოდავიაო და ვიცი რომ || რუსეთს დაიკარგება, მუდამ მე- **A 48**
- 10 თხოვბაო და ჩვენს ქვეყანას რაღა კაცის დაკლება უნდაო. ასეთებს უამბობდა, რომ იმასვე ათქმევინებდა:—გახლდესო.
- და მე დიდად ვეცადე და არ შემირიგა და რათა არ ვიცი, რას მემართლებოდა. ღმერთმან შეუნდოს და იესო ქრისტემ ყოელი კეთილი მიაგოს, ნაცვლად ბოროტისა მისისა კეთილი უქმნას სახიერმან ღმერთ- **B 35 a**
- 15 მან. რომ მოახსენებდენ:—ქრისტეანენი ვართ, ნუ გყავს ისე, შეირიგეო:—დიდად არა ვარ, შენმა მზემ, უძრახიო, რათ || მამაგონდება სადღაც გდი- **B 35 a** აო, ჩემთან რა საქმე აქვსო, ჩემს სადგომს არ შემოხედოსო, აქეთ არ გაიაროსო, თორემ ავად მოვეპყრობიო. ღმერთმან მიუტეოს, ღმერთმან შეუნდოს.
- 20 დავიწყე მდივნობა. მერმე ებძანა ბატონს:—მესამედი არ მიმიცია, რაც მემ[ე]ტება³, იმას მივცემო, მეოთხედი მდივნობა მიმიციაო; რას ვიქმოდი. მას აქეთ მეოთხედი მდივნობა მაქვს და ვმადლობ ყოვლად ძლიერს ღმერთს, რომელმან არა მტანჯა მე ცოდვათაებრ ჩემთა, ეგრე- **C 34 b**
- 25 თვე მეფისაცა ვარ მმადლოზელი, ვინათგან არა შემინდო მე რუსეთს წარსვლად. ვინ უწყინ, რა მოიწეოდა ჩემდა უცხოსა შინა ქვეყანასა.
- აწ ისმინეთ ამიერთგან, ვითარ მიწყეის: მამულებთა შემოკრება, სახლისა და [სა]დგომის კეთება, სყიდვა, დარჩომა თავისა და შვილთა ჩემთა ზრდა, და მეფისა და ქვეყნის მსახურება და ჯარში სიარული და მო- **B 35 b**
- 30 ლა; ყოელსავე წარვწერ სიმართლით და აღმოცნობისა რ კეთილად კსენებისა თქვენ უწყით, უფალნო ჩემნო.
- ქორანიკონს 450 (1762 წ.) აპრილის თვეს 15, მაშინ ვიყავ მე წლისა ოცდა ათხუთმეტისა, მოვიდა⁴ მანუჩარ სოლალაშვილი და მითხრა:— **B 35 b**
- 35 ერთი კომლი კაცი მყავს, თიანეთს სახლობან, ერთხელ სხვას მივყიდე, თავი არ დაუდევს, ახლა გრაგოლ სალთხუცესი სყიდლობს, მაგრამ აქ არ არის. მე თეთრი მექირება, შენ იყიდე; თავეთის მამულით და ნასყიდობით მოგყიდიო. მე ასე უთხარ:—უმამულო კაცი ვარ, თუ შევრიგდებით, მამულის გულისათვის ვიყიდი, თორე კახეთს || კაცი ჩემნიც **A 49**

¹ იცდა B. ² წყენს B. ³ მუკატება ABC ⁴ მაშინ ვიყავ მე წლისა ოცდაათხუთმეტისა, ქორანიკონს 450 აპრილის თვეს 15, 1762“ A.

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

- არიან რომ არასფერს მეპოვებთან. შეერივლით. ერთი ცხენი ჰყვანდა ^{შეიქმნა} ^{საქართველოს} ^{ისტორიის} ^{ინსტიტუტი} ნათხოვრად, ის მოკლა ღ ის ემართა, ერთი კარგი თოხარიკი იაბო მყვანდა დიდი; ის თვრამეტ მინალთუნად გამომართვა, სხვა სყიდლობდა, მარა შემომეხვეწა. მაგისტანს ევლარ ვიშოვიო ღ გამომართვა, C 85 a
- 5 ოცდა ორი მინალთუნი ნალდი გამომართვა¹, შეიქნა ექვსი თუმანი. სი- B 36 a
გელი ჯვარის მამის დეკანოზს იოანე მოქლვარს დამიწვრინა, თავის კელით დააბეჭდვინა ღ მომცა თავისის მამულით ვარსიმაშვილები ღ თავეთის ნასყიდობით თვედორე პატარაკაცი ღ მამუკა. მაშინ ვიყავ მეწლისა ოცდაათხუთმეტისა².
- 10 ქორანიკონს 451 (1763) ნოენბერს, რომელ არს გიორგობისთვე, რიცხუსა 3 ჩემი პაწაწა გიორგი ებოძებინა ღმერთსა³. ვინათგან ცხოვრებისა ამის ჩემისა რიცხუსა სწორებით ვსწერ, ჯერეთ გიორგის დაბადება არ უნდა დამეწერა ღ ამისთვის წარვშალე. მართალია ზოგი რამ აირევა, —სასოლალასშვილოში საგაბაშვილოს⁴ მამულის სყიდვა აირევა,
- 15 მარა მე იმას დავსწერ, რომელი რომელს დროს, როგორს ჟამს მიყიდა ღ მიშოვნია, ღ გამრჩეველმა იგულისკმოს, მალე გააჩვენს.
- 20 ქორანიკონს 451, ქრისტეს აქეთ 1763 (წ). ივლისს 10, მოვიდა მანუჩარ სოლალასშვილი ღ მიქელაშვილები თავეთის მამულებით ღ ნასყიდობით მომყიდა, წყლითა, ჭალითა⁵, თაყას ჭალითა ღ წისქვილითა, მიწითა, ვენაკითა, იობ მლუდლის მამული, ელისეს შვილი თვითან ივანე, ელისეს მამული, ბერუას მამული ღ ამათის განაყოფების, ქიტუას მამული მომყიდა, თეთრი გამომართვა, სიგელი მოსე მლუდელს დამიწვრინა, მომცა ღ წავიდა. B 36 b
- 25 ვიყავ რა წლისა ოცდაათექვსმეტისა⁶, ქორანიკონს 451, ქრისტეს აქეთ 1763 (წ). ივლისს 22. მოვიდა რევაზ გაბასშვილი ქეშმარიტად თავისის ნებით ღ მითხრა:—მრავალი კეთილი მახსოვს შენგან და დღეს რომ გინებდეს შენს ვალში ჩემს მამულს შენ დაიქერო. რაც შენ ჩემზე კეთილი გიქმნიაო, მე ჩემს მამულს ხან იმას ვევაჭრებ, ხან იმას ღ შენ გქონდეს, ისი სჯობსო. C 85 b A 50
- 30 მართალს მოგახსენებ, დიდად მიამა, მარა ღონე და შეძლება არა მაქვს და ჩემგან ამისი გაშვება უფრო არ იქნება. უთხარ:—რადგან შენ მაგას ამბობ, მე რალა მმართებს, მაგრამ ერთი მოციქული ვატაროთ, მოციქულით უფრო სწორეს ვეტყვით ერთმანეთსაო. გაბა ვევაჩინეთ მოციქულად, ორი სამი დღე ვილაპარაკეთ⁷, მონასტერი მომყიდა შეექვსედი თავისის მამის წილი. ღ ბერს⁸ მეუბნა:—ჩემი წილი სრულად იყიდეო, B 37 a

1. ოცდა ორი მინალთუნი ნალდი გამომართვა <BC (ex homoioteleuto) ² „მაშინ ვიყავ მე წლისა ოცდაათხუთმეტისა < BC (A-ში ეს წინადადება სქოლიოშია).
³ ქორანიკონს 541, 1763 ნოენბერს რომელ არს გიორგობისთვე, რიცხუსა 3, ჩემი პაწაწა გიორგი ებოძებინა ღმერთსა <BC (A-ზელნაწერში ეს წინადადებები გადახაზულია, როგორც ამას 1913 წ. გამოქვეყნელიც შენიშნავს (იხ. გვ. 49).
⁴ საგაშვილო BC. ⁵ ჭალითა <B. ⁶ ოცდაათექვსმეტისა B. ⁷ ვალაპარაკეთ BC. ⁸ მეუბნება BC.

მარა განაყოფი ჰყვანდა და ღმერთმან მაშოროს ცოცხალის კაცის მულის¹ დაქერასა.

მე² ის ვიყიდე, რომელიც რევაზის მამას წილი ჰქონდა მონასტერში,—საყდარი, სასაფლაო, წყლის პირი მიწა ხოდაბუნი, ვერეს გამოღმართი სრულიად მეექვსედი წილი; ნახევარი მეორეს წელიწადს აიღო ღ თარხნის შვილს ზაზას მიჰყიდა, არ ვიცი, არც საქმე მაქვს, ზაზასაც ბევრი უშაღე ქეშმარიტად. თაყაშვილის ვახტანგის პირით შეუთვალე ღ ალათანგი საგინაშვილის პირით,—პატრონი ცოცხალი ჰყავს, ნუ სყიდულობ³ მეთქი. არ დაიშალა, იყიდა. მე პირველ მონასყიდე ვარ, რომელიც მართალი იყო ვიცი, ღ ვიყიდე. სიგელი წვრილად აცხადებს, მოსე მღუდელს დააწერინა, ქვეყანას დააბეჭდინა ღ მომცა. მიწეც ვეცხლის თასები, ოსეს ხანჯალი, თეთრი, ფლური ღ გარდვიკადე. ჩემთან სადაო არავის აქვს, საღი საქონელი მიყიდა რევაზის მამის წილი. ვისაც სადაო აქვს, ვინც ჩემს უკან იყიდა, იმას ედაოს, ჩემთან საქმე არა აქვსრა. ამ ავს დროში კარგი მამულიც არის, გავიდოდი შევექცეოდი ოჩხსა, საფიჩხულესა, კენასა, მკასა და სოფლობას ეგვანებოდა ღ მიხაროდის,—ჩემის ანდენის ქირანახულისა ამას უჩნდა თვალთა, ცოტა იყო თუ ბევრი.

ამასვე ქორანიკონსა ავვისტოს 24 მოვიდა მანუჩარ სოლოლაშვილი ღ მეოთხედი ასურეთი მომიყიდა, იასეს წილი თავისის საუფროსოთი, ასე რომე ნახევარი ზაზას წილი ვალში სარიდან გამოართვა ღ ნახევარი მე ღ იორამს დაგვჩჩა: || იასეს წილი მე, ღ ელისბარის წილი იორამს. გამომართვა თეთრი, სიგელი მოსე მღუდელს დამიწერინა, სრულიად ქართველთ დააბეჭდინა ღ ტფილელსაც, მანგლელსა ღ მომცა ოკერები⁴, ხარაბეები, გამოუყენლები, რომ ქეშმარიტად თვალითაც არ მინახავს ის სოფლები.

||გამოვიდა ცოტა ხანი. ბატონი ტაბაკმელას ბძანდებოდა, მეც იქ ვახლდი. მანუჩარ სოლაღას შვილი ანოვიდა, დიდი საქმის გაქირება მიამბო⁵:—არც შენ მომეცსულ ვალებს დაურიგეო, დიდის ფიცით მითხრა, ორი დღე არის, არც მე მქონია პური, არც ჩემს შვილსაო; ძიძამ შემომიგდო, აღარ აწოვა, საჯამაგიროს მთხოვსო, ექვსის თვისა მმართვებსო, ის ჩემი შვილი გუშინ, წუხელის ღ დღეს ჩემს სახლში გღია, უძუძური ტირისო, ის კი მოკუდება ღ ვისაღასთვის მინდა მამულიო, ელიზბარის წილი ტავნაგეთი იყიდეო. ამისი გამგონე ვინ⁶ არ შეწუხდებოდა; ავდგე, ბატონს დასტური ვთხოვე, ჩამოველ ქალაქს, ზოგი ვალი ავიღე, ზოგი მე ვიწოვე, თეთრი მივეც, სიგელი მოსე მღუდელს დააწერინა, ქართველთ⁷ სრულად დააბეჭდინა ღ მომცა.

ამასვე ქორანიკონს გიორგობას⁸ რომ გაუქირდა საქმე ღ ვალმა შეაწუხა, იმისი ვალი იყო ორისა ღ სამის წლის აღებული ქეშმარიტად,

1 მამული B. 2 და B. 3 სყიდლობ A. 4 ოხრები B. 5 მამბო BC. 6 ვინ bis A.

7 ქართველად BC. 8 გიორგობის AB.

მეპურისაგან პური, — გრიჭორა მეპურისაგან, მეღვინისაგან ღვინო, — ანტონი¹ ტფილელის ყმისაგან, რომ თვითან მე მიმიცია ერთი თუშანი, ნინიას ძიძისა რომ თვითან მე მიმიცია საჯამაგერო, აგრევე ბაჰყლისა, აგრევე მესანთლისა, აგრევე მენახშირისა ღ ყოვლის ასნაფისა. სხვამ რომ არაინ ინდომა, მოკვიდა ჩემთან. მეც არ² მქონდა, ღმერთმან ხომ C 37 a
იცის, მაგრამ, სმასა, ჭამასა, ჩასაცემელ ღ სახურავს ვიკლებდი, შვილებს პურს ვაკლებდი ღ ამას ვაძლევდი.

ტაგნაგეთი ერთი წილი ელისბარისა³ ხომ ერთხელ მომყიდა ღ იმისი სიგელი ცალკეა ღ ერთის წილისა, ვარსიმაშვილები || ერთხელ მომ- B 38 b
ყიდა, მიქელაშვილები ერთხელ³, ღ რალაც დარჩომილიყო მურადაშვი-
ლები ღ სხვა განაყოფი მურადასშვილები, ისინიც მომყიდა, თეთრი გა-
მომართო, სიგელი ზაქარია დეკანოზის შვილს დააწერიანა, ტფილელსა A 52
ღ სრულად ქართველთ დაბეჭდვინა, მომცა ღ წავიდა; მაგრამ ასე იყო:
მურადასშვილები ანახანუმ ზახას ცოლს ჰყვანდენ სასამსახუროდ და
ვარსიმაშვილი ბასილა ღ კაციას შვილი გუქა იასეს ცოლსა; ამათთვის
სანამდის ცოცხალ იყვნენ, ეს კაცები დაენებებინათ. მეც ისე დამიწერა, —
სანამდის ეს ჩემი რძლები ცოცხალნი იყვნენ, შენ კაცებთან კელი ნუ
გაქვსო, როსცა მიიცვალნენ, შენნი იქნებიაო.

სანამდის ანახანუმ ცოცხალი იყო, მეც წიგნი მივეც ანახანუმს,
რომ შენ იმსახურე მეთქი, მერმე⁴ მე დამრჩა. აგრევე ვარსიმაშვილები,
რომელიც თელავს არიან, სანამდის გუქა ცოცხალია, იმას უნდა ემსა-
ხურნენ, ჩემი წიგნიც ისე აქვს, მას უკან ჩემნი არიან.

მერმე მონასტერს სულხანაშვილები მომყიდა, თეთრი მივეც; ბა- C 37 b
ტონი კახეთს მიბძანდებოდა, ცოტა რამ თეთრი დამიკლდა, რვა აბაზი B 39 a
დამიკლდა; ორ თუშნად ვიყავით შერიგებული. რვა აბაზი რომ დამიკლდა,
სიგელი მისთვის ვერ დავაწერინე. მე ბატონს ვიახელ კახეთს. მანუჩარ აქ
დარჩა. მიბძანდა [მეფე ერეკლე თელავს], ერთს თვეს თელავს ბძანდებოდა.
მერმე გავაზს გაბძანდა; იქ რომ მივედი, ჩემის მსახურის წიგნი მომივიდა: —
მანუჩარ რალასაც მამულს ჰყიდისო და თუ არ მოეშველები, არ იქნებოა.

მე ბატონს დავეთხოვე სხვის მიზეზით, წამოველ მარტო ორის ბი-
ჭით გავაზიდამ. ალაზანი ადიდებული იყო, თქვენმა მზემ, ცხენი წამიქ-
ცია და თუ გავაზური გზირისშვილი იქ არ დამსწრებოდა, დავიჩო-
ბოდი⁵. წამოველ მარტო მამულის ხალისით, ამ ტყესა და ჭალას გამო-
ვები. ერთი მე ვარ, ორი წვრილი ბიჭი მყავს. ვიარეთ, იმ დღეს კარ-
დანეკს⁶ გამოვედით, მშიერები, დაღალულები.

იმდენი ღუთის წყალობა გაქვსო, რამდენი ღეკის კვალი ჩვენ ამო-
ვლილი და ჩავლილი ვნახეთ. დაგვიფარა ყოვლად ძლიერმან ღმერთმან
და მოვედით. ორსაოდ დღეს იქ ვიყავ, მერმე წამოველ ქალაქს, ღამით B 39 b
წამოველ⁷ მტრის შიშისაგან. საგარეჯოს⁸ რომ მოველ, იქ ჩემი კაცი

¹ ანტონას C. ² არა BC. ³ მომყიდა მიქელაშვილები ერთხელ <B. ⁴ მერე A.
⁵ დაგრჩებოდი B. ⁶ კარდანეს C. ⁷ ქალაქს ღამით წამოველ <B. ⁸ საჯარჯოს C.



- იღბა, შალამბარაშვილი მათია. კარგა დამიხუდა და ერთი დაბეჭდ-
ლი წიგნი მომცა. წავიკითხე, ღმერთს წყალობა ექმნა, გიორგი A 5^წ
შვილად მომცემოდა, ქორანიკონს 451, გიორგობის 3 ქრისტეს აქეთ C 38^ა
1763. რაც იმ ღამეს ლხინი გაეწუბოდა, გარდვიკადე, მეორეს დღეს
- 5 იქიდან წამოველ, მოველ ქალაქს, ლუთის მინდობილი მოვალ. ფიცხლავ
ის ვიკითხე:—მანუჩარმა გაყიდა რაზე თუ არაო. ჩუმათ კაცისაგან შევიტ-
ყვე:—შენ რომ მოგყიდა ის გლეხი ორ თუმნად, ტფილელმა ქრისტეფო-
რემ თორმეტი მინალთუნი მისცა და იმან იყიდაო. მართალს მოგაკე-
ნებ, კიდეც მიამა.
- 10 საყდრის მამულია მონასტერი და ჟამთა ვითარებისაგან სოლა-
ლანთ მიუძღვარებიათ და საყდრის მამული ჩემის შვილებისათვის არ
მინდა. მერმე იმას რვა მინალთუნი ნაკლები მიუცია. იმისის მუნათისაგან¹
მოვრჩე, სხვა არა მინდარა მეთქი. მანუჩარს მე ეს ვერ შევბედე,—რა-
ტომ ასე მიყავი მეთქი. მერმე სიგელი რომ დასაბეჭდავად მომიტანეს,
- 15 მანუჩარმა მითხრა:—რა ვქნა, საქმე გამიჭირდა და ასე ვთქვათ შენი კრა- B 40^ა
ვი გამოვიყვანე და გაგყიდეო. ნეტავი სხვა მამულებიც შენ გეყიდა,
რომ მომატებით მომეცო²; ამათაც³ მივეყიდე, მაგრამ რვა მინალთუნი
ნაკლები მომცა და ესეც ამისთვის იყიდა ტფილელმა, ამისთვის, რომ
მოქნასტერში სხვა ნასყიდობაც აქვსო და იმას მივეცო და შენის თეთ- C 38^ბ
- 20 რის პასუხს გაგცემო.
- ასე გასინჯეთ, რომელშიაც მე ორი თუმანი მივეცე, ტფილელმა
თორმეტ მინალთუნად იყიდა და თუ რაც მე მამული სასოლდაშვილო-
ში მიყიდა, სხვა ვაჭარი ჰყოლებოდა და ან ჩემოდენი ფასი მიეცა ვის-
მე, თქვენმა მზემ, იმათ მიჰყიდდა, მე არცკი მოვავონდებოდი⁴, მარა
- 25 ავი დრო იყო, ყოველ დღე დამკობას მოველოდით, ლეკისაგან აკლება-
სა, საქართველოს სრულიად დატერასა. კარგი არა ჩნდა რა მეფის ქეუ-
ნისა და ლუთის [მოწყალების]⁵ მეტი. ყოველ⁶ დღე დიდს ჯარებს გა-
მოველოდით⁷, და საქართველოს წალეკას⁸ და ჩვენს აკლებასა და და-
ტყვევებისა და დიდი გამარჯვება იქნებოდა⁹, თუ რუსეთს დავიკარგებო-
- 30 დით. ამ დროს ვიყიდე ეს მამულები ჭეშმარიტად.
- ქრისტესშობის 8, ქორანიკონს 451 (1763 წ.) || [მანუჩარ სოლოლა- B 40^ბ
შვილმა] დამიწყო ლაბა¹⁰ რაკი:—დღეს ჩემი მამული ასე მგონია, რომ ერთს A 5^ა
ფულად არა ღირსო. შინდისში სარდარს წილი აქვსო.
- გუშინ გოგია საგინაშვილი მოციქულად მიუგზავნე,—შევაჯაჭრე და
- 35 ასე შემოეთვალა: „თეთრი თხა მსუქანი ვისმე ეგონაო“, რა გგონიათ,
მქონდესო. ღმერთმან იცის, შენც ამისთვის || იკირებ საქმესა, რომ გე- C 39^ა
ბრალბიო, თორემ თუ სარდარმა კი არ იყიდა, შენ ვინ რა მოგცაო,
მარა გარდაგეკიდები ხოლმეო¹⁰. არამ კაცმა არ ინდომა, ყველას საქმე
უჭირსო და რას ხედვენ, ქვეყნისას¹¹ რომ მოეჭიდნენო. ჩემს შვილს

¹ მინათისაგან ABC² მომეცა AD. ² იმათაც AD. ⁴ მოვავონდები B. ⁵ მიწოლის ABC.

⁶ ყოველ AC. ⁷ გამოველოდით BC. ⁸ წალეკა B. ⁹ და+B. ¹⁰ ხოლმე BC. ¹¹ ქვეყანისას BC.

- შენის მიზეზით უდგს სულიო. თუ შენ არ გამოსჩენოდი, აქამდის¹ ჯერ მოკუდებოდაო. დღეს ასე მგონია, რასაც მაძლევ, მუქთად მაძლეო. რომელსაც სხვას მამული უყიღია, იმ წელიწადს, მეორეს წელიწადს ოთხი და ხუთი იმდენი შესავალი ჰქონებიათო. რამდენმა წელიწადმა
- 5 უნდა გაიაროს რომ ის ხარაბა ეგდოსო და ვინლა მოესწრება იმის შენობასო, შენც¹ ამისთვის სყიდულობ, შეიღებს დარჩესო, თორემ შენც იცი, შენს სიცოცხლეში იმათი შენობა არ იქნებაო. ღმერთმან შენ კი გაცოცხლოს, ეგების მოესწრა, მაგრამ || მე კი არა მგონია მოვესწრაო. B 41 a
- 10 ჰქმარიტად იმისი სიტყვა არის.
- მე უთხარ: რომელს მავაჭრებ მეთქი,—შინდისი და ტაბაკმელა, რაც ჩემი წილი არის ჩემის საუფროსოთი, ესენი იყიდეო და მამის ჩემის ნასყიდობითაო, რომ ბიძის ჩემის ელიზბარისაგან გვიყიდიო და კიდევ განაყოფებისაგან ჩვენის მამა პაპათ სამკვიდრო მამული ესენი არისო, იორამ შენი ქვის¹ლი არისო. იმასაც იამება და დაგიმადლებს, რომ იქ C 39 b
- 15 სხვა არავინ ჩაუზიაროო², შინდისი და ტაბაკმელა იყიდეო. თუ მაჩაბელი იესე აქ იყოს, იმას დიად გულით უნდა* და კიდევ იყიდის, მაგრამ შენის ქვისლისათვის არა სჯობსო.
- შენი თეთრი ზოგი კელში მიჭირავსო, ზოგი კიდევ მომეცო და შენვე იყიდო ისივ³ სჯობსო; დიდის ფიცით შემომფიცა:—შვი¹ლი უძუ- A 55
- 20 ძური მიკვდება, ძიძა გამეჭრაო⁴ და მეორე დღე არის პურიც არა მქონიაო.
- დიად შესაწუხარი სიტყვები არის ქრისტიანეთათვის, მარა რა ექნა. ღმერთი მოწამეა, რომ ხუთი აბაზი არსაით მეგულება. უთხარ, ვნახოთ, ღმერთი რას შემადლებინებს მეთქი.
- 25 ||გამოველ, სასახლის ალაყათის კარზედ მოველ, პაპუა გერმანოზის- B 41 b
- შვილი მარაბდას ჰყიდდა და ექვს თუმნად მე ვიყავ შერიგებულნი, იმას ვლაპარაკობდი; რომ გამოვბრუნდი, მომეწივა მანუჩარ:—მე ვიცი პაპუა მარაბდას გავაჭრებსო. იმ ჯოჯოხეთში მამულის სყიდვას როგორ ბე- დამ, მე⁵ შენთვის მომცრო ერისთობა მინდაო და შენ რალასაც იქით
- 30 აქეთ აწყდებო⁶. ღმერთმა ხომ იცის, მე გაუსყიდავი არ დავდგები, C 40 a
- უნდა გავყიდო⁷, სხვა ილაჯი რომ არა მაქვს, მაშ რას ვიქო და ასეთი ვინმე რომ ჩაუზიარო შენს ქვისლსა, რომ შენც გწყველიდეს და მეცა, რაში გიჯობსო? ერთს სახელმწიფოს მამულს გაძლევ კელთო,

¹ შენ BC. ² ჩაუზიაროს B. ³ ზოგი—ისივ < A. ⁴ გამეჭვაო BD. ⁵ მე < D. ⁶ აწყდებო D ⁷ გავყიდო D.

* აქედან დედანს აკლია და ვებეჭდავთ, როგორც ჟურნალ „ცისკარშია“—შენიშნავს 1913 წ. გამომცემელი (იხ. გვ. 54). ბუნებრივია, რომ ყველა ის შესაბამისი რაც დახასიათებს „ცისკარის“ დასახლებულ გამოცემას, 1913 წ. გამოცემაშიაც გადმოვიღოდა; BC ხელნაწერებით კი სიზუსტით ხერხდება ტექსტის ამ დაზიანებული ადგილების აღდგენა („ცისკარიდან“ მოტანილ ადგილებს სქოლიოში D ლიტერით აღწინშავთ).

პატარა ერისთავი იქნებო და შენ მარაბდას ეჭიდებო¹, რაღა დრო იქნება, რომ შენ ესენი სასყიდლად იშოვო².

რევან გაბაშვილი იღვა იქ, ჩვენთან. იმან მამა შეაგინა:—მამა შენი როდის იყო კელმწიფე, რომ მემკვიდრე იყოს, რომ ეს მონასყიდობით
 5 გაკელმწიფდესო. წამოვედით. მე პაპუას შეუთვალე, თეთრი ველარ³ ვიშოვე, ვისაც გინდა მიჰყიდე მეთქი. აილო იმან, გორჯასპი მდივანს მიჰყიდა. დავიწყეთ ლაპარაკი, ზოგი თეთრი კელთ ჰქონდა, ზოგი კიდე
 შევიპირე, თეთრს მაშინვე თხოვნა დამიწყო. B 42 a

ქემმარიტად ირწმუნეთ, რომ ვალიც ველარ ვიშოვე, სარგებლით
 10 მემართა ბევრი. ორის თუმნის ცხენი ცხრა მინალთუნად მივეც, მაკე ცხვრები ხუთ-ხუთ აბაზად. იმავ დღეს მოვრჩი. სიგელი ზაქარია დეკანოზისშვილს დააწერინა, ეპისკოპოსებსა და დიდროანთ კაცთ დამიბეჭდვინა, მომცა და წავიდა.

აგრევე⁴ სალორისზე დამიწყო ლაპარაკი, ისიც იყიდეო. ამ ჟამს
 15 დედა ჩემს კაცი მოგზავნა⁵, —ქვემო მეიდნის დუქნებს ვყიდი და იყიდეო. მე ამის მეტი არა მოვახსენე რა⁶, —ამდენი ვალი მმართვეს⁷ სყიდვით ხომ ვერ გაჰყიდით და ლუთის მოწყალებით ვიშოვი მაგის თეთრს, მე
 A 56 მოგართმევ, მაგისთანა არა გიჭირსთრა, რომ ასის თუმნის მამულს ხუთ თუმნად აძლევთ. მაგ პირობით არ არის მოცემული მეთქი. ბევრს ვისმე
 20 შეავატრეს. მაგრამ ჩემ გამო არავე იყიდა:—თუ იესეს⁸ ნება არ არის, B 42 b ვერ ვიყიდითო. მეც უარი არ წითქვამს, —ცოტა ხანი დამაცალეთ მეთქი.

მერე მე⁹ კახეთს ვახლდი ბატონს, კვეზერელს ვყიდნა, მაგრამ არც დეკანოზს, არც საყდრის კრებულს, არცა ვის¹⁰ სხვას მართებულს კაცს ბეჭედი არ დავსვით. ჩამოველ, მაშინვე კაცი მიუგზავნე, —შენ ჩემს
 25 მამულს არ დავანებებ, შენი თეთრი წაიღე მეთქი. შემოეთვალა: როცა¹¹ ჩემს თეთრს მომცემ, შენს დუქნებს დავანებებ. ამ სიტყვაზე დავედგ და აღარ ავჩქარდი.

ამ თეთრის თადარიგში¹² ვარ, სალორისის მოციქული მომივიდა¹³, —სალორისიც იყიდეო. მე შეუთვალე: საქმე მიჭირს ვერ ვიყიდი მეთქი.
 30 ღმერთი მოწამეა, ჩხუბით მომიხდა¹⁴, — განა რომელიც ბარში იყო და კარგი იყო ისინი კი იყიდეო და მთის სოფელს კი არა სყიდულობო, ის ვინღა უნდა იყიდოსო. ქვეყანამ გამამტყუნა: რა დავემართა, შვილი დაავირავე¹⁵ და იყიდეო. წამოველ, ვიშოვე ვალი სარგებლით და მივეც. მისცა ქალაღდი, ზაქარია დეკანოზისშვილს დააწერინა. რომ მიუტანეს
 35 დასაბეჭდავად, შილთახი დამიწყო, ერთი ფლური კიდევ რევან გაბაშვილ-მა მიუტანა, სალორისის მუშამავალი ის იყო. მეოთხედი სალორისი თავისის საუფროსოთი და ნასყიდით მომივიდა და წავიდა. B 43 a

¹ ეჭიდები D. ² იშოვო D. ³ ველარ <BC. ⁴ აგრევე DA. ⁵ გაგზავნა D. ⁶ არ მოვახსენე რა D. ⁷ გამართვეს D. ⁸ იესეს D. ⁹ მე <B. ¹⁰ არცვის D. ¹¹ როცა B. ¹² თადარიგში DA, თადარიგში BC. ¹³ და +B. ¹⁴ მომივიდა D. ¹⁵ დავირავა BC.

ქრისტეს შობის 31, ქორანიკონს 451¹, ქრისტეს აქეთ 1763 (წ.) უნახარა
 მანუჩარას: ეს სოფლები რომ მომყიდე ხომ მთელის გულით მომყიდე.
 მითხრა ფიცით, რომ:—ასე გულ გამოწმენდით მომიყიდიან, რომ არაფერი
 საეჭო ჩემთან არ არის, ამისთანას დროს ხარაბაებში თეთრი მომეც,
 5 ღმერთმან ჩემ მაგიერ ის გაიკითხოს, იმ სოფელს და ამ სოფელს² შე-
 არცხენოს, რომელიც შენ ამას გედაოსო. მე თეთრი შემეძამია, მამუ-
 ლი მომიცია, ჩემი სული დამიხსნია და რომელმაც შენ უსამართლო
 დავა დაგიწყოს, ღმერთს პასუხი იმან გასცესო. ჭეშმარიტად სწორედ
 ეს იმისი³ სიტყვა არის, ნუმცარა გაისყიდებო, თორემ იმისი მოშლა A 57
 10 ძნელილა⁴ არისო. C 41 b

მე უთხარ: მაშ რაც შენგან მიყიდიან, ერთიანი წიგნი მომეც მეთ-
 ქი. დაჯდა, დაუწყო წერა, მთელი სასოლადასშვილო⁵ წიგნი დამიწერა,
 რაც თითონ მოეყიდა თავისი⁶ წილი ერთიანს სიგელზე დაწერა, თავი-
 სის ხელით, თავისი ადგილი, თავისი პატივი, თავისის კაცის შვილო-
 15 ბისა. ყველა მე მომცა, ტაგნაგეთი ნახევარი და საუფროსო თავის სა- B 43 b
 სახლით, ასურეთი მეოთხედი და საუფროსო, შინდისის მეოთხედი და
 საუფროსო და ნასყიდობა; ტაბახმელის მეოთხედი და საუფროსო და
 ნასყიდობა ასლამაზისგან სასახლისა დამიწერა, სალორისის მეოთხედი
 და საუფროსო და ნასყიდობა, ასე რომ შინდისი, ტაბახმელა და სალო-
 20 რისი ნახევარი თავეთი მამის წილი იყო, და ნახევარი თავეთის მამის
 ძმის ელიზბარისგან ეყიდათ. ტაგნაგეთი და ასურეთი ნასყიდი ჰქონდათ,
 ზოგი აბდულა ბეგისაგან ეყიდათ, ზოგი ლაშქარნივისისაგან. ეს წიგნი
 დამიწერინა, დამიბეჭდა, მომცა და წავიდა.

ეხლა⁷ ეს ვიფიქრე: თუ ქართველ ბატონს ერთს წიგნს არ გამო-
 25 ვართმევ ამ მამულეებისას, არ იქნება. აქედამ და იქილამ მოახსენებენ:
 ერთი სათავადო მამული რად გაქსყიდვან და იესეს რად ასყიდვინე.
 აგრევე ანასტასიამ დაიწყო ლაპარაკი და ჩივილი:— ჩემმა შვილის- C 42 a
 შვილებმა რალა უნდა ჰქნანო⁸. ამ ჟამად იანედ და იამბარედ მიხდე-
 ბოდა ანასტასია; დიდად ეცადა დარღვევას, მარა სიზართლეს სი- B 44 a
 30 დრკუე როგორ დაარღვევს; მანუჩარ კი სიტყვას მიუგებდა. მაგრამ ან
 მე რა მრჯის და რად დავწერო, დიად ბეგერი ისარჯა, მარა ვერ შემძ-
 რა და ვერცარა გააწყო. ერთი ოქმი აიღო⁹,—რომელიც გაუსყიდავი მა-
 მული ჰქონდეს, დღეს იქით ნულარავინ იყიდისო. სამის თვის უწინაც
 35 მქონდა მე ნასყიდი. მერმე შევეხვეწე ბატონს, ვმსახურე¹⁰, სამართლის
 წიგნი მივართვი, მოიხსენა.

უბძანებია სანატრელს მეფეს ვახტანგს: იქნება რომ ბატონის შე-
 უკითხავადაც იყიდონ თავადისა თუ აზნაურისაგან მამულიო, კელმწი-
 ფეს ლაშქარ-ნადირობას ნუ დააკლებენ, კოდის პურსა და საბალახეს A 58

¹ ქორანიკონს უნა (451) <D. ² და ამ სოფელს <D. ³ ამისი BC. ⁴ ძნელი AB. ⁵ სოლა-
 ლასშვილის D. ⁶ თავისის BC. ⁷ ახლა BC. ⁸ ქნანო D. ⁹ აიღო DB. ¹⁰ ვსახურე BC.

მოსცემენ, — თუნდ იმას ეჭიროს, თუნდ იმასაო. მერმე მრავალი კაცი ნასყიდობის მექონე და ქვეყანაში დიად ძნელი შემოსაღებია ნასყიდობის მოშლა.

- ჩემის ნასყიდობის მოშლა ასი ანასტასია რომ შექმნილ¹ იყო, მა-
 5 შინაც ვერ შეეძლო, მაგრამ შინდისი² და ტაბახმელა გაუსყიდაც³ B 44 B
 ეგონა, ის ოქმი მისთვის აიღო და რომ შეიტყო გასყიდული ყოფილი-
 ყო, იმ შინდისზე დაიწყო ლაპარაკი, რომ: — სხვები ყველა მკითხეო, შინ-
 დისისა³ რატომ აღარა მკითხეთო⁴; კეშმარიტად იცოდეთ, შინდის [და] C 42 B
 ტაბახმელას მეტი ყველა იმითის ნებით მიყიდა. ვკითხვედი იორამსაცა
 10 და იმის შეილსაცა: ეს კაცი ამ მამულს ჰყიდის, თუ თქვენ იყიდით,
 თქვენი უბრაიანია,⁵ თუ არა და მე გერჩით⁶ მეტქი. იორამმა⁷ წიგნიც
 მომცა: — იყიდეთ და სიგელზედაც⁸ ყველაზე თავისის კელით მომიწე-
 რა: — ყაბული მაქვს და ნება მაქვსო.

- ვერას შემომივიდა ანასტასია, გარდაიარა, წავიდა. მე ჩემს კელმ-
 15 წიფეს ვაამე, წყალობა მიყო, რაყამი მიბოძა მტკიცე და კარგი, რო-
 მელთაც რომ საქართველოში დავემკვიდრე⁹ და ჩემის შეილების ვალი
 მოვიხსენ¹⁰, რომ სიტყვა აღარა¹¹ აქვსთ რა ჩემთან, ღმერთს ვმადლობ
 კეშმარიტად და მეფეს ერეკლეს ამ წიგნის ბოძებისათვის და მისი ბძა-
 ნება და რაყამი ასეა¹² ბძანებული და აღმოჩენილი.

- ქორანიკონს 452 (1764 წ.) ივლისს 26 კეხვს რომ გაემარჯვა, იქი-B 45 a
 დამ ხელთუბანს მობძანდა, იქ დამიწვრინა ოთარ მდივანს და მიბოძა,
 ვმეწლოვდი 37 წელსა. — ჩვენ მეფემ ერეკლე, ესე წიგნი გიბოძეთ შენ
 ჩვენს მდივანს, იესეს, ასე რომე სოლადასშვილისა და ბარათაშვილებისაგან
 მაშულეები გეყიდა, ჩვენც ნება დაგვირთავს, წყალობა გექმნია, გვიბო-
 25 ძებია, დაგვიმკვიდრებია¹³ და სისხლიც მათი გდიოდეს. ერთი ოქმი
 აქვს ჩვენი მანუჩარისშვილს, რომელიც იმ ოქმს უწინ სყიდულა, მისი
 მოშლა არ იქნება და რომელიც იმ ოქმს¹⁴ უკან გასყიდულა, მისი სყიდ-
 ვა არ იქნება. შენი უწინვე ნასყიდა. შენ ჩვენი წყალობა ასე შავი- C 43 a
 სრულეთ¹⁵ წელსა¹⁶ 1764.

- მისის სიმაღლის ბეჭედი. კათალიკოსის ანტონის თავის კელით A 59
 მოწერილი დამტკიცება. ამ წიგნმა ბევრი გარგოთ; როცა¹⁷ წიგნები
 წამართვეს, ბატონს რომ ენახა, ამებოდა დახატული.

- ქორანიკონს¹⁸ 472, (1784 წ.) ამ წელს დედოფალსაც დავაბეჭდ-
 ვინე, ბატონის შეილებსაც ეს წიგნი.

- 35 თუ¹⁹ გონიერება გექნებათ, შეილნო ჩემნო, სცნობთ, რომ ამ წიგნს
 ძვირად ვიშოვიდი. ეს წიგნი ვიშოვე, დავახატე დიად მძიმედ და²⁰
 დამიმკვიდრებია თქვენთვის, ღმერთმან მოგახმაროსთ.

¹ შექმნილი D. ² გაუსყიდა D. ³ ისიცა D. ⁴ მკითხეთ BC. ⁵ აბრაიანია BC.

⁶ მერჩით BC. ⁷ იორამა D. ⁸ სიგელზედაც B. ⁹ დავემკვიდრე D. ¹⁰ მოვიხსენე D.

¹¹ აღარა D. ¹² ასე. B. ¹³ და გვიმკვიდრებია B. ¹⁴ უწინ სყიდულა, მისი მოშლა არ იქნება და,
 რომელიც იმ ოქმს <BC. (ex homoioteleuto). ¹⁵ გავისრულეთ C ¹⁶ წელსა <ABD.

¹⁷ როცა C. ¹⁸ ქორანიკონსა D. ¹⁹ რომ +BC ²⁰ და <BC.

მაგრამ თუ მაგიერს არ¹ მომიზღავთ, კუ²რთხევით ბევრის გარჯრ³ და B 45 b
ყოველთვის² ღუთის ვედრებით ჩემს კსენებას ცრემლით არა³ ყოფთ,
ღმერთს ეწყინება, დიად⁴ დიდი ჰირი ვნახე ამ საქმებზედ.

5 არა თუ მხოლოდ შვილთა გეტყვი, შვილის შვილთა და შვილთა
მათთა და ყმათა ჩემთა,—ყოველთავე გამცნებ, ნუ დამიკარგავთ ამდენს
ჰირნახულს, თორემ თუ განსჯულვისაებრ⁵ ჩემისა⁶ არ მომახმარებთ,
ღუთით⁷ არც თქვენ მოვახმარდებათ⁸.

10 თუ ერთი შვილი ცული კაცნი გამოხვალთ:—ან არზაქარი, ან მეძავი, ან
მპარავი, ან ლოთი, ან ყუმარბაზი, ან თავდებად დამდგომი იცოდეთ, ჩემი C 43 b
ანდერძი იმას წაართმევს და კეთილს შვილს მისცემს ყოელსავე. არათუ
მხოლოდ შვილთა გეტყვი, ყოელთა შვილის შვილთა გესმოდესთ, ამას
დიდის განმკაცრებით გარიგებ. ვინ იცის, ასეთი უმღეთო დრო მოვიდეს
და ასეთი უწყალო მსარჯული ვინმე, რომ ლაპარაკი დაგიწყოსთ და წართ-
მევა [მამულებისა]; ქრისტიანენი არ იკადრებენ, ამისათვის რომ ასეთი⁹ ხომ

15 არავინ იქნება ან ძველისა და ან ახლის სჯულისა არა იცოდესრა?
ამრამ გვასმიეს, ეფრონ ქეტელისაგან მამულის მსყიდველი და მაშიგან
დამარბული. ცხადია, რომ საფლავად სამკვიდრონს ნასყიდს ეძახის და
შვილი და შვილის შვილი კვენით სწერს ყოველნი და¹⁰ ახალს სჯულში B 46 a
ხომ მრავალია?. აქ სად დაეწერო! წაიკითხე და ნელსაცხების ფასის
20 მრაცხველია სამასად მფასებელი. ათის თავს არ წარწყმედდა და სამა-
სის სასალთხუცოს ოცდაათის უკან¹¹ მქცეველი, ესეც გვასმიეს, ამ
|| თეთრით აგარაკი იყიდეს და არავინ შესცილებია¹² ნასყიდობას. A 60

25 მე¹³ ასეთს დროს ვიყიდე ქეშმარიტად, სრულად ქართლი და კა-
ხეთი ამ რჩევაში იყვნენ:—ეს სასოებალა¹⁴ არისო, ერთი დიდი მდგომა-
რეობა ქალაქს იყოსო, ერთი მუხრანს და ერთი ვაკეში. მთელი ქართლი
ამ სამს ადგილს დავდგეთო. ვინც მტერი მოვიდეს, ბევრნი გამოვალთ
და პასუხი გავცეთო, თორემ ასე გავგაწვრილმანებნო, რომ დამმარ- C 44 a
ხავიც¹⁵ ვეღარ ვიშოოთო. გაღმა მჯარი, გამოღმა საერისთოები¹⁶, ზე-
მო ქართლი და ქვემო ქართლი ამ სამს ადგილს დავდგეთო და მაშინ¹⁷
30 ტაგნავეთი დიად შორს დარჩებოდა, უკკოს საქმის¹⁸ კელყოფას ამის-
თვის შე მეძახდენ¹⁹.

ამ დროს მიყიდია ეს ნასყიდობა ქეშმარიტად და ვასინჯეთ რა
ამბავია. ცოტა * მივეც თუ ბევრი, ამ დროს ყველა ბევრია, მაგრამ ღმერ-

1 <არ D. 2 ყოველთვის D. 3 არ BC. 4 დიად <BC. 5 განსჯულვისაებრ D. 6 ჩე-
მის D. 7 ღმერთი BC. 8 მოვახმარებთ BC. 9 ასე B. 10 ყოველნი და +D. 11 უკუნ BC.
12 შესცილებია BC. 13 მე <D. 14 სასოებალა + D. 15 დამმარხავიცა D. 16 საერისთო D.
17 მაშინ <D. 18 საქმე D. 19 მეძახდენ <D.

* სიტყვა „ცოტას“ შემდეგ მომდევნო ადგილები 2/3 ნაწილი გვერდისა (იხ. 1913 წ.
განოც. გვ. 60) მილანთან არეულია და გაუმართავი, ამის გამო ტექსტიც გაუგებარია.
B და C ხელნაწერებით მოხერხდა აგრეთვე ტექსტის ამ ნაწილის აღდგენა.



თი მოწამეა, მე რომ ყიზილბაშობას შენობა და აშენებული მინახავს, გასციდული, მეტი მიმიცია და ნაკლები არა. თვითონ ახალშენი აშენებული¹ და მზა მოსავლიანი როგორც მიყილია იმის ნაკლებად თვითო და თვითო სოლოლაშვილის სოფლები არ მიყილია, მეტიც მიმიცია*²; — იაკობ მამამთავრისა წაიკითხეთ, ეს უფრო დიდი წინადადებაა³. იაკობ მამამთავარმა პირმოშობა ერთის ჯამის ოსპით იყიდა, ველარავენი წაართო, ის უფრო დიდი სავაქრო იყო.

ქორანიკონს 452 (1764 წ.)⁴ იანვრის 5 დღად მიქეს ჩიკუთა, კაი სასახლის ადგილი არისო, საგინაშვილმა როსტომ მომყიდა თავისს კოშკსა და სასახლის წინ, ალგეთის პირზე სასახლის⁵ ადგილი და წყარო და მიწა იმის გარეშემო. სიგელი ზაალ საამისშვილს⁶ დამიწერიდა და მოძცა. პირდაპირ ტბისს მამის ჩემის ნასყიდი. ვენახია. ჩემი და C 44 b ჩემის ძმის იოანეს სანახევროა, იქილამ იმას კარგად იმუშავებს. სასახლის⁵ ადგილი კარგია, მდინარე წყალია, კარის მიწად და მოედნათ⁶ ის მიწა ეყოფა კაცსა და სარჩოს სხვაგნდამ მოიტანს. მე ასე ვიფიქრე და როგორც გერჩიოსთ ისე ქმენით. ტაგნაგეთის სასახლის პატრონს სხვაგან დღგომა რად ენდომება, მაგრამ მდინარე წყალი არა აქვს და არ შესწუხდეთ.

B 47 a

ქორანიკონს 453^{***} მაისს 15 ქრისტეს აქეთ 1765 პაწაწა დღიბერი A 61 დაიბადა. წაბძანდა ბატონი ამავე კვირას ერევანს, ქურთი დავარბიეთ⁷ და მშვიდობით მობძანდა და მოვედით. ჯერ ნინიას ქორწილი იყო და მეორეს თვეს ელისაბედ დაიბადა ქორანიკონს 455 ფებერვალს 16, ქრისტეს აქეთ 1767 (წ) პაწაწა ელისაბედ დაიბადა. — ამერივა^{****}, ეს ელისაბედის დაბადება, ნინიას ქორწილის შემდეგ იყო.

ქორანიკონს 455, იანვარს, ქრისტეს აქეთ 1767 ინება ყოვლად ძლიერმან ლმერთმან იოანე ჩემს ძმას ცოლი მოვეკარე, დეაქორ-

¹ შენებული D. ² «ეს უფრო დიდი წინადადებაა» ჩამოულია ფრჩხილებში BC-ში²

³ სახლის BC ⁴ სამომისშვილს A. ⁵ სახლის BC. ⁶ მოედნათ B. ⁷ დავარბიეთ D.

* „იაკობ მამამთავრისა წაიკითხეთ“ C-ს მიწერილი აქვს ამაზე მარცხნივ.

** „აქედან ტექსტი ისევ ხელნაწერიდან იბეჭდება“ — შენიშნავს 1913 წ. გამომცემელი სქოლიოში (იხ. გვ. 60), ე. ი. აღარ სარგებლობს „ციცკარის“ გამოცემით — (D-თი).

*** „აქედან დედანს კვლავ აკლია“ — შენიშნავს 1913 წ. გამომცემელი და ისევ „ციცკარის“ გამოცემას ემყარება. თუმცა გამომცემელი აქვე შენიშნავს, რომ ტექსტი „ციცკარში“ „შეცდომითაა დაბეჭდილი“.

**** „ამერივა“, — სწერს თვით იესე ტექსტის ამ თარიღების და ადგილების შესახებ საერთოდ. სინამდვილეში საქმე იმაშია, რომ ტექსტს აქ უნდა აკლდეს ერთი მნიშვნელოვანი თავი. — პაატა ბატონიშვილის დასის განდგომის, გასამართლების და დასჯის ამბავი. იესე ამაზე გარკვევით ამბობს: „განაჩენი დამიწერია ზემოთ მის ადგილსაო“ (იხ. გვ. 93 ჩვენი გამოც. გვ. 65). ჩვენი აზრით იესეს მიერ „დაწერილი განაჩენი“ ტექსტი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო შეტანილი. სამწუხაროდ, ეს ადგილი ვინაიდან არცერთ ხელნაწერს არ შემოუნახავს, საფიქრებელია, რომ იესემ სიცოცხლეშივე ხელმეტად მიიჩნია ამ ამბის საკუთარ „ცხოვრება-ანდერძში“ შეტანა და იმთავითვე მასპო, ამოაგდო, იგი.

წილ¹. მერწმუნეთ, დიდებული ქორწილი გადავიკადე. მეფეს, ტელ
 ფალს, ბატონისშვილებს კაცსა და ქალსა, საქართველოს დიდროანს²
 კაცებს ყოელთავე მოვახსენეთ. მეფეს შესცივროდა, ველარ მობძანდა C 45 a
 და სხვანი ყოელნი მობძანდენ. ფენიდაზი, კარგათ დახდომა, მართებუ-
 5 ლი ლხინი, სამგალობლოს მიცემა, ყველა გარდუხადეთ, ნალარა ხა-
 ნი³ იკროდა, ვაჩუქე და გავისტუმრე.

სამს დღეს დიდებული ქორწილი გარდავიხადე და მისი ამბავი
 აწ ისმინეთ. ღმერთიან⁴ შეაუღლოსთ და თხოვნაში კი არ გავრეულვარ.
 დიად იმათი ქალი⁵ პატიოსანი* და კარგი ქალია. ჭეშმარიტად ერთის
 10 შვილის ოდნად მიყვარს და თუ ღმერთი შემადლებინებს, არც მინდა B 47 b
 რომ შვილების ცოლში⁶ გავერიო, თვითან ეგების ითხოონ და მასუკან
 მე გავირჯები, თუ ვიცოცხლე.

ეს ასე იყო. დედა ჩემი რომ მიიცვალა, ერთი თუმანი ავადმყოფს-
 ვე მივართვი სახარჯოდ და ბძანა, რომ ბალი თქვენ ორთავე ძმათათვის
 15 მიანდერძებიაო. თქვენ ორთ გქონდესთო და იოანეს ცოლი მითხოვია, ჯვა- A 62
 რის მამის დეკანოზის ძმისწულიო. სიგელები იმას ნიშნად აქესო, ნიშანი⁷
 გაუგზავნეთ და ის სიგელები გამოართვითო. ერთი სასახლო თასი იყო
 ნიშანი ერთის თუმნისა და ორი თუმანი თეთრი. ეს ასე გვიბძანა:—ღმერ-
 თმან ნუ ქნნასო, რომ ერთი შვილი მლოცვედეს, მეორე მწყევდესო.

მიიცვალა, დავმარხეთ რაც შეგვეძლო. ჩემის ძმისა და დებისათ-
 ვის კელი მომიკიღია მის ქამითგან და რასაც ღმერთი მოგვცემს, ერთად
 ვიზრდებით და ღმერთს ვმადლობთ დიდებით დიდებულსა, რომელი
 20 არა დაუტეობს მისდამი მილტოლვილსა. C 45 b

ანასტასია ჩემი და[x] უწინვე გავათხოვე. რაც შემეძლო, გავატანე,
 25 ჩავაცვი, დავუხრე და გავისტუმრე და იმისი წილი სახლი⁸ ამგვარად
 ვეყიდე.

იოანეს ქორწილის დრო რომ⁹ მოვიდა, იმ პატიოსანს კაცს დე-
 კანოზს და ბატონის მოძღვარს შემოეთვალა:—დედა შენმა ჩემის ძმის- B 48a
 წული ითხოვია; თუ გინდათ, რატომ არ ითხოვთ და თუ არ გინდათ,
 30 რატომ არ მეტყვით, ჩემს თადარიკს სხვაგან ვნახაო. მე შეუთვალე:—
 არც თხოვნა შემეიტყვია, არც თადარიკს ვნახაო. ერთს ობოლს ყმაწვილს
 ვზრდი, ღმერთს ეგების ჩემგან იამოს. თუ მავას შენი ძმისწული უნდა;
 ქორწილი ჩემზე მოაგდოს და შენახვა, და თუ არ უნდა, მე არც მითხოვ-
 ნელი ვარ და არც ვითხოვ მეტქი. იმას კაცნი შეუყენე, თუ ის ნებას
 35 დაგრთავს, მეორეს თვეს მე ქორწილს გარდვიკდი ზეთქი.

ნინოწმინდელი საბა, მთავარეპისკოპოსი ბესარიონ მისულიყენენ [და]
 იოანე ჩემი ძმა დაეზარებინათ; მე იოანეს ასე უთხარ:—ამას გეტყვიან

¹ დავაქორცილე D. ² დიდროან D. ³ ნაღრახან BC. ⁴ ღმერთთ AD. ⁵ იმათი ქა-
 ლი < BC. ⁶ ცოლშიდ C. ⁷ ნიშანი C. ⁸ სახლი < A. ⁹ რომ < BC.

* „აქედან ისევ ხელნაწერიდან იბეჭდება“—შენიშნავს 1913 წ. გამომცემელი.



და რაც გინდოდეს, ის მოაკსენე, — თუ ცოლად გინდა, ნურას¹ შედგინდე, ყველა მე ვიცი, და თუ არ გინდა, მითხარ, იმათაც მოაკსენე და რაც იმათ წაგართვან, პასუხს მე გავცემ მეთქი.

5 დიად² ქეშმარიტია, თუ ნება არ მიეცა, შემეძლო რომ სხვა მეთხოვარა და არცარას დავიკლებდი.

10 იოანეს ეპისკოპოსებისათვის მოეკსენებინა³: მე იმის მეთი ცოლი A 68 არ მინდაო. რა რომ ეს მითხრეს⁴, კიდევ შინ ჩემს სახლსა დავეკითხე, C 46 a თქვენც ჰკითხეთო, მათაც ეკითხათ და ნება ეთქვა. მაგრამ სალომე ასე B 48 b ამტკიცებდა: თუ იმას არ უთხოვთ, არ იქნება, თუ ამისი მწყალობელი და მოყვარული ხარ, ის უთხოვთ⁵, ბევრი მოჰყვებო.

15 რა რომ ესენი ასე⁶ ქეშმარიტად შევიტყვე, მოვემზადე და ნეტავი ღმერთმან ჩემის შვილების ქორწილზედ შემეძლებინოს ისე გარჯა.

20 დედოფალი, ბატონის შვილები, სრულად ქართლისა და კახეთის დიდი კაცნი დავპატიე, სამს დღეს ქორწილი გარდუკადე. ჩემს შვილებთან გამოურჩეველად მყავს მისი ცოლი და ღმერთმან იზრუნოს ჩემთვისცა და მათთვისცა. იმავე⁷ წელს ვაკურობებინე. ქორანიკონს 456 (1768 წ.) ქრისტესშობის 20 ბიჭი მიეცა, მიქელ დავარქვით.

25 აგრევე კიდევ იმ შემოდგომაზედ სალომე გავათხოე. თავისი ნება იყო ქმრის თხოვნა და მე⁸ რაც შემეძლო, ორი კელი ტანისამოსი, ერთი ხელი ქვესაგები, ზანდუკი თავისის დედისა იყო. კარგი ქორწილი გარდუკადე. ერთს ღამეს ჩემს სახლში მყვანდენ ბატონისშვილები, დარბაისელნი. მერმე გავისტუმრე და მისი წილი სასახლე ასე ამ გვარად ნასყიდია ჩემი. მისი წილი სასახლის ფასი ამ ხარჯის მესამელიც არ იყო, მარა და იყო ჩემი, რაც შემეძლო გავისარჯე. ღმერთმა იხი- B 49 a
C 46 b

30 მაშის ჩემის სასახლე ნახევარი ასე მიყიდია. ჩემი საწოლი და დიდის სახლის ნახევარი ჩემია. ამას ქვეშე სახლებიცა და ეზო საერთოა და იოანესი დიდის სახლის ნახევარი და ქვეშე მარანი და ეზოში პაპის ჩემის საწოლი. ეზო საერთოა, მართალია, იოანეს არა დაუხარჯავს რა, თინათინ სასახლოდ არის გათხოილი და სოფია მოკვდა, მაგრამ ობო-
35 ლია და ნახევარი იმისია, ღმერთმან მოაკმაროს. ნახევარი ასე ამ გზით მიყიდია და ჩემია, რომლითაც⁹ გონებითა მე ვხედვე ყოელთავე, ეგრეთ A 64 ღმერთმან მოხედოს. საწყალობელსა სულსა ჩემსა და შვილთა ჩემთა.

35 სახლიც არა მქონდა, ესეც მიყიდია და შვილთათვის ამდენის გზით ცდილობით, სიღარიბეში, საქმის გაკირებით, რომელიც ზემოთ დამიწერია, დამიმკვიდრებია. ისმინეთ, სიყვარულისათვის ლუთისა სიგლახაკე იგი ჩემი, რომელი მაკირებდა სამსა და ოთხსა წელსა და არცარა მქონდა იმედი თვინიერ მოწყალებისა ლუთისა. არც ერთს არ შეუღონდი

¹ ნურს B. ² დიად A. ³ მოუხსენებია BC. ⁴ მითხრა B. ⁵ თხოვთო BC. ⁶ ესე BC.

⁷ იმავე წელს—დავარქვით⁸ A-ში სქოლიოშია ჩატანილი. ხოლო საკუთარი სახელი,— „მიქელ“ < BC. ⁹ მეც BC. ¹⁰ რომლითაც C.



ქვემოთა
საქონისა

და ყოელსავე მამაცურად შევბედევდი. თუ გასასყიდელს მეტყუარად რასმე სიღარიბეში, ან სახლი გაყიდეო, ან ღუქნის დასტური მიეცო, B 49 b ასეთს სიტყვას ვეტყუოდი, რომ იმ სიტყვით საბოლოოდ¹ მამული ჩემს C 47 a შვილს არ დაჰკარგოდა და მე თუნდ დაჰირება მქონოდა, არას ვნაღვ-
5 ლობდი.

ენა მსუბუქად და ადვილად იტყვის, თორემ ოთხი წელიწადი ქა-
ლაქში ხიზნიანის კაცისთვის უსარჩოდ ყოფა, დიდი ამბავია. ბატონი
მწყრომალე, მშობელი უწყალო, თვითან უმამულო, უსარჩოო, და ეს
უფრო საკვირველი, რომ ადამის ტომი ამისი მრჩეველი არა მყვანდა
10 ასე ქმენ², ეს გიჯობსო. თუ ვინმე მეტყუდა, დაკარგვასა და რუსეთში
წასვლასა.

ახლა რომ ამ მამულებს სყიდვა დაუწყევ, რა ვითხრა: მოუთმენე-
ლი ბრძოლა ყოვლის ჩემის კეთილის მყოფელისაგან, ქეშმარიტად მრ-
ვალჯერ ჩემის ყურით ჩემის სახლისაგან ჩემი წყევა გამიგონია, რომ
15 ოკერსა და ხარაბას მიწებს სყიდულობს და ჩვენ სულეები ამოგვხუთაო.
მრავალჯერ მტირალი მიხილავს ამ ამბავზედ, რომ ოკერს მამულებს
სყიდულობსო და მწყევლიდა.

არ მყვანდა შემწე, არ მყვანდა მრჩეველი, არ მყვანდა გამომრჩე-
ველი. ერთმა ოკმაწვილმა ამდენი შვილთ სიყვარული მოვიგე, რომ ჩემი B 50 a
20 სული გავიმწარე და ეს მამულები ასე შემოვკრიბე თეთრით, სყიდვით,
გარჯით და ჭკუით. კაცს რომ ოკელი კაცი დამშლელი ჰყვანდეს³ და C 47 b
თვით თავისი სახლიცა, ღუთის გულისათვის და იმ კაცმა კიდევ ამდენი
თავისი თავი და გული გაირკინოს რომ ესეები ქმნას, როგორ დასამა-
დლე⁴ბელი არ არის. ჩემი გინება ჩემის ყურით გამაგონიან⁵. ერთხელ A 65
25 ასე მითხრეს:—ქვეყანამ სასაცილოდ ავიკდოო. მეწყინა დიდად, მარა მე
ჩემი არ დავიშალე,—შვილების სიყვარულით ქეშმარიტად, თორე კაბა
მეც მიყვარდა.

ქორანიკონს 455 (1767 წ.) ფებერვალს 9. იორამს ერთი წიგნი
აქვს ჩემგან დაწერილი. ტანგაგეთის სასახლე ერთხელ ასე სწერია: ია-
30 სე⁶ სოლალაშვილის სასახლე იასე მდივანს და ზაზასი იორამსაო, გასა-
მყრელო წიგნი კი არ არის. ძმები რომ ლაპარაკობდნენ, ასე გაშველ-
დნენ მანუჩარ და იორამ, იმავ წიგნში სწერია,—სასახლეები იორამსაო.
ამ⁶ წიგნს მოაწერა იორამმა,—იასეს⁷ წილი სასახლე იესეს დარჩაო.
იორამ იმ გასამყრელოს წიგნს მოაწერა: გიჟი იასეს წილი სასახლე ია-
35 სე მდივანს დარჩაო და სამართლიდამც წიგნი ოკმაწეს. გასამყრელო B 50 b
წიგნი იორამსა აქვს, მაგრამ იასეს წილი სასახლე მანუჩარისაგან მო-
ცემულს სიგელში მე მიწერია, რომელიც იორამის კელმოწერილია, ყა- C 48 a
ბული მაქვსო. ამაზედ მე და იორამმა ლაპარაკი დავიწყევით. მე უთხარ:—

¹ საბოლოოდ BC. ² ქმნეს BC. ³ ჰყვანდეს B. ⁴ გამაგონიანა B. ⁵ იასესი BC. ⁶ „ამ
წიგნს—იორამსა აქვს“ A-ში სქოლიოშია ჩატანილი. ⁷ იესეს BC.



- მდივანბეგთან ვილაპარაკოთო, — წავიდით, იორამის სიტყვა¹ ეს იყო: — უმჯობესეს
 ცროსი ვარ, შენ რომ საუფროსოს აიღებ, მე საუმცროსო უნდა ავიღოო.
 ჩემი სიტყვა ეს იყო: რომელიც ძველი სასახლე შემოფარგლული არის
 და კარგი სასახლეც არის, იმას ხომ არავინ გიჭერს; თუ არა, გიყი იასე
 5 წამოსულა, გამოღმა ადგილში ოცდა ათი თუმანი მიუცია, პატარა რა-
 ლაც ხუხულა გაუკეთებია კოშკს აქედამ და ვენაკი ამბარდანზე გაუყი-
 დია; თუ ვენაკის გასყიდვას კი გარდმაცდევინებ, სასახლე რომ უყიდა,
 იმის წილს რატომ აღარ დამიდებ მეთქი. კოშკი ხომ ნახევარი შენია,
 ნახევარი ჩემი გასულა, ცალკე აუშენებია. სადაც რომ ააშენოს უფროს-
 10 მა, ყველა უმცროსისა ხომ არ იქნება და მერმე ოცდაათ თუმნად უყი-
 დია ზახასაგან ის ადგილი მეთქი. მერმე² სამართალმაც მომცა და იო-
 რამც წიგნი დამიწერა, მდივანბეგმაცა და მომცა. B 51 a
- ვაი ცულ მაშვრალსა³, თქვენთვის ვიჭირვი, შვილნო ჩემნო, თო- A 66
 რემ თქვენმა ცხოვრებამ, ივლისის 1 ქორანიკონს 456 (1768 წ.) ვაშ-
 15 ლოვანს ვაშენებდით. ერთი ქვეითი და ერთი ცხენიანი მურადაშვილები
 გარდაიყვანე, მინდოდა სასახლეში ავსულ⁴ იყავ. მიქელანთ ნიგვზებთან C 48 b
 რომ მიველ, ყარაულს თვალი შევასწარ. ღმერთმან ინება, თორემ შეც-
 რად გავერეოდი შიგ ლევის ჯარში. სასახლეს ქვემოდამ სოფლის საყ-
 დარს ზემოდამ იღვა ქვეითი ყარაული. მე რომ თუთასთან მიველ, შევ-
 20 ხედე, დავინახე, გამოვბრუნდით. მე ქვეითი ვერ გაუშვი, წინ წამოვიგ-
 დე, უკან ჩაუშდეგ წამოვედით.
- შესხდა ოთხმოცი ცხენიანი კაცი, გამოვვიდვა. ღუთის მოწყალე-
 ბით, თორემ ჩემი მკლავით არ ვიქადი, ცხენოსანიც და ქვეითიც ასე
 მოვიყვანე, არა მიმიცია-რა. თვალითაც არ მაჩვენეს ლეკებმა, ჩემი დრო
 25 ასე იყო; ეგების ღმერთმან თქვენ მშვიდობა მოგცესთ და მისვლა გე-
 ღირსოსთ, მახსენებდეთ ღუთის სიყვარულსა.
- ძნელი არ არის, კაცმა თეთრი მისცეს, მამული იყიდოს, ეს ჭირე- B 51 b
 ბი ნახოს, იმ ნასყიდის მამულის ნახვა მოინდომოს ათსა და თორმეტს
 წელიწადში ერთხელ და მტერმა გამოიგდოს წინ და კინდა სიკუდილს
 30 მისცეს. თქვენი ჭირიმე⁵, როგორ ძნელი არ არის ამ დროს სყიდვა,
 ქრისტესთვის სამართალი სასჯელი საჯეთ⁶.
- ქორანიკონს 456 (1768 წ.) აგვისტოს 7 რევახ გაბაშვილისაგან
 წყლის პირის გაღმა ვერესაგან შემდგარი დიღმამდის და გდელისი და
 თხილოენა გირაოდ მქონდა. კაცი მოეზახენა, წყლის პირი იყიდე და C 49 a
 35 მიწები გირაოდ გეჭიროსო. მე შეუთვალე: რაც მამის შენის წილია,
 დიად⁶ ვიყიდი და შენის განაყოფის წილს არ ვიყიდი მეთქი. ადგა და
 თავის სახლის კაცს, დავითს მიჰყიდა წყლის პირი და თხილოენა, გდე-
 ლისი დაუგირავა. იმან კი არა ინაღვლა-რა, უნდა რომ ჩემი თეთრი A 67
 მოეცა. გამოვიდა ხანი. არ მომცა. მერმე ასე შეურვიდით: რაც რევახის
 40 მამის წილი იყო წყლის პირი, დავითმა მომიცა. დიღმამდის რომ შე-

¹ სიტყვა <B. ² მერე BC. ³ მოშვრალსა B. ⁴ ჭირი მე B ⁵ საჯეთი B. ⁶ დიან A.

იქნება ჩემი წილი, როგორც მონასტერს წინ მაქვს მეექვსედი¹, ისე იმას ზევით დიღმამდის და კიდევ ოთხილოვნა და გდელისი.

B 52 a

ამ გვარად დამიგირავა მეექვსედი. თეთრი რაც მაკლდა, დავითმა გამომართვა. მე დავითისაგან მაქვს წყლის პირი ნასყიდი ვერეს გაღმა დიღმამდის მეექვსედი წილი და თხილოვნა და გდელისი გირაოდ მეექვსედი. როსცა ჩემს თეთრს მომცემს, თავისი გირაო უნდა დაანებოთ და წყლის პირი მეექვსედი ქალაქიდან დიღმამდის ნასყიდი მაქვს, რევანის მამის წილი არის და მონასტრის მეექვსედი, ამასთან საქმე არავის აქვს.

10 ||დავით გაბაშვილმა და რევან რაღაც² პირობა შეკრეს, მე შემო- C 49 b
რაღაც უქმნია, ნუ მიეახლებიან⁴ სული ჩემი.

და მონასტერი ვერეს გამოღმა ნასყიდია მაქვს და არცავინ მეცილება.

15 გულისგმა ყავთ, შვილნო ჩემნო: ეს მამულები ასე შეეკრიბე⁵, რო-
მელიც რიგით მოვახსენე ნასყიდობა თავ-თავის ადგილს, ერთი სათავადო. ბატონის წყალობა, მეორე—სათავადო და დურნუჯი*.

წიგნი პირველ ნასყიდობაზედ ბატონისა, სისხლისა და ჩემის მამულების პატრონებთან აღრაცხვისა.

20 და ახლა წიგნი ბატონის წყალობა მამულებისა და მათი პატრივი B 52 b
და სისხლი.

ეს მოყვრები, ეს სასახლე ქალაქს, გიყიდე და დავიმკვიდრე. სამარადისოდ მეგობრად და ქირში შემწედ და აგრევე ლხინში შემწედ, მოვიგე ქსნის ერისთავი დავით და ყაფლანისშვილი ზაალ, მჩაბელი იესე**.

¹ მექსედი A. ² რაღასაც BC. ³ ძმაც თვით B, ძმის დაცვით C. ⁴ მიეახლებიან A. ⁵ შევიკრიბენ AC.

* ვინაიდან იესეს თავის „ცხოვრება-ანდერძში“ არასად არ შემოუნახავს ცნობა, „ბატონის წყალობა მეორე სათავადო და დურნუჯის“ შესახებ, ამიტომ აქ მოგვყავს საბუთი უცვლელად, როგორც ტექსტის შემადგენელი ნაწილი (ამ დოკუმენტის დედანი დაცულია საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივში): ჩვენ ძემან ცხებულის მეფის თეიმურაზისამან, მეორე ირაკლიმ მეფემან საქართველოსამან—ქართლისა, კახეთისა, შამშადილოსა და ბორჩალოს მპყრობელ მქონებელმან, გიბოძეთ ჩვენს მდივანს იესეს, შვილთა შენთა გერმანოზიან განაყოფის ბართაშვილის ბეგაშვილის მამული და ყმა საკუთარ, და მთლად ვარდის ჭალა, აბანო, მენქალისი, ატამეთი, დიდებსა საკომლო ერთი და ან სხვაგან, სადაც ბეგანთ მამული ქონებიათ, სრულიად და უცვლელად შენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია და მახედ დავიმკვიდრებინარ სამუფოად შენა და სრულად შენი მომავლითა; კიდევ გვიბოძებია ჩვენი სახასო სოფელი დურნუჯი მთლად და ყოვლის კაცის უცილებლად წყლითა და მიწით და მისის გლენებითა. დიმიტრი ეწიკაბაშო! ხელი ამართე და იასე მდივანს მიაბარე და საცა ამ სოფლების აყრილი გლენი იყოს, ყველა აუყარე და მოაბარე. აღიწერა იენისის ა-1 ქ-კს უნვ“=456 (1768 წ.).

** ცენტრ. საისტ. არქივში აგრეთვე ინახება „სამარადისო მეგობრობის“ ფიცის წიგნი იესე ბართაშვილისადმი მიცემული ქსნის ერისთავი დავითის, ყაფლანისშვილი ზაალის, მჩაბელი იესეს, სულხან მდივნის, აბაშიძე მილახობაშვის და სხვ. (იხ. ფ. 226 საბ. 4561, 4558), რომელთა შესახებ იესე თავის „ცხოვრება-ანდერძში“—აც იუწყება; ამრიგად, ეჭვიმითაობით მტკიცდება მოსაზრება, რომ იესეს ანდერძი დოკუმენტალური ძველია და ანდენად საცხებით სანდო ისტორიული წყარო.

- ესენი გიქმენ, შვილნო ჩემნო. ასე დაგამტკიცე, ასე დაგამყაროს¹ ღმერთმან, როგორც მისი ნება იყო. რომელიც ||მამობის წესი იყო, მე A 68 არა დამიკლია რა, და ყოველი გარდამეტებულად ||მიგისრულე. C 50 a
- აწ რაც ძეობის წესი იყო მორჩილებისა და ყურის მოპყრობისა¹, ჩემის სიყვარულისა და სიბერეში სამსახურისა და სიკუდილის დღეს კარგად დამარხვისა და შემდგომად წლითი-წლად ჩემის კურთხევით ხსენებისა და ერთის წილის გარდატეგებისა და მის ჩემის წილისა კეთილად მოკმარებისა, ჟამის წირვისა, გლახაკთა და უქონელთა² ზედან წესიერად წარგებისა, თქვენ უწყით.
- 10 ეგრეთვე თქვენის ცხოვრებისა წმიდათ დაცვისა, რომ:—
 ან თავდებად არავინ დაუდგეთ³,
 ან ღვინო შეტი არ შეიყვაროთ,
 ან ქურდობა არ შეგაჩნდესთ,
 ან ბატონის სიტყვის გაცემა,
 15 ან მძეაობაში შეპყრობა,
 ან ყუმრის თამაშობა და ლოთობა⁴,
 ან ძმებში ერთმანეთის სიძულილი და ||ერთმანერთზედ მეტობის B 53 a მონღომება, თუ არ სამართლიანი, ამებებისა თქვენ იცით.
 მართალია, სანამდის ცოცხალი ვარ თქვენ ამებს ვერც ერთს ვერ იკადრებთ ღუთის მოწყალებით, მარა ჩემს სიკუდილს შემდგომად გვედრები.
- 20 მრავალი სიტყვა მაქვს და ყოველივე უნდა მივითხრა ||და მოგწერო, C 50 b თუ ღმერთმან დამაცალა⁵. მაგრამ თავი და ბოლო ჩემის ვედრებისა ეს არის: ჩემი შვილები ასეთი არავინ გამოხვიდეთ, რომ ეს მამულები არ წააგდინოთ, რაც არ შეუმატოთ, თქვენც⁶ ეცადენით, რომ იყიდოთ, ბატონს მსახუროთ და მამულები გაიმრავლოთ. ტფილელის⁷ ყრანი იყავით და ერთ[ი] ხუცის შვილები, ამდენი თავი მიწამებია, ამ აღგილს მიმიწვენინხართ.
- 25 მე ხომ აღარა მერგო რა, ვეღარც მამულს მოვესწრობი⁸, ვეღარც სიხარულსა, და დიდებას ჩემს ქირახულებში, ყოველივე თქვენ დაგრჩებათ⁹. ზეთ რომ ჩამოვთვალე, ყველა ცუდია; საქმე ეს არის, ამ აღგილს მომიყვანინხართ, ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ. უცოდინარი არ დასდგეთ, ან თქვენი შვილები არ დააყენოთ,—წიგნი, წერა, გალობა უნდა ასწაოთ-
 35 ამის წერაში რომ ვიყავი, <და> ღმერთმან წყალობა მიყო, პაწაწა დავეთ დაიბადა ქორანიკონს 456, (1768 წ.) აგვისტოს 21¹⁰. მე ვიყავ წლის ორმეოცისა; ||ხუთშაბათს¹¹ რომ დაღამდა და ღამის ორი საათი გავიდა, მაშინ წოვიდა ამ სოფელს, პარასკევად განთენებოდა ოც და A 69

¹ მოყრობისა B. ² უქნელთა A. ³ აგრეთვე თქვენის ცხოვრებისა წმიდათ დაცვისა, რომ ან თავდებად არავინ დაუდგეთ <BC. ⁴ და ლოთობა <BC. ⁵ დამაცალა <BC. ⁶ თქვენიც B. ⁷ ტფილელის ყრანი იყავით და ერთ[ი] ხუცის შვილები ამდენი <A. ⁸ ვეღარც მამულს მოვესწრობი <B. ⁹ დაქრჩებათ B. ¹⁰ აგვისტოს 12 A. 11 აგვისტოს 12 ხუთშაბათს A.

- ორი აგვისტო* ქრისტეს აქეთ ||1768 ალათონიკ ||მოწამისა გათენდა, თა- B 53 a
 დეოზ მოციქულისა მწუხრ იქმნა, მიამა დიდად, მადლობა მიეცე ღმერთსა. C 51 b
- ჩხეიძეებისაგან რომ ღორისთავი სოფელი ვიყიდე, კორკოტისშვი-
 ლი ლუარსაბ შემომეცილა. ერთი წიგნი წამოადგინა ერეკლე მეფისა,
 5 ამოწყვეტილის ავთანდილისათვის მიეცა ნახევარი ღორისთავი, მეორე
 წიგნი მეფის ვახტანგისა, რუსეთს ებოძებინა. უსამართლოდ წამერთვა
 და მისცა კორკოტს.
- მეფეს ერეკლეს რომ უბოძებია¹, ვისთვისაც უბოძებია², ამისი გაყ-
 რილი³ იყო და მოსწყდა⁴ ავთანდილ⁵.
- 10 მეფეს ვახტანგს გარდავარდნაში უბოძებია და ნება ღუთისა იყოს,
 ამდენი უნდა ვაამო ბატონს ჩემს, რომ ჩემი ტყვე მევე დავიჭვანა.
 აქამდის ასე გამეგონა, კაცს რომ შეილი მოემატებოდა, მამულს
 მოუმატებდენ. მე ამის მოსვლაზედ ნასყიდოც წამერთვა⁶. ავის ფეწისა
 იყო თავლაფიანი, ამის დაბადების მეცხრეს დღეს წამერთვა ღორისთავი.
- 15 აწ შემოკლებით აღვთვალო ჩემი მამული:—
 ლურჯ მონასტერი მეექვსედი.
 შინდისი მეოთხედი და საუფროსო.
 ტაბაგმელა მერვე||დი და საუფროსო და ნასყიდი. C 51 b
 საღორისი მეოთხედი და საუფროსო.
 20 ტაგნაგეთი ნახევარი და საუფროსო.
 ასურეთი მეოთხედი და საუფროსო.
 ახალშენი სამი საკომლო გარჩეული და ხოდაბუნი.
 წინ ვენაწი მთლად, ცოტა ||რამ არის სხვისა, წიგნები გაარჩევს. B 54 a
 დიდებას ერთი კიი საკომლო ამბარაშვილები.
 25 მამისდაბა მთლად.
 ღორისთავი მთლად, თეთრი მიმიცია, ნასყიდობის წიგნი კელთ
 მიჭირავს, ბატონი არ წამართმევს.
 ||ვარდის ჰალა მთლად. A 70
 ატამეთი⁷ მთლად.
 30 მენქალისი⁸ მთლად.
 აბანო მთლად.
 დურნუჯი მთლად.
 დუქნები სარდაფით მოედანზედ ზეითის⁹ გარდა.
 ჩხიკუთას სასახლის ადგილი, გვერდით მიწი, წყარო და ალგეთის
 35 პირო.

¹ უბოძებია BC. ² ვისთვისაც უბოძებია <B. ³ გაუყრილი B. ⁴ ამოსწყდა C. ⁵ ავ-
 თანდის B. ⁶ წამერთვი AB. ⁷ ატაგეთი ABC. ⁸ ზეთს A.

* A ხელნაწერი დავითის დაბადების თარიღად შეცდომით აგვისტოს 12-ს, ხუთ-
 შაბათს მიუთითებს, ხოლო BC კი—21 აგვისტოს ასახელებს; რომ უკანასკნელი თარიღი
 სწორია, ამაში თვით A ტექსტიც გვარწმუნებს, რომელშიაც აქვე აღნიშნულია: «ხუთ-
 შაბათს რომ დაღამდა და ღამის ორი საათი გავიდა, მაშინ მოვიდა ამ სოფელს, პარას-
 კევედ განთენებოდა ოცდა ორი აგვისტო». აქედან აშკარაა, რომ 1913 წ. გამოცემაში ეს
 შეუსაბამობა, ბეჭდვით შეცდომადაა სავარაუდებელი.

სასახლე სიონში ქალაქს ნასყიდი და ახლა ჩემგან აწენებული.

სასახლე მთავარეპისკოპოსის საყდარსა და ქსნის ერისთავის¹ სასახ-
 ლეს შუა, აბაშიძეებისაგან მოსყიდული.

სასახლე კილიმისშვილის შაქარასა და ლოინანთ² სიმეონას შუა,

5 მელიქის ავეტიქასაგან მოსყიდული.

ქალაქს ბალი ჩემი და იოანესია, სამო არის.

ტბის³ ვეწნავი ქილაძისა, ჩემი და იოანე ჩემის ძმისა[ა], ქვევრი, მა- C 52 ჰ
 რანი, კალო, საბძელი⁴.

ზრბითს⁵ გამოჩინებულში ორი ვენახი თავის ქვევრ მარნითა. ეს

10 არ ვიცი, ქვევრი და მარანი აქვს თუ არა. ესეც მე და იოანემ უნდა⁶
 სამოდ ვეგმაროთ.

ერისთვის ბარძიმის თავდები რომ იყო მამაჩემი, ას სამოცდაშვიდი

თუმანი გაუვიდა. ეს თავნია და ამისი სარგებელი დიად ბევრია. შინდისი
 გიროდ გვიწერია. რაც აქედამ გამოვიდეს, ცოტა თუ ლბევრი, ჩემი და B 54 ბ

15 იოანესია; მაგრამ ღმერთმან ნუ ქმნას, რომ ქალებსაც წილი არ დაუდგათ.
 იმათაც უნდა, ცოცხლებსაცა და მიცვალებულებსაცა მოვმარება. უფროსი
 ჩვენ და უმცროსი ქალებსა და მესამე წილი⁷ მიცვალებულს მამასა,
 დედასა და დებსა მიცვალებულებსა.

დაბლა ქალა რაც გვერგება ჩემი და იოანესია.

20 სახლთხუცესობა⁸ და მდივნობა, ლილოს მოურაობა, შავრობისა,
 სამწყსო კეთილი და საუკუნო საუნჯე სიონში, სასახლე, - ენეი ყველა
 ჩემი და იოანეს სამშობა, ნახევარი ჩემია და ნახევარი იოანესია.

||დავშვერ მრავლისა სულთქმისაგან და ზედას⁹- ზედა ცრემლნი A 71
 მატყლებიან მე, რამეთუ სიკუდილი უნებლიე|ედ თანა აძს მწერალსა. ჰე C 52 ბ
 25 თუშცა მოვკვედ მაშინ, ოდესცა შვილნი დამიშთენ მე მკირენი და შეუს-
 რულბელნი და გოდებდენ და არავინ იყოს მწე მათდა, გარნა რასა
 ვისმენ¹⁰, რაცა ლაღადება¹¹ ყონ.

უფალო, უფალო, შენ აღიქუ და შეიწყალენ ექვსნივე¹² ესე შვილნი,
 რომელნი მომიც, რამეთუ მე მარტო ვარ და არავინ არს მწე ჩემდა,
 20 და აღზარდენ შიშსა შენსა და მორჩილებასა ზედან წმიდისა ეკლესიისასა
 და განმასრულებელ ჰყვენ, რაოდენიცა რა ვამცნო წერითა ჩემითა, რა-
 მეთუ ფრიად ვწიგრები შვილთათვის. ნუ უკვე სათნო გეყენენ შენ და
 ქვეყანასა ამას ქართლისასა და მეცა ცოდვილი კურთხევით ვსენებულ
 მყონ.

35 ||დამარხვა ჩემი ესრეთ მეგულების და ესრეთ მწადს¹³; ვესაე ღმერ- B 55 ჰ
 თსა განმადლიერებელსა ჩენსა და ესასოებ ყოვლად წმიდასა ღუთის მშო-
 ბელსა და ვევედრები, რომელ¹⁴ აღმისრულოს გულისა ჩემისა¹⁵ საწადე-

1 ერისთვის B-ში ზემოდანა ჩამატებული. 2 ლოინთ B. 3 ტბის B. 4 სალო საბე-
 ლი B. 5 ზრბითს <B. 6 უნდა დამოდ C. 7 მესამე წილი <B. 8 ცახთუხუცესობა B, სახთ-
 უხუცესობა C 9 დედას B, ზედას C (პირველი ასო „ზ“ C-ში „მ“-დაა ვადასწორებელი).
 10 ვისმე B. 11 ლაღადებ B. 12 ექვსნივე A. 13 მნებას BC. 14 რომ BC. 15 ჩემისა <B.

ლი, ვინადგან თქვენი საქმე ყოელი წარემართე, აღარა დამიკლია, ყოველივე სავესებით მომიტვალავს:—მამული, ყმა, სასახლეები *, სამივ რიგი ჩემი ნას-
ციდეზი და აშენებული.

5 ახლა ეს არის ჩემი ლუთისაგან სათხოვლი, რომ ესეც აღმისრულოს;
რადგანაც წმიდის ეკლესიის მსახური ვიყავ, სამოცს წლამდის თქვენთან
ვიქნები და ¹ დაგზრდი. მაშინ ოსე ლუთის ||მოწყალებითა ოცდა ათის C 53 a
წლისა იქნება, აგრევე ზაზა, გიორგი და სხვანი თავ-თავის რიგზე კაცობის
გზაზედ დადგებიან და ოსე ღმერთმან მიცოცხლოს, სრული კაცი იქნება.

10 დაუტეობ ² სოფელსა და წავალ, ჩემს სულს მოუვლი. აქავ სიონში ჩოჯას
ვიკურთხებ, აქავ განვიძრცვი სამხედროსა ყოველსავე, აქავ დაუტევებ,
წინაშე მეფისა და ლაშქართა მოგივმობ, ყოელსა ცხოვრებასა ჩემსა მათს
წინ მოგაბარებ, მათს სიმაღლეს მეფეთა და მეფის ძეთა და მთავართა
მიგაბარებ, შეგავედრებ, ჩავიცვამ ჩოჯასა, ერთს ჯოხს დავიჭერ და წავალ
||ჩემთვის. სანამდის ჩემი სიცოცხლე გესმოდესთ, რაც ჩემის მამულისა A 72

15 გერგოსთ, თვითოს წილს თქვენს||ვის იანგარიშებდეთ, რამდენიც იყუნეთ, B 55 b
ერთს წილს მე მომაწვდიდეთ, წელიწადში ერთს ჩოჯას და ერთს შიგნით
ტანისამოსს და თუ ³ იშოიდეთ, საზრდელსაცა, სანამ სიცოცხლე გესმოდესთ.

თუ ვინმე მამულის ცილება დაგიწყონ, მამულების სიგლებთან ჩემი-
სავ ჯელით დაწერილი პასუხებია ⁴, იმით ილაპარაკეთ ⁵, მე კი დამეძსენით,
20 ნურცარასლა მკითხავთ, ნურცარასლა მაჴსენებთ. მე მინდა თქვენგან
მოვკუდე. დედა თქვენს მსახურეთ, აამეთ, თქვენს ⁶ ძმებს კარგად მოუა-
რეთ, თორემ თუ იქ გავიგონე, კარგად არ ⁷ მოგივლიათ ერთმანერთი-
||სათვის, ჩემი გული დამძიმდება და ღმერთმან გაშოროსთ. C 53 b

იკოდეთ, თუ ჩემი გული რომელზედაცა ⁸ დამძიმდ[ებ]ა, კეთილი
25 აღარა დაგემართებათ რა. ძმებს ცოლები შერთევით ⁹, რძლებს კარგად
მოუარეთ, თქვენს თავსა და ძმებს ნუ გამოარჩევთ, ერთად გიყვარდესთ,
როგორც მე იოანე მიყვარს. აგრევე თქვენმა შვილებმა ქმნან და რაც
დამიწერია და დავსწერო, ყველა ისე ქმენით. ჩემი ტანისამოსი თუ იარა-
ლი ერთ ¹⁰-ერთი შეინახეთ, მომიგონებდეთ ხოლმე.

30 ვინ იცის, თუ ბაროტის ეშმაკის მანქანებით და შურის ძიებით
დღე მომიმოკლდეს და ვერ ველირსო მონაზონების მადლს და ერის კა-
ცობაში მოვკუდე, ან პაპა ჩემთან და ან მამა ჩემთან მიმიღეთ, მარმარი-
ლოს ქვა იშოეთ, ზედ დასწერეთ ჩემი ამბავი, როგორც იყო და ნიშ-
35 ||ნად დამდევით და ჩემს სულს ასე მოუარეთ, ან როგორც დამიწერია B 56 a
და ან როგორც მნებავს აღწერა.

ნაწილისა მის ჩემისა, რომელიცა გარდაუტეოთ ჩემთვის სყიდული-
საგან ჩემისა ესრეთ ¹¹ იქნეს: რომელიცა მამისა და პაპისა ჩემისა დამშ-
თენია, შვილნო ჩემნო, ივინი ხომ არ წამიწყემედია ¹², ისევე გაქვსთ, იმის-
გან მე ნურას მომაგებთ, ყოელივე თქვენი იყავნ, მე მამისაგან დამჩრომი,

¹ და <BC. ² დაუტეოდ BC. ³ თუ <B. ⁴ პასუხება B. ⁵ აღაპარაკეთ B. ⁶ თქვენ BC. ⁷ არ <B. ⁸ რომელზედაც BC. ⁹ შერთევით B. ¹⁰ ერთი B. ¹¹ და+BC. ¹² წაზნო-
წყენია *
* ეს სასახლე იმათაც ნასყიდი ჰქონდათ ზურაბ ერისთავისშვილის — ემიკალისისა-
გან +BC ტექსტში (A-ში სქოლიოშია ჩატანილი).

- თქვენ ჩემი ||დაგრჩესთ; და რომელიც დიდის ჰიროთ და საქმის გაქირე-
 ბით მიყილია, რას მემართლებით, მეც არ მომიზლოთ? ჭეშმარიტად მე
 რაც მამის ჩემისა მერგებოდა, პირველად მისთვის წარვა||გებდი და მერმე A 73
 რაც დარჩებოდა, თავად იმის ობლებს მოუნდებოდა და თუ ყურძენს
 5 შეეჭამდი, შენდობით და კურთხევით მოვიქნენებდით.
- ბევრი მივეც თუ ცოტა, ჩემთვის იმ¹ უამად ბევრი იყო. ერთი ყმა-
 წვილი ვიყავ. ამდენი შვილნი მყვანდით, ძიძა გინდოდათ და მისი ჯამა-
 გირი და შენახვა. ჭეშმარიტად გიორგის საძიძაო თხუთმეტი თუმანი გა-
 მივიდა სასმელ საქმელს გარდა. აგრევე იმის უმცროსებზე. მე ვიყავ და
 10 დედა თქვენი და პატიოსანი ქცევა გემართებდა, რომ თქვენთვის არავის
 დაეყვიდრებინა ჩვენი ავად ქცევა.
- ოცდა ერთი სული ჩასაცემელ² დასახურავი და სასაზრდელო მყვან-
 დით და ბევრჯელ ოცდა ოთხი და კიდევ მეტი მსახურნი, ცხენნი, მოყ-
 ვარენი და სტუმარი. უმამულო ვიყავ და ჩემის გარჯით, ცოდვილობით
 15 ||და კაცობით და უფროსლა ღუთის მინდობით, თქვენც ნამუსიანად გაქ- B 56 b
 ციე, ჩემი თავიც³ და ეს მამულეებიც ვიყიდე და დაგიმკვიდრე. ღუთისათვის
 მომაგეთ⁴ ნაცვალი, შვილნო, რათა ღმერთმან თქვენი ყოელი შეიწიროს
 და ღუთის წინ მოვალე არ მიხვიდეთ.
- ჩემს მამულეებთან გასასყიდლად ||წელი არავის აქვს, ერთად მოუა- C 54 b
 20 რონ მამულსა, ერთად აიღონ, ერთად ჭამონ და მოიგმარონ თუ თქვენი
 შვილნი და შვილის შვილნი განმრავლდნენ.
- სძულან სულსა ჩემსა, უფალნო ჩემნო, ყოვლისა უმეტეს ზაკვანი,
 ესრეთ, რომელ ჭეშმარიტად⁵ არარა საძულველი შემირაცხიან, ეგრეთვე
 ორენაობა და ეგრეთვე უჯამსი ჭამა-სმა და უმადლოება ღუთისა და კაც-
 25 თა და ვინათგან მონანი ვართ ღუთისანი, ჯერ არს სარეწავითა და შრო-
 მითა ჭამად პურთა და ცხოვრება კაცთა.
- რა ვყო, არა უწყვი, სამი წელიწადი წარხდეს! არლარა დავწერე დი-
 დად გაგულისებულმა და თავსა შორის თვისსა მრისხანემან და აღშფო-
 თებულმან და დამამწყურალეებლმან სრულიად ცხოვრებისა ჩემისამან და
 30 ოდესმე მომიჯდის გულსა, ვიტყოდი: ||ესე⁶ ცხოვრებანი რომე არა დავს- A 74
 წერე, შვილთა ჩემთა დააკლდებათ და რად ვიღვაწე, უკეთუ არა ამათ-
 თვის? ოდესმე ვიტყოდი:—ესე ქვეყანა და ჰაერი სრულად დაუტეო ამისთ-
 ვის, რადეცა შემემთხვია მე, რამეთუ დიდად დაუღვრომელ არს ქართლი-
 სსა ქვეყანა და უმეტეს აწ. მყოფნი ამას შინა ერნი,—რა ქმნეს ჩემდამო
 35 შეუცოდებელსა კაცსა ზედა? ისმინეთ, შვილნო, თუ⁷ რანი მოიღეს⁷, რანი
 წარიწერებოდეს, რანი ||ისმინებოდეს, ვითარნი აღდგეს, განსაკვირვებელ B 57 a
 არს⁸ ჭეშმარიტად, რო||მლისა ფიქრი კვალად შემაშფოთებს. C 55 a

¹ ამ A. ² ჩასაცემელ <BC. ³ თავით B. ⁴ მიმაგეთ C (გადახაზულია მჭარლად).

⁵ ჭეშმარიტად <A ⁶ ეს AB. ⁷ რანი მოიღეს <B. ⁸ განსაკვირვებელ არს C.

ქორანიკონს 457 (1769 წ.) ივნისს, ქიტესა ბიჭი მყვანდა. გვიმა
 ამილახორმა ნადირ შაჰს ბძანებით ავღნის ჯარით საერისთო დაარბივა
 და დიდი ტყვე ჩამოიყვანეს და ეს ქიტესა გორელი ბიჭის შვილი იყო.
 5 ოთხის წლისა ბანგუმ გამოართო ჩემს სახელზედ და მიბოძა, თან შემე-
 ზარდა და იყო მამა ჩემთან. მერმე გაიქცა, რომელიც სხვა მრავალი
 გვასმია და მეც მექმნა. ვისცა დავტუქსევდით, წავიდის კახეთს და ესეც
 10 გავიდა კახეთს. იქ ცოლი შეირთო, შვილნი მიეცა. მეც მიველ, ვიჩივლეთ,
 სამართალში მომეცა, ავყარე და კოლაგს დავაყენე. ეს ქიტესა დაიკარგა,
 სამი შვილნი დარჩნენ და ცოლი ჯემითელი დედაკაცი იყო. სოფლებს
 15 რომ შენობა დაუწყევით, თელეთები აშენდა, კუმისი, ვაშლოვანი; ვაშ-
 ლოვანეთ ჩემის მამულის ჭრა დაიწყეს ვაზისა, ნიგვზისა ხისა, ასე რომე
 დიად მრავალი დასქრეს, იმათგან საცავად ჩვენც მივედით¹. სახლები
 გავაკეთეთ, მამულებს მუშაობა² დაუწყეთ. კაცნი დავიბარეთ კახეთიდან
 20 და ვაპირებთ ერთად შეკრებასა და სოფლის აშენებასა. ამ კაცების და-
 ბარების³ ნუსხაში ქიტესას⁴ ცოლი და შვილებიც დაიწერა.

მოვიდა, არზა მიერთმევიანა, გავაზელი ვარო, გავაზი⁵ დამ მყრისო. C 55 b
 ბატონს ოქმი ებოძა:—არ იქნება ამისი აყრაო. სადილად მჯდომს ეს ოქმი
 მომი იტანა. წავიკითხე, უთხარა:—შენ ასე მოგატყენებია გავაზელი ვარო და
 ახლა მყრისო, შენ ჩემი ბიჭის ცოლი ხარ, ყიზილბაშის ||დროს მიშოვნე— B 57 b
 25 ხარ. ბატონი შენს ||თავს ვერ წამართმევს. ამ შენს⁶ არზას და ბატონის A 75
 ოქმს ბატონს მივართმევი და მოვატყენებ ჩემს სიტყვასა მეთქი. ვაკოცე
 ოქმის⁶ თავს, დავიდევ და უთხარა:დაინახე, მიკოცნია და შემინახავსო.

წავიდა ეს⁷ დედაკაცი. მოაქსენა, ოქმი გამომართო⁸, ასე თქვა:—
 25 ჯერ მაგას ბატონობა არა ჰქონდა, რომ შენ გიშოვნეო, ესეც თქვა:—ვერ
 წამართმევსო. ეს სიტყვები ბატონს დაეწერა თავის ჯელით და შეენახა.
 რალა გავაგრძო. ბატონს კათალიკოსს უბძანა; მერმე მსაჯულთ
 მიმცა. დავით სახლთუხუცესი⁹ გამოგზავნა. ესეები¹⁰ ულაპარაკია, ჩემი
 30 ოქმი წაურმეგია. ესენი ალაპარაკეთ, იესე მამულისა და ყმისაგან გან-
 ცარცვეთ, თავის მამისა და პაპის მამულს დააჯერეთ¹¹ და განუტყვეთო.

მსაჯულნი იყვნენ: იოანე მდივანბეგი და იტყოდა კსინვით:—ოჰ, ოჰ,
 35 ეს როგორ თქვა. რამაზ მდივანბეგი და ფარსადან წუხდენ და ულონობ-
 დენ¹², სულხან¹³ ბეგთაბეგისშვილიც ამათთან იურვოდა. მე ჩემი¹⁴ სა-
 ჩივარი ღათქ||მევიწეს. მერმე დედაკაცი ალაპარაკეს. ასე გამიჭდა საქმე, C 56 a
 მთლად ქართლი და კახეთი ზედ მოგვატყდა და ჰგომობდნენ დედაკაცსა.

35 ისიც შეძრწუნებული წუხდა, არ ვიცოდი, თუ ასე მოჰკდებოდაო¹⁵. მერ-
 მე რამაზ და ფარსადან და სულხან თქვეს:— ეს დღეს ერთს პატივში მი-
 წვენილი¹⁶ კაციო. ამის შესმენას ძლიერი მოწამე უნდაო. თუ დედაკაცი

¹ მოვედით A. ² მოშაობა BC. ³ დაბარების <A. ⁴ ქიტესა ცოლი და შვილებით BC. ⁵ შენ A. ⁶ ოქმს C. ⁷ ეს <A. ⁸ გამომართო B. ⁹ სახლუხუცეთ BC. ¹⁰ ხესები BC. ¹¹ დააბერეთ B. ¹² ულონობდენ BC. ¹³ სულთან B. ¹⁴ ჩემი <AB. ¹⁵ მოხდებოდა B.

ასეთს მოწამეს მოიყვანს, რომ ესენი ელაპარაკოს, ||რაც ბატონს დაუწე-
 რია, დაესჯითო, თუ არა და დედაკაცის სიტყვას ვერ ვერწმუნებითო¹.

დაწერეს და მიაბრთვეს სახლთხუცის² ხელით. წაეკითხა და არა
 ებძანა რა, დადგა საქმე ორსა და სამს დღეს. თუ სამეგონებას იპყრობთ,
 5 სცნობთ, სამს დღეს რისხვის მოლოდება მეფისა მონათათვის ძნიად სატ-
 ვირთაგია. მოვალს ელჩი-დესპანი, სრულიად აკლებას იქმს შენსასა და
 მოვალს კიდევ სხვა გზირი დეტთაგან (sic) მჭვრეტი, რისხვით არს და აჰა
 მოვლენ მანდატურნი აღფხვრად შენდა და მოვალს ყარაული, ჯაშუში³,
 მჭუმლავი⁴, ისწრაფე სივტოლად. აჰა მწერალნი⁵ აღწერად სახლთა
 10 და კვალად მოვალს მსტოვარი, ჯერეთ არა მოსულანია? იბრძანა განძრ-
 ცვა შენი.

||ესე რა ესრეთ იქმნებოდა, უბრალოება ჩემი წინაძლოდა ჩემდა და A 76
 მადლობით მითვალვა განსა||ცდელისა. გარნა სახლეულთა ჩემთა ვინ აგ- C 56 b
 რძნობს. იოანემ იცოდა, იგი იყვის მომღები⁶ ამბისა და ძრწოდა ყოვლით
 15 კერძო და დაუცხრომელნი ცრემლნი სდიოდეს საწყალობელსა⁷. ისმინეთ,
 რასა სასწაულსა იქმს ღუთის მშობელისა ხატი. დაღათუ მე ცოდვილ-
 ბაგე გარნა მეგდრებელთა არა ცალიერ მიქცევა წეს მისა არს⁸ ნუცა
 ვინ მსმენია⁹ სიქადულ ლოცვისად რაცხოს, გარნა თუ ხატისა დედისა
 ღუთისა სასწაულისა ჩვენებაჲ.

დღესა მესანესა განარისხებს მეფესა ორთა ძმათა აბაშიძისა ძეთაზე;¹⁰
 ერთსა ჰგვემს ძლიერად და მეორესა ყურთა უსერებს და გულის-წყრომა
 მისი დასცხრების. ||მაგრამ რასა ჰყოფს რამაზ მდივანბეგი ნათესაობისა-
 თვის თქვენისა, იხილეთაჲ? და რასა ჰყოფენ ფარსადან მდივანბეგი და B 58 b
 სულხან მდივანი მეგობრობისათვის ჩემისა, გესმისთაჲ? ცხოვრებამან თქვენ-
 25 მან, თუ მათ არ ექმნათ და ან დიდად წინ გასაწყო არ წარეწერათ,
 განბძარვა¹¹ ჩემი იქმნებოდა. ესე არს, შვილნო, ნათესავ-კეთილობა და
 ესე არს მეგობართა კეთილთა მოგება, ესენი ძალ-უცს და ესე დიდ რაჲ-
 მე არს სოფელსა ამას.

ამის შემდგომად მისი უწმიდესობა კათალიკოზი გაისარჯა, შუამდ-
 30 გომელ მექნა და ამგვარებული მეფე [ერეკლე], სოლომონ მეფის შესა-
 ყარად ბძანებს ჩემსა თან წარტანასა. ||ლაშქართა უკანა მივალ მეცა,
 ესრეთ ქცევა შემკობილი, რომელ: ვმალი და იარალი ბიქს შემოვარტყი. C 57 a
 შევეჯე ცხენსა კაბით შიშვლად და მსგავსად დასასჯელისა ვიხილ-
 ვებოდი. მცხეთის ვიდზე დამინახა და ჩემი ვგრეთ ქცევა მოსწონებოდა.
 35 მიმიწოდა¹² და მუჟლს მაკოცინა. წარვედით, ამ დღეებში წყალს მოე-
 მატა. საკვირველი მღვრიე წყალი და მყრალი დიოდა ყოელი ქართლის
 წყალი და დიად მრავალი ორაგული გამოიყარა კიდზედ, ასე რომ ათასი
 ორაგული ითქვა, ქალაქს ზეით იპყრეს ველითაო.

¹ ვერწმუნებით B. ² სახლთხუცის B. ³ ჯაშუში <AC. ⁴ მჭუმლავი C. ⁵ მწერალნი
 ჯაშუში +A. ⁶ მ-მღები BC. ⁷ საწყალობელთა B. ⁸ წეს არს მისა BC. ⁹ გსმენა B. ¹⁰
 ძეთა BC. ¹¹ განბძარვა B. ¹² მიმიწოდა <B.

- ჩემი რა გითხრა, რა ვეცავ ვსულთქემედი¹, ვკუნესოდი და ვიტყოდი:
 სადაცა უბრალო ესრეთ დავისჯები, ბრალეულმა რაღა ვყო და მინებდა
 სრულიად თავისა წაწყემდა ქართლი²საგან. დიღომი საწელოდ მქონდა. A 77
 ჩემნი მონანი და ჯარნი და კამეშნი გამოვიყვანე და ტაგნაგეთს რადგანც B 59 a
- 5 ვაშენებდიო³, ერტისს ჯენა დაუწყე.
- ქუთოთზე წაბძანდა ბატონი ოკტომბერს 5, მცხეთას მიბძანდა
 უაზრობისათვის⁴, იქილამ დიღომზე გამოვიარეთ, წყნეთს ავედიო, იქი-
 დამ კოჟოზე ჩავედიო, დმანისზე წარვლეთ და ყარახაჩზე⁵ შევიარეთ.
 უთმინო ნეფხვა და ბუქი შეგვიპყრობდა. დავარბივეთ, ოკტომბერს 13⁶
- 10 არუაჩის პირზე ანისის ციხის ქვეით დავდევით, ლაშქარი დატვირთული
 შორს იყო, იმ ღამეს ბატონს⁷ არავინ ახლდა ქეშიკი. ორი ბიჭი კარავში C 57 b
 დავაგდე და ორი ბიჭი და მე ქეშიკში ვიახელით⁸. შუალამისას ქუთოები
 ჩამოსულიყვენ, ჩემი ცხენები დაექირათ⁹, ბიჭებს ვერა გაეკოთ რა და
 წაეყვანათ. დიღლ კაი ცხენები დამეკარგა. მეორეს დღეს კარავი და ბარ-
- 15 გი ჯარებს ავკიდეთ. მე ერთი ჯაგლაგი ვითხოვე და წამოველ.
- ერევანს მოვედიო. შარურს ვიდევით, იქ იოანეს წიგნი მომივიდა:
 ლეკი დავცა, კრავი და აღვსიაშვილი გლახა, მათე და ვარსიმასშვილი
 პატარკაცი⁷ ოთხნიე დაატყვევეს, გაწყობილი გუთნეული და კამბეშები⁸
 დაიტაცეს და წავიდნენო. რაღა მოგატყვენო. ძროხას ვინღა⁹ ავსენებს,
- 20 ამდენის კაცის დაკარგვა მაწუხებს და სულ ჩემის გამზდელისა და გაზ-
 დილისა და ამათში კრავისა¹⁰, ჩემის კრავისა, დიღლ შეწუხებული ვიყავ.
 უცხენო, უიარალო, ქვეითი წამოვსულვარ თქვენმა მზემ და მოველ ტფი-
 ლისს.
- ესე იცის მეფის წყრომამა. ვადიდებ ღმერთსა, რომელ თქვენ არა
- 25 გიბრკმათ რა, შეიღნო, და ყოელივე ნება მისი იყავნ.
- ქქორანიკონსა 458 (1770 წ.) იენისს 6 დიდი ჰირეება გაჩნდა ქალაქ- B 59 b
 ში. ბატონი აიყარა, წაბძანდა. იოანე ავადმყოფი მყვანდა. ბატონს ვერ
 ვიახელ, ავადმყოფი საღ მეტარებინა ღმერთს ვა¹¹დიდებ, რომელმან მომ- A 78
 ცა ძალი. ორი ურემი და ხუთი ცხენი ვიყიდე, აღვტვირთენით და წა-
 ველ ზემო ქართლს. მომეგება ქსნის ერისთავი დავით, ტყვიავს და¹²მაყენა C 58 a
 დიდის ჯელის შეწყობით. რომ დაცხა, ბელოთს წავედიო. იოანეს სალ-
 მობა გაგრძელდა და სილი არისო, იტყოდენ. მრავლის აქიმის სხვისა
 და სხვის წამლის მიღებით და უფრო ბელოთის ჰავამ მომიჩინა, ვმად-
 ლობ ყოვლად ძლიერსა ღმერთსა.
- 35 აქ მყოფს მომიტხრეს ერთის ქორთელის¹¹ კაცისა¹² ურიგო ლაპა-
 რაკი, ბატონის ბრძანებით დავიჭირე მე ქრისტეს შეწევნით, ამდენს ვე-
 ცადე, უბრალოდ გამოვიდა, არა წამირთმევი რა და გაუშვი, გაამალ-

¹ ვსულთქემედი BC. ² უაზრობისათვის BC. ³ ყარახაჩზე CB. ⁴ ოკტომბერის 13 დავარბიეთ BC. ⁵ ვახელით B. ⁶ დავეკრათ B, დავეკრათ C. ⁷ პატარა კაცი B. ⁸ კამბეჩები B. ⁹ ვიღა C. ¹⁰ კრავისა <B. ¹¹ ქართველის B. ¹² კაცისა <B.

ლებდა¹ ლოცვასა ჩემსა. ბელოთით მეჯვრისხევეს მიგვიპატიყეს² და ყოელსა ამას სლვასა გვექონდა ნებირობა, სიხარული, განსვენება. ცხენთაზე თამაშა, წყალთა წურვა და ყოელი განცხრომა, მარა რომ მომეგსენის ბატონისაგან სამსჯავროში მიცემა, გული ასეთს ამოიკენესებდა, ადგილს მომშორის, რომელზედაც ვიდგი, თუ ვიჯდი.

ნახეთ, შვილნო, კარგის კაცის მეგობრობა და დიდის კაცის წყალობით მიღება რა გვარ გამოსადეგია. ყოელი საერისთო ყმებრ გვემსახურებოდა|| და დიდის ძღენით, მარა ჩვენც ყოელთავე საზომისაებრ მივართვიეთ. არ მიჩვენებია თავი ასე, რომ თქვენ ვინმე საყვედურით გელაპარაკოსთ. ყოელი ქალაქის სანუკვარი და აგრევე ქვეშ საფენ-სახურავი და ტანის სამოსელი მრავლად გვექონდა და გასაცემიც შეუკერავი ბევრი, თქვენმა მზემ.

გიორგობისთვეში ბატონი ||დედაწულით გორს მობძანდა. ჩვენ გორიდან და ცხინვალიდან ყოელსფერს ჯელს ვიმართვედით. მერმე ავიყარენით და რეჰას დავაყენე სახლეულნი. მე გორს ბატონს გაუყრელად ვახლდი, ვმსახურებდი. კვირაში ერთხელ ამოვიდოდი, გზას მივცემდი სახლეულთ და წავიდი. ქორანიკონს 459 (1771 წ.)* აპრილს ქალაქს ჩამოვედით. რაც ყმა ||დავაგდე, ზოგი ამოწყვეტილი იყო, ზოგი კახეთს წასულიყო და ვარ ღუთის წყალობით ჯერეთ ცოცხალი.

იელის 15 თრიალეთზე წავედით. სანამდის ჩემს მამულებს გავივლიდით, მე უძლოდი ჯარს, ვმსახურებდი ღამე მსკლელ ყარაულად ცხენით. აგრევე ნადირის დღისით სიკვდილით და მიერთმევით. რა მამის დაბას ვავცილდით, მერმე თვით უკეთ იცოდა, ორი თვე იქ ვიდევით და კლდე-კარზე ჩამოვიარეთ და მოვედით ტფილისს. ქორანიკონს 459 (1771 წ.) ხერთვისს წავედით და მოვედით ალაფით.

სირცხვილთა კარი დავჯაშ მე და ბაგე აღვსადარ თქმად. ღუმლინი ტკბილინი მოვიძულენ და ცხად ვქმენ გულის ნადებნი ჩემნი. განვაშიშვლე თავი ჩემი და ყოელივე ცხადნი და დაფარულნი || მიგიტხარ. ესე ყოელი სიყვარულისათვის || თქვენისა, შვილნო ჩემნო³, ვყავ⁴. ვიქმენ უსგინდისო, ვინათგან ესეოდენი სიყრმით სიჭაბუკისა ჩემისა ქმნადნი წარგიწერენ-გარნა მე ნუ მემსგავსებთ სიყვარულისათვის ღუთისა. არ ვიცი, ცოდვითა ჩემითა სიმრავლე მგვემს ბრალთა უნანელობათათვის, თუ ბედისა უბედობა გამმრავლებიეს. თვარა სასჯელი უფროსი აღარა შეენის, რადეცა მცირისა სხეულითა და დაწვრილებულისა ძვლითა სიყვარულისათვის თქვენისა მე სასჯელი მიტვირთავს. რასა სჯასა მოველი თქვენგან, რასაცა ვჩივი. მარა იცოდეთ, ცნობა⁵ მნებავეს ყოელისა, რასაცა ვიქმოდი,

¹ გამაღლებდა B. ² მიგვიპატიყეს A. ³ ჩემნო < B. ⁴ იყავ B. ⁵ ცნობა < BC.

* აშინაზე: „ქორანიკონს 458 [1770 წ.] ქრისტეს შობას პატარა ბარბარა მეჯვრის-ქვეს დაიბადა ბარბარობის დღეს“—BC ხელნაწერში ტექსტშია შეტანილი, ხოლო A ნუსხაში აშინაზე მიწერილი, რასაც უტევლელად ვტოვებთ.

დახრწნასა მიიღებდა აღგებული იგი საქმე: ან მეფის სამსახური, ან მს-
 მულთა სყიდვა, ან სოფელთა შენება, ან ცხვრისა გამრავლება, ან ხვას-
 ტაგთა¹ და მროწლეთა, ან გუთანთა² და ზროხათა მრავალთა შეკრება
 წარწყმდის, დაიხრწნის³ და საქმე მოიშალის. რომელიც შრომით გამე-
 5 მართა, აწ კვალად მიორედ დაუწყვი საქმის წარმართება და სისრულე და
 ამას ანუ ბედისაგან ვგონებ და ანუ ბრალთა სიმრავლისაგან. ამისათვის
 მექმნა შრომათა სიმრავლე და ესე მრწმენთა ისმინეთ:—პურის ჭამად რომ
 ||ვჯღი, კალამი გელთა მგჰყრა, მოსაგონარი ნუსხა იკითხებოდა ჩემგან, A 80
 მსახურნი წარივლინებოდენ და საქმე განეგებოდა. ესე ყოელი ესრეთ და
 10 თუ⁴ სიყვარული თქვენი არა|| იყოს, მოვირეწდი ოქროთა და ვეცხლთა, C 59 a
 რომელიცა ადვილ შესაპყრობელ არს, მივემედი ვაჭართა და ანუ ვახშად
 და ვყოფდი გემოვნებასა და განსვენებასა. და|| ესე თუ ესრეთ მექმნა, B 61 a
 შეილნო ჩემნო, გიწოდებდენ თქვენ ვაჭრისა შევილად და რასაც მე დავ-
 შევერ, უნდა ორი და სამი ამდენი შრომა თქვენ მიგელოთ და მით ქმნი-
 15 ლიყავით ესრეთ, ვითაც ხართ და იგიცა ანუ იქმნებოდა, ანუ არა და
 ახლა კაცობისა ცოდნისა და გარჯის მეტი აღარა გაკლიათრა, თქვენ
 უწყით.

უფალნო ჩემნო შეილნო! ქუეყანა⁵ ნავალევი და მსგავსად დაკორ-
 დებული მოვწან დიდითა შრომითა, ჭირითა და იწროებითა და დავთესე
 20 იფქლი წმიდა და უღნიოშო. აწ თქვენ მომკეთ, შეილნო, ვალეწეთ და
 დაიმკვიდრეთ. მეცა მომიზღვრეთ ღუთისათვის ლოცვა და რომელიმე ნა-
 წილი სულისათვის ჩემისა წარავეთ|| და დედისა თქვენისათვის, რომელ- C 59 b
 მან გშვათ და აღგზარდთ დიდითა იწროებითა. აწ თქვენ იცით, შეილნო!
 შეგვედრებ თქვენ ღმერთსა ჩემსა, მან დაგიცვას თქვენ უკუნისამდე.

ქორანიკონს 460 (1772 წ.) ღვინობისთვის 7, სერგის და ბაქოს
 25 დღეს, პაწაწა ამირან დაიბადა. ჩემის ბიძაშვილის სახელი დავარქვით და
 ამირინდოს ეძახიან⁶. დიად სნეული ყმაწვილია; მრავალი ძიძა გამოიცვა-
 ლა, დდი ხარჯი მომცა, არ ვიცი, რა იქნება. ამის ძიძა თვეში თორმეტ
 აბაზად და ორ მინალთუნად მყოლია. ქორანიკონს 460 (1772 წ.) მისს
 30 საყდარს მივიდოდი. ვალავანში ზურგიდამ ერთი გიჟი ჯარი მეცა, ვერა
 გავიგე რა. ზურგის ძვლები დამამტვრია. საწვიმარი კაბა და ახალუხი
 რქით დახერიტა. ასეთი⁷ მეცა,|| პირქვე დამცა⁸. დაჰკრა წინა ფეხი, მარ- B 61 b
 ჯვენა გელისა ნეკთან რომ თითია, მწვერვალი სრულიად მოავდებინა,
 ||ეს თითი წამიხდა. ორი თვე ავად ვიყავ, ჯელი მომირჩა, მარა ამ თითს A 81
 35 ფჩიხილი აღარ გამოუვიდა. C t 0 a.

||ქორანიკონს 461 (1773 წ.) ენკენისთვის, მეფე ერეკლე და მეფე სო-
 ლომონ შეთქმუნენ⁹, რუსეთის ჯელმწიფის მეთვალე ივან ლავრენ-
 ტიჩი ლგოვი იყო აქ. მისის სიტყვით ახალციხის თემის დასარბევად წა-
 გედიოთ. სურამს რომ მიველ, ჩემის ძმის იოანეს საჯადი გამყოლოდა,

¹ ხოვასტაგთა BC. ² გუთანთან B. ³ და იხრწნის BC. ⁴ თუ <BC. ⁵ ქვეყანა B.
⁶ ეძახიან <B. ⁷ ასე BC. ⁸ დამაცა B. ⁹ შეთქმუნელ BC.

იქ ავად გავეწ. დავბრუნდი, ქალაქს ჩამოველ, გზაზედ გორს ოფლად¹ დინა. შინ რომ მოველ, ცხრა სული დამხვედა ავადმყოფი. მერმე დედა თქვენს შეეყარა. პატარა ბიჭი ნისტორის დღეს მოსწყდა. დიდს განსაცდელს მივეცი. მივსნა ღმერთმან მოწყალებითა თვისითა, ყოვლად წმიდაიან ღუთის მშობელმან. მეც კიდევ მეორედ ავად გავვდი. დიდად შეწუხებას მივეცი. დედის თქვენისათვის ვერც ვიშოეთ ექიმი, ვერც მღვდელი, ვერც ბებია, თუ არ ქრთამით.

ქორანიკონს 462 (1774 წ.) იანვარს, ქალაქს სასახლე ვიყიდე მელიქის ავეტიქასაგან. იმასაც ნასყიდი ჰქონდა, ზაქარა ჩერქეზისაგან ეყიდა და იმ ზაქარას პაპუა მამასახლისის შვილისაგან ეყიდა ქილიმას შვილის შაქარასა და ლონიანთ¹ სეიმოენას სახლს შუა. ასრათა აბესალამისშვილი და ტულოაშვილი გურგენა მშუამავალნი იყვნენ. თეთრი დამითვლია, ამათის ჯელით მიმიცია თექვსმეტი თუმანი ნაღდი თეთრი და შიგ ამ სახლებში მეწვრილმანე არუთინა ფარემ ასლანას შვილი იდგა, თოთხმეტ თუმნად გირაოდ იდგა, თამასუქი ჰქონდა მელიქის ავეტიქასაგან მიცემული. იმ თამასუქს ზურგზედ მოაწერა:—ეს თოთხმეტი თუმანიც, იესე მდივანო, შენ მიეცო.

თქვენმა მზემ, თუმანი ორშაურ ნახევრად ვალი ამიღია და მიმიცია; შეიქნა ამ სასახლის თეთრი ოცდაათი თუმანი. ერთი ოთახი ქვეშ დამიშხვდა, ერთი დანგრეული ოთახი² ზედ, შავი, წამვლარი. ჯელი მიყავ, საჯინიბო ღრმად საძირკვლით ამოვიტანე. ერთი სარახზე შუბი სიღრმე ჩავთხარე, ოთახები³ მეორედ გაავაკეთე, გავლესე, დერეფანი ფაცრებით გავაწყე, სამოცი თუმანიც ამაზე დამეხარჯა. ძველი და ახალი სივლები გამომირთმევიდა და ღმერთმან მოგაჯმაროსთ⁴.

ამ ეამს ამას რომ ვაკეთებ, კიდევ საჯადი შემომიღდა⁵. ელისაბედ, ტეტია, გიორგი დააცხელა. ჩვენ გამოვეცვიედით სიონიდან, ამ სასახლეში ამოვედით. მაისი⁶ ჩემი⁷ მორიგობის თვე იყო, ჯარში ვიყავ დიღომს. იქ ოსეც გამიცხელა. მე ჯარი ვერ გაუშვი. ვარსიმაშვილის თევდორეს ჯელით გამოვისტუმრე. ინება იესომ, მომირჩა. ახლა იოანე გამიცხელა თიბათის 14. არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს და ამის წერაში ვიყავ⁸. თიბათის 15 ქორანიკონს 462 [1774 წ.]^{*}.

შვილნო ჩემნო, ჩემნო უფალნო! ამ სასახლის სყიდვა რა იყო: რადგან სიონიდან გამოველ, ჩემი სასახლე ის ერთი ოთახი, ჩემი ვაკეთებული, ნათლისმცემლის უდაბნოს მამული იყო, რომელიც ღირსსა|| და სანატ-რელს მამას კათალიკოსს ბესარიონს მამის ჩემისთვის ფასით ებოძა და სხვა სახლები სიონისა იყო, რომელიც მეფეს ერეკლეს პირველს პაპის

¹ ღლდანთ C, ღლიდანთ B. ² ოთახი <A. ³ ოთახები BC. ⁴ თიბათის 15, 462 [1774 წ.] + BC. ⁵ თიბათის 15, 462 [1774 წ.] + A, მაგრამ შეაქვს სქოლიოში. ⁶ მაისს BC. ⁷ ჩემს B, ჩემის C. ⁸ ვიყავ <C.

* „თიბათის 15, 462 [1774 წ.]“ A-ში უდაგილო ავგილასაა შეტანილი ისევ, როგორც BC-ში. ვინაიდან არც ერთში არ არის დაცული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით ამ ცნობის გადაადგილება.

ჩემის იესე დეკანოზისათვის ებოძა. ეს ხომ ჩემს ერის კაცს ვერღულს
 აღარას გარგებდათ, საყდრის მამული იყო და წინასვე გაგაფრთხილე:—
 საყდრის მამულის სიწორე და ეკლესიის მამულისა და საწგლოსაგან გან-
 შორება და რადგან ასე განგაკრძალე, მე ჩემს სიტყვას ხომ ვერსად
 5 წაუფალ. მაშ უნდა სასახლეც მევე მეშოვა.

ზეით აბაშიძეებისაგან რომ სასახლის აღგილი გიყიდეთ, ის ამისთ-
 ვის არ ავაშენე, რომ დიად ძნელი უბანი არის. გარემო დიდნი კაცნი
 ახვევიან და ყველანი ზეილამ დაჰყურებენ. მეორედ, ასეთი არავინ გეყო-
 ლებათ მეზობელი, რომ გაიმართნეთ რასმე. მესამედ ამისთვის, რომ სი-
 10 ონის ეკლესიას და იოანეს და თქვენს ძმას, თქვენს ბაღს და ბატონის
 კარს დიად მოშორდებოდით და მეოთხედ ამისთვის, რომ ის აღგილიც
 მამულად გექნებათ¹, ქირას აიღებთ ან ყმას დაიყენებთ, ან ფურებს შეი-
 ნახავთ და თუ სხვა მამულები გიყიდე ოხ[ერ]ები და ვერანაები, თქვენს
 გამოსაყენებლად და შესამატად.

ეს არა სჯობს, ქალაქშიაც ბევრი მამული გქონდესთ? გაიმართებით,
 15 თეთრს აიღებთ და ამ სასახლეში კი რდგებით, ჩემო უფალნო შეილნო.
 ღმერთს ვიმოწმებ, სარგებლით თეთრი ავიღე ვალად და ესე გიყიდე.
 როდის მქონდა ბევრი? ||რასაც თუმანიშვილები აიღებდენ, სამს წილს
 ის ორნი აიღებდენ და მეოთხედს შე გარდმომიგდებდენ. სახელი მეოთხე-
 დი იყო, მაგრამ თქვენმა სიცოცხლემ, დამიჯერეთ, მეათედს ვერ ვნახავ-
 20 დი². მე საქმეში არაში ვერეოდი³. ისინი იყვნენ. სულ მეშინოდა. ბოლოს
 ჩემს შვილებს არა⁴ უსაყვედურონ რა მეთქი.

ამა მოიკითხეთ საქართველოში⁵ ჩემი აღებული ქრთამი, თუ⁶ და-
 მბაპოს ვინმე[მ]. ეს კი ვიცოდი: თუ ან წყალობის წიგნს დაუწერდი, ან
 განაჩენს, ან ოქმსა, კარგს გელს დაუწერდი, კარგს სიტყვათ,—იმის⁷ ერთს
 25 პირს მე შევიჩინებდი⁸ და კარგს ფასს ვამოვართმევდი, ეს იყო ჩემი.

მე მრავალჯერ მინახავს: წყალობის წიგნიც, განაჩენიც და ოქმიც
 პატრონებს დაჰკარგოდესთ; ასეთი⁹ სიმაართლის ერთიბარი მქონდა ჩემს
 ნუსხაზედ, რომელიც იმის პირები დღესაც მაქვს და აწ თქვენ დაგრჩე-
 30 ბათ, იმაზედ აღაშენებდენ სამართალსაცა, წყალობასაცა და საბრძანებელ-
 საცა. იასულობა არას დროს არ მიქმნიდა, ღმერთმა ნურც მომცეს ძა-
 ლით წართმეული საქონელი. მოციქულობა და შუამავლობა ხშირად არ
 მახსოვს, თუ არ ერთი და ორი.

ჩემი ეს იყო: ვენევედი მრავალსა, ცხვარი მყვანდა, ზროხა და რო-
 გორც მოგაქსნენ, წყალობის წიგნს, განაჩენს დაესწერდი კარგს¹⁰ და ამა-
 35 ებს დიად ჰკვიანად და რიგიანად მოვიმარებდი. მის რიგისად ყველას
 გაგარიგებდი. არაფერს არც დიდკაცურს დავიკლებდი, არც მოქალაქურს.
 მსახურნი ||მახლდენ ექვსი, თუ შვიდი. ცხენები მყვანან, რომ ჩემს ამხანაგს
 არავის ჰყავს მარქაფით და რიგიანად დავიარებოდი. დედის თქვენის

A 83
 C 61 b

B 63 a

C 62 a

B 63 b

¹ გექნებათ BC. ² ვნახავდით B. ³ ვერევიდი B. ⁴ არ A. ⁵ თუ + A. ⁶ თუ < A.
⁷ ამის BC. ⁸ შევიჩინებდი BC. ⁹ ასე BC. ¹⁰ კარგას B.



A 84

ცხენი, კარგად მორთული ვეცხლის უნაგირით, რახტით და თორმეტი თუმანი დაგზარჯე, ||ორთუქი¹ და ზედ ზინფუში გავაწყობინე.

5 მე ვიყავ და ათი თორმეტი კაბა არ გამომღევია ზანდუქში, ოთხი და ზუთი ახალუხი, ზუთი და ექვსი პერანგი და მუქასარი, ჩახჩური და პაიჭი², ათი თორმეტი ქუდი საჩეხი, თუშური ნაკერი ქუდი და ყაჯრული სხვა და სხვა ფერი. მიგრამ გაიგონეთ, როგორი ქცევა მქონდა: ზამთარს ზამთრისას ასე³ ვივმარებდი ქურქსა, ხირღასა, ქუქუნჯასა, ქათიბსა, რომ წმიდათ და უმწიკვლოდ და დიდს ხანს გავაძღვებინებდი, ზაფხულს ზაფხულისას ||და დიად ფაქიზად ვივმარებდი.

C 62 b

10 კაცს ასე ეგონის ათის წლის შეკერილი ტანისამოსი, დღეს გამოუჭირიათო. ზამთარში ჩაიცივემდი: რბილს შიგნითს ტანისამოსს, ახალუხს მსხვილს⁴, კაბას ყიზილბაშურს დაბამბულს, ორშაბათს, სამშაბათს და შაბათ კვირემდის ან ლაინისას ან ჩითისას და შაბათ კვირას ან ატლასისას, ან სხვა რასმე კარგს, კარგის ღიღით, იმასაც დაბამბულს.

15 საყდარში წამოვიხსემიდი კარგს ხირღას, ლამაზს და ბატონთან კარგს ქათიბს; შინ პურის ქამაში ქუქუნჯას და ხან ქურქს და ჩემს ლოცვაზედ კიდევ ქუქუნჯას ქართულს. აგრევე ზაფხულში, გაზაფხულ, შემოდგომას მოვის პერანგებს სხვასა და სხვა ფერს და ზაფხულში ტილოს პერანგებს გულის||პირ შეკერილს, ახალუხს ლამაზებს და კაბებს დარაიებს. შაბათს, კვირას სხვასა და სხვას ფერს და უმისოდ მაუდებს და წმიდას შალებს. აგრევე სარტყელს ზამთარში რბილსა და ზაფხულს დიბებს და⁵ შალებს.

B 64 a

20 ქუდს ზამთარში კვერნისას და ზაფხულს მსუბუქსა და ხან საჩეხსა და ხან თუშურსა და ხან სირმით ნაკრსა. ახალუხი ნაოქით ვიცოდი ქართულად და მაშია მალალი, მწვანე და წითელი, კარში და შინ და ლოცვაზედ ქოშები. ლამაზი საწვიმარი და⁶ ქურთუქი ზაფხულის ხანდახან და ზამთრის ფერი მსხვილი საწვიმარი; ამ ქცევით ვიყავ. ტანად შვიდი ჩარეკი სიმაღლე მქონდა და ასე ამბობენ: — ||ნაკეთიანი არისო. ამ სალილთ ვიქცეოდი.

C 63 a

30 ჩემს ჟამში მთვრალი არას კაცს არ უნახავარ, დიად მცირე სეზრდელი მივიდი და ორი ჯერი არც მოვიკლი და არც მოვიმატი. ღვინო ერთი ჩარეკი იყო ჩემი გარდადებული ჯერზედ და ამის მოწამე ბევრი მექმნება, კოკაც ||დაიხარჯის ჩემს სუფრაზე ჯერზედ და ჩაფი, რა საკურველია. ყმა არ შემეწუხებია, ერთი აბაზი არავისთვის გამომირთმევია, ჩემს შვილებს არ დაეკარგნენ მეთქი. მსახურებს ვაძღვებინებდი და იმათს სახლსაც მე ვინახევდი. მოყვარე არ შემეწუხებია. არა მახსოვს რა იმათი ჩემზედ წამოსულიყოს რამე.

A 85

35 ბატონს ვმსახურებდი, რაც სარგო მქონდა, იმის მაგიერ ორ წილად ვმსახურებდი. ესენი ასე წარგიწერე, ყოელი სიმართლით ქეშმართად. ||ჭ, უსვინდისოსა და უზომოდ მოქადულსა! ვიზღვო ეზომისა სიქადულისა-
40 თვის, გარნა ყოელივე ქეშმართი მიგითხარ, რათა თქვენცა ესრეთ ჰყოთ, შვილნო ჩემნო, სიყვარულისათვის ღუთისა.

B 64 b

¹ ორთუქ BC. ² პაიჭი B. ³ ისე BC. ⁴ მსხვილს <B. ⁵ და შალებს — ზაფხულს <B. ⁶ და ქურთუქი — საწვიმარი <B.

ჩემი სუფრის იარაღი, სანაუჯრე ბადია ვერცხლისა, სურა, აზარფე-
 შა, თასები გავგზავნე დღეს თიბათვის 17 ქორანიკონს 462 (1774 წ.) და
 ოცი თუმანი ვალი ავიღე სარგებლით, ამ სასახლეს ვაშენებ და სამი
 თუმანი ნიკოლაოზ ქავთარისშვილს ვასესხე; ||რატევანი დავიგირავე მოს- C 63 b
 5 ყიდვის პირობაზედ. შვილთა სიყვარული ესრეთ ათქმევს, მხედველთა
 ჩემთა ქეშმარიტად უცნობოდ მრაცხონ და ხელად აღმიარონ და მართ-
 ლოინცა.

სუფრის იარაღი განვიძარცვე, ვალად თეთრი ავიღე, სარგებელი
 უნდა ვაძლო და ოცის წლის ხარაბა მამული დავიგირავე. ეგების ქვეყა-
 10 ნა აშენდეს, ჩემს შვილის შვილებს მრავალი ღვინო ექნებათ და შენდობას
 მითხრობენ, მაცხოვრებენ მეთქი. ეს ნიკოლაოზ ასე ამბობდა:—მე ჩემს
 წილს რატევიანს ვყიდი, საქმე მიჭირსო და დიდი კაცი რომ ჩაუზიარო
 ვინმე, იოთამის შვილებსაც გაუშვარდებათო და ჩემს სახლის კაცებსაცაო,
 გიროდ გქონდეს¹ და მერმე იყიდო.

15 თვითან რევაზ იოთამის შვილი და ედიშერ ქავთარის შვილი შემო-
 მებევეწნენ ამ საქმეს და მივეც თეთრი ვალად, ავიღე სარგებლით, სამი
 საკომლოს ბარათები გიროდ მომცა, წითელს ყუთში ძევს და ერთი
 საკომლო ||და ერთი საბოგანო მანუჩარის წილი სყიდვაში, როსცა ექვს B 65 a
 თუმნად შეუთაო, ისინიც უნდა ჩამი||წეროს. ეს მანუჩარის წილი დედო- A 86
 20 ფალს უჭირავს, მაგრამ არ წაართმევს: ამათის განაყოფისა არის², რო-
 გორც სხვა მოსცა, ისე ამას მოსცემს. ამას რომ ვწერდი და დედა თქვენი
 გამიცხელა საჯადით. არ ვიცი, ღმერთი რას ||მიზამს. მე ამას ვერ მოვ- C 64 a
 შორდები. ეგების ამ ხელად კიდევ მოვკუდე³. აჰა ყოელი მომიხსენებია.
 ახლა თქვენ იცით. თიბათვის 22, ქორანიკონს 462 (1774 წ.).

25 მკათათვის 2 მორჩენილი აქ, სასახლეში ამოვიყვანე. ვმადლობ
 იესო ქრისტესა და ყოვლად წმიდასა ღუთისმშობელსა და დიდებულსა
 მიქაელ მთავარანგელოზსა, დედა თქვენიც მომიჩა და იოანეცა. ახლა
 ძიძა გააცხელა და გავგზავნეთ ქვემო სასახლეში. დარჩა ამირინდო უჭუ-
 ძური. დიად შეგვაწუხა, სხვაგან გავაბარეთ, თვეში თორმეტ აბაზად. კი-
 30 დევ მეორე დღეს ჯირაშვილი გააცხელა. ესეც იქ გავგზავნეთ. დავრჩი
 უმოსამსახურო. ერთი პეტრე-ლა მყავს და ორი წვრილი ბიჭი.

ამდენი სამუშაო მაქვს, ამ შუა სახლებს რომ ვაშენებ, ბევრი ვი-
 ცოდვილე, ხარჯიც ბევრი მომივიდა და მუშეების ზედამდგომელიც ბევრი
 უნდებო, რალაც მოსავალი მომივიდა აქ ქალაქის პირს, იმასაც გალენა
 35 უნდა და გავწყდი შუა. ხან იქა ვარ და ხან აქა. ზემო სახლებში
 ბზეს⁴ ვაყრევიანებ. ორი კაცი ცხენებში მყავს, მე ვერას მეგმარებიან;
 ჩვენ შუა-სახლებში ვდგევართ და ქვემო სახლებში ავადმყოფები მიწვა-
 ნან სამგანვე.

სანთელი, სადილი და ვაშხამი, აგრევე მუშებს და ოსტატებს, ყველა
 ძვირად არის, დღემო|| ხან ერთი თუმანი, ხან მეტი, ხან ნაკლები მეხარ- B 65 b

¹ ჰქონდეს B. ² არავის B. ³ მოუღე C. ⁴ მზეს B.



ჯება. ამირინდო ქვეით სახლებში ძიძასთან გავგზავნეთ¹. ივლისს² ორშაბათს დღეს საწყალი ამირინდო მომიკვდა.

თოთხმეტს გაბანთ მიწები გაუყავი ბატონის შეილის გიორგის ოქმით. თეიმურაზ მდივანბეგი ქაშუეთს გამოვიდა, ^{A 87} წახუტრისშვილი ზურაბ იასაული იყო. ექვსი გლეხი კაცი გამოარჩიეს, თან წაიყვანა. რაც მამული იყო, სულ ვაზომეს, ას ორმოცდასამის დღის³ გამოვიდა სააგურის მიწის გარდა.

ამ ას ორმოცდასამის დღის მიწაში ოცდაოთხის დღის მიწა მერგო. ყველგან უფრო კარგი იყო და იმას მიძღვედნენ, მაგრამ რადგან ვანშორება მინდოდა გაბათავან, ეს თხელი და ცუდი მიწები ვირჩიე წუნეთის შარასა და ვერეს⁴ შარას შუა რაც მიწაა, თოთხმეტ დღედ ის ვაზომეს. გოდაკანთ წისქვილის შარიდამ მოკიდებული ლეღვებამდის⁵ რაც მიწაა, ხუთ დღედ ის ჩაავდეს. ერთის დღისა მონასტერს, ორს საყდარს შუა მტკვრისაკენ რომ გვერდა მიწაა, ის ჩაავდეს და ოთხის დღისა ქაშოეთის შარას შუა და მეფის იესეს ბალიდამ რომ შარა გაივლის, იმას შუა რაც მიწაა, ხუთ დღე[დ] ჩაავდეს. ოთხის დღისა მე მომცეს და ერთის დღისა ან ფასი უნდა მივცე და ან ზევით მვარეს ერთის დღის მიწა მოუჭრა.

ამ უამს ახტალას მადანი გამოჩნდა,—ივლისს 20, ქორანიკონს 462 (1774 წ.) დიღ უცხო და საკვირველი. თორმეტი საპალნე მიწა ჩამოიტანეს. ტყვია გამოვიდა ლიტრა 39 და ვეცხლი ^{B 66 a} ^{C 65 a} გამოვიდა მისხალი ²⁹⁰.

ქორანიკონს 463 (1775 წ.), მარტს 9, ოთახი და ქვეშ სარდაფი ვეყიდე 2 თუმნად მიკირტიჩასაგან. მოვეყე და ავაშენე ქვეშ, ზედ საწოლი და ზევით ჩარდახი. თხუთმეტი თუმანი მეტი დამეხარჯა. ვალი ავიღე სარგებლით.

ქორანიკონს 463 (1775 წ.) მარტს 20, დედა თქვენი დაწვა და ტყუბი შეილი მისცა ღმერთმან. დღენაკლული ჰკონებოდათ. მაშინვე ნათელ სცეს. ვაჟისათვის ბარძიმ ეწოდა იოანეს, ქალისათვის ელენე. ფეშქაში მივართვი ბატონს და ქალაქს სასახლე ვიშოვე ამოწყვედილის მანთევასშვილის სახლი. ამისი⁶ მისხის მისხი აღარავინ არის. ვალი არის ამის გოლანას⁷ ცოლისა 6 თუმანი, 2 მინ. და სახლის სიგელი გირაოდ აქვს, კიდევ სათორნე ^{A 88} აქვს გირაოდ 3 თუმნისა, ზედ დაუხარჯავს ასაშენებლად 1 თუმანი, დურგალს ბეჟანას ჰქონდა⁸ გირაოდ ბატარა ოთახი 2 თუმნად და ახლა შარბაბებს მიუციათ თეთრი და იმათ უჭირავსთ. დიდის ცლით და მრავლის საქმის გაჭირვებით ათჯერ ვიჩივლე და შარბაბები ვერ გამოვყარე,—ბატონმა⁹ მოგვცაო. მერმე ქირის წიგნი გამოვართვი და დავაყენე. ეს ვალებიც რომ მივცე, 20 თუმანი იქნება ჩემი დანახარჯი, ესეც წამართვეს და სხვაცა ბატონის რისხვაში, რომელიც ქვემოთ გეუწყებისტ.

¹ დღისა C. ² ვერის A, ვერი BC. ³ ლეკვებამდი B. ⁴ ამისი <C. ⁵ ამისა გოლინასა B. ⁶ ჰქონია BC. ⁷ ბატონმან bis B.

||:უმილი მივმს ამის ყოვლისა, მიგრა[მ] ნაღუმალევსა სევდა გარე¹ მომცველ მექმნა და ოცდახუთი დღე || ვგრე ვიყავ, ვითარცა ქვა უსულო. მერმე გულსა ვთქვი:—ვისდა ვბრალებულობ, თუ არა უბედობასა ჩემსა და შვილთა ჩემთა ყოელი რომე წარუწერე, ესე არა მიუთხრია?² და ვიწყე თხრობად. განცვიფრებულ ვარ, თუ რასა და რომლისა ბედისა და მარმენისა³ მექმნა მობრუნება ფილაქთა ჩემ ზედა. განჰკრითთ, შვილნო, და აღიდეთ ღმერთი ეზომ ტანჯვისათვის ჩემისა.

ქრისტეს აქეთ 1772, ქორანიკონს 460, იანვარს 1, თუ ორს, თუ სამს, ბატონის შვილი კათალიკოზი ანტონი და ბატონის შვილი ლეონ რუსეთის გელმწიფესთან წარგზავნეს შესავედრად და ამით წარატანეს მდივანბეგი ქაისოსრო და ბევთაბეგის შვილი მდივანი სულხან და სხვანი თვისნი მოსაქმენი.

ესენი რომ გვეს მივიდნენ, ერისთავი დავით შეუძლოდ იყო და ზაალისათვის ეთქვა:—მე მითხრეს მაჩაბელსა და ზაალს ბატონი უწყურება, დაიჭირს და შენ ნუ შეგეშინდებო. ამ ლაპარაკში რომ არიან, მეც შეველი. ეს ამბავი მეც მითხრეს. მე დიად შორს დაევიჭირე. ზაალ⁴ შინ წავიდა და ერისთავი და მე აქ⁵ ვიყავით.

მესამეს დღეს მაჩაბლები ||დაიჭირეს, ეთქვი: სწორე ყოფილა და B 67 a ის კაცი ხომ გაიქცევა⁶ და საცა წავა, ყოვლისმგრით გვაწყენს. მიველ, ბატონს მოვახსენე:—იმ კაცს ასე უამბო ერისთავმა, უთუოდ გაგექცევა; ოსმალში თუ წავიდა, რაც ხიდირბეგისშვილმა⁷ ქმნა, ათს იმდენს ისი C 66 a იქმს. თუ ||ქერიმ ხანთან წავა, უარესი და თუ იარანალთან გარდვიდა A 89 იმერეთს, მაშინვე კარზე გაგზავნის,—შვილი რომ გაახლო⁸, იმისთვის გაუწყრნენ და წამოვიდაო. ახლა ეს გმართებს: თუ გინებს, ჯარი გაუსიე, დააჭერინე და თუ გინებს ასეთი წიგნი მისწერე, სარწმუნო შეჰქმენ, ჩამოვიდეს და არსად წავიდეს მეთქი. ფიცი ბძანა:—გულში არ გაშვლია და რას მემართლებიან, ტყუილს მიგონებენო.

მე მოვახსენე:—მალე მიაშურე, სანამდის ამბავი მისულა მაჩაბლების დაჭერისა, თორემ უთუოდ გაგექცევა მეთქი და თუ მიბძანებ და სარწმუნო მყოფ⁹, მე მენდობა; აქაც შორს დაუჭირე,—შენგან დაჭერა და მე მივწერე მეთქი. ღმერთი მოწამეა და ამაში სიცრუე¹⁰ არ არის: ჯერ ქვეყნის ერთგულობა იყო და მერმე მეფისა, თორემ მე რომ ეს არ მეთქვა და ზაალ დაკარგულიყო სადმე, მე ვინ მკითხებდა, ერისთავი მოკვდა, ზაალ დაიკარგებოდა და ვინ იცოდა, მე ვიცოდი თუ არა?

ბატონმა ფიცი ბძანა:—ჩემგან იმას არა ეცნება რა, ტყუილად შეუშინებიათ, გულში არ გაშვლია იმისი დაჭერაო, მისწერე, ჩამოვიდესო. მე ეს მივსწერე, ერთი იმას გაუგზავნე და ერთი პირი აქ შევიანხე, ორივე ბატონს ვაჩვენე.

|| — ორბელიანს ზაალს მოგაქსენებ და ჩემის ქრისტეანობით ამას B 67 b გარწმუნებ: რაც შენ ამბავი გაგეგონა, სულ ტყუილი ყოფილა, მე ყველა

¹ გერე <B. ² მიუთხრია BC. ³ მარმენისა B. ⁴ ზალ BC. ⁵ აქ <B. ⁶ გაიქცა BC. ⁷ ხიდირბეგის შვილი C. ⁸ გახლო A. ⁹ მყოფი A. ¹⁰ სიცრუე <BC.



- გარდმოვლით და კაცის ||კაცით შევიტყვევ. ღმერთს ერწმუნე, როგორც C 66 b
- შენს გულში არა არის რა დიმიტრის ავი, ისე შენი ბოროტი არავის გულშია. ვისიც გითხრეს, მე კარგად და სარწმუნოდ შევიტყვევ, ღმერთს ენდევ და ამ ჩემს წიგნს ერწმუნე, შენ არაფერი ავი არა წაგეკიდოს რა.
- 5 დღესამდე როგორც არა დაგიშაგებია რა, არცა რა ავი წაგეკიდოს. დღეის იქით თუ დააშაგებ რასმე, იმისი შენ იცი და დღეს რომ იანვარი ოცია, თუ ამას უწინდელის საქმისათვის შენ გევენს რამე, მე შენი მესისხლე¹ ვიყო, ან მაინდამ არსად დაიძრა, ან ქალაქს ჩამოსვლა არ დაიზარო. როგორც ყოფილხარ, ისე მართებულად ჩამოდი და იყავ, რაც
- 10 გაიგონე, სულ ტყუილი ყოფილა, ხათრიჯამი იყავი. ეს რაც მოჰქდა, ამათი ამბავი სხვა არის და ვგონებ, უსამართლო არა დაემართოსთ რა არცარა ამათ ||და შენი სახსენებლად გულში გავლებით, მერწმუნე, არა A 90 ყოფილა რა² არცარა უწინ, არცარა ახლა. როგორც მართებულად გიმსახურებია, ისე იმსახურე. მე ხათრიჯამი ვარ შენს საქმეზედ. შენც
- 15 ხათრიჯამი იყავ, ქორანიკონს 460 [1772 წ. 20 იანვარი].
ეს წიგნი წაიკითხა ბატონმა,—ყაბული მაქვსო. გაუგზავნეთ. წიგნი რომ მივიდა, იორანალთან დამზადებული, ცხენ-შეკაზმული, იარალ შემორტყმული ზაალ მოიშალა, აღარ წავიდა, აქ ჩამოვიდა³.
- ||ქორანიკონს 462 (1774), აგვისტოს 15 რუსეთიდან ბატონის შვილე- B 68 a
- 20 ბი მობძანდენ. იქ ზაალისა გაუგონიათ|| რამე, თუ ავი, თუ კარგი, მე C 67 a არა მცოდნია ჭეშმარიტად. ზაალს წიგნი მოეწერა:—ჩემი რა თქვესო და მე ეს მიეწერე:—ღმერთი მოწამეა, ზაალ! გრწამდეს, შენი ავი არა გამიგონია რა, არცა რა უთქვამსთ და შენის შვილისას დიად სიღარიბესა და გაცუდკაცებას ამბობენ მეთქი. ღმერთს პასუხი მიეცე და თქვენი შე-
- 25 უბრალელები ვიყო ცოცხალი და მკუდარი, თუ ან ზაალის წასვლაზედ ვიცოდე რამე, ბატონის ძვირი გულში ჰქონდა თუ არა, ან მოსვლაზედ, ან ეს ბატონის შვილები რომ მობძანდენ და ზაალს წიგნი მოეწერა, მაშინ გამეგონოს რამე და ან მიმეწეროს რამე ზაალის გასაქცევი და შესაშინებელი.
- 30 ეს წიგნი რომ მიეწერე, ერთს კვირას, თუ ათს დღეს უკან ახტალას⁴ წავედით, იქ ლამით გზაზე კათალიკოზმა მიბძანა, არა თუ ასე, როგორც ახლა თქვეს, მსუბუქად მიბძანა:—ბევრი ავი ულაპარაკნია, ან ალექსანდრე ბატონის შვილს, ან მეფეს სოლომონს, ან დავით ერისთავს და ან მეო და ბაკუნინის ჯელით-წერილობა და ასე⁵ წვრილად ბძანება არ უბძანებია. მე
- 35 დიად მეწყინა, რად მიეწერე:—არა გამიგონია რამეთქი.—სიცრუე რა ჩემი საქმეა მეთქი, მარა მასუკან ვითქერე:—ხომ არ ვიცო||დი და სიცრუედ C 67 b რად ჩამივარდება მეთქი.

ამ საქმეს უკან ზაალ ახალციხეს გაიქცა, ფაშასთან მივიდა და ეს მაცოცხლებს, რომ იმ ჩემის მიწერილის წიგნის ||წინააღმდეგად გამოჩნდა B 68 b

¹ მისისხლე BC. ² რა < B. ³ „აქ ჩამოვიდა“ BC-ში მიწერილია აშმაზე. ⁴ ახტალას < B. ⁵ ასე] ის BC.

ზაალ, თორემ თუ არ გაქცეულიყო და ჩემის წიგნით ჩამოსული ვნეეას მისცემოდა, მე ღმერთს პასუხს ვეღარ მივცემდი*.

||ახალციხიდან ჩამოვიდა. წაუდგნენ პირს, დაიჭირეს, თვითანც ვე- A 91
 ლით-წერილი ასე მოსცათ:—მართალია, ბაკუნინს უთხარო ჩვენი ქვეყნის
 5 შებრალებაო. იმან¹ მითხრა:—არ იცი², ჯელმწიფე მეფეს ერეკლეს უწყ-
 რებაო. მერმე მე უთხარო:—თუ მეფეს ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე
 უბოძოს ქვეყანა და ან მეფეს სოლომონსაო. ჰ, განსაკრთომელი ამბავი!

უმღთონი სომეხნი, მტერნი ქრისტესნი და მესისხლენი მართლმ-
 დიდებულთანი, რაოდენ ძალუცსთ და თუ დრო იცემენ, ვაჭარნი ვაჭარუ-
 10 ლად და ცოდვისათვის ჩვენისა მეფისა პალატსა შემოცვივნულნი, კალმით
 სისხლის მღერელნი, რომლისა ბრალი ქრისტემან მათგან იზღვოს, რო-
 მელთაც პირველად უთაონი და ოთხის კრებისაგან შეჩვენებულნი, მთავ-
 რობა და მეფობა აღძრცვილნი და ყოელსა პირსა ქვეყანისასა ლუთის
 15 მიერ მონად მიცემულნი, საქართველოში უფლად და განმგედ და აზნაუ-
 რად დაუდგენიათ, წინაღმდეგად|| ლუთის ბძანებისა და გან-რე-შზომად C 68 a
 მსჯავრისა ლუთისა ქეშმარიტად, ჰე იძიებს³ მათგან, რომელნიცა იყვნენ
 უსახურნი მეფენი მათ უქმნიეს, თორემ ნახეთ აღმოსავალი, დასავალი,
 ||ზღვარი და ჩრდილო, სადა აქეს სომეხსა აზნაურება. ღმერთმან განხეთქა, B 69 a
 კაცმა ვით აღადგინოს?

სომეხნი⁴ მდიენები თურე მტერნი იყვნეს ჩემნი⁵. ამათ ჰყავთ ნათ-
 ლიად მოკიდებული ციციშვილი⁶ თეიმურაზ მსაჯული და სიმართლე
 იხილეთ მწვალებელთ შესაკრებელში შესული და ამქვემო მწვალებელთა
 შვილისა და მის იქედნესა მაგიერ აღმსარებელი და მოწამე მისი⁷ მწვა-
 20 ლებლობისა. ესე⁸ მზე სიმართლისა ოდეს აღმოვდეს, მაშინ იძიოს.

მე ქეშმარიტად არ ვიციოდი, თუ ასეთი მტრობა ჰქონდათ ჩემი,
 რომე სისხლის დაღვრის ღირსი ვიქნებოდი. მართალია, მდიენობა მიბოძა
 ბატონმა კვინიხიძის ქართველის მდიენის წილი. ამათი მამები მთავრობ-
 დენ, ამხანაგობდენ და შვილებისას როგორ ვიფიქრებდი, ესენი კი მითა-
 კილებდენ და მერმე ყოელი შესავალი ამათს ველთ იყო:—ქრთამი, ფეშ-
 30 ქაში, წიგნის წერა. ღმერთს ვიძოჴმებ, წელიწადში ხან თხუთ||მეტი თუ-
 მანი⁹, ხან ოცი და ხან მეტი მცირე რამ, ეს მერგებოდა. ვიყავი ჩემთვის,
 ვამბობდი:—არ შერჩებათ არც ლუთისაგან, არც ბატონისაგან. ქართლი
 აწერეს, არავგი, ქსანი, ||შართლამებისა, მუფასებისა არა მო||მცეს რა და
 ამას როგორ მოვიფიქრებდი¹⁰, ესენივე მემტერებიანო. A 92

ზაალის ბიჭი დაიჭირა მდიენანბეგმა თეიმურაზ და იმან თქვა:—ერთი
 წიგნი იესემ მისწერა ზაალს და ერთი ერისთვის დედამ და არ ვიცი, რა

¹ იმათ C. ² იციო BC. ³ იძებს B. ⁴ სომეხნ BC ⁵ ჩემნ B. ⁶ ციციისშვილი C. ⁷ მი-
 სის BC. ⁸ ეს B. ⁹ თუმანი <BC. ¹⁰ მოვიფიქრებდი BC.

* აქ იესე შენიშნავს: «ქორანიკონს 463 [1775 წ.] მარტს 13, აქ უნდა ბარძიმი¹ და
 ელენეს დაბადება» ეს ადგილი C-ს ტექსტში შეაქვს, ხოლო AB—ბელნაწერში იგი აშინაზეა
 მიწერილი (ამასთანავე 13 მარტის ნაცვლად, BC 20 მარტს წერს). მინაწიხს ვინაიდან
 ტექსტთან შინაარსობრივი კავშირი არ აქვს, ამიტომ ჩვენც სქოლოში ვტოვებთ.



იყო. ზაალს¹ ჰკითხეს. რა მოგწერაო. იმას ეთქვა, რაც მიმეწერა. არ დაუჯერეს. იესე² მისწერდა, გაიქეცო. დაიწყეს ქვეყანაზე ზახილი:— ზაალ ჩავკაროთო და იესეც იმის გვერდით ჩავკიროთო. აღადგინეს სომეხნი მოქალაქენი, იძახდენ ჭონები, მკუპრავები:— მოგვეციო, მოგვეციო! მეფემ

5 და კათალიკოზმა³ ღუთის მსახურებით დაშალეს.
 მერმე მეფემ ბძანა:— მაშინ რომ ზაალს წიგნი მისწერე, ის ხომ მე მიგაწერინე, ვინც ზაალს უთხრა, ის რატომ არ მითხარო. მე დიდის ფიცით მოვახსენე:— მაშინვე მოგახსენე მეთქი, სამჯერ და ოთხჯერმე გაფიცებულმა.

10 ამაზედ გამიწყრა და იმ ჩემს მტრებთან სიტყვით დამტუქსა და ბოლოს ეს ბძანა:— თუ ჩემის ორგულობით დაგეფაროს, ღმერთმან ესენი ასე აღადგინოს შენზედ, რომ გარდაგაგდევინოს და თუ სიბრძივეთ გექმნას და თავეცობით, ღმერთმა ნურა გავენოს რაო. ღმერთმან უსმინოს! ესე იქმნა ივლისი 7, || დღესა სამშაბათს.

B 70 a
C 69 a

15 წამოვეღ⁴, დავეღ ერთს სახლში და რვას || დღეს არც ცა დამინა- ხავს, არც ქვეყანა. ამას ვიტყვოდი: ნეტა რა მრჯიდა⁵, რომ არ მეოქვა, რას ვინმე შემომივიდოდა და ასეთს ქვეყნისა და ბატონის ერთგულობას რა გელი ეყრებოდა, რომ თავი ვავითავე მეთქი. გარნა ყოელთვის მფარველმა ჩემმა ღუთის მშობელმა ეზომი სულგრძელება მისცა, უარესი არ

20 მოაწია ჩემზედ.
 გამოვიდნენ, გაშალეს ქვეყანაზე და მიმოდასდევ[ს] ქართლს, კახეთს და ნომდის მოწყალეთა და მოყვარეთა ჩემთაგან მწუხარების წიგნი. ვარ აქ და ვმადლობ ღმერთსა, რომელიც მისი ნება იყოს, ის იქმნეს.

მაგრამ ისმინეთ,— თხუთმეტი წელიწადია [ბატონს] ვახლავარ და || ეზომი A 93 ძვირი შემთხვევა: პირველ გაუწყრა წყრომის ღირსთა პაატას, დიმიტრის და მაშინ კბინდა სიკუდილად მიმიცა:— განაჩენი არ დაგვიწერიაო, დაწერილი იყო ჭეშმარიტად, ეს ხომ თვითეულად დამიწერია ზემოვთ მის აღვილს*.

მეორედ გამიწყრა:— შენმა ყმის ცოლმა გიჩვილა, ბატონი შენს თავს ვერ წამართმევსო. მესამე ეს არის.

და პირველად ხომ ჩემი ხანჯალი მოგიპარავსო. ესენი ხომ || ყველა B 70 b თვის-თვის აღვილს დამიწერია და ჭეშმარიტად ერთში არა მქონებია დანაშაული. ჩემი ცოდვა მგვემს და ჩემი უბედობა.

ღმერთმან || მაჰა ჩემს შეუნდოს, ბარძივის თაობაზე საჭონლით, C 69 b მაშულით დამაგლახაკა. ღარიბი ვარ, მაგის მეტი ილაჯი არა მაქვს და სამს წელიწადში ერთხელ ამისთანა მოუთმენელი განსაცდელი მომადგება. რა ვქნა? თქვენის დახლისათვის ვთმობ, ყოელთა მხედველმა ღმერთმან იცის, თორემ ხომ დამიწერია და მე უდაბნოში გდების მეტი არა მინდა რა.

ვზივარ და ნოველი მანდატურთა შეპყრობად, გვემად, აღსაფორია- 40 ქებალად და დაშრეტად ჩემდა. ნეტაი თქვენ არა გაწყინონ რა და მე თქვენის ჭირის სანაცლო ვიყო.

¹ ზაალ B. ² იესე BC. ³ კმა B-ს „კნიაზმა“ გაუხსნია, C-ში გაუხსნელადაა დატოვებული. ⁴ და + A. ⁵ მჯირდა B.

* განაჩენი პაატასა და მისი მიზნებების დასჯის შესახებ დაწერილი „ზემორე მის აღვილს“, ვინაიდან „ცხოვრება-ანდერძის“ ჩვენამდე მოღწეულ აბ-ც-ერთ ხელნაწერში არ არის შემონახული, საფიქრებელ ა, რომ ეს აღვილი ტექსტისა ძეგლს კი არ უნდა აკლდეს, არამედ შეგნებულად ამოგდებულია აღრიდანვე თვით ავტორის,— იესეს მიერ.

ესენი ამისთვის დაწერე, ვინ იცის, მომკლან, იცოდეთ, დანაშაული არა მაქვს რა. თქვენ როგორ დაგჯობდით, მე თუ გინდ უკეთური ვყოფილიყავ, მგელს უყვარს შვილი. შეცდომა არა მაქვს რა, და მკვლენ, რა ვქნა. თქვენც არის, გებრალეზობდე[თ]. აგვისტოს 1, ქორანიკონს 463 (1775 წ.).

- 3 ქუხდით ჩემ თანა, შვილნო, რამეთუ საშინელი სიტყვანი მინდან საწერად! ქუხდით, რამეთუ მელმის¹ სული და მელმის¹ გული და ესოდქენ B 71 a
 ძრწის მოხსენებად, რომ თვალნი ცრემლთაგან სიბნელედ მიიწია, მაჯანი ძრწიან და წუხილითა გულისათა დაესვამ ასოთა მარცვალთასა და ჟამ ერთ ვდგა ცნობა მიკდილი, მოვიწოც ცრემლთა და კვალად ვიწყებ წერად; ||რომელნი ხართ მკითხველნი შემდგომად ჩემსა? ტიროდეთ! რამე- C 70 a
 10 თუ ამან დღემან წარიღო სული ჩემი, დააწვლილა ძვალნი, განლია ჯორ- A 94
 ცნი და თვალისა სინათლე მოკლებულ ყო და რასათვის უბრალო ვიტანჯება, არა ვიცი. დაშრტა აქა მხედველობა თვალისა, გარნა უნდა დაესწერო, —თუ უფროსთა ვახსოვთ, უმცროსთ ხომ არ გეხსოვნებთ და ოდეს
 15 წარიკითხოთ, შემიწყალეთ ღუთისათვის, —მიგითხრა ახალი და ახალი სხვა და სხვა ჭირნი და ვებანი, თუ რანი იქმნენ ჩემზედა.

- ქორანიკონს 463 (1775 წ.) ივლისს 7 სამშაბათს ხომ ისე გამიწყრა და როგორც მოგატყენე, ვიყავ უბრალო სიკუდილის მოლოდენაში. 9 ივლისის საამისშვილის ყმა ლეკებს დაეჭირათ, ხუთი კვირა შეკრული ჰყოლოდათ, თათრებს გაგდებინათ და შემოვიდა ჩემთან შიშველი და|| დიად B 71 b
 20 დაენატრე იმის ცხოვრებას.

- ვიყავ შვიდი თვე ამ მწუხარებაში და დღე ყოელ მოველოდი სიკვდილსა, ან ვახეიბრებასა და ან აკლებასა. ქრისტეს შობისთვის მოძღვარმა უთხრა, —ზიარებას აპირებდა: უბრალოს სულს რად აწუხებო, —კათალიკოზის პირით ველაპარაკებო. ებანა: —შემომფიცოსო, რომ ჩემი მუხანათი არ იყოსო.

- მე ფიცი წერილით მივართვი: ჩემს ჟამში არ ვყოფილვარ მუხანა- C 70 b
 თი და ეს კი ბევრჯელ მითქვამს, ბარძიმ ერისთვის მამული მავს უჭირავს, იმას მამის ჩემისა იმდენი თეთრი ემართა, შინდისი და სასახლე გიროოდ
 30 მიწერია, არც თეთრს მძღვეს და არც შინდისს, ეს კი უსამართლო მჭირს და რაც² ხანია მავს ვახლავარ, ბევრი მიმსახურია, აწყურს ვაჭირვებაში რომ მარტო ბძანდებოდა და კიდევ სხვაგან, რომელსაც თავის ჟამზე მოვახსენებ მეოქი.

- წაეკითხა. ბესარიონ მთავარ-ეპისკოპოსმა მითხრა: —გაიკვირვა, მე
 35 ეგენი არ მახსოვსო. მე ღიად მეწყინა, მარა რას ვიქმოდი.
 მიმიყვანეს და მუხლს მაკოცინენს. ის ფიცის წიგნიც ||დამაბეჭვდინეს B 72 a
 მეცა და შვილებსაცა.

- მარჯვნივ დედოფალი ბძანდებოდა, მარცხნივ კათალიკოზი. კელი A 95
 დასდვა დედოფალს, ეს ნუ მომიკუდებო და მეორე ხელი კათალიკოზს,
 40 ამისმა მადლმაო, ბარძიმის ვალზე ილაპარაკე, არ მეწყინება და დიდად

¹ მესმის B. ² არც B.

დაგმიდლებო, ამ სოფელს მაქვს, იმ სოფელს რაღა მაქვსო, რად ინახა¹ ინგარს 27, 464 (1776 წ.). წმიდის იოანე ოქროპირის ნაწილთ აღმოცენების დღე თენდებოდა, რომ შემირიგა.

5 გამოვიდა ხანი, ნათლისმცემლის უდაბნოს ერთი ბერი იყო, ეფთვი-
 მი. ეს კეთილს ასწავლიდა [მეფეს] და ამ ბერის ვასაგონად ისაკს მიეწე-
 რე:—ერთხელ ეს როგორ არ ასწავლა, კეშმარიტად ასე|| იყო, მამის ჩემის C 71 ა
 ვალი ბარძიშს ჰკიდავს, მისგან მოცემული დაბა წინდად მაქვს, სხვა ყო-
 ელი მისი მამული მეფეს უპყრიეს და იგი წინდიცა¹ ჩემი. ესე არა ჰყო,
 მიუთხრას, უმსჯავროაო; ისაკს მივსწერე, ეფთვიმეს უთხარ მეთქი.

10 ეს წიგნი ბატონს აჩვენა. ესეც თურმე ეწყინა და რადგან ჩემი სამ-
 სახურები არ ახსოვდა, დავწერე, აქ მისახურია, აქ², და ესენი როგორ
 ორგულის კაცის საქმეა მეთქი? || ბატონს დედოფალს მივართვი, მარტოს B 72 ბ
 ვაჩვენე, მე ორგული არა ვყოფილვარ.

15 ქიტესა ამბარდანს მოეხსენებინა. იოსებ მდივნის შვილის მიწვევით,
 რომ მეფის ბაქარის შვილი ალექსანდრე ამბობდაო:—იესე მდივანი წიგ-
 ნებსა მწერსო და ამისთვის კიდევ უფრო დავწერე ესენი, ამაზედ კიდევ
 უფრო გაჯავრდა. მისს 1 შიოშ მოლარეთხუცესი და მდივანბეგი თეი-
 მურაზ ებოდა:—შენ უდაბნოში წიგნი მივიწერია, უსამართლოს მეძახიო,
 20 სანსახურები დავიყვებდრებიო. ივანე აბაშიძისა ვითქვამს, ერისთავს
 იმან უთხრაო: ზაალს და მაჩაბელს დაიქერსო. რატომ აქამდის
 არა სთქვიო. ამეგზის პასუხი უნდა გამცეო³ და ბარძიშის ვალზე ვიჩი-
 ელებო, თუ მდივანბეგები გამამტყუნებენ, მოგცე|| მო და თუ არა, გარდა- C 71 ბ
 ვაქვლებო.

მე მოვახსენე:—უდაბნოში რომ მიმიწერია, ერთს გეამს|| ერთის გვა- A 96
 25 მისათვის მიმიწერია ასე და სანსახურის ყვედრება რომ გიბძანებია, მე
 ყვედრებით არ მომიხსენებია. ორგულს რომ მეძახი, ეს როგორი ორ- B 73 ა
 გულის⁴ საქმეა და ივანე აბაშიძისა რომ გიბძანებიათ, აშოროს ღმერთ-
 მან, არც მეთქვას, არც გუნებაში გამვლებოდეს და რომელთანაც მით-
 ქვამს, პირს დამიყენეო; მივიდნენ, მოახსენეს. ებძანა:—პირს დაუყენებო.
 30 ამ ამბავში ივანე⁵ აბაშიძეს შეეტყო. ახლა ამან დამიწყო ჩივილი და
 <მე>დიდი მოციქულობა:—რას შემართლებოდი, პასუხი უნდა გამცეო. მე
 შეუთვალე:—ნუ ასჩქარდები, თუ შენი სახელი ან გამიგონია, ან მითქვამს,
 ან ვიცოდე რამე და პირს დამიდგება ვინმე, სისხლს მოგცემ მეთქი. და,
 ის დრო იყო ჩემთვის, რომ თუ ბატონის რისხვას მოვრჩებოდი, ივანე-
 35 სათვის რაღა მექმნა,—ან უნდა მოვეკალ და ან მეც ჯელი გამომელო და
 დავკარგულიყავ. ისიც მემუქრებოდა და მეც მზად ვიყავ. ეძებეს, ვერაფერ
 იპოვეს. მესამედ კიდევ შესჩივლა:—სამართალი მომეცო. უბძანა [მეფემ
 აბაშიძეს], მე ისე მახსოვდა, მითხრა ვინმეო და ახლა ასე ამბობსო ის კა-
 ციო, ეგ არ მომიხსენებიაო. B 73 ბ

¹ წინდაცა C. ² აქ <B. ³ მომცეო C. ⁴ ორგულს BC. ⁵ ივან B.

ვიყავ ოცი|| დღე ამ განსაცდელში; მერმე კაცი ებოძა,—ბარძიმის C 72 a
 წიგნები ჩამოგზავნეო. მე ჩაუტანე, მივართვი. წაიკითხა,—მართალია ესენი
 ბარძიმის გვლია და ბეჭედი, მარა ვილაპარაკოთო. მე მოვახსენე:—თქვენნი
 მედროე ხომ არა ვარ, ვისთვის შემენახა, მე ვისთან ვილაპარაკო? წიგ-
 5 ნები ეს არის და მოწამეს ორმოცს გაახლბე, რომ ეს¹ ამბავი ასეა, ამის
 ბარობაზე დავექცეულვარ. მიბოძებ კარგია, თუ არა თქვენგე წყალში
 ჩაყარეთ მეთქი.

—არა, უნდა ვილაპარაკოთო. წამოველ, ჩემს თავს, ვიცი, განსაცდე-
 10 ლია. მეორეს დღეს ბატონის შვილის ლეონისათვის უბძანებია:—მოსამართ-
 ლენი დასხი და ილაპარაკეთო. ბატონის შვილი მიბძანებულა მდივანბე-
 გებთან, კაცი უბოძებია:—ერთი ძნელი სამართალია და უნდა დაეწრა,
 ბატონმა შენი ბძანა, სწორე სამართალს ეცდებო. რომ ჩაველ, გამო-
 მიცხადა. ზარი დამეცა, მაგრამ რალსა ვიქმ. წიგნები მთხოვეს. ჩავიტა-
 ნე. არზა მქონდა დაწერილი თითოეულად. ის არზა წავეკითხე, მარა
 15 ||ყური|| არ მიუგდეს. შემინებულნი იყვნენ, შეეტყობოდა. ოლონდ ლაპა- A 97
 რაკს გაველო, თორემ შიშით გახეთქილნი იყვნენ. B 74 a

იყო მას სასჯელსა: იოანე ორბელიანი, ქაიხოსრო მოურავის შვილი,
 იასე ამილახორის შვილი, თეიმურაზ ციციშვილი და სულხან ბეგთაბეგის
 20 შვილი. მიბძანეს: ეს წიგნები აქ დაყარე, რასაც გა||წვსჯით, დავწერთ C 72 b
 და შეიტყობო.

წაიკითხეს, განსინჯეს, დაწერეს. მართალია, ვალი მართებია და
 გირაობის წიგნიც აქვს, მაგრამ არც გირაო სჭერია² და მეფე ერეკლე
 არაგვის ერისთვის ვალისა რა გარდამცდელიაო?

ვარ განსაცდელში და ამაში ერთი არზა მივართვი:—ჩვენი მაცხოვა-
 25 რი სამეოცდაათშვიდ გზის მიტევებას გვიბძანებს, მე ერთი მპატივე
 მეთქი და ეს სიტყვა შენთან რომ არ გამივიდეს, მაშ ვისთან გამივიდეს
 მეთქი. ებძანა:—ბეგთაბეგისშვილის პირით—რასა ვთხოვ, მამულს არ ვე-
 ცილები და სახელოსაო.

მაისი იყო და ჩემის მორიგობის თვე ის იყო. წაბძანდა კახეთს
 30 და თან ვახლდი. არც სამსახურს მიბძანებდა, არც მამდივანებდა, არც
 სიტყვას მიბძანებდა. მეც ||ნაპირს ვიარებოდი. ცალკე ჩამოვედი, შორს B 74 b
 დავდგი კარავი და ვიყავ. ქალაქს ჩამობძანდა. ბატონიშვილი ლეონ,
 მეითარი იოანე ავლისშვილი და ნიკოლაოზ დეკანოზი ქისიყელი ებოძა
 თიბათვის 5, 464 (1776 წ.).—შენ რომ სამსახურები გეყვედრებინა, მარ-
 35 თალიაო გამსახურებიაო; ჩემგანც წყალობა გეკირებია³, სხვა რაც წვრი-
 ლი სამსახურები გეწერა, ხომ ასე დაგეწერაო, ეს არა იქნება რაო და
 სამი დიდი სამსახური დაგედვაო; მართალიაო, მე სამჯერ მომიკლავხარ,
 სამს სისხლს მოგცემო და ჩემი წყალობა დურნუკი და საბეგანო დაუ-
 ტვევო და თუ გინდა, შენს სისხლში ეს მამულები დაიჭირეო ||და ჩემს C 73 a
 40 მდივანობასთან ველი არა გაქვსო.

¹ ეს <B. ² სწერია CB. ³ მჭირვებიაო C.

- რას ვიტყვოდი, მადლობა მოვაქსენე. ჩემს გუნებაში ვამბობ:—თუ ამით მოვრჩი, ლუთის წყალობა არის მეთქი. მივალ, სა||ლაშს მივირთმევ მხიარულისა და შეუწყრომელის გულით, ბოლოს რიგზე დავეჯდები და მგონია,—ეს არის გარდავიდა განსაცდელი, ამას კი მოვითმენ მეთქი. A 98
- 5 თიბათვის 12, ქორანიკოსს 464 (1776 წ.) გამოვდა ბძანება საშინელი, საზარელი და საეაებო. ზაზა თარხნიშვილმა და ბაკქა||შვილმა ტეტიამ მითხრაო:—ლოქინს რომ მოვედით, ერთად ვისხედითო, არლუთაშვილს¹ ზუბიას ტყუილი ოქმი წაუკითხე მე ზაზამო, რომ ზუბია თავისის ბიძა-შვილისათვის ყმად მიგვიციაო. ზუბიამ თქვა²: მე ხათრიჯამი ვარო, რომ ბატონი არ გამცემსო; მერმე იესემ თქვაო:—ჩუმათ, რომ ამ ორის მეტს არავეს გაგვიგონია,—ცოლი არ არის ხათრიჯამი და შვილი და ეს მამა-ძალი რად არისო!
- 15 ეს ამბავი მომივიდა და რალა ვთქვა, შევწუხდი, მარა ასეთი საკვირველი კი არა მეგონა რა, რაც იქმნა. ვთქვა: თავად ეგ სხვა ამბავი იყო და დიდად უბრალო³ ვარ და მარტო იმათის სიტყვით როდის დაიჯერებს. ბეგთაბეგის შვილი სულხან[და] გორჯასპი მდივნის შვილი სულხან იქ იყვნენ, ერთად ვისხედით, სხვარივად ითქვა, ბატონზედ არ|| მივიდო- C 73 b და ის სიტყვა. რა გამოსაღები იქნება და რა საკადრისი, თორემ მეც სწორეს ვიტყვი მეფქი.
- 20 გათენდა 13⁴ ივნისი. ჩამიყვანეს. მოვიდნენ ზაალ ეშვიკალასი, შიომ მოლარეთხუცესი, სამეფო და სადედლოფლო მდივ||ნები, ხალხი მრავალი B 75 b და წაიკითხეს განჩინება:—
- იესეს თავის მცდარის ენით და უმაღლოს გონებით⁵ ეს დაემართოსო:
- 25 1. ჩვენი მიცემული თავადობის წიგნი გამოერთოსო.
 2. ჩვენი ბოძებული მამულები გამოერთოსო.
 3. ჩვენი მიცემული სომხის სახლები გამოერთოსო.
 4. აბაშიძეებისაგან რომ სასახლე იყიდა; გამოერთოსო.
 5. რაც მანული ან მამის ჩვენის დროს ეყიდოს და* ან ჩვენს დროს, ყველა გამოერთოსო.
- 30 ||6. სახელოები, რომელიც ჰქონია, დიღმისა თუ გამოღმა მკრისა, A 99 გამოერთავსო⁶.
7. და ტფილელს ჩაჰგვარეთ, იმას აყმევით, იმისი ყმა იყოსო.
 8. რაც ჩვენს მდივნობაში მდივნებიდამ წილი ეღოს ჯამაგირი, სრულად დასწერეთ და იმას ან გამოვართმევთ და ან მამულის ფასში უან-
 35 გარიშებთო.
- ¹ არყუთაშვილს B. ² თქვაო BC. ³ უბრალო ვარ და მარტო იმათის სიტყვით როდის დაიჯერებს <B. ⁴ 3 ივნისი B ⁵ უმაღლოს გონებით იესეს და თავის მცდარის ენით BC. ⁶ გამოერთოსო B.
- * განაჩენის მუხლები 1, 2, 3... და ა. შ. BC-ში ქართული ანბან-სათვალავით სწერია და გრძელდება მიყოლებით, უაბხაცოდ. რაც შეეხება მე-5 მუხლს, —«რაც მამული...», არ არის გამოყოფილი ცალკე მუხლად და გვევლინება 4 მუხლის გაგრძელებად. ხოლო აქვე „და“-ს წინ უხის მეხუთე მუხლის მნიშვნელობით ასო „ე“ (ა). როგორც ჩანს, ეს ადგილი გადამწერთ არევიათ.

9. მამულის გამსყიდვებმა¹ თუ [უ]ნდათ² დაიხსნან თავეთი მამული და თუ არ უნდათ, ჩვენ ამ არბაბში ვიანგარიშებთო.

10. ამებების წიგნები ყველა გამოართვით და ||ისე ტფილელს ||მია- C 74 a
ბართო, B 76 a

5 და ერთი დიღ უკადრისი და უგემური სიტყვაც ებძანა,—ეს არის სიტყვა და გასინჯეთ, რა დღე არის. ტფილელს რომ მიმბარეს, იასაულეებმა ჩუმით მოახსენეს:—ნუ მოიშორებ, წყალში არ ჩავარდესო, ასე საქმე გამიჭირეს³.

10 წამიყვანეს, ტფილელს მიმბარეს. რაც წიგნები მქონდა, წამართვეს. მივეც მადლობა ღმერთსა და ვთქვი:—მოგრაჩი.

მეორეს დღეს დიღაზე, 14 ივნისს, მოცვივდენ იასაულეები,—ეგ სასახლეც უნდა დასცალოო⁴. შეგებვეწე იასაულეებს:—ეწიკალას მოახსენე: რაც ეწერა, ხომ ყველა აღსრულდა, ეს სასახლე არც უბძანებია, არც ეწერა, ნასყიდია, თეთრი მიმიცია, ას რეა თუმანი დანხარჯვია⁵, ამას ნუ წამარ-

15 თმვეთ ღუთის გულისათვის მეთქი.

ჩავიდნენ, ეწიკალას უთხრეს:—გაჯავრებულყო [და ეთქვა]:—ხათრიჯამი იყოსო, სიონს გარეთ⁶ ერთს მტკაველს მიწას არავინ მისცემსო. მერმე კიდევ შეგებვეწე:—ეს მაინც დამემართოს, ჩემი აშენებული საჯინიბო სალამომდის მათხოონ, იქ შევყრით ბარგსა, ან მუწას ვიწოვი, || ან კაცი B 76 b

20 მომხედავს ვინმე და წავიღებ მეთქი. მსახურები წამართვეს. თუ ყმა ვინმე მყვანდა, დააგროეს, მუწალმა⁷ გამოართვეს, აღარ მიხეიდეთო. დაუწყეს წერა ჩემს არბაბსა. ჩა||ვიდნენ იასაულეები, მოახსენეს ზაალ ეწიკალას:— C 74 b
არავინ ჰყავ ბარგის გამომტანი, სალამომდის თავის საჯინიბოს თხოებას იხვეწებო და მოგახსენებს, ეს ბატონის || ოქმში როდის სწერიო; გა- A 100

25 ჯავრებულყო,—ბატონმა ცალკე მიბძანაო და ახლავ გამოყარეთო.

გამოგყვარეს. მე ღმერთს სამართალი ვთხოვ. აღარც ბარგს უყურე, აღარც სახლს, ჩაველ სიონში, საყდრის კარზე საბძელი ვთხოვ ტფილელს. იქ დავეჯე, დაუწყეს ყრა ბარგსა და ყმაწვილები ზიდევდით, ნახევარი გზაზედ გცვიოდათ. შემოვიდა ხალხი, ზოგი ტიროდა, ზოგი ზაზას სწყევ-

30 ლიდა და ლანძღევდა, ზოგმა ხალხმა ზოგი რა აიკლო.

რა მამად ყულიხან ტფილისის ქალაქს ლეკი და ციხელები⁸ შემოუსია, მას აქეთ ჩემი სახლი არ დაძრულიყო, მაშინ მრავალი დაკარგულიყო, ახლაც მრავალი დამეკარგა. სპილენძი, ქვეშსაგები, ტანისამოსი⁹ და B 77 a
ერთი კი კარავი მქონდა; ექვსი მუშაბალის ფანჯარა ჰქონდა, დიღ ლა-

35 მაზი იყო, ისიც და სხვაც ზოგი რამ საქონელი, კარის ბქეში შეიტანეს. ვეყარენით საბძელში, ბზე მვალმა საქმე გავვიჭირა და გალავანში გამოვცვივდით, იქ ვეყარენით მზესა და წვიმაში. მამის ჩემის სახლი ოცის თუმნის ვირაო იყო. იქ ვინ შეგვიშვებდა და სხვაგან სავანე არა გვქონდა.

40 ||ვთქვით, მოვრაჩით, ეს არისო. მოვიდა იასაული:—ეგ კარავი გამოგზავნე, C 75 a
ბატონს უნდაო.

¹ გამსყიდვემან BC. ² თუნდათ ABC. ³ და ნეშტა+BC. ⁴ დასწალო B. ⁵ დამიხარჯვია BC. ⁶ სიონს გარეთ <A. ⁷ მუწალმა B. ⁸ ციხები B. ⁹ ტანისამოსი B.

იოანემ¹ თქვა:—წავალ შეეხვეწები ეშიკალასს, ეგების სხვა კარავები
 წაილოს და ეგ არაო. მისულიყო, არ შეეშო, დაეძახა:—მაგით ვერ მორჩე-
 ბითო, თქვენს თავს ბევრი ამბავიაო. მოვიდა გულშემოყრილი,—სიკუდი-
 ლის მეტი ხომ აღარა ვაკლია რა და თურმე² იმასაც ვიპარებნო. შეც-
 ვივდენ, ყოვლად წმიდის ხატს წინ ის კარავი იდგა, ორთავ აიკიდეს,
 5 წაილეს და მოველით კიდევ უძვირესსა. ის დღე დაღამდა და რალა ვთქვა
 იოანეს მწუხარება.

მე ასეთი გული მქონდა, არც ქირს შეუღონდებოდი, არც ლხინსა,
 10 ||მარა იოანეს მწუხარება და დედის თქვენისა როგორ³ დაითვლებოდა. B 77 b
 სახეწვად მისულიყო დედა თქვენი ზაალთან და არ შეეშო, ჩვენს არბაბს
 სწერდნო და მიკვირს, რის არბაბს სწერენ.—ჯამაგირის არბაბი არ გაგო-
 ნილა და თუ⁴ მიჩივის ვინმე და ან ქრთამი ამიღია ან უსამართლო მიქმ-
 ნია, დიად დაწერონ და ჯამაგირის არბაბი არას გელმწიფისაგან არ
 გამი||გონია. მე მიმსახურია⁵, იმას ჯამაგირი უბოძებია მეთქი. არ მეშინიან. A 101
 15 კურთხეულ არს ღმერთი. თხუთმეტი წელიწადი მდივანი ვიყავ და
 ორი წელიწადია ბატონი მიწყრება. ||ერთმა კაცმა ეს არა თქვა, იესეს C 75 b
 ჩემგან ეს უსამართლოდ აუღიანო; არა თუ ჩემს თავს ვაქებ, ერისა და
 ხალხის სიკეთეს მოგავსენებ, რომ ჩემთვის არა ებოძათ რა.

ღმერთმან სასუფეველი მისცეს, დაღათუ⁶ აწ გორცთა შინაა, მარა
 20 ამის წაკითხვაში ეგების აღარ იყოს, დედოფალს დარეჯანს დადიანის
 ქალს, მშვიდსა და წრფელს ადამის ტომს შევბრალებოდით, ებძანა ზაა-
 ლისათვის,—ეგ როდის გიწერია, სახლი დააცლევინეო, თავისი ნასყიდო.
 ზაალს ეთქვა:—მე ბატონის წყალობა მეგონაო. მოვიდნენ მახარობლები,
 მე კი არ ||ამოველ საძსა, ოთხს დღესა და თქვენ კი ამოხვედით, მაგრამ B 78 a
 25 ბევრი რამ წაეჭდინათ.

მეორე კვირას ბძანება გამოვდა,—გაბაშვილს მამული დაახნვეინეო.
 მე მოვახსენე:—თქვენზედ თუ დანაშაული მაქვს, თქვენ გახლავსთ წიგნები
 ცა და მამულიცა,—ამათზე რა დანაშაული მაქვს? თხუთმეტი წელიწადია
 30 ამის მამისაგან მამული⁷ მიყიდი, მე არც თეთრს მოვკიდებ ველსა, არც
 ნება მაქვს და თუ ღმერთი მშვიდობას მომცემს და ამავს მოვრჩები,
 ეგების თვითან მე შეეხვეწო, თუ რაც მიმიცია, ის მომიცეს მეთქი. ასე ამ-
 ბობსო:—ოთხი თუმანი მისცაო, მაგისი არ ვიცი მეთქი, ავდეგ და წამოველ-
 ვიყავ დიდს იწროებასა და მწუხარებაში, მაგრამ თამამად და მაგ-
 35 რა ვიყავ*. თვეში თორმეტი ||აბაზი ბარძიმის ძიძას მიჰქონდა და ათი C 76 a
 აბაზი ელენეს ძიძას. ელენეს ||ძიძას შვიდი აბაზი აბაშიძეების სახლიდამ⁸ A 102
 ჰქონდა და სამს ჩვენ ვაძლევედით. ის სახლები რომ წაართვეს, ელენე
 შემოგვივადო. ვეხვეწენით და არ შეგვეჯერდა. ხუთი დღე უძუძური იყო

¹ იოანემ B. ² თურე BC. ³ როგორ რა BC. ⁴ თუ <B. ⁵ მიმსახურა AB. ⁶ დაღათუ
 თუ B. ⁷ მამული <B. ⁸ სახლიდან B, სახლებიდან C.

* ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე A ხელნაწერში მიწერილია: «მე და იოანემ—
 ქრისტეს». ჩვენ ეს ადგილი მთლიანად შეგვაქვს ტექსტში მომდევნო გვერდზე (1-ლ აბ-
 ზაცში ხეიდან) ისე, როგორც ეს BC ხელნაწერებშია.

და მოკვდა საწყალობელი. ეს ჯამაგირი, ჩვენი სარჩო, პური, ღვინო, ხარჯი თუ არ მომეტდა, არ მოაკლდა. ტუსაღს ||თუ საქმელი და სასმელი¹ B 78 b- არა აქვს, არ გაიძლება. სულ ვალით იყო და თუ რამ დაგვრჩომოდა, ვყიდდით, ხუთი თვეა ამ ყოფით ვართ და ამას იქით არ ვიცი, ღმერთი რას გვიხანძს.

ღვინობისთვის 28 ქორანიკონს 466 (1776 წ.) მე* და იოანემ² წყალი ვზიდეთ³ ქეთონ ბატონის შვილის ქორწილი ჰქონდათ და ჩვენ წყალი არა გვქონდა. ბიჰს ვინ მოგვეცემდა და მუშა იმ დროს არ მოვიდოდა, ღამე იყო. დიდს თუნგ[ს]⁴ ჯობი გაუყარეთ, წყალზე წავედით და მოვიტანეთ. ჩვენს სახლს რომ მოვატანეთ, შუშხუნები ცვიოდა, გასქდა და ჩვენს წინ დაეცა. იქ ის ყოფა იყო და ჩვენ წყალს ვზიდევდით, მადლობა იესო ქრისტეს.

გაგრძელდა ჩვენი ქირი და იწროება და არავინ გამოჩნდა ჩვენთვის მოწყალედ. თუ რამ მქონდა, ვყიდდი და საზრდელს მოვირეწვდით. აგრევე ჩემი ცხვარი გავეყიდე, რომელიც თოთხმეტის წლისამ ვიყიდე ალიხან ყილიჯის ხანობაში და მას აქეთ კიდევ შეუმატე და ვიმსახურებდი, მაგ- C 76 b რამ ახლა ყოელს ფერს ჩემს საქონელს გაფუჭება⁵ მიეცა, ეს ცხვარიც ისე შემსუბუქდა და გავეყიდე.

ვიყავ, ხან ჩემს პატარა ოთახს ვხატავდი, ხან წიგნებს შევექცეოდი ამ წინა⁶ თვეებში; და ქორანიკონს⁷ 464 (1776 წ.) ქრისტესშობის 4, B 79 a დედა თქვენი დაწვა, ვაჟი მიეცა, მინა სახელად მინდა უწოდო⁸, და ვარ ლუთის მმადლობელი; ამას ვწერ და ჩემს ოთახს ლექსებს ვაწერ შეწუხებისას, ამავ თვეს 12 სფირიდონის დღეს.

თქვენმა ცხოვრებამ, შვილნო, დიდი გაძლება იყო და არის, ქართველი ბატონი მწყრომაღე და ყოელ დღე⁹ უძვირესის განსაცდელის მოლოდინა, დიდი ამბავია და თუ ამ ჟამებში ეჩივლა ვისმე და ჩემი ან უსამართლო და ან სიბოროტე აღმოჩენილიყო, განრომა აღარ იქნებოდა, მაგრამ ხალხი მეტად წუხნდა ყოელი, დიდი და მცირე და ყველას ვებრალეობდით და სწყევლიდნენ ჩვენს შემასმენლებს, პირითაც, ცოლსა და შვილსაც ასმენინებდნენ. სიონში ჩავიდი, ეკლესიაში და მალიად ამოვიდოდი და ვიყავ მადლობელი ღუთისა.

||ტფილელმა მოახსენა:— მე ეკლესიის სამჯობინრად იესეს ყმობა ვერ A 103- დამინახავს. მშიერს ხომ ვერ დავადგებ და თუ რაც ხალხი ჰყავს, ნახევარიც არის იმის საზღო მივეც, ჩემის ეკლესიის შემოსავალი იმას მოუნდება და მე რა უნდა გამიკეთოსო. გვედრები: ნურც მე გამიჭირებთ საქმეს|| და ნურც|| ჩემის მოადგილის ტფილელის წინააღმდეგად გამო- C 77 a მაჩეთო, მე¹⁰ იმის მიცემულს წიგნს ვერ შეურაცხვეყოფო. ებძანა:—იყოსო. B 79 b.

¹ და სასმელი <BC. ² იოანე B. ³ ვზიდე AC. ⁴ თუნგ A, თუნგი BC. ⁵ გაფუჭე B. ⁶ წინა <A. ⁷ ქორანიკონს 464 [1776 წ.] <A. ⁸ „მინა ქორანიკონს 464“ A-ში სქოლიო-შია. ⁹ და ყოელ დღე <B. ¹⁰ მე <B.

* ტექსტის ამ ადგილის შესახებ: „მე და იოანემ—მადლობა იესო ქრისტეს— იხ. შენიშვნა წინაღობებზე გამოცემის 74 გვერდზე. 1913 წ. გამოცემაში ეს აბზაცი მთლიანად სქოლიოშია ჩატანილი (იხ. 101 გვ.).“

- იანვარს 11, ქორანიკონს 465 (1777 წ.) დიდის ცდით, ბევრის გარ-
 ჯიხთ იოანე მოძღვარმა [მეფეს] მოახსენა და მინახინა, მუგლს მაკოცინა.
 თებერვალს 13 კიდევ, დედოფლის შუამდგომლობით, ჩემი ნასყიდო-
 ბის წიგნები მომცეს და თავეთის წყალობისა აღარ მომცეს. მაგრამ კვე-
 5 სიაშვილს გოგიას რომ ჩემთვის ეჩივლა გიორგობის 14 ქორანიკონს 464
 (1776 წ.), ის დამრჩა. ზეილამ სამი ფურცელი* გადმოაბრუნეთ და¹ იქ
 ქალღიღადი დამრჩა, იმაზე დამიწერია მოკლედ და თუ გონება გაქვსთ,
 იმას გაშლით და კაი პასუხებია.—პასუხი შემოკლებული** ||:—ქ-|| თუ C 77 b
 მამას უჩივის, მამის მოჩივარი უნდა მოკვდეს და მამის მაგიერ ვეტყვი:— B 80 a
 10 შვილმა დედა წამართოს, თავი წამართოს², სხვის აშვილოს, სიბერეში არ
 მომიაროს, თეთრი ჰქონდეს გაცემული, კიდევ მაგინებდეს, მშვიერი და
 მაგდოს და ესეც მიყოს:—ჩემი ზოგი ნასყიდი და ზოგი მამული ასე და-
 მიქიროს, რომ სული ვეღარ მოვიბრუნო, რომელს საჯულში იქნება?
 თუ მე მიჩივის, პაპა მაგისმა³ კირხული ერთი სოფლის ტოლი
 15 წავკვლს თარხანს მისყიდა დიდი ხოდაბუნი.
 მამა მაგისმა და ბიძამ სარდარს მიჰყიდა ზვარი და ხოდაბუნი კუ-
 მისს და საკომლოები.
 მამა მაგისმა და ბიძამ აბღულაბეგს მიჰყიდა სასაფლაო და საკომლო
 ზოგი, რომელიმე მონასტერს.
 20 მამა მაგისმა და ბიძამ დიმიტრი ემიკალასბაშს მიჰყიდა ქაპალა. მე
 ესენი მომყიდა. და კიდევ ჩემს უკან ტფილელს მიჰყიდა დიდი სოფელი
 მონასტერი, ვენახებით, ზვრით, ხოდაბუნით, საყდრით, სასაფლაოთ და
 გლეხებით. მაგისმა განაყოფმა კუმისს ზვარი და საკომლოები ბოლამს
 გაყიდა.
 25 ტაბახნელა მჩაბელს მიჰყიდა. ტავნაგეთი და მონასტერი აბღულა
 ბეგს ჰქონდა, ჩემგან თეთრი ისესხეს, დაინხნეს||, სანამდის⁴ აშენებული B 80 b

¹ გადმოაბრუნეთ.. კაი პასუხებია <BC. ² წამართოს B. ³ მაგისმა A. ⁴ სიანამდის B.

* კვესიაშვილი გოგიას საჩივარი იესესადმი BC-ს ტექსტში შეაქვს, A-ს კი იესეს „შემოკლებულ პასუხთან“ აქვს გაერთიანებული სქოლიოში (იხ. 1913 წლის გამოცემა გვ. 103).

ჩვენ კვესიაშვილის საჩივარს გამოგყოფთ იესეს „პასუხი შემოკლებული“ სგან სხვა რომ არა იყოს რა იმიტომაც, რომ იესე არაა ამ საჩივრის ავტორი. აი, ამ საჩივრის ტექსტი: „ქ. მორდალს გოგიას [ბედნიერი ხელმწიფის კირი] მოსცეს. მამაჩემმა, ოსე-
 შვილს მამული მიჰყიდა და ჩვენ ასე დაგვტევა; რაც ან ფასი მიუტია და ან როგორ
 მუქთსავით მიუღია, თუ არ უტკობით და ან მეტის გაჭირვებით,—ამისთანა მამულს ვინ
 გამოიბეტებს, გვედრებით:—თვისი თეთრი მიმაცემინოთ და ჩემი მამული დამანებოთ“.
 [მეფე ერეკლეს განკარგულება მოტანილ საჩივარზე]:—

—ჩვენი ბრძანება არის: ჩვენ სამართალში დავჯავებთ; ჩვენი შვილს გიორგისა და ლეონს ჩვენთან დავსომთ და მდივნებუგებსაც ჩვენთან დავიწრობთ. მაშინ მოგვახსენებ და თუ სამართალით შეუხვალ რასმე, მაშინ სამართალი გაცნობებს. გიორგობის 14, ქკოს 464 (1776 წ.)“.

** ეს „კაი პასუხები“—„შემოკლებული“,—დაწერილი იესეს მიერ გოგია კვესია-
 შვილის საჩივრის გასაბათილებლად, A-ში სქოლიოშია შეტანილი (1913 წ. გამოც. გვ. 103—105) BC-ში კი, ეს „კაი; პასუხები“ ტექსტშია შეტანილი. BC-ზე დაყრდნობით და ტექსტის სწორად აღდგენის თვალსაზრისით, ეს ადგილი ჩვენ სქოლიოდან ტექსტში ვადაგვაქვს.

იყო, თვითან ჭამეს, რომ გახარაბადა, მე მომყიდეს. თეთრი მიმიცია, რასაც შევრიგებვიარ¹, თავის ველით ნუსხა მიუცია დამწერისათვის, მერ-
 მე თავის ფეხით შემოუვლია, დაუბეჭდვინებია და მოუცია. || ძალი არ
 შემძლება, ფეშქაში არ მოუცია, ავითან მხვეწნია, მე ხომ არ შემიკვე-
 5 თია; ჩემის თეთრით შეილი გაუზღია ძიძით; სამი წელიწადი უცოცხლია. ყაბზები² მაქვს, რაც იმის მოვალისათვის თეთრი მიმიცია და ზოგი რაც თვითან მანუ ჩარისათვის მიმიცია.

აბრაამ მამად-მთავარმა, ქებრონს ეფრონ ქეტელისაგან ქვაბი და აგარაკი იყიდა და ველარაგინ გამოართო.
 10 იაკობ ერთის ჯამის³ ოსპით უხუცესობა იყიდა ესავისაგან და ვე-
 ლარაგინ გამოართო

დავით წინასწარმეტყველმა სოლომონის ტაძრის ადგილი იყიდა ორნასაგან და ველარაგინ გამოართო. ბ მეფეთა კდ თავში⁴.

|| ქართლში მრავალმა, კახეთს პატარძელი ონას შეიღმა ერთვის A 104
 15 სოფლის ტოლი მამულია, ათი თორმეტი საკომლო [იყიდა] და⁵ მაგას რათ უკვირს ჩემი, სასოლალაშვილო ამდენს კაცს აქვს ნასყიდი. B 81 a
 || კუმისი სარდარს და იკორთის წინამძღვარს, ღოუბანი სარდარს და მოქალაქე სომეხს. ტაბაველა ხერხეულიძეს ჰქონდა, იმან მაჩაბელს მიჰყიდა. ასურეთი რატისშვილს აქვს გირაოდ. ჰაბალა ეშვიკიასაბაშს ნასყიდი,
 20 მონასტერი ტფილელს ნასყიდი. მამის დაბა ყაფლანს და ზაალს ნასყიდი, ტაგნაგეთი ჯერ ჯალალას ჰქონდა, ამისგან რომინოზ მთავარების-
 კოპ||ოსმა იყიდა, იმისგან აბდულაბეგ, იმისგან⁶ ჩემი თეთრით მანუჩარ C 78 b
 და იორამ, იმათგან მე ვიყიდე ხარაბა. კაცის რიცხვი ხომ არ შემიძლია, რამდენი სიტყვიერი ქრისტეს მოსავი კაცი დაყიდეს გლეხებზე, რომ იმათს
 25 კირთებაში არიან და ზოგი რამ ხომ სყიდვაშია ც დამიწერია, როგორ სხვათაც შევაუქრა, არაგინ იყიდა,—ისინი მოიხმარეთ⁷.

მე ასე მგონია:—სიტყვიერის კაცის გასყიდვა უფრო ბრაღი იყოს უწემოს მიწის გასყიდვასა, რომ ღმერთს კაცის სამსახურისათვის უბოძებია [მიწა]; ნება ღუთისა იყოს და მაწინდელის თვალ უხვადად მსჯელის მსა-
 30 ჯულისა. თუ მას მიჰბაძვს, იგივე იდიღებს*.

ქორანიკონს 465 (1777 წ.) აპრილს 16 ქრისტეს აღდგომის დღეს || დაესწერე შეწუხებულმა, დარბეულმა, წამხდარმა მამულით სახელოდმდე A 105
 დამხობილმა. დღეს|| ჩემი იოანეც სამწყსოში წავიდა, დავრჩი მარტო, B 81 b
 ოსე და ზაზა მისხდენ. შარშან და იმას უწინ ოცი და ოცდაათი კაცი

1 შევრიგებულვარ BC. 2 ყაბზები C, ყბზები B. 3 ერთის ჯამის <BC. 4 ბ მეფეთა კდ თავში <A. 5 ქართლში მრავალმა—საკომლო [იყიდა] A-ში უადგილოდა მო-
 სებული (იხ. 105 გვ-ის 31—32 სტრიქო.) 6 იმისგან <B. 7 „და ზოგი რამ—მოიხმარეთ“,—A-ში უადგილოდა ჩამატებული. მე-15 სტრიქონის ზემოთ (იხ. 1913 წ. გამოცემა გვ. 102—104), ხოლო BC-ს ეს ადგილი საერთოდ არ შემოუნახავს.
 * 1913 წ. გამოცემაში შენიშნავს: „აქ დედანს აკლია“ (იხ. დასახლებული გამო-
 ცემის 104 გვ.) სინამდვილეში ირკვევა, რომ ტექსტს აქ არ აკლია, ოღონდ მინაწერებს აწიაზე და A ნუსხის დახიანებულ გვერდებს, გამოუწყვეტია ეს გაუგებრობა. BC ნუსხების დახმარებით ჩვენ ამ დახიანებულ ადგილის აღდგენა-გამართვაც ესტადეთ.

დამისხდიან და წელს ასე იყო; კურთხეულ არს ყოვლისა მპყრობელნი ღმერთი, არა ვწუხვარ ჭეშმარიტად. ღმერთმან თქვენ ერთმანეთს ნუ მოვაშოროსთ და ეს რა იქნება.

მურადაშვილები მოვიდნენ და გავყარე ამისთვის, რომ აღდგომის ძღვენის მეტი სხვა იმათი სამსახური¹ ვერა ვნახე რა. ამდენი მსახური არა მყვანდა, აღდგომის² დღეს ჯორცი ეყიდნა. ოსეს წირვა გავაშვებინე; ჯორცისათვის გავგზავნე და თუმანის მოეტანა, არც კარზე მივსულვარ, არც სხვაგან, — რა³ საქმე მაქვს მკუდარსა? ზოგნი მეფით ხარობენ, ზოგნი ხონთქრით, || ზოგნი ყენით, ზოგნი სიმიდრით და მე [ვარ] ცალიერი C 79 a

ყოვლისაგან.

მარტს 23 ხუთშაბათს ქორანიკონს 465 (1777 წ.) ხონთქრის ქურჭი და ცხენი მოიყვანა გურგინამ. გაეგება ბატონი, მე ვიწვევ⁴, არ შემეძლო, დაბადებას ვიკითხვედი, ეხეიელის თავი 17. ამ შეწუხებაში ვიყავ. ვიღებდი ვალს და სასმელ საქმელს ვერ დავიკლებდი⁵, რომლისაც ჩვეულება გვქონდა. არც გამომღვევია სამი და ოთხი კარგი ცხენი. მისის მორიგე ვიყავ; რაც ბარგის ცხენი მაკლდა, კიდევ ვიყიდე.

ახტალას წაბძანდა, თან ვიახელ და ოსე და ზაზაც თან მყვანდა. იქ ცოტა რამ მიბძანა. ნუგეშის ცემა. მოვედით, მე ორიოდ სამი დღე მაკლდა, — შიშით ჯარში წაველ. ტაბახმელას დასრულებზე კარავი, ბარგი გამოვისტუმრეთ; იოანეც იქ მყვანდა, საშინელი წვიმა ასტყდა, იმ ღამეს უნაბდო, უკარგო დავრჩით. გათენდა და წამოვედით ქორანიკონს 465 (1777 წ.).

იენის კოდაზე ვიყავი, ვმუშაობდი. რაც ჩემი იყო მოვამკვივინე, გავალწინე, ჩავყარე. შვილები წაგიყვანეთ, ტაგნაგეთის სამძღვარი გაჩვენეთ, — ერთისის თავს რომ მთავარანგელოზის საყდარია, იმ საყდარს უკან რაც ან ველია და ან ტყე, აღმოსავალისაკენ ერთულია, დასავალისაკენ ტაგნაგური, ძველ ღოუბანს წინ აღმოსავალისაკენ დიდი ბორცვია ყელბერასშვილისა. ამ ბორცვს მაღლა წვერზე საგნავიც აქვს. იმ ბორცვს⁶ აღმოსავალით სატაგნაგოა, დასავალით საღოუბნო. ღოუბნისა და ტაგნაგეთის გამრჩვეელი ის ბორცვია, რასაც ის || წვევი ჩამოიტანს; იქით C 79 b

კოშკისაკენ ჩვენია, აქეთ ერთისისა. მუხათის გალაგანს წინ დიდი ქვა A 107 ზის||, სამძღვარი ის არის. იმ ქვას მიჰყვები დასავალისაკენ, სულ ქვები B 82 b სხედს, მიაღებება ქაცაბნის ძირს, — მცირე ნალვარეგია⁷, კაპკაჟის გევი ჰქვია, ის ნალვარევი მისდევს, სამზრეთისაკენ შემოუფლის ქაცაბანს, იქ დიდი

ქვა ზის, შავი.

იმ ქვის გასწორ, დასავალისაკენ, ქალამნის გორას⁸ წინ, თეთრი გრძლად ქვა ზის. იმის გასწორ ქალამნის გორა და გორას უკან კიდევ დიდი ქვა ზის; ღელის პირს. ის ღელე შეივლის ჩრდილოსაკენ და ლალონის გევი ჰქვია, ხევის გაღმა ღოუბნურია, გამოღმა ჩენი. ეს⁹

¹ სამსახური < B. ² აღდგომის AC. ³ არც B. ⁴ ვიწვევ BC. ⁵ ვიღებდი BC. ⁶ ბორცვის B, ბორცვს C. ⁷ ნამღვრეგია BC. ⁸ გორას B. ⁹ ჩენი + B.

- დღეუ მიადგება ქვეითკირის ჳიღსა, იქამღის ჩენნია; იმ ჳიღს გამოჰყვები, აღმოსავალისაკენ დიდი შარა არის, გამოსჰკრის, ბორბალს თავს გარდ-მოუფლის და საქალაქო შარას შემოეყრება, ერტისს გამოვა. ქვეით ჩენნია, ჳით, ქრისტეს ჯვარს წინ მიწები, ლოუბნელთაგან¹ მოსყიდულია.
- 5 შარას ჳით, იობა მიქელაშვილის ნასყიდი მიწებია და კელეხის ჳევი ჰქვიან. ის კელეხის ჳევი, ვენახების გარდასახედავამღის ნასყიდია, ნახევა-რი ჩენნია და ნახევაი იორამისაა, მთის ძირისაკენ ჩენნია და იმას ქვეით იორამისაა, მაგრამ გაყოფაზე ჰკიღია; ესენი ხომ გაჩვენეთ.
- იელისს|| 16 ბატონი მობძანდა კოდაზე, ვაშლოგენღნი და კუმეღნი B 83 a
- 10 სამზღვარზე ცი||ლობდენ, ნახა, გაირიგა. მე მოვახსენე მარტოს:—რადგანც C 80 a დამაბეზღეს, წესია რომ მრცხვენოდეს, მარა ორი წელიწდიღია ამ სატან-ჯველში ვარ, ერთი საათი ჩემი მოხსენებული მოისმინეთ. მიბძანა:—მე დაგიბარებ და გათქმეო. ქალაქს მობძანდა, ბატონის შვილი ლეონ და სულხან ბეგთაბეგის შვილი ხლებოდენ ბატონს. იქ ებძანა:—სულხანისათვის,
- 15 იესეს არზის პასუხი რად არ გამომართვიო, სამართალში მინდა განვაწესო. იელისს 24 ქერიმხანის კაცი მოვიდა. გლახა ციციშვილისა და ფა-რეშთხუცის გივისათვის გამოეტანებინა მძიმედ შეკახმილი ოქროს იარა-ღით სისვი ცხენი, ბადღის² ხიფითანი შალიღ და სარტყელი მოერთო. გაეგება, ცხენზე შეჯდა, ტანისამოსი ისე ბოხრით წამოაღებინა და მობძან-
- 20 და. ყოელი სული დართულ დაკახმილი ახლდა და მე ჩოჩით ვიჯექე ცხენ- A 108 სა და გული ასე დაქრილი მქონდა და მწარედ შეწუხებული ვიყავ, რომ ცხენზე ძლივ ვიჯექე, დიღ მრისხანის სახით იყურებოდა და შეწუხებულს გულს ხომ ისე სჰირს, ყველა თავისი ეგონება და რა ვიციო, ლუთის ნება რა|| არის. გათენდა 25 იელისი და შეწუხებული ვზივარ*. B 83 b
- 25 რამან ცნობამან შეუძლოს მოთმენად და რამან გულმან იტვირთოს, რაცა რა უთმინო განსაცდელი სხვა და სხვა მოაწწია ჩემზედ სოფელმა C 80 b და ჟამმა თქვენმა ცხოვრებამ, ათი დღე არ გამოსულა, სხვა და სხვა განსაცდელი არ მოემვას ჩემზედ სოფელსა, მაგრამ ამისთანა არც ერთი ყოფილა, რომლისა თქმა მრცხვენის და დავიდუმე და დიდს მწუხარებაში ვარ. თქვენ კი მიხედებით, რამაც ასე მომკლა და ვიღასთვის დავსწერო და დაუთვეე.
- ცოდვასა შინა, საგონებელი დღე-კეთილობა, უმწარეს ნაღვლისა გა-მოჩნდების. ამისაც ოხვრით და სულთქმით ვიტყვი ხოლმე:
- საწუთრო ნაცვლად გვატირებს,
- 35 რაც ოდენ გაგვიცინია—, და ქეშმარიტად, რაც ჩემზე განსაცდელეები მოიწია, ამის ნათალი

¹ ლოუანურია ელთაგან A. ² მაღალის B.

* 1913 წ. გამომცემელი აქ შენიშნავს: „აქ დედანს უნდა აკლდეს რამოდენიმე ფურცელი“ (იხ. 108 გვ). იესეს „ცხოვრება-ანდერძის“ ტექსტუალურ შესწავლას იმ დასკე-ნამდე მივყავართ, რომ ხელნაწერი აქაც არ უნდა იყოს დაზიანებული.



ლხინი არ უჩვენებია, იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ¹. ლეინობისთვის² 7 ბატონის შობის დღე იყო. დიად კარგი ქარვის კრიალესვამი რომ ვიყიდე 2 თუმნად და 5 მინალთუნად და მე დავთალე³ მსხვილი ბუდე-შური, კარგი ისპანის სარკე სახურავით, კარგი სირმებით⁴, მივართვი.

5 ||ივლისს გულდამაყარს წაბძანდა ბატონი და თან ვიახელ. ოსეს ექიმი B 84 a ადგა, ვერ წავიყვანე, ნეტაი წამეყვანა

გულდამაყარს რომ მიბძანდა, გზაზედ მოვაჯსენე:—ჩემი თავი რომ დაგაბეზღეს, ასე მოვაჯსენეს, რომ ორგულიაო, თუ ან თქვენ მიცნობთ ორგულად. ბძანა:—ღმერთი ნუ შემარცხვენს, არც⁴ იმით მოუჯსენებიათ და 10 არც მე გიცნობ|| ორგულად. რაც ითქვა, ის იყოო. მე მოვაჯსენე:—ორგულრბა არ იყო, მუხანათობა, ისე გათაყება რად უნდოდა; მამულმა ნასყიდობას|| ვერ უფარა, ნასყიდობამ სისახლეებსა, სისახლემ ყმასა და მსახურსა. ბძანა: რაც მოვდა, მოვდაო, ჩამობძანდა და ჩემს გზის მიცემას დაუწყო ფიქრი.

15 კახეთს წაბძანდა,—ავგისტო მისი მორიგობა იყო,—თან ვიახელ. იორზე ბძანდებოდა დაბლა, ყაფიჩის ზემოთ, იქიდამ⁵ თვალზე ბძანდებოდა, სტამბოლის პირსაყოცი, სირმის ამიანური, ზოგი რამ წვრილმანი მივართვი. ებძანა:—ჯელით ნაქნარი გულმაც ნახოსო⁶. ავგისტოს 29 მოციქულე-ბი ებოძა:—ამას არ დავაჯერებ, კიდევ სხვა რიგად შენს სარჩოს გავარი- 20 გებ. ამ ჯელად სამართალში დაჯედ, ერთის მდივანბეგის ჯამაგირი მომიტია⁷ ||სანდივანბეგად⁸ ერთი მდივანბეგის წილის ნახევარი და ერთის მდივანის ტოლი წილი, ესენი მიიღე და სხვას კიდევ ვიზრუნებთო. დამიწერეს, მიბოძეს, მუხლს ვაკოცე, წამოველ და ვიქცევი ბძანებისამებრ. ასტეხა კიდევ სოფელმა განსაცდელი ენკენისთვის⁹, რომელიც დავიღუპე

25 და ვფიქრობ მუდამ დღე და ასეთის ცრემლით ვტირი, რომ ჭეშმარიტად⁹ ხელზე რომ¹⁰ დამეცემოდა, დამწვევდ. ერთს კვირას უკან კიდევ სხვა მომიშინა,—სულხანსა და ზახას რალაც ეთქვათ. ვსწერ ოკტენბერს 15. ოსე არ ვიცი სად არის, ესეც მეწუხება; კიდევ სამს დღეს უკან სხვა,— 30 იო||სათვის პირით და ვარ დიდს განსაცდელში, უბრალო ჭეშმარიტად ყოველს სფეროში; არა სწერია მოგავონდებათ და ან შემიბრალებთ და ან ღმერთს შემივედრებთ, რასაც მე თქვენის სარჩოსათვის ვწვრები.

¹ კურთხულს—EC ტექსტში+ „ლეინობისთვის 7 ბატონის შობის დღე იყო—კარგი პირით მივართვი“, ის რაც A-ში ექვსი სტრიქონის ქვემოთ სქოლიოშია შეტანილი (იხ. 1913 წ. გამოც. გვ. 103). ² დათლევ BC. ³ სირმები| პირით BC. ⁴ არ BC. ⁵ მისი მორიგობა—ზემოთ იქიდამ <C. ⁶ თვალზე ბძანდებოდა—ნახოსო A-ში სქოლიოშია ჩატანილი BC-ზე დაყრდნობით ჩვენ იგი ტექსტში შეგვაქვს. ⁷ სიტყვა „სანდივანბეგადამ“ A-ხელნაწერს აკლია. ⁸ დატოვებულია ადგილი ერთი სიტყვისათვის BC-ში თვის რიცხვისათვის. ⁹ რომ C-ში ზემოდანაა ჩამატებული. ¹⁰ ამოგიწვევტო B.

* 1913 წ. გამოცემული შენიშნავს: „აქ დედანს აკლია“. მართლაც და A ხელნაწერი აქ დიდადა დაზიანებული, რომლის მთლიანად აღდგენა BC ხელნაწერებით მოხერხდა. ეს დაზიანებული ადგილი მთლიანად მოიპოვება C ხელნაწერში, ხოლო ნაწილობრივ B-ში (იხ. ხელნაწერი B-ს 84^{1/2}, 85, 86, 87 ფურცლები და ხელნაწერი C-ს 81, 82, 83, 84, 85, 86 ფურცლები). წინანდებარე ტექსტის ეს ფრაზა მისწინდელთაგან შენადგენელი ნაწილი პირველად იხმედება. იგი არც „ცისკარი“-ს გამოცემაშია.

გუთნეული ამომიწყვეტეს¹ უპატრონობით, უმსახურობით² წამოველ თათრებში საშოვნელად თუ სასყიდლად. ბორჩალოში³ სეილოდ-ლის სახლში ვზივარ და ამას და სხვებსაცა ვამბობ გულის ტკივილით: მიმდონი საწუთროსანი მისთა ნიეთთავან რჩებიან,

5 ვაქებ ჭკუასა ბრძენთაცა რომელნი ეურჩებიან,
ლისმენდი⁴ ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე-ლა-მრჩებიან.

B 85 ა
აქედან
აკლია

დიდად ვეცადი და ვერც გალობა ვთქვი და ვერც ეს ლექსი სიმღე-რით, ასე გული შეკრული მაქვს. არც სადილი და არც ვახშამი რომ უგალობოდ არ აიღებოდა და ღვთის მმადლობელნი რომ ვგალობდით,
10 ახლა ასე შური იძია ეშმაკმან, ორი წელიწადია გალობა აღარ მიაგება და უფრო ამ დღეებში, მადლობა იესო ქრისტესა, ჭეშმარიტად თურმე ღვთის სათნო არ იყო.

ბორჩალიდამ⁵ ფამბაკში წამოველ. დიდს სიცივესა და ნეფხვაში მთაზე გარდავლე. თოვლი იყო და დიდათ შემაწუხა. მოველ⁶ მყული
15 აღას სახლში დამზრალი და დაყინული; ოკტომბერს 22, კვირას დღეს, საძაგელი ფინთი თათარი სა[ძ]ავს⁷ ლოცვას მოჰყვა. კარში ცივა, სახ-ლი ამის მეტი არ არის, და ამას ვსწერ; ვინ იცის სოფელი კიდევ რას^C მახვილებს ლესს.

82 ა

ჩემი მწუხარება როგორ დაითვლება, წყეულიმც არის სოფელი,
20 ყველა საწუხარი არის ამ სოფლისა:—თუ მალ მოჰკლავს, წვლილი შვილე-ბი დარჩება ობლები და თუ ასე ხანს გაუგრძელებს <და>, მრავალს ავს აჩვენებს. ერთი გუთანი ხარი ვიშოვე და წამოველ, მოველ ტფილისს.

ერისთავს გიორგის უკუდგომა გაეცხადებინა. ახალგორი, წირქვალი,
მონასტერი, ფოხალა, სიათა და ბეზჩო გაემაგრებინა; ეფთვიმი წინამძღვა-
25 რი და თარხანი მოციქულად უვლინა; მერმე ქსნის ხეზე ბატონის შვილი გიორგი და ლევან შეუსია, ლიახზე ამილახორი. ყოელი ციხე აიღეს; თეითან სიათაში გამაგრდა, მისი შვილი ელისბარ ფოხალაში. ელისბარ ციხიდან გავედი, თავის სიმამრს, იმერეთის მეფეს, სოლომონს მიატანა, ისიც აიღეს. სიათას შემოახვია ჯარი და ბატონის შვილები; იქიდანაც
30 გამოიყვანეს ცოლშვილით.

ქალაქს ჩამოიყვანეს გიორგი ერისთავი ჯელ-ხუნდით და რევან და
ზურაბ ხელშეკრული⁸ ჩამოიყვანეს, ქრისტეშობის 1 ქორანიკონს 465
(1777 წ.), დღესა პარსკევს. დადიანის შვილი ღირსი და პატიოსანი
კაცი, ჭყონდიდელ მიტროპოლიტი, ბატონის დარეჯან დედოფლის მამის
35 ძმა, გრიგოლ⁹, სანახავად გარდმოსულიყო დიდებით და პატიოსნად*.

¹ ამომიწყვეტს B. ² უმსახურობით B. ³ ბორჩალოში B. ⁴ აქედან B-ს აკლია; ამოხეულია 1 ფურცელი (პაგინაცია კი მიყოლებულია). ტექსტის ეს დანიშნული ადგილი აღგენილია C ხელნაწერის მიხედვით. ⁵ ბორჩალოში F. ⁶ და+C. ⁷ სამავს C. ⁸ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, ბატონის დარეჯან დედოფლის მამის ძმა. ⁹ გრიგოლ+C

* ჭყონდიდელ მიტროპოლიტი—გრიგოლ C ხელნაწერში ერთი სტრიქონის შემოთ სიტყვა „ხელშეკრულის“ შემდეგ უადგილოდაა ჩართული. ტექსტის სწორად აღდგენის მიზნით ჩვენ გადავაჯგუფეთ ეს ადგილი.



ამაინ¹ სიკუდილისა და გახეიბრებას იპატივა, რადგან მოყვარე იყო, გზობის გის მეორე ქალი, ამის ძმის წულს, ნიკოლოზ დადიანის შვილს [ყავდა]².

5 შვილნი ჩემნი, რად განვაგარძე, მრცხვენის თქვენი თავის წყენა, მაგრამ იქნებ რომ ესეც გამოგადგესთ რათმე; არა რას ვმცონარეობ თქვენთვის. ამ დღეებში წითელა შემომიღდა და რვა შვილი ერთად იწე-
ვით,—ექვსი ჩემი და ორი ჩემის იოანესი. ღმერთმან წყალობა მიყო, ყვე-
ლანი მომირჩით და საწყალობელი ბარძიმ დაიგდო, სნეულიც იყო, სამს
10 ||წელიწადს* სამი თვე უკლდა, მომიკლდა ქრისტეს შობის 11. შევწუხდი, შემბრაღდა საწყალობელი და ამას ეწერ. ეს საცოდავი რომ ბქის კარს
გარე გაიტანეს, დიდად შევწუხდი, თავის სამკვიდრებელისაგან რომ უნ-
წილო გავიდა, დიად ბევრი ვიტირე.

ამ ყმაწვილზე ბევრი სასჯელი გარდამხდა, ბატონის რისხვით გა-
თაებული, აკლებული, დამხობილი, უყმონი, უმანულონი, უმსახურონი აქა
იქ ვატარებდით; ოცი ძიძა გამოიცვალა. თვეში თორმეტს აბაზს ამისთ-
ვის ვაძლევდი, თორმეტს მინასათვის. ხან ერთი შემოგვიგდებდა, ხან
15 მეორე, ზოგს რძე არა ჰქონდათ, ზოგნი ავადმყოფობით რომ სნეულობ-
და, ვერ გაუძლიან და შემოგვიგდიან, ეხლა სხვას მივაბარეთ და ამ აქა-
იქ თრევაში, მომიკლდა. თქვენი|| ჰირის სანაცვლო იყოს და თქვენ ყო-
ველთას ჰირი წაიღოს, მაგრამ მებრაღება საცოდავი. ჰეშმარიტად ამის
20 საძიძაო შვიდნი თუმანი გამივიდა და ვერა [ვ]არგე³ რა; ჩემი სასჯელი,
ამ მამულეზე გარჯა და სასახლეზე დიდი შრომი, ამას არას გამოად-
გა, არც არას შეეწია.

უბადრუკი და დასჯილი ბრალთათვის ჩემთა, მეერგასეს წელში ჩავ-
დგე. ამ სატანჯველში მყოფი, ამ იწროებასა და მწუხარებაში, ხომ ბა-
25 ტონსაც|| ენახავ, ხომ სამართალშიაც ვჯდები, არც პატივი მომკლებია,
არც [ც] მიჩნევა, მაგრამ გული რომ ხელთ აღარ მაქვს, და მრავალმა სხვამ
და სხვამ განსადღეღებმა და ბატონის რისხვამ ასე გამათავა, რომ სული
აღარა მიდგს და ესეც დიდი საკვირველებაა, რომ სნეულება არა დამე-
ჩემა რა. დიდად უსნეულოდ ვარ. გიორგობის 10 ქორონიკონს 465 (1777
30 წ.) ორმოცდა ცხრისა სრული ვიქმენ და მეერგასეში ჩავდექ.

მამის ჩემის ძმა იყო, დავით ერქვა. ძველი სასახლე ჩემნი, მისთვის
საუმტროსოდ მიეცათ ძმებსა. ეს დავით უშვილო იყო და თავისი სახლი
გირაოდ დაედდა თავის მოყვარეზედ. ვერვც კიდევ ტფილელის ქარვას-
ლას ქვეით, პაპის ჩემისა ერთი დუქანი იყო. ნახევარი ბიჭის ჩემის მი-
35 ქელისა იყო, ნახევარი დავითისა. მიქელი უშვილოდ ზმოვარდა. ათანასი
ტფილელმა სასახლე იმისი, ჩემს ბიძაშვილს. ნიკოლოზ დეკა||ნოზ
მისცა, მამაჩემს წილი არ დაუდგა, ავათაც ქნა. მუდამ ღმერთ ქვეშ აგ-
დებდა თბილელსაცა და ნიკოლოზსაცა მამა ჩემი ამისთვის, რომ ამოწ-
40 არც სახლის კაცმა უნდა იშოოს; სახლები იმას მისცა და თეთრი

¹ ანას C. ² უვიოდა C. ³ BC გარგე.
* B ხელნაწერს სიტყვამდე „წელიწადს“ აკლია, ე. ი. აქედან კვლავ ვიყენებთ BC ხელნაწერებს.

გამოართვა და ღუქნის ნახევარი მიქელის წილი თვითან დაიჭირა^{სიძინძინძე} ნახევარ[ი] ღუქანი დაეითას, (sic) თავისი წილი, ესეც გირაოდ დაედვა, B 86 b იმავ თავის მოყვარეს, მიქელ მლუღელზედ.

სიკუდილის დღეს დიად სამართლიანი ანდერძი ეთქვა დავითს.
5 ღმერთმან სასუფეველი მისცეს—მამულიც ჩემს ძმისწულებს ჰქონდესო და ვალებიც იმათ გარდინადონო. ეს წიგნი რომ მოგვივიდა, მე და ჩემა ბიძაშვილმა დეკანოზმა, ვალები მივეციო და თამასუქები დავისხენით; ეს სახლები გასაყიდლად მოინდომა დეკანოზმა.

მე დიად შორს დავიჭირე:—ერთმა უშვილომ კაცმა, მოვალემ, ღარიბ-
10 მა, ამდენი ნაშუი ქნა, არც არას გამოელოდა, არც იმედი ჰქონდა, მაგრამ მამა-პაპის მამული ვერ გაყიდა და სილარიბეში მოკუდა და ჩვენ დავვიგდო, მე ღმერთს რა უთხრა და ან შეილებსა, რომ გავყიდო მეთქი? მერმე ღუქანი თვითან ირჩივა და სახლები მე დამანება. წინ რომ ღუქ-
15 ნებია, ერთი მამის ჩემის წილი იყო, ერთი იმისი. ერთმანეთს წიგნი მივეციო:—მე|| იმ ღუქნის ნახევართან არა მაქვს საქმე და იმას სახლთან. C 84 a გავიყავით და სამარ||ხიც საკუთრად მე მივეც მიქელ მღვდელს და ვისაც B 87 a ის სახლი აეშენებინა, იმისი ასაშენებიც ქალაქის ბიჭებმა მე მიმაცემინეს და ჩორსოსთან რომ ეს ჩვენი ძველი სახლებია, პაპა ჩემი იქ დაბადებულა, ამ გზით დანიხსნია და იოანესი და ჩემია საკუთრად.

20 შვილნო დავშვერ ამდენის წერით და ცრემლით ანდერძის მოთხრობით და დაუტევე; არ ვიც[ი] ღმერთი რასა ჰყოფს ამას იქით. იქნება თუ ვიცოცხლე, კიდევ წარვიწერო და იქნება, რომ ვეღარა და ჩემი სული გებრალდებოდესთ. ქრისტეშობის 12 ქორანიკონს 465 (1777 წ.).

ქორონიკონს 466 (1778 წ.) იანვარს 17 ქალაქით წაბძანდა ბატონი
25 ქსანზე; მუხრანს რომ მივედით, იქ დარბაისელთ უბძანა:—თქვენც იცით, ნადირშამ მამაჩემს უბოძა ქსანი და მოვედით და ხელშით დავიჭირეთ. მრავალჯერ შემოგვებნენ ქსნისხეველნი და ვაჯობეთ. მერმე თავეთი ბატონი ითხოვეს, ხორასნიდამ შოვაცყვანინეთ და დიდი მინათი დავგდვა მძლავრმა ხელმწიფემ. მერმე შანშეც უკუმიდვა და ზურაბაც და ახლა
30 ხომ გიორგიმ დაბეჭდა.

მართალია, როსტომს და მამას ||ინისას არა დაუშავებია რა, მაგ- B 87 b რამ მე ვეღარავის ვენდო||ბი ქსანზე, ლიახვზე, აღარავის შეუშვეზო და C 84 b რაც იქ კაცი ერგება როსტომს, ვაყესა და გვერდის ძირს მიესცემო. აზნაურიშვილებში აიყვანა მახატელი და ზარდიაშვილი, ფურცელაძე,
35 ჩერქეზაშვილი; უთნელიშვილებში მარტო სახლთუხუცესი გიორგი და ფიცხელაურები მთლად და მას,—როსტომს მისცა ქსუისი, პაპუთი, ტყვი-
ავი, მარანა, კარალეთი¹, რევა, მეჯვრისხევი, ახალუბანი და შაქათგორი და სათემოები: კუმისი და ნავთლული. გორს, ცხინვალს რაც ან გიორ-
40 გის წილი იყო, ან როსტომისა, ყველა როსტომს მისცა. აბძანდა ახალ-
გორს, ქართველთ, ოვსთაც ესევე უბძანა. გიორგი ბატონისშვილი ქსანზე დაუტევა, იულონ ლიახვზე გაისტუმრა და წამობძანდა ტფილისს იანვარს 26.

¹ კარლეთი B.

რასა მე სხვისა ამბისა წერად მკალს და რა მინდა სხვა საამისოდ
 თენიერ ჩემის ამბის მოთხრობისა? ვიყავ ტფილისს შეიწრებული. იქივ
 ახალგორს ერთი არზა მივართვი, დიდად გულის მოსაღობი: — და თუ ბედ-
 ნიერობა არ ექნება კაცს და ჟამი უბედურობის მშობელი ექნება, ან
 5 სისწორე სადღა გამოჩნდება, ან ტკბილი სიტყვა და უბრალოება სად
 აღმოვიკითხება? მართალია ჩენზე განრისხებული ხარ, მაგრამ სამი წელი-
 წადია ვიტანჯები, — თუ საორგულო მიქნია|| რამე და გამოჩნდეს, ჯერ B 88 ჰ
 შვილ ექმი დამიხოცეთ, მერმე მომკალით, თუ არა და მე ხომ არც ის C 85 ჰ
 მახსოვს და თუნდ მართალი იყოს, ქართულის ხუმრობისათვის, წაცდე-
 10 ნით ორკაცთან თქმა, მეპატიოს.

გავთავდი, დავემხე, გავისყიდე ყმით, მამული[თ], მსახურით, შვილით,
 სახელო[ექ]ბით და ნეყოს. საქმე გამიჭირდა და სიბერეში შესული, შენის
 მამის გაზრდილი და ჭირნახული, შემიბრაღე. თუ ჩემი იმავ მდგომარეო-
 ბაში ყოფა აღარ გენბავს, რა მოდავე ვარ, თათარში იყოს, ქართველში,
 15 თუ სომეხში, შემადლებინე ეს წვრილები დავზარდო. მამული თუ ისივ
 აღარ გენებება, სხვა მიბოძე, ჩემი შვილები იახელ და ამისთანები. წაი-
 კითხა და: — პასუხს მოგცემო.

ღართის კარი რომ გამოვიართე, მცხეთა დავინახეთ. იქ მოვახსენე: —
 მე თუ ორგული ვარ ის მიბძანე: — ღმერთი ნუ შემარცხვენს არა ხარ
 20 ორგულიო. — ნაშ მიძრახე და სხვას არავის უძრახავს მეთქი! — დიად მრ-
 ვალსა, რომ ჩემის ყურითაც მესმისო და კაის პასუხს მოგცემო. პასუხი
 ეს მოეცა: — ჯამაგირი გამიჩენია, მდივანბეგობა მომიცია, ნასყიდობა და-
 მინებებია, თავადობა მომიცია; ეს გეყოსო და თუ შენ კიდევ გამოარჩევ
 და იპოვი რასმე და ხელი მიმიწვდება, გაეარიგებო და შეილები, ჩემს
 25 შვალესს აახელო, || მე ძიძობა აღარავისი შემიძლიაო, — თეიმურაზ მდი- B 88 ბ
 ვანბუგისა და ბეგთაბეგის წვილის პირით [მიპასუხა]. რაღას ვიტყვოდი,
 დავდუმდი და ვიყავ.

ამიტყდა ჩემი უბედურობა და ჩემო ოსე დიდად ურჩი შეიქენ! C 85 ბ
 მაწუხებდი. შიშით განვიღოდი და მწუხარებით გულს მეყრებოდა. ხან
 30 გტუქსე, ხან გცემე, ხან გასწავლე და ჩემი დღე ამით დამწარდა; მეში-
 ნოდა: — ან არ მომიკლან, ან არა აწყინონ რა; ვტიროდი, ჩემის ფეხით
 დაგეძებდი, ვერ გამოგიმეტე დამეჭირე, ქვეყნის საკიცხვევლად არ დაი-
 დვას მეთქი და მწუხარებით ვკუდობოდი. ვიყავ სამართალში და მეშინოდა:
 — რომ არ მივიდე [მეფე არ გამიწყრეს მეთქი, თორემ მწვევ არ მინდოდა.

35 თებერვალს 28 მზეჭაბუკც სამართალში განაწესეს და ვისხედით და
 ვსამართლობდით ჩემს უნებელად; მერმე იოანეს ერთი არზა მივართმევი-
 ნე, საკოდავს ძალათ, — ვითა იესემ ბევრი შექცოდა, პაპის ჩემის ნაშოვნ
 კოდის პურის წიგნი იყო, ის რათ წამერთვაო. ვითამც ამისთვის, ეგების
 სიტყვა გამოვიდეს რამე და მეორე კიდევ. მამის ჩემის ბიჭის ობლები
 40 არიან კახეთს და კიდევ გავაზს თამაზა, ისინი მიბოძეო.

თებერვალს ათს, თუ თორმეტს, თუ თხუთმეტს, სოლომონ მღუღე-
 ლის სამართალში ვისხედით: — გლახა ციცის|| შვილს უჩიოდა, — ქერიმხანის B 89 ჰ

- მოცემული თეთრი არ მომცაო. მორღლის გოგიას ხელით გამოგზავნა
წიგნები, მომიტანა იმ სასამართლოში წიგნები ||ერთი მდივნობისა, ერთი ^{A აქმ-}
მოლარეთხუცობისა, ერთი კოდის პურისა, ერთი დიდმის ხასადრობისა, ^{დან}
ერთი მოქალაქის ბეითალმალის სახლისა. დურნუკი და საბეგაანო ერთს ^{ისევ}
წიგნად იყო დაწვე||რილი. ეს კი არ იქნებოა. ის კი დაეჭირა, არ ებოძა. ^{აგრძე-}
იმ ლამეს რას მოვახსენებდი. მეორეს დღეს ჩავეუ, თავი დაუკარ. ^{ლებს.}
არზით მოვაქსენე¹:—სამადლობლად გიხებელ და არ ვიცი, რომელს წყა-
ლობაზედ მოვახსენო მადლობა მეთქი. მდივნის პირით ებძანა:—ალარ მახ-
სოვს და აზრები ამოწეროსო და მომართოსო. მე მოვახსენე წერიტი:—
10 მდივნობის წიგნი გიბოძებიათ და არ ვიცი, ჩემს თავს რა არის; მოლა-
რეთხუცობისა და მოგეხსენებათ სოლომონს უჭირავს; კოდის პურისა და
თხუთმეტი წელია არ გამივლია,—დიდმისა და იმის შემოსავალი ექვსი
კოდი პურია; სახლები მე რომ წამართვიო, სხვას უბოძეთ, გაყიდეს
შეჰამეს. მე სარჩოს ვიხვეწეები თუ მამულებს ალარ მიბოძებთ, სარჩო მიბო-
15 დეთ², ან მაგიერი მამული და თუ მაგიერი ძნელია, სამართალი ხომ
ღმერთს უყვარს.
- ღორისთავი ჩემი ნასყიდია, შანაოზ მეფემ წართო მაგის ||პაპის ^{A 110}
მამის განაყოფს³ და ჩხეიძეს მისცა. ეგ საიღამ მართმევს და რუსეთს ^{B 89 a}
რომ წიგნი აულია, გარდამდგარის მეფისა და ეპისკოპოსისაგან,—მამული
20 არ გაიციემა. ებძანა:—იმისი სათხოელი ღორისთავი ყოფილაო და შეინახეო
ეს არზაო. ეს პასუხი გამოვიდა მარტს 17, ქორანიკონს 466 (1778 წ.).
დავსცხერ წერისაგან.
- ამ ხანებში ვიჯედ და ვსამართლობდი მდივანბეგებდან, ვსჯიდი
დასჯილი და განეაჩენდი ღარბეული და აკლებული. ერთი ბიჭი არ მყვან-
25 და, მაშა⁴ აელო. ერთი იმერელი მოჯამაგირე მუ||ვანდა, ცხენებს უვლიდა, ^{C 86 b}
ერთი მუახლედა დამრჩა, ესეც გამექცა და ვმადლობდი ღმერთსა. ოსე
მაწუხებდი და დიდად ვსწუხდი. ოსე გაგზავნე კოდაზედ გუთნეულის
დასახედად და იქ სახლის სასყიდად.
- ჩენის განმაცხოველებელის უფლისა იესო ქრისტეს აღდგომას, თა-
30 ყვანი ვეცით ერთობით ყოელთა. მე ანტონი კათალიკოზს ვახლდი სა-
დილად. დიდის მოწყალეობით იყო ამ განსადრკელებში ჩემ ზედა:—პატივს
მცემდა, მიბძანებდა, შემაქცევდა; აგრევე სარდარი დავით დიად პატივს
მღებდა⁴; აგრე არ შევიდი, ფეჭე არ წამოდგის იმ დიდს განსაცდელეზ-
შიაც, ამისთვის|| რომ ქვეყანას დაანახვებდის და მრავალნი სულნი იმ ^{B 89 b}
35 განსაცდელეზში, ამისთვის უფრო ვერ მძლავრობდენ და ვერცარას გაბე-
დევდენ, რომ ანტონი კათალიკოზი და დავით სარდარი მწყალობდენ და

¹ ვავახსენე B. ² სარჩო მიბოძეთ <BC. ³ მაშა A. ⁴ მცემდა B.

* A ხელნაწერს სიტყვა „წიგნამდე“ აკლია. ამიერიდან კი, ვინაიდან გრძელდება ტექსტი, ვემყარებით ABC ხელნაწერებს.

სხვათ ყოველთა დამიტყვევს, რომელთა ზედაც მრავალი სასჯელი მიმეღო — დიდმანცა და მცირემანცა, და ამათ არ დამიტყვევს. იხილეთ, კაცისშვილობა და გვარი ეს არის?

5 იმ ვნებათ კვირაიკეში, რადგან [მეფე ერეკლე] სიწმიდის მიღებას აპირებდა, იოანე მოძღვარის ჳელით არზა მივართვით ასეთი, რომ ჳეშმართად დიდად¹ ლმობილ ჳყოფდა გულსა, მარა არა² იქნა რა.

აპრილს ბძანება გამოვიდა:—ყოელი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიღესო და იესე მსაჯული იყოს იმაების|| მწე||რალიო და ამისთა-
 ნაები და სახელსაც ასე მიწოდებდა:—იესე მდივანო და მდივანბეგო! C 87 a
 A 111

10 აბტალას წაბძანდა და თან ვიახელ. მაისს 1 იქ ეფეთიმი მიუზხავნე და მცირედი რამ იმედი ებძანა და არაფერი. იქილამ მობძანდებოდა, მოვახსენე იდუმალ:—ვითამც არც ქართველი ვარ, არც მამის შენის პირნახული, პალესტინელი ბერძენი ქრისტეანეს კაცს გკითხავ, მირჩივე, რა ვქნა, გევედრები. არ ისმის და ამ საქმით გაძლება არ შეიძლება და რა B 90 a

15 ქნა:—გეტყვიო; ეფთვიმის პირით ებძანა:—თუ ლუთის მსახურება გითხარო, შენ უფრო ლუთის მსახური ხარო და ამისთანაები, ბოლოს იმედი.

გურგინა მოვიდა და ხონთქრის კაცი. გაეგება ისაია უზბაშის ბალთან მაის 23, ქორანიკონს 466 (1778 წ). მოართვეს ცხენი მძიმედ შე-
 20 ჰოხჩით მოართვეს, ისე წამოაღებინა. ამოვიდა ღრუბელი, დაგვასველა. შემოვედით, დაბძანდა. შარბათი ვსვით.

მოერთო [მეფე ერეკლეს] ხონთქრიდამ ერთი აღმასის საათი და ესენი; საათს ესე სჭირდა მეტი,—წუთის აღრაბიცი ჳქონდა. ვეზირს აზამს ებოძა ერთი ბურნიოთის კოლოფი, აღმასით გულქანდა³ და შუაზედ ლალი ჳქონდა ცერის
 25 ფჩხილის|| ტოლი. რეიზ აფენდის⁴ ებოძა ერთი ფიალა ყავისა, ზარბი ოქ- C 87 b
 როსი ჳქონდა, მძიმე იყო და აღმასით და წვრილის იაგუნდით მოოქვილი იყო. მაქთუფჩის ერთი საათი, ამას ზურგზე მცირე აღმასი უსხდა.

განცვიფრდა⁵ ყოელი სული და აღიდებდენ ღმერთსა [მეფისა] ამის
 30 ესეთს ბედნიერობას:—ხონთქარი ესრეთ, ყენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა დამონებული ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერობა აურაცხელი.

ამავ მაისს 1 კაცი მოვიდა [იმერეთიდან]; მეფეს სოლომონს ერთი შვილი ჳყვანდა, ალექსანდრე. გაუდგა,—დედის|| ჩემის მაგიერ წულუკიძის ქა-
 35 ლი რად მოიყვანე⁶. დიდად კაი ყმა დავით სალთხუცესი, კიდევ უმ- A 112
 ტიციე მესხი თამაზი, ესენი, სხვანიც მრავალ||ნი უკუუდგენენ მეფეს სო-
 ლომონს და ალექსანდრეს მოუფიდნენ.

ივნისს⁷ 13 ჩემი⁸ დამჯობის დღე იყო, სიონში ჩაველ, ვილოცე, ღმერთს მადლობა მივე. შარშანს წინდელზედ და შარშანდელზედ ეს უფრო სამადლობელი იყო.

¹ დიდად <B. ² არ B. ³ გულჯან და B. ⁴ აფენდიხ B. ⁵ განცვიფრდა B. ⁶ მიიყვანეთო A. ⁷ ივნის C. ⁸ ჩემის AC.

14 ენის ბატონი ახტალას წაბძანდა. სოღანლულამდე თან ვიახელ. იქ კიდევ სიტყვანი მოვახსენე და წყალობას დამპირდა და ვარ|| ღუთის C 88 ა მმადლობელი ამ დღეებში.

5 ევლის 10¹ აველ შინდის², ლალა დავსწერე, იქილამ კოდაზე გარ-
დაველ, 12 ქალაქს ჩამოველ, ბატონი დედოფალი წყნეთს ბძანდებოდა. მეფე ქალაქს ჩამობძანდა, მსაჯულობით მწერს და მიწოდებს, ღმერთს ვმადლობ და ყოვლად წმიდას ღუთისმშობელს.

10 ყვაილის შიშით ბატონი დედოფალი გორს წაიყვანა ევლის 24 და მეც თან ვიახელ³; მმადლობელი ღუთისა და მომლოდე მოწყალებათა ღუთისათა. მივედით გორის ქალაქს. აგვისტოს 6 ალექსანდრე იმერელ მეფის შვილი ნობძანდა.

15 რეას შეჰფიცა:—მე მამის ჩემის მოლალატე არ ვიყო[ო]. ეს ასე იყო:— მეფეს სოლომონს დადიანის ოტიას|| ქალი მარიამ მოუკვდა⁴ და წულუ- B 91 ა კიდე ბერი დია უყვარდა სოლომონს და ამ ბერის და[ა] შეირთო. დიად დაბალს კაცს ჰყოლოდა პირველ, ვილაც ქაჯაიანი არისო, მაგრამ ბერი წულუკიდე საკვირველად უყვარდა; ასე სადმე ბძანებდა:—ბერი არის მეფე, მე არა ვარო და ამის დობისათვის, თუ შევნიერებისათვის, შეირთო.

20 ალექსანდრე ქვე-მხედველ ექმნა დედინაცვლის უგვარობისათვის და აბაშიძე დავით სალთხუცესი და მესხი თამაზა, ორნივე მიჩნეულნი და გულითადნი, ბერი წულუკიძის მეშურნობისათვის, უკუ უდგნენ და ალექ-
სანდრე აიყოლიეს და უკუ უყენეს. ეს⁵ ალექსანდრე გარდმოვიდა, რომელსაც ჩხერის ციხე და ლომსიანი⁶|| გვეი და ზემო იმერეთი, თვინიერ C 88 ბ წერეთლისა⁷ ეწელ ჰქონდა და ასე შემოჰფიცა მეფეს ერეკლეს:—მე მამის ჩემის ორგული არ ვყოფილვარო, მარა ||შემამბეზღეს, გიჰერსო და გა- A 113
25 ღარიბებსო, თავი აღარ მიმართლებინა და წაქდენისა მეშინოდა და გამოვექეცო. მეფემ ერეკლემ უბძანა:—რათ დაიფიცავ და ვინ გპატიჯობს⁸, მარა მინდა, რომ შენმა ქვეყანამ და სხვათაც შეიტყონ;—მე მამის ორგული არა⁹ ვარო—და დაიფიცა 8 აგვისტოს.|| ამათაც შეჰფიცეს და წავიდა. B 91 ბ

30 რად მინდა ამის წერა, მარა ეგების გამოვადგესთ. ამ გორში ყოფაში ჩემი ბეჰედი საქმობდა:—განაჩენი, ოქნი; იასაული თეიმურაზ ციცი-
შვილისა და ჩემი საქმარობდა და არც მცირედი შემოსავალი გვკლებია.

აქ ყოფაში ანტონი კათალიკოზმა დიდის განკრძალვით მოახსენა:—
იესე იხვეწება, ორგული არ მერქვასო¹⁰, თქვენს შვილებს უბძანეო. ეს მცირე სიტყვა ჯერ არქიმანდრიტს, ენისელთ მოურავის შვილს სტე-
35 ფანეს დააბარა, ერთი კაცის მოციქული ვარო, შერმე თვითან ძლივ მო-
ახსენა. ებძანა:—წიგნსაც მიეცემო. აიყარა, ღუშეთს წაბძანდა. დედოფალი იქ დააყენა და ჩვენ ქალაქს ჩამოვედით, აგვისტოს 26.

იყო დიდს მზადებაში და ჰყვა ჯარი დაბარებული ლეკისა, ოსისა, ქისტისა, ქართლისა, კახეთისა და||არავინ იცოდა, თუ სად ნებაეს C 89 ა

¹ ევლის 1 BC. ² შინდისის BC. ³ ვახელ B. ⁴ მოკვდა BC. ⁵ და+BC. ⁶ ლომსით BC. ⁷ წერეთლისა B. ⁸ რად გაიქცევი და არვინ გპატიჯობს BC. ⁹ არა <B. ¹⁰ მერქვას BC.



წასვლა და იყო დიდს საქმეებში შესული. ჩემგან რა მოეხსენებოდა¹ [მეფე ერეკლეს] ამ ჟამებში?

- ერევნის ხანის ქალი, შვენიერი თუ მძიმეს მზითვისა, ინება შესართავად ხუის აჰმად ხანის შვილმანცა, განჯის მამად ხანმაცა და შუშის იბრაიმ ხანმაცა. ერევნის ბეგლარბეგმა ჰუსეინ ალი ხანმა მისწერათ:—
 5 ||ვისაც ერეკლე ხან მიბძანებს, იმას მივცემო. აჰმად ხან სამი ათასს თუ- B 92 a
 მანს ბატონის დაპირდა და ათასს კარის კაცთ. განჯის ხან წარმოეფლინა
 თავისი ძმა რაიმ, თავისი და[ე] და ქმარი თან გამოეცანებინა ყოჯა² ხანის
 10 შვილი, თავისი მამის ბიძას შვილი მამად ემინ ბეგ. ზოგი თეთრი გამო-
 ეგზავნა და ზოვის³ თეთრის მძევლად ეს და ძმანი და შემოხვეწნოდა:—
 15 ერანში ნუ შემარცხვენ, ის ქალი ჩემი ნათხოვანია, ორმოცდაათი კომლი
 მდიდარი კაცი აუყარე, მივეც, ||თქვენც შოგართმეფე იმათოდენსაო. A 114

- ამათს აქ მოსვლამდე სარდარი გაგზავნა ერევნის ხანთან, სხვის რასამე საქმისათვის, რომ ის თქვენ არ გინდათ მოსახსენებლად და ზებირ ეს
 15 იყო:—ქალი მოეც აჰმად ხანს, გარდასწყვიტეო. იმათ შირინი მიიღეს და
 მისცეს, სარდალს მრავალი აჩუქეს და წამოვიდა.

- ქალაქიდან გაბძანდა დიდის ჯარით ენკენისთვის 27, რომ დაღამდა და ოცდარვა თენდებოდა, შუალამისას, განჯის ხანის ძმა და ბიძაშვილიც
 20 თან ახლდა, მეც ვიფიქრე: ეგების ||იამოს და ჩემის მამულის წყალობა C 89 b
 მოიღოს.

- რას უთმინოს მწუხარებაში ვიყავ, ჩემი დაზრდილი ბიჭები რომ ჩემნი აღარ იყვნენ და ზოგნი მალვით მნახვიდენ და ეშინოდათ და ზოგნი ხარობდენ ჩემს მოშორებებს. ერთი იმერელი მოჯამაგარე მყვანდა, ერთი კიდევ დავიჭირავე, ერთი ბიჭი ციციისშვილმა დავით, ქალაქის მო-
 25 ურავმა,|| მაჩუქა, მიბოძა, ჳელი მოვიმართე ვალით და წავეყვე. მიბძანდა B 92
 ფამბაკში იქილამ ერევნის ხანს მისაილ გაუგზავნა ნ.

- შვიდს ამზა⁴ ჩირმანს იღვა და მისის შობის დღე გათენდა, მიულოცე. ის დღეები დიად ძნელი სიცივეები იყო, უთმინო. მისაილი მოვიდა, გამოეგზავნა პური—ნაცარ რეული და ქანგი ღვინო, ყურძენი და შაქ-
 30 რის პურები და სრულიად აყვარა ერევანი და ციხეში შეეყვანა. მისაილს გაატანა სულხან მდივანი თუმანისშვილი*. მათთვის თითო შალი მიეცა, თეთრო 10 თუმანი ღირდა. აიყარა, წამოვიდა,—[მეფეს] მოუვიდა ოთხი ათასი თუმანი. ვისიც ენებებოდა, უბოძა და მე დამაგდო, რომ ვალის მეტი არა მიშოია რა⁵.
 35 მოვედით ქალაქს. კათალიკოზი შეეხვეწა, მოახსენა; გაჯავრების მეტი არა განივიდა რა. ბატონის შვილი ლეონ|| და დიდროანი კაცნი მსხდარიყვნენ. ებძანა:—ჩემი ორგული არ არისო, არც მე შემიმცნევი⁶, არც სხვი- C 90 b
 სავან ვამიგონიაო. კათალიკოზს ეთქვა:—მამ რად წახდა ისე საკვირველადო. პასუხი აღარ გაეცა და დაუტევეთ.

¹ მიხსენებოდა BC. ² ხოჯა BC. ³ ზოგი B. ⁴ ამანა B. ⁵ და ხვალ რომ ნოემბერისა ათია ვიქნები ორმოცდა ათის წლისა. ვი რა უბედური ერგასია და რა უბედური მოხუცებულობა+BC. ⁶ შემიმცნევი C.

* ტექსტის ეს აბზაცი ხელნაწერებში საარძნობლად არეულია. ჩვენ ამ სახით აღვადგინეთ ეს ადგილი. (იხ. მომდევნო გვერდის მე-2 შენიშვნა).

ამ ჟამს ჩემს ბექედზედ ეწერა:—ჟამი ესეცა წარვლის. ეს ბექედ
დიად მოსწონდათ.

||მეორე ბექედზედ ეწერა:—მსაჯულმან სწორი ესე ყო ოსეს ძეს¹: A 115
ამას უფრო ჩემგან მოწონებულს|| განაჩენზედ დავსვემდი. B 93 a

5 მდივნობის ბექედზედ ასე ეწერა:—
სოფლის შემსკვალულს სოფელმაც მდივა,
ნიქი ესე მცა, განმეველტო მძლივა.

ოკლონბერს 11 დაბადებულიყო პატარა დარეჯან. იქ ჯარში მომი-
ვიდა იოანეს წიგნი და დღეს რომ ნონებერი ცხრა არის, ვზი შეწუხებუ-
ლი და ამას ეწერ ჩემს ოთახში, დიდად შეწუხებული ყოვლის გზით და
10 ხვალ² რომ ნონებერია, ათია, ვიქნები ორმოცდაათის წლისა. ვაი რა
უბედური ერგასია და რა უბედური მოხუცებულობაა?

ქორანიკონს 466 (1778 წ.) გიორგობის 30 ხალგეთხანაში ბძანდებო-
და. შუალამ იყო რომ დასუბავდა. მცირე არზა დავსწერე. ყველანი რომ
ადგნენ, მე ისევ ვიჯეგ და მივართვი:—34 წელიწადი მიმსახურია, 34 მი-
15 ნუტი ჩემთვის მოიქალეთ, ჩემის სამსახურის ჯილდოდ, თუ ჩემში დანაშაუ-
ლი დააჯელოთ რამე, მომკალით, თუ არა და წყალობას ვითხოვ, მარჩინოთ.

წერილის ენით მიბძანა:—რომლისამე არზისა³ შუამდგომელი ხვალ
ჩემგან ი||ხილვის და წრფელი ვითარება გეუწყებოა. მეორეს დღეს ბა- C 90 b
20 ტონს კათალიკოზს მოახსენა და უბძანა ციცისშვილის გლახას პირით:—
იესეს სათხოვარი რა არისო. გლახა უწინ ჩემთან მოვიდა:—ასე მაბარებს
და დაენზადეო. დავსწერე, კათალიკოზს მიუტანე.

ასე ეწერა:—დურნუკის ნაცვლად რაც გენებებოდეს, მიბოძე. დიღმის
ხასადრობის ნაცვლად დიღომს|| ოცის დღის მიწა, სოძხის სასახლის მე- B 93 b
25 იერ ერტისს, ერთი საკომლო; საბეგანო მიბოძე და კოდის პურის ამლე-
ბელობა, მდივნობისა ჩემის მეოთხედის წილისა, ბექედისა და ჩელიექისა
მე ავილო და სხვა გოპარამ. ჩემი წილი შემოსავალი იყვის ვეჯი და ნალ-
დი 40 თუმანი, აქილამ 12 თუმანი მე მერგოს და სხვა იმას.

გამოვიდა დღეები და ვიახლებოდი. ბოლოს დამიწერა დიღომს
30 ოცის დღის მიწა, ერტისს აბდულაბეგის ნასყიდი ერ||თი საკომლო, გოს- A 116
ტაშაბისშვილებისაგან მისყიდული. საბეგანო მთლად და თეთრისა ებ-
ძანა:—იმას⁴ სხვა რივად გავარიგებო. გიორგობის 26 მუქლს ვაკოცე,
დიდად მიამა და არ ვიცი, ღმერთი რასა იქმს.

ქრისტეს შობის 18 ესწერ ამას. იოანე ჩემს ძმას წიგნი დაეწერა
35 და ჩემს სალოცავს სადგომს დაეგლო ვედრებით:—რომ რომელსაც აპირებ⁵,
აღასრულეო და ცალკე დამაყენეო. დიდად შეწყყინა, რა დროს ეს|| იყო. C 91 a
სახლები სიონისა დაგირაებული მაქვს. ბიძის ჩემის სახლი დაგირაებული
მაქვს, სარგებლიანი ვალი და ესენი სულ იქნება 52 თუმანი, მეც დიად
შეწუხებული წიგნი და მწარე მივსწერე:—რას შემართლები,—რის პასუხად⁶

¹ ესე ოსეს ძეს A. ² და ხვალ—მო'უცებულობა <BC (ზუსტად ეს ადგილი წინა
გვერდზეა შეტანილი, და ვფიქრობთ, უადგილოდ (იხ. წინამდებარე გამ.უცემის გვ. 88).

³ აზრისა A. ⁴ ამას B. ⁵ პირებ B. ⁶ პასუსს A.

მიზამ. თუ მე გავლარობდი და ან დაეგბერდი, შენ ახლა უნდა გამოგეზარდებ მეთქი.

ბოლოს, რაღა მოგაჯსენოთ, მოსამართლენი|| დავიპირეთ. მერმე ტფი-
 ლელმა მიხაილ ამჯობინა და თავისთან გაარიგა; სასახლე სიონისა და
 5 ბალი შევაფარდეთ და იოანეს ვარჩევინეთ. იოანემ სახლი ირჩივა¹, დამრჩა
 ბალი მე. სხვა რაც იყო, შუა გაყონ: ბიძიას სახლი, ქალაქს გარეთ მამუ-
 ლები, შესამოსი, წიგნები, სამწყსო სახელოები² ტფილელისა და სხვა³
 რამ⁴ ფერი ყველა სანახევროდ დაიდვა. სიონის სასახლე 23 თუმნად იყო
 გირაოდ, ვალი ავიღე, 20 თუმანი მივეცე, დაუხსენ და მივებარე.

10 თუმცა იოანე არ ამბობდა, მაგრამ ვიეთნიმე სჩურჩინდენ, ბალში
 იესეს წილი არა აქვსო; მაგრამ როდესაც ტფილელს ყოველიფერი მო-
 ვახსენე, ან როგორ ჩემი ვაკეთებულა, ან ბალი რომ სამარხოს სთესდენ,
 ან სასახლე, რომ ნახევარი ჩემი აშენებულა და დები ჩემი გათხოვბუ-
 ლია, რომ იოანესი შოური არ დახარჯულა და მამა და დედა სახლიდამ
 15 დამარხულან, და ბალიდამ არ დამარხულან, დუქნები გაყიდეს, ზოგი სხვა
 ჰქქონდათ მე რომ მამისდაბაში თეთრი მივეცე და სახარების თარგმანი
 გაყიდეს, 1 თუმანი ამისი ერგოთ, ესენი ჰქონდათ და ამით დამარხნენ;
 ესენი მოვახსენე და ბალი სამწოთ დარჩა და ასე ვაგყავით.

20 ვაი ამ დღეებსა და ესეც დიდის მშუხარებით დავსწერე. ამის წამ-
 კითხვად და აღმასრულე||ბლად იოანე მეგულეზობდა, სოფელმა ესეც
 წამართო, ამასაც მომამორა. აბა ვისღა ვაქვსთ ამის თავი, ეგების თქვენ
 ვერც კი|| წაღეკოთ.

სატირალი და საგლოველი ამბავი ახლა შემიდგების. ქრისტეს შო-
 ბის 23 კვირას დღეს იოანე აიყარა, სიონში ჩავიდა, ვაგვშორდა სილარი-
 25 ბისა და ბევრის ვალისათვის. ვალი არა ვამიტანებია რა იმისთვის და
 24⁵ ორშაბათს დღეს ოსე დამეკარგა, ვეძებ და ველარ მიპოვია. ამბობენ,
 მისირს წავიდაო; თუ ვისმე ვებრალეები, გასინჯეთ რა ამბავია.

ერთს დღეს ერთი შვილი მომშორდა ოცდაათის წლისა, რომლი-
 საგანც დამარხვას მოველოდი და ცხოვრებასაცა, და მეორეს დღეს მეო-
 30 რე შვილი დამეკარგა ოცის წლისა, რომლისაგან ჩემს შენახვას მოველო-
 დი, ჩემის მეუღლისას, წვრილის შვილების დაზრდას და ქალების გათხო-
 ებას. დავალ, ვეძებ და ვტი||რი. ასეთს ცრემლს ჰყრის თვალი, რომ ლო-
 ყები წვით დახეთქას მიპირებს. მოვალ, დავჯდები და ვტირი. წავეთრევი
 სასამართლოდ, იქ⁶ მსახურებას აღვასრულებ, მოვალ ვეძებ, ვეძებ, რომ
 35 ვერას გავიგებ და დავიწყებ ტირილსა.

გათენდა ქრისტეს შობის 30, შაბათი დღე და დათუა და ბაბაღე
 საჯადით გააცხელა. ორსაოდ დღეს ყვაილი გვეგონა. რომ არ იქნა და
 გამოვეცალენით, ძირის სახლში ჩავედით. არა ვვაქვს სხვა-და სახლი,
 არა გვყავს მსახური, მათიამშვილის მეტი, აღარა გვყავს მოახლე. ზაზა

¹ არჩივა B. ² სახელები B. ³ სხვა <BC. ⁴ რაც BC. ⁵ 24 და BC. ⁶ იმ +BC.

თინიას მივაბარეთ¹, ტეტია ამბროსის შვილს; გიორგიმ არ გაგვიშვა, ||გვემსახურებოდა². ქორანიკონს 467 (1779 წ.)

B 95 a

5 მორჩნენ ყმაწვილები, ამოვედით, ოსეს მწუხარებით გათავებულნი ვართ. დავალ, ვეძებ, რომ ვერას გავიგებ, მოვალ და ვტირი. ძულია ცოლშვილით ჩამოვიდა, თვითან საქადით ავადმყოფი, შვილებს ყვაილი ესხა, რა მექნა, სად გამეგლო, ვინ შეუშვებდა; ეს უფრო საწუხარი[ა]. სა-ჯინიბოში დავაყენე, შევინახე, შვიდი სული იყო, მორჩნენ და გავისტუმ-რე. იანვარს 17 ვსწერ.

ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან თავისის ძვირ-უხსენებელისა
10 და სახიერის მოწყალეებითა მოვრჩით ამ განსაცდელებს და ყოვლად წმიდამ ღუთის მშობელმა მომხედა, ჩემი ვედრება შეისმინა. ოსეს ამბავი მომივიდა, ახალციხეს არისო და ჩამოიყვანეს იანვრის 30, ქორანიკონს³ 467 (1779 წ.) ოთხშაბათს დღეს.

A 118

C 92 b

15 ჩავაცვი, დავხურე, გამოპარულს ტყვესა გვანდა; იყო, მაგრამ ურჩად და თავხედად. ვიჯექ სასამართლოში და ესამართლობდი მსაჯულად და მდივანად. სააღდგომოდ ყოელს სულს ტანისამოსები დაუკერვინე. ოსე კარგად მოვრთე, დარაის კაბით, დიბის სარტყლით, კიდევ სხვანიცა-წაველ, წავიყვანე ბორბალას მურადაშვილები, ვარსიმაშვილები, ყოვლად წმიდის მინდობით, ქორანიკონს 467 [1779 წ] მარტს 16, ღუთისმშობელს
20 მარიაშს მივაბარე; დავკარ ფეხი პირველ მე, ჯერ ძულიას სახლი გავკვერ, მერე დანელა მურადაშვილისა.

1. ძულიას მივეც კარგი მადიანი პური და ფეტვი და თეთრი ახლამ-დის⁴ გამოსაკვები ექვსის თვისა.

2. ირემასშვილს⁵ მივეც წარი, ჩოხა, ქუდი და თავისი|| ორის ორის
25 დღისა მოუჯანი და დაუთესე.

3. მეთხე გამიუარშვიდა, (sic) მიჩვილა. გავისარჯე, თეთრი დავხარ-ჯე და ვიშოვე. ცხრა უღელი წარი, ერთი ცხენი დამიგოცა და გამიფუჟა, მაგრამ[ე] რალა უყო.

4. დანელა დავაყენე.

30 5. თათულა დავაყენე.

6. თევდორე და მამუკა დავაყენე.

მივაბა||რე ღუთისმშობელს და წამოველ, ინებოს მისმა ძლიერმა
მადლმა იმ სოფლის აღშენება.

C 93 a

წაველ დილომს, დათუა ყოინიძე გამატანა⁶ სახლთხუცესმა დავით. დიდი ქირი ვნახე. ხუთჯერ მიველ, აჯანყდა სოფელი, არ მაძლევდენ; გამოვარჩიეთ ბეითალმალი მიწები, თვითო ||თვითოდ ნიშნულად სწერია,
35 მომაბარეს და წამოველ აპრილს 12.

A 119

¹ თინიას მივაგეთ BC. ² ამ სიტყვის გასწვრივ A-ხელნაწერში აშავზე მიწერილია «ქორანიკონს 467 [1779 წ.]». BC-ზე დაყრდნობით. აღნიშნულ ქორანიკონი ჩვენ ტექსტში შეგვაქვს. ³ სიტყვა «ქორანიკონი» <BC (რიცხვი 467 არის). ⁴ ახლამდის] ახალდაბის BC. ⁵ ირემასშვილს BC. ⁶ გამატანა B.

მსაჯულად ვიჯდო და ესამართლობდი. მაისს 20 იორამ თავის ქალის ქორწილი მიინდომა. ორი თუმანი ვალი ავიღე. მე დაეპორწილე. მე ბატონმა ახტალას გამისტუმრა ბერძნების გასარიგად¹ და დასატუქსავად. მე იქ წავიღე. ხარჯი დაუგდევ აქ, და² ჩემს სახლში დააქორწილა დედა თქვენმა და აქედამ გაისტუმრა. მოველ ახტალიდამ და ვარ მმადლობელი ლუთისა, იენისს 5.

იენისს 24 ვსწერ ოსესაგან დიდად შეწუხებული და ზახასაგანცა. თამაზა გამრეკელი ვიყიდე, ვალი ემართა, გარდუჟადე, ბატონ-ყმობის წიგნი მომცა. ბორბალას გავისტუმრე. ოსე ვერ დავიმორჩილე გამეტანებინა, თამაზამ გზა არ იცოდა. ცოლშვილით გავგზავნე, ეგების დაგრჩესთ³ და გამოგადგესთ. ზაზა ვერ დავიმორჩილე. ||ვიორგის უთხარ:— B 96 a თოფი და იარაღი შემოირტყე⁴, შენ მიიყვანე მეტეჟი. იმანც|| ტირილი C 93 b დაიწყო, დიდად გული მეტეჟინა. მერმე პაწაწა დათუა გავატანე⁵ თერთმეტის წლისა. აიყვანა, დააყენა, პური, სახლო გაურიგე და უნდა ავიღე მეც და გზა მივეცე. ამ თამაზას, დათუას, ვინ წაართმევს, კეშმარიტად სირცხვილია, რომ ძმებმა საკუთრად არ დაანებონ.

ქორანიკონს 467 (1779 წ.) აგვისტოს 29 წაბძანდა ბატონი ერეკლანზე. მეორეს დღეს სოღანლულს ვიახელ. ოსე თან წავიყვანე. მარნეულს ჩაბძანდა 31, შაბათს დღეს მთვარის 1, ოსე ვახელ დიდის ვედრებითა მრავლის მოციქულსს შუამავლობით, იახლა, გელჯოხიანობა უბოძა. მე ჯელი ვერ მოვიმართე და წამოველ. სეკდენბერს 5, მთვარის 6, ოთხშაბათს, ზაზა დედოფალს ვახელ, დიდის ვედრებით და არ ვიცი, ღმერთი რას წყალობას მიზამს.

პაწაწა დათუა ჩემს ნათლულს, იულონ ბატონის შვილის მეუღლეს, მივართვი, პაწაწა ყულუხჩია და ემსახურება.

||ქორანიკონს 467 (1779 წ.) მკათათვის 20 ხელიძე პაატას კაცი A 120 გამოეგზავნა:— იმერეთიდან გარდმოსული ვარო, აქ ქალაქში ვარ დიდი ხანიაო, ვალი დამატყდა და არც სარჩო მაქვსო, ეს ვალი გარდამიჯადე, წლის სარჩო მომეც და წიგნს მოგცემ, — შენი ყმა ვიქნებო. წავიდა, იოსებ მღუღელს ამბროსის შვილს წიგნი დააწერინა, თავილდარს ოპანეზას და გაბრიელ ოქრომქედელს დააბეჭვდინა, მომცა: თეთრი მივეც სულადათ, დღეში ხიზანს ||ულუფად თეთრი გაუჩინე, თვითან ჩემს სუფრაზედ ვამყოფე და ესე მოგდა მკათათვეს 27, წლამდის ასე ვამყოფე. C 94 a B 96 b

ღმერთს ვიმოწმებ სარგებლით ავიღე სტეფანესაგან და ისე მივეც თეთრი და სულადი. ასეთი მოსავალი მომიცდა, რომ დიად ბევრს მოველოდი მოსავალსაც და ლალასაც⁶. ნაწნავი კოდაზედ მქონდა, დასეტყვა, ოთხ კოდ ნახევარი პური მომივიდა, ოცი კოდი შინდისიდან მერგო, ოცი კოდი ტაგნაგეთიდან, ორის თვის სულადი იყო, სულ ვალით და ჩემის ცოდვილობით ვიზრდებოდით ჩვენცა და ამ კაცებსაც ვზრდიდი; ამის- 40 თვის რომ ეგების თქვენ გამოგადგესთ, თორემ მე სანამ ცოცხალი ვიქნები

¹ გასარიგადა <A. ² და <A. ³ ეგების დაგრჩესთ <B. ⁴ შემოირტყე B. ⁵ გავატანე <BC. ⁶ და ლალასაც <B.

ესენი ამდენს ვერ მოიქონიებენ, თვითან ეყოსთ, მე რას მომცემენ, ნეტავი არ მართმევენ. ოსეს წიგნი მომივიდა ამ თვეებში და ვმადლობ ღმერთსა. ღვინობისთვის 22 ვწერ.

ერეგნის ციხეს მოადგა, რისაც იმედი არავის¹ ჰქონდა და საკვირველიც იყო იმისგან მეფის ერეკლეს გამაგრება. ჯარიც ჰყოლოდა ციხეში და ციხეც დიდად გაემაგრებინა. სამი ათასი კაცი სადმე გამოვიდის მეომარი. გივი მოკლეს ჩოლოყაშვილი დასაფრებულმა ლეკმა; თორმეტიოდ ლეკიც ეშოვნა და ასროლინებდა. ერთს დღეს შვიდასი ცხენიანი და ორი ათასამდის ქვეითი სამოზად გამოეგზავნა.

ბატონს ჯარი დაუნაღული ჰყოლოდა. აეტეხათ სროლა. || ჯერ გიორგი ბატონის შვილი გაეგზავნა, მერე ლეონ. რომ დიდად გასპირებოდათ, თვითანაც მი||შველებოდა, გაიმარჯვეს, მარა ერეკლე ||მაჩაბელი მოუკლეს. გიორგობის 10 ტფილისს შემობძანდა.

C 94 b
A 121
B 97 a

ქეშმარიტად მეცნიერთაგან დასაწუნებელი ზნე არის, რას ვაქნევ ამ ამბავსა. ვარ ნწუხარებაში, ყმა და მამულ წართმეული და სახელოებისა და სასახლეებისაგან ცალიერი; აბაშიძისაგან სასახლე ერთხელ ვიყიდე, მეორეხედ ოქმით ვიშოვე, მესამეხედ სამართლით ვიშოვე და კიდევ წამერთვა; მოქალაქის სახლი წამერთვა², მდივნობა, დურნუკი, დიდმის ხასადრობა, შინა ყმობა და ვარ ცალიერი. მაგრამ ლუთის მოწყალებით გულიც მაგრა მაქვს, საქმეც კელთ მიჭირავს, მტერსაც პასუხს ვაძლევ და მოყვარესაც, კაცობის ნაკლებობა არავის უნახავს.

ჩივილი სიქადულს ერევა და სიქადული მოხსენებულს ჰირს. რად მინდა სიქადული, მარა გასწავლი: კაცი ღზინსა და ჰირს³ მამაცურად უნდა მიუზღდეს. თუ ჰირს შეუდრკა კაცი, ეს ზომ კაცობა არ არის. ასეთს ჰირებში შეველ, რომ გამოუთქმელსა და თუ გული და თავი დამენებებინა, მეც გაყთავდებოდი და თქვენ რალა იქნებოდი. მაგრამ კაცურად უნდა ყველას მოთმენა|| და ამის მეტს არას ვიტყვი: გაჭირვების დღეს ომსა და ბრძოლაშიაც ასე უნდა მჭირვებოდა.

C 95 a

ვიყავ ტფილისს, ვსამართლობდი, ზოგი მდივანბევს მეძახდა, ზოგი მსაჯულს, ზოგი მდივანს, სამსავ ვითვისებდი და განეგებოდა ჩემგან ყოელი სამართალი ქართლს და კახეთს დაუბრკოლებელად და შეწყნარებული იყო ყოელთაგან.

ამ ჟამებში ვვევდრებოდი დედოფალს დარეჯანს ჩემის დაკარგულის მამულისა და საჯელოების ბოძებას. ფებერვალს 16|| ვწერ 468 (1780 წ.). განა არ იცით, ყველას ხარჯი აქვს. ამ ზამთარ ჰურის სყიდვამ საქმე გამიჭირა. მოსავალი სრულობით არ მომივიდა. შინდური ლალა მერგო ოცი კოდი, ტაგნაფური ოცი კოდი, დიღმური ათი კოდი. ზოგი დაათესა და ზოგი იმე თვის დაიხარჯა და წლამდის ლიტრას აბაზად გასყიდლობდი, ||ნაკლებობა არა გჭირვებიათ არას დღეს, ღვინოს თუნგს ხუთ შა-ურად, გორცს ექვს შაურად დღეში, ქერს ორშაურ ნახევრად.

B 97 b

A 122

1 არავისმე BC. 2 წამერთვა <B. 3 ჰირსა B.



დილაზედ რომ ავდგი, სამი მინალთუნი მივეცი მოსამსახურებენს, საღამოზედ ეგების მორჩომოდათ ერთი აბაზი და ხან არც ის, თამარი დედილა თქვენი ამ ზამთარ აქ იყო. აგრევე იმის მომღვეი შვილი, კაცი, ხან ქმარი, ხან მამა, ხან ძმა და უფროსიერთა ჩვენი|| კაცნი მშვირებნი, C 95 b

5 შიშვლები. ვაჰმევედი, ვაცმევედი, ვაძლევედი ხან პურს, ხან თეთრს და ვაძლებინებდი თქვენს გამოსაყენებლად, თორემ მე რაღას მომესწრებთან.

ნეტავი რასაც თქვენთვის მე გავისარჯე სიყვრით, სიბერიოთ, ჩემის სულისათვის ასის თავი მიმეზლო. არ კი ჩემს სულს თქვენ მერჩინეთ. შემიბრალებთ მეცა და თქვენ ჩემს სულზე გაისაჯენით. თუ მე თქვენზედ

10 ამდენს¹ არ გავარჯიდიყავ, რა გექნებოდათ და რა იქნებოდათ?

ორივე კი არ შემეძლო, ჩემს სულზედაც ბევრი დამეხარჯა და თქვენზედაც. თქვენზე ვხარჯე და ახლა თქვენ ჩემზე და ჩემს სულზედ გაისარჯენით. კარგად|| დაგზარდე ჰემმარტად, მაგრამ ჯერ არაფერი კაცი B 98 a

15 გასწავლე და აღარა იქმთ. თუ ბოლომდი ასე ჰქმენით, ღმერთმან თქვენს მტერს მისცეს.

ოსეთში კაცი ვავგზავნე ოსების საშოვნელად. ბევრი დამეხარჯა, მეპირებთან და ჯერ არა ჩანს რა,—ეგების ყმა გაგიმრავლდესთ. თქვენთვის, თორემ მე რაღას მარგებს. მსახურნი მახლდენ ამ ეამად: გოგია გელუას-

20 შვილი², პაატა ხელაძე და ცოლშვილით ულუფა ეძლეოდა; თამაზა გამრეკელი და ცოლშვილით შინ მიდგა, ულუფა ეძლეოდა. მათია||შვილი, C 96 a

—მინას ძიძა, დღეს მოვიდა, აეთრი რაც დარჩომილიყო, გამომართო; ამის საძიძაო, თევდორეს ცოლს მივეცი ორთუმან ჩახვიარი, ნათელას მივე თოთხმეტი მინალთუნი, აგრევე სხვას და ასე დაგზარდე ყველანი და თქვენ

25 იცით.

სასამართლოში ჩავიდი, ვიჯდი და ვსამართლობდი. პატივს მცემდა მეფე, დიდებულნი, თანასწორნი და ყოელნი ესრეთ, რომ არას დროს ეს პატივი არა მქონია. ზეით ჯდომა, ||მიჩნევა, სიტყვის მოხსენება, ყოე-

30 მქონდა და მიჩნევა და სახელსაც ასე მიწოდდენ. A 123

არც შემოსავალი მკლებია, მაგრამ შიშისაგან დალეული ვარ და სული აღარა მიდგს³:—ვაი თუ ღმერთს ვაწყენინო რამე, ყოელი სამართალი სისწორით როგორ|| მოვა! ვაი თუ დავინთქა⁴ და სულით და ჯორ-

35 და შენ ასწავე ჩემს გულს სამართალი! B 98 b

დღე და დღე უმეტეს პატივში მივალ და მესმის ბატონისაგან ჩემის დაკარგულის მამულის ბოძება-წყალობა. თავის პირითაც მიბძანა:ყოელს შენს სათხოველს აღვისრულებო და ბატონის დედოფლისა||თვისაც ებძანა. ამ სოფელმა არ ასე იცის?^{*}

40 მაგრამ ღმერთმან მოწყალემან, C 96 b

¹ ამტენს B. ² გალუასშვილი BC. ³ მიდგის B. ⁴ დავინთქვა B.

* სამსავე ხელნაწერში (იგულისხმება 1913 წ. გამოცემა) ეს ერთგებოვანი ღმესი პროხულად, მიყოლებითაა დაწერილი.

მით ცნობითა ერთი მზითა
ორი მისი მოწყალება

დღესცა მომცა ამა გზითა;

რომელიც¹ ამას ზეით დავსწერე¹,—ოცდაცხრა ფურცელი ამას

5 ზეით გარდმოშალეთ² და სოფლის სივერაგეს შეიტყობთ³, მაშინ რა იყო ჩემთვის ეს სოფელი და ახლა რაში ვარ და კიდევ რას მოველი. დიდება ყოვლად ძლიერსა ღმერთსა, დიდება მისს სახიერებასა, დიდება მისს უსაზღვროს მოწყალებასა.

ამ ჟამს იასაულები გავეზავენე კახეთს ჩემის კაცების ასაყრელად
10 ფებერვალს 27, 468 (1780 წ.). მაშინ დურნუკის შოგენაზე ხომ ბევრი გავიღე და რაღა სალაპარაკოა, აგრევე კიდევ მოქალაქის სახლზე და ყველა წარწყმდა, წავიდა.

ახლა კიდევ მარტს 7 ქორანიკონს 468 (1780 წ.) ორი ცხრა ფლური მივართვი ბატონს, კარგის კოლოფით და შევეხვეწე ჩემის დაკარგულის მამულის ბოძებას და აღმითქვა და წყალობა მიბძანა. არ იქერდა, მაგრამ შევეხვეწე:—თუ დამიქერ, იმედი მექნება და თუ არა, არა მეთქი და დამიქირა.

გამოვიდა რამდენიმე დღე და მარტს 25 კიდევ ისტეხა სოფელმა⁴ B 99 a მწუხარება. აღდადანას შევიღმა შემაბეზლა, სამართალში დავტუქსე, და
20 მემუქარა და მოახსენა:—იესემ ენდრო⁵ნიქას წიგნი მოსწერაო: ამ ულ- A 124 თომ, რაც კაცი იყვნენ, ამოაგდო, ყველა წაახდინაო და მეცაო და წა- C 97 a მოვალ ოცდაათის—ორმოცის კაცითაო. არ დაეჯერებინა, მაგრამ გულს ხომ ისე სჭირს, ეწყინება. ეს წყალობა დამიბრუნდა, შევიტყვე⁶, მოვახსენე; მერე ეფთვიმი წინამძღვარი, მზეკაბუკ მდივანბეგი.* კაცის ჯელით
25 ეს წიგნები მოვწიე, ღმერთი რას ინებებს, არ ვიცი.

შარშან რომ რუსები შემოვიპირე:—ივანე პატარა დიღმიდამ, სტეფანე თიანეთიდან, ნიკოლა ჯინჯილხანიდან, დიდი ივანე სასტიკის საპურობილიდან,—მშიერი, მოშველი, სასიკუდილოდ მიცემული გამოვიყვანე. ჯერ
30 ეს მიყო, ოსე გამიქცია, ახლა ოთხნივ ერთად გაიქცნენ და თოფხანაში შევიდნენ; მიბოძა, მარა გემო არა ჰქონდა იმას-და ხლებას და არიან თოფხანაში.

ამ დროს ჩემ⁷მა მეთხე არუთინამაც კიდევ მიღალატა, აიყარა ჩემით, დურნუკს გაიპარა. მრავლის ცდით, დიდის სასჯლით ვიშოვე ისევ და
35 გამოვიყვანე, ქრისტეშობის 31⁸, 469 (1781 წ.).

ორუა ხორბალაძე ციციშვილებისაგან ვიშოვე, იქ მყვანდა, აიყარა, ჩამოვიდა⁹, უკუმიდგა, ვიშოვე ისევ და ვიყმე.

¹ რომელიც¹ ამას ზეით დავსწერე <A. ² ოცდაცხრა ფურცელი ამას ზეით გადმოშალეთ <BC. ³ შეიტყობთ სოფლისა სივერაგეს BC. ⁴ შევიტყვევი B. ⁵ ქრისტეშობისთვის 31 იქ მყვანდა, აიყარა ჩამოვიდა+B. ⁶ „იქ—ჩამოვიდა < B.

* 1913 წ. გამოცემული ამ ადგილს სქოლიოში შენიშნავე: „აქ დედანს აკლიაო“ (იხ. გვ. 124), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თბრობის თანამიმდევრულობასა და BC ხელნაწერთა მონაცემებს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ტექსტი აქ დაზიანებული სრულებით არ არის.

პაატა კიდევ გახუიანდა, ილაჯი აღარა მაქვს ამისგან.

მარიამ|| გამეტქა, თეთრი|| მივეც ცალქალამანიძეს, ჯელი აიღო.

C 97 L

ფებერვალს 1, ქორანიკონს 470 (1782 წ.), წაველ ჯიმიტს, კათალი-

B 99 b

- 5 კოსის წიგნი წავიღე, დოში, ხიხალა, ღვინო მრავალი. ტყვია რვა
 ლიტრა. დავპატიჯე; ჯიმიტელთ ღორი ვთხოვე, 36 მაჩუქეს. იქილამ
 საამის შვილი გედია და პაატა გავაზს¹ გავეზავენ ჩემის ცხენებით თამა-
 ზასა და ქიტესას შვილების ასაყრელად. დაეჭირათ, ჯელთ მოეცათ, პა-
 ტას ემტყუნა, მეორეს დღეს გაეპარებინა. მოვიდა ცუდი კაცი ჯიმიტს.
 კი||ღვე იქილამ აფრიამა გავეზავენ სხვა ცხენით. ბიჭი ვეღარ ჩავგდო,
 10 ოთხი ძროხა წაერთმია², მოიყვანა. ერთი აფრიამის ვაჩუქე, თამაზაც
 წაწოყვანა, ჯიმიტს აღარ დავხვდი, წამოველ, დიდი ბუქი და ქარი
 ამიტყდა იმ დღეს თვალზე, მეორეს დღეს ბუქისაგან ძლივ ხაწმზე [ამოველ],
 აღების ღამე იყო. 6 ფებერვალი; ხაწმიდამ ძლივ მარტყოფ³, მარტყოფილამ
 ქალაქს. ოსეს წიგნებში მომივიდა საწუხარი და სატარალი ფებერ-
 15 ვალს³ 17, ჩემი დღე დაამწარა საწყალობელმა.

A 125

- გამოვიდა სიმი თვე, გიორგი ავად გამოიწდა საჯადით, მიღლა ჩარ-
 დახში დავაწვინეთ; ოფლის დროს ჩამოვიდა, ყმაწვილებს თამაშობა
 დაუწყუო, ჩვენ ბლში გავცვივდით, იქაც მოვიდა; ისიდორეს ბრმა ძიძა
 ბი დამ გამოქცეულყო, დედათქვენი გამოჰყოლოდა ქალაქს, ისევ შერი-
 20 გებოდა და შინ შემოსოლიყვნენ.

მე კარზე ვიყავე|| საღამოს ბლში რომ გაველ, აღარავინ დამიხვდა. C98a
 ||მეწყინა, მარა რაღას ვიქმოდი. მეც შემოველ და რომ შემოველ, მეცა B 100a
 სახადი, მაისს 26, მთვარის 26, ზახასაც, ელისაბედსაც და ბარბარესაც.
 დედა თქვენი გავეცალა. მოწყალება იყო ღუთისა, მოვრჩით.

- 25 მე კი⁴ აღარ მინდოდა სიცოცხლე უშეშარიტად ამდენის მწუხარები-
 საგან. თიბათვის 1 ოფლი მედინა, 12 საყდარს მოვაწიე⁵, 13 ბლში გა-
 ვლაგდით, 23 ტაგნაგეთს წავედით, ოთხის თუნის ღვინო და რაგინდა-
 რა წავიღვეთ, 25 ცხენი წამომექცა, დამამსხვრია; მკათათვის 23 დედა
 თქვენი ავად გამქდარიყო, ქალაქილამ მივიდოდი, გიორგი ჩემის ცხენით
 30 მოვიდოდა, მაშინვე მანიშნა,—25 მუცელი წაუტდა; პაწაწა ქალს ნათლის
 ღება ეღირსა ანნას მიცვალების დღეს, პაწაწასაც ანნა უწოდეს, ჯეგზედ
 მონათლეს, მოკვდა⁶, წმიდის გიორგის საყდარში დამარხეს. საწყალი ისი-
 დორე დაქლერქდა.

- აგვისტოს 17 ჩამოვედით ქალაქს. მე აღს წაველ ბატონთან 19,
 35 მეფენი შერიგდნენ 23, და ამ დღეს თარხნიშვილი⁷ ზახა მოკვდა⁸. ბა-
 ტონი წამობძინდა, ჩვენ იქ სასამართლოდ გავვიშო. ჩამოველ, სეკდენ-
 ბერს 26, ისიდორე მომიკვდა, მათიაშვილი მომიკვდა, ვარსიმაშვილი

¹ გავაზს <BC. ² წაერთვა B. ³ ფებერვალის B. ⁴ კი <B. ⁵ გავაწიე AC. ⁶ ანნა მიცვალების დღეს, პაწაწასაც ანნა უწოდეს, ჯეგზედ მონათლეს მოკვდა <BC. ⁷ თარხნი-
 შვილისა BC. ⁸ „მოკვდა“ს შემდეგ „ანნას მიცვალების დღეს პაწაწასაც ანნა უწოდეს,
 ჯეგზედ“ +BC, ე. ი. რაც 3 სტრიქონის ზემოთ აკლია მთლიანად, მხოლოდ უკანასკნელი
 სიტყვის „მოკვდა“-ს განოვლებით.



მიმუტა დანკარგოდა, მურადაშვილი დამკარგოდა, ბერელა ნომკედან
 11 იველ, ვახენგენე, ჩანოველ, ივანე რუსის საქორწინლო გავგზავნენ ახალმა C 98b
 ნეფემ კიდევ ქურდობა ქმნა, ქალაქში დუქანი ვატეხა, დაიპირეს ჯინ-
 ჯილს¹ მისცეს დღეს, ნოენბერს 13; ამ დღეებში ასე ავად ვყოფ, ჩემს
 5 შობის დღეს, გიორგობის 10, წირვა ვერ მოვისმინე.

ფებერვალს 28 ქორანიკონს 471 (1723 წ.).

არ ვიცი როგორ აღმიარებთ, უქკოლდ თუ? ცუდად ყოფილა და
 უწერილო, მე სიტყვას გიგებ თუ მოისმენ,—უქკობა სწორვა, მაგრამ უსსომ
 ყმა გიშოვ, განა თუ წუქთად, დიდის პირით ქეშმარიტად. იცი რომ
 10 ვიყიდე თუ ვიშოვე, ათი გამექცა და ათი დამჩა და რაც ფასი მივეც
 ორი იმდენი იმათს შენახვანდ მებარჯება. უმაშულომ მამული გიშოვთ
 და დღეს ადგილი გაქვსთ ერთის თავადისა, სიონელი ხუცის შვილისა².

თუ იტყვიო, ცუდათ ყოფილაო, როგორ ცუდათ ვყოფილვარ³. დი-
 ლით შეადღენდის სამარათში ვიჯდი, მერმე მცირედი სხრდელი მივი-
 15 ლი დ⁴ განაჩენებს ვწერიდი მწუხრამდე და ამით გარჩენდით ჩასაცემელ
 დასახურავს, სასმელ საქმელს. ჩემგან პური არ გაისყიდებოდა, თუნდ
 ათასი კოდი მომსლოდა. მოყვარეს, მტერს, ბატონს, ყმას, ამით⁵ უძღვე- B 101a
 ბოდი. როდის მეცალა ამებისათვის. მაგრამ მე ნაკლუბად წიგნენით და C 99a
 თქვენ ეგების რომელსანე შეგეწიოსთ ეს ჩემი წერა და ღვაწლი, იმის-
 20 თვის ვწერ.

ოსეს ამბავი მესმის და დღთის უსიამოვნობა⁶ და ვსტლები, ზაზა დი-
 დად მაწუხებს, გიორგი მორჩილებით არის, ამის იმედი მაქვს. დებერვალს
 21 სკივრი გამიტეხა ზაზამ და 1 თუმანი და ნ მინალთუნი მომტაცა. პე-
 რანვი ახალი ჯერ არ გაერეცხათ, მომტაცა და წაიღო.

ამ დღეებში ფათალიხან გამოუგდა იბრემი ხანს. ყარაბაღი მოურბია
 სრულად, აიკლო, თვითან შუშაში შეეპრა, ბატონი მისაშვილად წამანდა
 25 დიდის ჯარით. იარანალი პოტემკინი მოსდოსს წყოფი და დონტორი
 იაკობ სწერენ, ამანც ||გარდიარა, მერმე ქერიმსანის შიბაშვილმა აღიმუ- A 127
 რად-ხან ისპაანი დაიპირა, რადისაც თანაშობს, ამირ ასლან ხან ცოტა
 30 რამ ჯარით გამოგზავნა ნაჯაბ ყული ხანთან და აჰმად ხანთან. ეს სამნავ
 შეებნენ იმან ყული ხან[ს] ურუმიაში მჯდომს, მოკლეს, დაამარცხეს, ოსე
 იქ ყოფილიყო. ამბავი მომივიდა,—მორექცეული ენახა, კაცი მოვკალო,—
 მახარა; მწვე არ ვიხარე. ვაი ამ დღესა, სად კადება უღთობაში.

აბა⁷ რად მინდა ესეები, მარა სიცოცხლე რომ დამიმწარდა, ვაცო-
 35 დინებ. || პირველი შვილი მოსწრებილი წარწ მედამი მეგულეობდეს, მეო- B 101b
 რე უკეთურებდეს, მესამეც ურჩეშას ეთამაშებოდეს, მეოთხე სამუღდლო C 99b
 იყოს და ვერას სწავლობდეს, მეხუთე დათუა თევში ერთხელ თვალით
 არ მებლივებოდეს, მეექვსე მინა[ა] და რა ვიცით ან ეს რასა იქს? თუ მიე-
 ცემ რასმე, ვმას გამომცემს, თუ არა, არ მომეახლება. ყმათ ვაძლევ

¹ ჯინჯილს <BC. ² თუ <B. ³ სიონელი ხუცის შვილისა <A. ⁴ ყოფილვარ BC.

⁵ უსიამოვნო BC. ⁶ აბა| არა B.



თორემ ჩემს ღღეში ერთი აბაზი არ ვიცი. ერთი ლიტრა პური, შაურის ფასი. ვაჭმევ, ვასმევ და მაშინც უშაძლო არიან, დიდება ღმერთო. აგვისტოს 10, ქორანიკონს 471¹ (1783 წ.).

5 აგვისტოს 9 პაწაწა ქალი დაიბადა, გათენებისას, ოთხშაბათს, 471 (1783 წ.) ანასტასია ჩემის დის სახელს უშაბდებენ.

10 მსაჯულიცა, შვილიცა, მსყიდველიცა და გამსყიდველიცა, თუ ერთის ღღის მიწა ჩემი ნასყიდისა ან მისცეს მსაჯულმა, ან ძმამ და ან მსყიდველმა იყიდოს, მეორედ მოსვლას ქრისტეს სამართალში ჩემის ბრალის ნაგებრ ის დაისაჯოს. ვინც ჩემი შვილი იმასთანა გამოკიდეს, თავის თავი მისცეს, თავისი შვილი, ჩემთან რა საქმე აქვს?

15 მე ეს მინდა, დიდი ჭირი მინახავს, ღამე ძილი გამიტეხია. ღღე არ მომისყენია, მამული მიყიღია ძნელს ღრობებში; ახლა რომ აშენდა, ყმას ცსყიდულობ² დიდის გაქილრებით. ათს რომ ვიყიდი, ორი თუ დამიდგება; B102a
C100a A 178
15 სახლობისაგან მუდამ შფოთი, როგორც უწინ მამულების სყიდვაში. ამათ ის უნდათ, რაც ვიშოო, ტანსაცმელზე ვაილიოს.

20 მე ეს მინდა, ჩემს შვილებს ყმა ჰყვანდესთ, რომ თავის აზნანაგებთანაც კარგად გამოვიდნენ და სარჩოსაც მოურეწდენ. უყმოს კაცს რა სარჩო ექნება და რომელი უმჯობესია, თქვენ განსაჯეთ³. იფიქრეთ, ბერი კაცი, ავადმყოფი, ორ თუმანს ვიშოი თუ მეტსა⁴ და ნაკლებს, ჩემთვის ვერ გამოვიგეტებ, ყმაში მიეცემ⁵ ხოლმე და რა დიდი შფოთი შეიქნება, ამისთანა მამას რომ შვილებმა არა დაუჯერონ რა, სამართალი საჯეთ, იმას⁶ წილი რად უნდა მიეცეს?

25 ვერ ამას ვიტყვი, რას ჭირით და შრომით ვიშოვი⁶, ჩემთვის ვერ გამოვიგეტებ ბერი კაცი, სნეული, —ფიტხლავ ან იმერელს ვიყიდი, ან თათარს, ან ქართველს. მერე რა შფოთი შეიქნება: —რად სყიდულობს, რატომ ჩვენ თოფს მრავალ ფასისას, კაბას უცხოსა და უცხოს⁷ და სხვას მრავალს არ ვეიყიდისო.

30 გასინჯეთ, ვის რა აკლია, წესზედ კიდევ მეტი არა ჰქონდესთ თოფიცა, ვშალიცა, აგრევე შინ ტანისამოსი, მაგრამ რომ გაიგონებენ, ამ კაცში თეთრი მიუციდიაო, შეიქნება შფოთიო. || ამ ყოფაში ვიყავ, სანამ ვი- B102b
C100b
30 ცოლცხლუ. სამართალი ქმენით. ამ ყოფით მშოენელს კაცს ნება აქვს თავისის ნასყიდობისა, როგორც უნდალდეს ისე გაარიგოს.

35 მე ასე მნებაეს: თუ კარგნი⁸ იყენენ ყველანი, ღმერთმან ყველას ერთად მოაგმაროსთ. ძმებს⁹ ცოლი მოჰგვარონ, დები დაათხოონ. რომელიც კარზე გამოდგეს და უფროსი თუ კარგი იქნება, ღმერთმან ასე მისცეს ჩემი მამული, როგორც მე ვიყავ უფროსი და ყველანი იმის მორჩილნი იყენენ. თუ უფროსს თავი არა ჰქონდეს, რომელსაც საქმის თავი ჰქონდეს, იმან ქნას უფროსობა კარგი ძმის შეკითხვით და მორჩილებით

¹ 471<B. ² ცსყიდლობ AB. ³ განსაჯეთ A. ⁴ მიემ B. ⁵ ამას B. ⁶ ვიშოვი <B. ⁷ და უცხოს <BC. ⁸ კარგი A. ⁹ ბძმებს B, ბძმებს C.

და რომ ვწერ, ასე ვწერ: ჩემის ნასყიდობის ერთის დღის მიწის გასყიდვა არ იქნება, ერთის კაცისა და არც გაყოფა და გაგლეჯა. ერთად მოუარონ, ერთად ქაონ, და¹ ნუ გაიყრებიან. თუ ცალ-ცალკე² დადგენ, ერთად მოუარონ მამულსა და მოსავალს გაიყოფდენ უშფოთველად. მოყვარეს ერთად უმოყვრონ, ბატონს მსახურონ³. რომელიც⁴ გამოდგეს, შინ იყოს, რომელსაც შეეძლოს კარზედ, რომელსაც შეეძლოს ლაშქარს || და A 129 ასე მშვიდობით გაატარონ სიცოცხლე და შვილებსაც ამისთანა ანდერძი დაუგდონ. გაცვლით რომ მამულზე გაიცვალოთ და ანჯობინოთ, ის კი არა იქნება რა.

10 მამულები რაც მიყიდა, || დამიწერია და წელიწადში ხუთასი და B101a ექვსასი კოდი პური მერგება ხოლმე. მსახურს გამოიყვანთ, ცხვარს შენახვინებთ⁵. || ძროხას, ღორს რომ ყველა დამიგდია, და ცოტა რამ მომგები C101a ცხენიცა. ვენაჯს ვყრი და ღუთის ნება იყოს, გაისარჯენით და დარჩით. მე რომ ესენი ვქმენ, წელი გამიმავრდა, — თუნდ კარზედ სახელო არა მქონდეს, ქართველები ვართ, პური საკმლად და სამოსლად უნდა ვიყოფინოთ, ღვინო სამოსლად და სასმლად, ცხვარი, ღორი საკლავად, ძროხა საჯნავად და ასე უნდა დავრჩეთ. თუ ესენი ან მოსწყდენ და ან დაგეკარგოსთ, ახლა⁶ თქვენ იშოეთ. ქართველის კაცის რჩომა ასე ყოფილა და ასე იქნება.

20 თუ სთქვათ, რა იყიდაო, რომელიც მემკვიდრენი არიან და დგანან, ხომ მიყიდა და ვინც მომსგლია, ფასის ტოლი დამიხარჯავს, და ახლა ესენი ვიშოე, ზოგნი დამიდგენ, ზოგნი გამექცენ; — ესენი ნასყიდნი არიან:

	თამაზი,	ყასუმა,
	პაატა,	ჩორაქჩი,
25	ხორბალაძე,	ბალათარ,
	ბერელა,	გოგია,
	ქულდრეგენა,	სიმონიკა,
	ზაზიკელა ძმიო,	პავლია,
	რუსები 4,	იალუბა ⁷ .
30	ოსები 4 ,	

ქორანიკონს 472 (1784 წ.) ივლისს 1, ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან და დედოფალმა დარეჯან მიბოძა დილომს მამულისშვილი გიორგი, იასე, გენებაშვილი გოგია, თედიაშვილი, მარიაშვილი, და როსტიაშვილი სვიმონ და კათელა. როსტია || შვილები სამეფონი არიან, A 130
 35 მაგრამ ისინი სადედოფლონი, და გენებაშვილი დავითა მზარეული და მისი ძმის წული რომ ბატონსა და ბატონის შვილს ახლავან, იმათ მაგიერ

¹ და < A. ² ცალკედ BC. ³ მსახურონ BC. ⁴ რომელსაც B. ⁵ შენახვინებთ C. ⁶ ახალ B. ⁷ ნასყიდო. ყმების სიაში თამაზას, — პაატას, ბერელას, ყასუმას, რუსების და ოსების — წინ, ე. წ. მარცხნივ ჯვარები უსხედან, ხოლო დახარჩენება არა. მარჯვნივ კი ყველა მათგანს უწერია ჯვრები. ნასყიდო ყმათა ჯვარების თუ სახელთა თანმიმდევრობა ABC ხელნაწერებში ერთნაირია.

ესენი დავაწვრინე. თუ იმათ მომცემენ, ამათ მივცემ. მაგრამ ესენი მრავალნი იყვნენ და მისთვის ვქმენ.

5 ჯერ მოურაობით მინდა შეუვიდე, რომ გლეხი კაცი დავამშვიდო, არ აჯანყდენ, მერმე გელთ დაგრჩებათ. სიგელში ყველა კარგად სწერიან მოურაობის წიგნიც ამიღია და ბოძებისაცა. აბაშიძეს გელი მოუწერია და დაუბეჭდავს.

10 ვშვრები და ვინ არის გამომყენებელი? დიად ცული შვილები მოსჩანთ და არ იცი რა გექნებათ. ვაი თუ ამდონი წიგნი, ამდონი მამული გააქარვით! თვალში მიდგს, ჩემს მომნათლავს მრავალი წიგნები დარჩა, იმისი ცოლი და შვილი ატარებდენ ბაზარში და ქერამხედ ჰყიდდენ. ერთი მცირე ბარათი არ დამიგდია, რომ გამოსაყენებელი არ იყოს.

სეკდემბერს 19 იარანალი პავლე მობძანდა. მე სალომეზედ ჯიგარი¹ მეცვა, ბატონმა გამწადა. მივეგებე ნაქულბაქვეს. 22 სიონში იყო გელმწიფის კურთხევის სამადლობელად. იმ დღეს სარდარს დავითს სარდ-
15 რობა უშოეს შუამავლობით.

ღვინობისთვის 9 სჯადი შემოგვიდგა. მინა და დარეჯან გააცხელა ჩვენ აქ ჩამოვცვივდით. სამუახლოსა და სალაროში უნდა წავიდეთ|| საღმე.
10 C102a

ჩემი ცოდვა მტანჯავს, ვინ იცის, მოვკუდე. ჩემი ანდერძი ხომ ყველა მითქვამს და კიდევ ამას გამტკიცებთ²: მამული არაფერ გაჰყიდით. 20 ერთი რომ დარჩეთ და მეორე ძნა გიყიდდესთ, ეს ჩემი მოხსენებული გელმწიფესაც მიართვით, მსაჯულთაცა, და ვინც სყიდულობდეს, იმასაცა, არ იკადრებენ, რომ ჩემი ვედრება არ შეისმინონ. თუ ვაფი არაფერ დამრჩეს, ქალმა იზრუნოს. იოანეს ვეხევეები, ჩემის სულისათვის გაისარჯოს და საბრალო ქალებს ყური მიუპყრას.

25 ვინ იცის, მოვკუდე, კათალიკოზი გოდერძისა 1 თუმანი მმართვეს, მიეცით; ქალებს უპატრონეთ, დაათხოეთ. ჩემი სუფრის იარალი გაუყავით და ტანისამოსი და ქვეშაგები, რაც მეტი იყოს და რაც სხვა მოუნდესთ, ძმები რას ემართლებით, ||რომ ან წილი არ მისცეთ და ან მართველად არ გაისტუმროთ.

30 ჩემის ყმისა და მამულის წილი სწორედ დაედებათ და იმისი ფასი უნდა დახარჯოთ,|| გაისტუმროთ ისევ ჩემი დამ, თქვენსას რას ეხარჯავ. B104b
ვაყები კი მამულებდით, მაჯაგრებდით და ქალები კი მმსახურებდით³, რომელი სამართალი იქნება, ჩემის საქონლისა სწორი წილი არ მიეცესთ? სუფრის იარალს ხომ გაუყოფთ, —თითო ჰაკი ცხენი გაატანეთ, ტანისამო-
35 სი, ქვეშაგები, როგორც შეიძლოთ; თუ ვერ შეიძლოთ, მამულიდან წილი დაუდევით, სანამდის შეიძლებდეთ მიცემას, ეჭიროსთ. მერმე პური მოგვიავთ, ისევ ჩემი გაყიდეთ, ზოგი ერთს წელიწადს, ზოგი მეორეს და⁴ დაიხსენით მამული. უბრალოს ვალს ნუ აიღებთ.

ჩემს დასამარხავზე თქვენ|| ნუ შეწუხდებით, მაქვს ცოტა რამ და ის
40 მეყოფა, დავთარში სწერია. საფლავი მაქვს და სულარი, ქვა აქვს მარმა- C102b

¹ ჯიგარი შავები D. ² გამტკიცებ A. ³ მმსახურებით B. ⁴ და <BC.

რილოსი ტერტერას, ისიც ჩემით იყიდეთ, დასწერეთ, როგორც მიქეჟამს, სალამბრის თეთრი მიმიცია, ზედ დამადგით. ჩემი კბილები თან ჩამატანეთ, იპოეთ, შავს ყუთში ძეგს¹, და ეს დამარხვა. ბატონი ტფილელი გაირჯება და კრებულნი. იმათ მიაართეთ. შვიდზედ მიწირვინეთ ბატონს

5 ტფილელს და საზომისაებრ წამიკითხოს. ჩემს მოწყალეს კათალიკოსს, თუ ვერ აწირვინოთ, ჯვარი დააწერინეთ და ვიცი, წამიკითხავს| ხოლმე. B105a

რამდენჯერც ჩამობძანდეს, ჯვარი დააწერინეთ. ვინც ეპისკოპოსი ჩამობძანდებოდეს, ცოტას რასმე მიაართმევდეთ და საზომისაებრს წამიკითხევდეს.

10 რაც თეთრი შქონდეს, ორმოცი მიწირვინეთ. ხუთი ერთს, ხუთი მეორეს, ვისიც მიჯობდეს, ხუთ-ხუთს მიწირვინეთ. თუ² დაგრჩესთ³ და უღაბნობებში მოსახსენებელი გამიგზავნეთ. თუ არა დაგრჩესთ რა, და ვალს ნუ აიღებთ. ვეცხლის უნაგირი და ორთუქი გაყიდეთ, ჩემი ნალვაწია და ის მომავმარეთ და თუ მეყოს, ეს⁴ ერთს ქალს რომელსამე გაატანეთ;

15 ჩემთვის ვალს ნუ აიღებთ; რაც დამეგდოს, იმით დამმარხეთ⁵, თორემ დაუნაშაგებელს რას მიშვრებით, ჩემთვის რომ ვალი გაწუხებდესთ, მე-შინიან საფლავიღამ არ ამომიღოთ.

ამას გარდა რაც ჩემის ოჯერის⁶ მამულიდამ მერგოს, ცხრა ||თუ A 132 ათი შვილი თქვენ ხართ, და ერთის ოდენი ჩემთვის აიღევით, მეათედი|| C103a

20 იყოს. თუ რაც ჩემის სულს მოავმარებდეთ; ხომ ყველა სწერია და მომიხსენებია.

მამული სადაო არავისი მაქვს. ღორის თავზე აბაშიშვილი მელაპარაკებოდა, ხომ განაჩენსავით ოქმი მაქვს, განაჩენის ბეკდით დაბეკდილი, რომ ამოწყვედილის კაცისა|| ყოფილა, მაგრამ საბარათაშვილოს კაცთან B105b

25 მშვილობა გირჩენიათ, შერიგდით. ნახევარი თქვენ და ნახევარი იმას. დავით რომ ჩემს ანდერძს გაიგონებს, ისიც დაგჯერდებათ და სხვა სადაო არა გამიშვია რა.

ბატონს კათალიკოსს მიაართეთ ჩემი ხირლა, ნიშნად ეს მიირთვას და ჩემი ვეცხლის ჯამი საწირავად.

30 ბატონს ტფილელს მიაართეთ თეთრი ცხენი, ცხვირ-გახეული და ჩემი ვეცხლის თევში საწირავად.

ჩემი ქათობები და საწვიმრები დაყიდეთ. თუ ვეცხლის უნაგირი და ორთუქი⁷ ჩემზედ დახარჯოთ, ამების ფასი ჩემს ქალებს შეუნახეთ და თუ ქალებმა ისინი ირჩიონ, ეს ჩემი ოჯრები, როგორც გავიდეს, მე

35 მომავმარონ.

ყვითელი კაბა ნიშნად ჰქონდესთ, თუ გული შესტკივა ვისმე, დაიდებდენ, ცრემლს ჩამოაგდებდენ და შეინახევდენ.

სხვა ჩემი კაბები, ახალუხები, სარტყელები, პერანგები ჩემს ქალებს ჰქონდესთ.

¹ ძეგს A. ² „თ“ B. „თუ“-ს ნაცვლად. ³ დამრჩეს C. ⁴ ეს <A. ⁵ დამარხეთ BC.

⁶ ოზრის B. ⁷ ართუქი B.

იოანე, ჩემო შვილო! ამას შენ გაღებ, შავს ყუთში ძეგს¹, ჩემის ყმებისთვის² წიგნი მიმიცია რომ ჩემი შვილები ვერ გაჰყდიან. ამოიღე და თავ-თავის პატრონს დაუბრუნე.

C103b

მე რომ ჩემს შვილებს ვხედავ, არც ერთს ქუა არა აქვს, თუ ამისთანაებით თავი არ დამეჭირა, გააფუჭებ[დ]ენ და შავათნი შვილნი და შვილის შვილნი მშვიერები დარჩებოდნენ და ჩემი სისხლის დაღვრით ნამუშაკარი³ უჩინო იქნებოდა.

B106b

ოსესთან კიდევ კაცი გავგზავნე და ბატონმა წყალობის წიგნები მისწერა და ღმერთი რასა იქმს, არ ვიცი, იანვარს 17 ქორანიკონს 473 (1785 წ.).

10 აპრილს 13 მოვიდა ცუდი და ცუდთა ალაგთა თავისი დამაზრობელი, არ წამოსულიყო. დიდად მეწყინა და ღმერთს მიუგდე მისი საქმე.

A 13b

კიდევ მიუგზავნე ბატონს, ბატონი ტფილელი გერმანე; მრავალი მოსახსენებელი შევთვალე, — ორმოცი წელიწადი ვემსახურე, ნაცვლად ეს მიქმენ, ღურნუკი მამულად მიბოძე, მდივნობა საცელოდ, დაგაბეზლეს ჩემი თავი, ორივე წამართვი და სხვაც თან გაატანე; ცხრა წელიწადი უსარჩოო დავიარები, მეგონა, ზრდილობა კარგად ჩამომერთმევა. ახლა მოგახსენებ, თუ დანაშაული ჩანს რამე, მომკალ, ნუ გამიკითხავ, თუ არა, ჩემი მომეცო.

20 ებძანა: მდივნობის წილს მივცემო და მარტამდის მომიცადოს, მამული გამორჩნდება და მივცემო. დაღუძმა ეს ამბავი. ჯერ ხომ არ გამიგონია ან მოხსენება, ან დაპირება, ფებერვალს 1, 2, 21, ქორანიკონს 473 (1785 წ.).

წელს პური არც მე მომივიდა და არც სხვას, ლიტრა აბაზად ისყიდება. ორმოციოდ შარშანსწინდელი მქონდა, ორმოცი შარშანდელი, ეს ცოტა ხანს ვიმსახურეთ; ისულ სყიდვით ვარ ყოვლის ფერისა, ღლეში სამი მინალთუნი იხარჯება.

B106b
C104a

ქორანიკონს 473 მარტს 23, კვირას დილას ღურნუკს დავცა ლეკის დიდი ჯარი და წააქდინეს.

30 29 ტაბავმელას მოუტუნენ, ბატონი იქ ბძანდებოდა, ვერა წააქდინეს რა.

17 აპრილს⁴, დიდ ხუთშაბათს, ლეკისა და თათრის ჯარი მოუტდა საქაშეთს, აიკლეს, რუსეთის ჯარს გაემარჯვა, მრავალი დაჯოცეს და დააყრევინეს.

35 ამ ღლეებში სოფელი აყარე, ქალაქს ჩამოვიყვანე, 22 მოვიყვანე ისევ დავაყენე.

სააღდგომოდ ყმაწვილებს ტანისამოსი შეუკერე, ვალი ავიღე, ბევრი მოგინდათ.

40 ||ზაზას ნიშანს ვამზადებ. ჯვარი გაუკეთებინე მურასა თავის ჯავით. ერთი წყვილი თასი, ერთი იათული, ერთი ქარვის კრიალესგანი, (sic) A 13a

¹ ძეგს A. ² ყმებისათვის B. ³ ნამუშაკარი BC. ⁴ 1 აპრილს 17 BC.

- ოთხი ადლი და ნახევარ ჩარეკი ყვეთელი სტოფი მძიმე ზარიანი, სამი
ლიტრა ნუღლი, ორი ლიტრა შაქარი; ესენი გავგზავნე ორის ჩემის მსახუ-
რის წელით იმათის უხარჯობისათვის, მაისს 23. მისულიყვნენ, კარგად დახ-
დომოდნენ, მოვიდნენ 26, მოეწონათ, არ დაეწუნათ. ეს ხარჯი და წვრილ-
5 მანა ან ცხენს, ან კაცს ჩოვა გაეწყობა, მოუნდა სწორედ ოცი თუმანი.
- რუსილდამ¹ ვაზი ჩამოვატანინე ხუთი ათასი ძირი, გავგზავნე, ჩაეყ-
რვიენე. ერთი შვილი ვერ დაგიმორჩილე, ასულიყავით. ამით ვატყობთ],
რომ თქვენ დაგლახაკდებით. ორი ათასი აქაური ვაზი გავგზავნე. ახლა მე
მინდა ავიღე, მაშრა ვქნა, იქ ყოფა მიჩვენია, მაგრამ თუ აქ არა ვიშოვე
10 რა, მშვიდები დარჩებით.
- შვილნო, გაწყენ თვის და მოგახსენებ: ჩემის ცოდვით ასეთი ხომ
არაფინ გამოხვედით, რომ მეცნიერება მიგელოთ, მაგრამ ეს ხომ ბუნების
წესია; იცოდეთ: სიტყვიერნი დავიბადენით და სიტყვიერს გონებაც უნდა
ჰქონდეს და გონებისან ხომ ეს შვენის, თავისი სარჩო და სასიცოცხლო²
15 მოიგონოს და ეცადოს, თორემ მერმე რომ გლახად შესთხოვდეს და ვერც
კი შო[ო]ბდეს.— შიშველი შიშველას სახლეულს შეჰყურებდეს, მშვიერი მშვი-
ერს შვილებს უყურებდეს, ამის უმწამესი რაღა იქნება?
- წიგნი არ ისწავლეთ, წერა და გალობა. სოფელში დაგაყენეთ, არა
ჰხანით, არ იმუშავეთ. ქალაქი გიყვარსთ, სმა და ჰამა. სანამ ცოცხალ
20 ვარ ღმერთმან ინებოს არ მოგაკლოთ, არც შემდგომად, მაგრამ ბოლო
არ აქვს ამ თქვენ ცხოვრებას დაგლახავების მეტი, სმას ეწყობით და ვენახს
არ მუშაობთ, ტანისამოსს ეწყობით და³ ბატონს არ მიეახლებით⁴, ხარჯი
გიყვარსთ, გუთანს არ ეწყობით, მუშაობას, ამის დასასრული, სიგლახაკეა,
ბრძენი სოლომონ ასე დასწერს:— ყოველმა მოძილემან და მემთვრალემან
25 შეიმოსოს და შიშველი სწორეთ თქვენ ხართ. და თუ ღმერთი გამოგაბრუ-
ნებსთ სასწაული იქნება ქორანიკონს 473 (1785 წ.) აგვისტოს 29 ვწერ.
- აილდგენ ყოვლის მხრით მოჰმედიანნი ქრისტიანეთა ამოსაწყვეტად,—
30 შეითქნენ: მთლად დაღისტანი, ხონთქარი დაფარვით⁵ ხაზინასაც ჰპირ-
დება და ჯარსაც; მთლად აღირბეჟანი⁶. აჰმად-ხან თავრიზი აიღო და
იმის მორჩილებაში არიან ხანები. დაღისტნის ჯარი ჩამოვიდა და ჯერ
რვა ათას ამბობენ, ურდოს ფონს გამოვიდაო. ლაშქარს დაგვიძახეს. მე
შვილი ვერც ერთი ვერ გამოვიმეტე; დიდი განსაცდელი გვიძს და ჩემ
მაგიერ რომ შვილი განსაცდელს მისცემოდა, არ მინდა; ჩემი თავი ჩემის
35 შვილების ქირის სანაცვლო იყოს, მე წაველ. იოანე ამას გწერ:— მე სიკვ-
დილისა არ მეშინიან, მეტად ახლა, რომ ქრისტესთვის გვებრძვიან. წავალ,
თუ მოვკვდე, ეგების თავი მომაშორონ ტანსა, ტანზე ნიშანი ესე მაქვს:

B107a
C104b

A-ს
აქედან
ისევ
აკლია

B107b

C105a

¹ რუსილდამ A. სიტყვა „დარჩებით“-ს შემდეგ ვიდრე „მარშალილო“-მდე (იხ. აქვე გვ. 104) A ს აკლია. დაიანებული ადგილებს აღდგენა BC ნუსხების საშუალებით მოხერხდა. 1913 წ. გამოცემული სქოლიოში შენიშნავს: „აქ დედანს აკლია“ (იხ. გვ. 134).
² სასიცოცხლო B. ³ და bis B. ⁴ მუიახლებით B. ⁵ და ფახეთ B. ⁶ აღირბეჟანი B.



- მარჯვენას შუა თითს გვერდით რომ თითია, ის ხომ მოწყვეტილი მაქვს¹ და თუ ესეც დააკლდეს ჩემს ტანსა, მარცხენას ღლიაში ნიშანი მაქვს და კიდევ მარჯვენას თეძოზედ. თუ სრულად აღარც ერთი ასო იყოს, ჩემი კბილები შემეჭრე, ჩემს სულდარაში, შენდობის წიგნიც თან ჩამატანე, ჩემს
- 5 საფლავში ჩამდე, ეგების* მარმარილო იშოო, რაც დამიწერია, და|აქწერე, დამადე, თუ შეიძლოთ წირვით, გლახაკთ კმევით, შემიბრალეთ, თუ არა ღმერთმან მშვიდობა მოგცესთ.
- საცოდავი ქალები||ვერ დავთხოვე, ამისთვის||რომ ჩემთვის მოციქუ- B108a
ლი კი არავის მოუგზავნია მიჩაბლის ლევანის შვილის მეტს და იმას კი- C105b
- 10 დეც დავპირდი, ორში ერთს რომელიც გინდა, იმას მოგცემ მეთქი. ახლა როგორც ამჯობინოთ, ისე ქენით.
- თეთრი ხომ აღარა მაქვს, დაიხარჯა. ცოტა რამ ვეცხლის იარაღია და როგორც ამჯობინოთ, ისე გაუყავით ქალებსა. ასე უნდა ეგენი გაისტუმროთ, ჩემით იყოს თუ თქვენით და მერმე მამული სრულად თქვენ
